განათლების ეროვნული ინსტიტუტი
National Institute of Education

ტარიელ ფუტკარაძე
ეკა დადიანი
რევაზ შეროზია

''ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ'' და საქართველო

ქუთაისი
2010

1999 წლის აპრილში საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი; შესაბამისად, ჩვენმა ქვეყანამ აიღო ვალდებულება, რომ ერთი წლის ვადაში შეერთებოდა "**ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ**" ("ენის ქარტიას"); ვალდებულება დღემდე არ შესრულებულა.

"ენის ქარტია" მოწოდებულია, ხელი შეუწყოს **ისტორიული (ავტოქთონი) უმცირესობის** ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას; "ენის ქარტიის" მამებისთვის არსებითი იყო, ასევე, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და უმცირესობათა ინტეგრაცია, ამიტომ კონკრეტულ ხელისუფლებებს მიანდეს **ორი არსებითი საკითხის** გადაწყვეტა:

- სად გადის ზღვარი ისტორიულ (ავტოქთონ) და მიგრანტ **ეთნიკურ** უმცირესობებს შორის? შდრ.: ზოგი ექსპერტის მიერ შემოთავაზებული დროა **პირველი მსოფლიო ომი;** რამდენად მისაღებია 100-წლიანი ზღვარი ახლახან **დეოკუპირებული** ქვეყნისთვის, რომელიც ბოლო 200 წლის მანძილზე იყო ანექსირებული?

- როგორ უნდა განვასხვავოთ სახელმწიფო ენის მონათესავე **უმცირესობის ენა** სახელმწიფო ენის **დიალექტისგან.**

წარმოდგენილ წიგნში განხილულია:

- "ენის ქარტიის" ძირითადი ტერმინები და მიზანი;
- საქართველოს სახელმწიფო ენის სახესხვაობათა ქართველურ ენა-კილოთა ლინგვისტური ანალიზი და მათი შენარჩუნების გზები;
- აფხაზური ენისა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ უმცირესობათა **ენობრივი უფლებების** დაცვის მექანიზმები.

რედაქტორები: მერაბ გვაზავა
როზეტა გუჯეჯიანი
იოსებ ასათიანი (ინგლისური ვარიანტისა)

რეცენზენტები:
ფილოლოგიის დოქტორი ნანა გულუა,
ფილოლოგიის დოქტორი ივანე ლეჟავა,
ისტორიის დოქტორი, პროფ. ბეჟან ხორავა

In April 1999 Georgia became a member of the Council of Europe; therefore, our country has undertaken an obligation to join the charter entitled "European Charter for Regional or Minority Languages" (ECRML) within the period of one year. The obligation has not yet been fulfilled.

The ECRML aims to promote the protection of linguistic-cultural heritage of historical (autochthonous) minority; authors of the ECRML considered a state's territorial integrity and integration of minorities as essential, therefore it was left to the authorities concerned to deal with the following two issues:

- Where is the boundary between the historical (autochthonous) and migrant ethnic minorities cf.: some experts have proposed World War I; Is a 100-year boundary acceptable for a newly de-occupied country that has been annexed for the last 200 years?
- How to distinguish between a **minority language** related to a state language and a dialect of a state language?

The proposed book deals with:

- *The Language Charter's* principal terms and objectives;
- Linguistic analysis of Linguistic varieties of the Georgian state language – Kartvelian idioms and the ways of their preservation.
- Mechanisms of safeguarding linguistic rights of the Abkhazian language as well as other ethnic minorities residing in Georgia.

Editors: **Merab Gvazava**
Roseta Gujejiani
Ioseb Asatiani (English Version)

Reviewers:
Prof. **Nana Gulua**, Doctor of Philology,
Prof. **Ivane Lezhava**, Doctor of Philology,
Prof. **Bezhan Khorava**, Doctor of Historical Sciences

UDC (უაკ) 323.15+811.1'244+811.353.1'272
ფ-985

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით.

წიგნში განხილული პრობლემატიკა მეტად აქტუალურია როგორც **სამეცნიერო თვალსაზრისით,** ასევე საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვისთვის, ამიტომ გამოქვეყნებამდე ნაშრომი გავაცანით კოლეგებს.

ავტორები რჩევებისა და საინტერესო მოსაზრებებისათვის მადლობას ვუხდით წიგნის **რედაქტორებსა და რეცენზენტებს**; ასევე:

ფილოლოგიის დოქტორს, პროფ. **ლელა ავალიანს**
ფილოლოგიის დოქტორს, პროფ. **ნატო გულუას**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს,
პროფ. **როლანდ თოფჩიშვილს**
ფილოლოგიის დოქტორს, პროფ. **მაია მიქაუტაძეს**
ისტორიის დოქტორს, პროფ. **დაზმირ ჯოჯუას**

ქართული ტექსტი ინგლისურად თარგმა **ნათია ამირიძემ**.

© ტ. ფუტკარაძე, ე.დადიანი, რ.შეროზია
ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი
ISBN 978-9941-0-2423-8

The book is published by the sponsorship of the Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia

A range of problems dealt with in this book is rather a pressing issue in terms of developing scientific views, as well as for the planning of the language politics in Georgia.

Therefore, prior to publication we have offered the main provisions of our work to our colleagues for consideration. We would like to express our gratitude to our editors and reviewers for interesting suggestions. Special thanks to:

Prof. **Lela Avaliani**, Doctor of Philology
Prof. **Nato Gulua**, Doctor of Philology
Prof. **Roland Topchishvili**, Doctor of Historical Sciences
Prof. **Maia Mikautadze**, Doctor of Philology
Prof. **Dazmir Jojua**, Doctor of History

The book has been translated by **Natia Amiridze**.

© T. Putkaradze, E. Dadiani, R. Sherozia
Kutaisi Publishing Center.
ISBN 978-9941-0-2423-8

შინაარსი Contents

რეზო ჭეიშვილის წინათქმა.....11
Preface (Rezo Cheishvili) 12

წინასიტყვაობა: რა მიზეზები განაპირობებენ პრობლემის სირთულესა და აქტუალურობას 15
Foreword: Reasons for Complexity and Urgency of the Problem 197

შესავალი: ქართველური ენა-კილოების კვალიფიკაციის სამეცნიერო პრობლემა პოლიტიკურ კონტექსტში (როდიდან იწყება საკითხის პოლიტიზება?) 29
Introduction: Scientific Problem of Qualifying Kartvelian Idioms within the Political Context (When has the Politicization of the Issue Start?)..... 209

ნაწილი I: ქართველური ენობრივი სამყარო
Part I: Kartvelian Linguistic World

1.1. ენისა და დიალექტის საკვალიფიკაციო კრიტერიუმების საკითხი; ქართველური ენობრივი სამყაროს მოკლე ისტორია.....49
1.1. The Issue of Qualification Criteria for a Language and a Dialect; A Brief History of the Kartvelian Linguistic World 227

1.1.1. ენისა და კილოს გამიჯვნის საკითხი 49
1.1.1. Distinguishing between a Language and a Dialect 227

1.1.2. ქართველურ ენა-კილოთა ისტორიის რამდენიმე ასპექტი....56
1.1.2. Several Aspects of History of the Kartvelian Idioms.....233

1.1.3. ქართველური ენობრივი ქვესისტემების (იდიომების) კლასიფიკაცია 58
1.1.3. Classification of Kartvelian Linguistic Sub-systems (Idioms).....235

1.2. ქართველურ ენა-კილოთა ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურების სისტემური ანალიზი 65
1.2. Systemic Analysis of Phonetic, Morphological and Syntactic Structures of the Kartvelian Idioms 241

1.2.1. ქართველურ ენა-კილოთა ფონემატური სტრუქტურა.....65

1.2.1. Phonematic Structure of the Kartvelian Idioms 241

1.2.2. ბრუნვათა სისტემა 78
1.2.2. Declension System 254

1.2.3. მწკრივთა წარმოება 87
1.2.3. Formation of Screeves 263

1.2.4. სინტაქსი 110
1.2.4. Syntax 285

1.2.5. ლექსიკა 113
1.2.5. Lexis 288

ნაწილი II: "ენის ქარტია" და თანამედროვე საქართველოს ენობრივი სიტუაცია
Part II: ECRML and the Linguistic Situation in Modern Georgia

2.1. "ენის ქარტიის" პრინციპებისათვის 117
2.1. On Principles of the ECRML 293

2.1.1. "ენის ქარტიის" ძირითადი ტერმინი: რეგიონული ან უმცირესობის ენა.....117
2.1.1. Major Term of ECRML: A Regional or a Minority Language 293

2.1.2. ენათა სახეები "ქარტიის" მიხედვით.....121
2.1.2. Types of Languages According to the Charter..... 297

2.1.3 "ევროპული ქარტიის" მიზანი: ისტორიული უმცირესობების დედაენის დაცვა.....125
2.1.3. The Aim of the Charter: Protecting Native Languages of Historical Minorities 300

2.2. "ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ჩარჩო კონვენციისა" და "ოსლოს რეკომენდაციების" მიზანი: ახალი უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვა 136
2.2. The Aim of the "Framework Convention for the Protection of National Minorities" and "Oslo Recommendations": Protecting Linguistic Rights of New Minorities 309

2.3. თანამედროვე საქართველოს ენობრივი სიტუაცია.....141

2.3. Linguistic Situation in Modern Georgia 313

2.3.1. სახელმწიფოს ოფიციალური ენა/ენები და მისი ადგილობრივი სახესხვაობანი.....141
2.3.1. State Official Language/Languages and its Local Varieties.....313

2.3.1.1. სახელმწიფო ენა, როგორც საერთო-სახალხო ენა და ინტეგრაციის პრობლემა 141
2.3.1.1. A State Language as a Nation-wide Language and a Problem of Integration..... 313

2.3.1.2. სახელმწიფო ენები ავტონომიურ წარმონაქმნში 142
2.3.1.2. State Languages in the Autonomous Formation 314

2.3.1.3. საქართველოს სახელმწიფო ენის ადგილობრივი სახესხვაობანი; როგორ დავიცვათ ისინი?.....143
2.3.1.3. Local Varieties (/Dialects) of Georgia's State Language – the Georgian Literary Language; How to Protect Them?.....314

2.3.2. საქართველოში ისტორიული უმცირესობების ენების საკითხი.....149
2.3.2. The Issue of Languages of Historical Minorities in Georgia.....320

2.3.3. არაისტორიული უმცირესობის ენები 166
2.3.3. Languages of Non-historical Minorities 334

2.3.4. საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის საკითხი; ვინ შეიძლება ჩაითვალოს: ისტორიულ ეთნიკურ უმცირესობად? არაისტორიულ ეთნიკურ უმცირესობად? მიგრანტად?.....171
2.3.4. The Issue of Ethnic Composition of Georgia; Who Could Be Considered to Be a Historical Ethnic Minority, a Non-historical Ethnic Minority, a Migrant?.....339

2.3.5. ევროსაბჭოს წევრ რომელ სახელმწიფოში მცხოვრებ ქართველთა ენის მიმართ უნდა გავრცელდეს, ერთი მხრივ, ევროპული ქარტიის დებულებები, მეორე მხრივ - ჰააგისა და ოსლოს რეკომენდაციები, მესამე მხრივ კი - კანონი მიგრანტთა შესახებ?....176
2.3.5. In Which Member Countries of the Council of Europe Should the Language of Georgian Residents Be Covered by the Charter Provisions on the One Hand and the Hague and Oslo

Recommendations and the Law on Migrants on the Other Hand?.....343

დამოწმებული სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები.....183
Bibliography and Sources 349

დანართი: როზეტა გუჯეჯიანი, ბეჟან ხორავა, ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან..... 364
Annex: From the History of the Georgian Public Opinion by Roseta Gujejiani, Bezhan Khorava.....370

Brief Information about Authors / ცნობები ავტორთა შესახებ.....375

Transliteration Diagram /ქართული ასონიშნების სატრანსლიტერაციო სქემა.....382

წინათქმა

საქართველოს სრული ანექსიის მიზნით, რუსეთის იმპერია საუკუნეზე მეტია ცდილობს დაანაწევროს ქართველი ერი (პრინციპით: "დაყავი და იბატონე"). პარალელურად, იმპერის მიერ მართული სამეცნიერო წრეები მთელ მსოფლიოში ავრცელებენ პოლიტიზებულ კვალიფიკაციებს და აცხადებენ, რომ ქართველები არ არიან: მეგრელები, სვანები, აჭარლები, კახელები, მესხები... და რომ "ქართველები" (გულისხმობენ მხოლოდ ქართლელებს!) ჩაგრავენ სხვებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ "ქართლელების ენა" ("ქართის ენა") გაბატონებულია სხვა "ეთნოსების" (აჭარლების, მეგრელების, სვანების, ლაზების, მესხების...) "ენებზე". სინამდვილეში ქართული ენა ყველა ქართველის (მეგრელის, სვანის, აჭარელის, ქართლელის, კახელის, მესხის, ლაზის, ინგილოს, იმერელის, რაჭველის, ხევსურის, მოხევის, იმერხეველის, ლივანელის...) საერთო შემოქმედება და ისტორიული დედაენაა.

ქართველი ერის დანაწევრების მოსურნენი დღეს "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" არსის გაყალბებით ცდილობენ **საქართველოს ეთნიკურ-ენობრივ უმცირესობებად წარმოადგინონ ქართველთა დიდი ნაწილი** (მეგრელები, სვანები, ლაზები) და ამ გზით "დააკანონონ" ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დაშლა.

სამწუხაროდ, ქართველი მეცნიერების მხრიდან ბოლო დრომდე არ გასცემია სათანადო აკადემიური პასუხი საქართველოსადმი მტრულად განწყობილი იმპერიის მიერ პოლიტიზებულ "სამეცნიერო" დივერსიებს.

ამ მხრივ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს პროფესორ ტ. ფუტკარაძის, პროფესორ ე. დადიანისა და პრო[illegible]ურ რ. შერიზიას წარმოდგენილი წიგნი: **„ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ" და საქართველო,** სადაც მეცნიერული პატიოსნებით ბევრ არსებით კითხვაზეა გაცემული აკადემიური პასუხი.

რეზო ჭეიშვილი

საქართველოს მწერალთა ლიტერატურული ფონდის თავმჯდომარე, **შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი**

Preface

More than a century Russian empire aspires to break up the Georgian nation (with the method: "divide and rule") for the purpose of the country's complete annexation to Russia. At the same time scientific circles loyal to the Russian empire spread politicized qualifications and declare that Megrelians, Svans, Acharans, Kakhetians, Meskhs... are not Georgians and that the only "Georgians" are Kartlians who oppress others and this mistreatment is expressed in the fact that the language of Kartlians is dominated over the "languages" of other "ethnic groups", e.g. Acharans', Megrelians', Svans', Laz', Meskh's,....However, the reality is that the Georgian language is common creation of all Georgians (Megrelians, Svans, Acharans, Meskhs, Laz, Ingilos, Imeretians, Rachans, Khevsurians, Mokhevians, Imerkhevians, Livanians....) and their historical mother tongue.

Today, those who wish to disintegrate Georgia seek to present a significant part of Georgians (Megrelians, Svans, Laz) as ethnic minorities of the country by way of misinterpreting the essence of "European Charter for Regional or Minority Languages". And with this "legalize" **linguistic or ethnic crumbling** of the country.

Unfortunately, until the recent times Georgian scholars had not provided due academic response to the "scientific" diversions politicized by the empire. To this end the present book -"European Charter for Regional or Minority Languages" and Georgia (Sakartvelo) - of professor T. Putkaradze, professor E. Dadiani, and professor R. Sherozia presents rare exception, in which the authors give academic answers to quite a few essential questions with scientific honesty.

Rezo Cheishvili
Chairman of the Literary Foundation of Georgian Writers
Laureate of the Shota Rustaveli Prize

Dutu Megreli (1867-1938):

Kartli, Kakheti, Imereti, Guria and Samegrelo,
Racha, Lechkhumi, Javakheti and remarkable Meskheti,
Khevi, Tusheti-Pshavi, Khevsureti, Svaneti and Apkhazeti,
Ancient Tao, Imerkhevi, Saingilo and Lazeti,
Fabulous Mtiuleti, and the sea and the meadows of Achara
All of them belong to my homeland, adorable Georgia.

დუტუ მეგრელი (1867-1938):

ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო,
რაჭა-ლეჩხუმ-ჯავახეთი და მესხეთი სასახელო,
ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი და აფხაზეთი,
ძველი ტაო, იმერხევი, საინგილო და ლაზეთი,
მთიულეთი - საარაკო, და აჭარის ზღვა და მდელო,
ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო.

წინასიტყვაობა

რა მიზეზები განაპირობებენ პრობლემის სირთულესა და აქტუალურობას?

1999 წლის 27 იანვარს ჩატარებულ ევროსაბჭოს ასამბლეის მე-4 სხდომაზე პოლიტიკურ საქმეთა კომისიის სახელით გაკეთებული **ტერი დევისის** (გაერთიანებული სამეფო) მოხსენების დასკვნაში ვკითხულობთ:

"საქართველომ ევროსაბჭოში გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში ხელი მოაწეროს და რატიფიცირება გაუკეთოს **ეროვნულ უმცირესობათა** დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციასა და **რეგიონული ან უმცირესობის ენების** შესახებ ევროპულ ქარტიას"[1] ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ 2000 წლის 21 იანვარს ხელი მოაწერა "კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა შესახებ"[2]. საქართველოს პარლამენტმა ამ საერთაშორისო დოკუმენტის რატიფიკაცია მოახდინა 2005 წელს[3] ამის მიუხედავად, 2008 წელს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1603-ე რეზოლუციის[4] მე-9 პუნქტი საქართველოს ხელისუფლებას საყვედურობს ამ ევროკონვენციის მიუღებლობის გამო[5] გაუგებარია: 2008 წელს

---

[1] http://portal.coe.ge/index.php?lan=ge&id=geocu&sub=3;
შდრ., ინგლისურენოვანი ტექსტი: To sign and ratify, within a year after its accession, the Framework Convention for the Protection of National Minorities and the European Charter for Regional or Minority Languages (http://portal.coe.ge/index.php?lan=en&id=geocu&sub=3).
სხვადასხვაენოვანი თარგმანებისათვის იხ.: http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/

[2] http://portal.coe.ge/downloads/conventions/ETS-157%20Framework%20Convention%20for%20the%20Protection%20of%20National%20Minorities.pdf

[3] http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=543;

[4] http://conservatives.ge/docs/evrosabchos_rezolucia.pdf;
http://conservatives.ge/docs/evrosabchos_rezolucia.pdf;
http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/WorkingDocs/Doc08/EDOC11502.htm

[5] საქართველოს პარლამენტის მიერ "ჩარჩო კონვენცია" რატიფიცირებულია 2005 წლის 13 ოქტომბრის N 1938–IIს დადგენილებით; დოკუმენტი ძალაში შევიდა 2006 წლის 1 აპრილს.
http://www.parliament.ge/files/714_9879_760261_charcho.pdf.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1603-ე რეზოლუცია რატომ ითხოვს საქართველოსგან 2005 წელს რატიფიცირებული "ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციის" რატიფიცირებას? ასეთი დიდი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტის დადასტურების შესახებ ინფორმაცია 3 წლის მანძილზე არ მიეწოდა ევროსაბჭოს?[6]

რაც შეეხება "ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ":

ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოს მინიჭებული აქვს უფლება, "ენის ქარტიაში" წარმოდგენილი ზოგადი განსაზღვრებების საფუძველზე და "დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით **თავად განსაზღვროს ის კრიტერიუმები**, რომლებზე დაყრდნობითაც მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ ენას მიენიჭება სათანადო სტატუსი" (ქარტიის განმარტებითი მოხსენების 30-36 პუნქტები).

2008 წლის მონაცემებით, ევროსაბჭოს წევრი 48 ქვეყნიდან ოცდასამმა მოახდინა "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" რატიფიკაცია (სომხეთი, გერმანია, ფინეთი, რუმინეთი, ესპანეთი, შვედეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი[7]...)[8]; ათმა სახელმწიფომ მხოლოდ ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს (აზერბაიჯანი, საფრანგეთი, იტალია, რუსეთი...);

---

[6] ბუნებრივია, არ გამოირიცხება ევროსაბჭოს მოხელეთა დაუდევრობაც: ევროსაბჭოს მასალებში, კერძოდ, ავსტრიისა და სომხეთის მიერ "ენის ქარტიის" რატიფიკაციის დოკუმენტებში, სხვა ტექნიკური ხასიათის შეცდომებიც ვნახეთ, რომლებიც გასწორდა "ენის ქარტიის" საძდივნოსადმი .(კერძოდ, ჭ-ნი სონია პარაირესადმი [Sonia Parayre]) მიწერილი ტ. ფუტკარაძის წერილის შემდეგ; შდრ., ინფორმაცია. რომელიც გამოქვეყნებული იყო 2009 წლის 9 იანვარს (Status as of: 9/1/2009) და რომელიც დევს 13 იანვრის შემდეგ: (http://conventions.coe.int/treaty/Commun/ListeDeclarations.asp?NT=148&CM=&DF=&CL=ENG&VL=1.

[7] პოლონეთის სეიმმა 2005 წელს მიიღო კანონი: "ეროვნული და ეთნიკური უმცირესობებისა და რეგიონალური ენის შესახებ"; ამ კანონით, ფაქტობრივად, რეგიონალური ენა მეორე სახელმწიფო ენაა იმ რეგიონში, სადაც ცხოვრობს ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობა http://www.usefoundation.org/view/479.

[8] მაგ., გერმანიაში ასეთ ენებად მიჩნეულ იქნა: დანიური (in Schleswig-Holstein), ზემო სორბიული (in the Free State of Saxony), ქვემო სორბიული (in Brandenburg), ჩრდილო ფრიზული (in Schleswig-Holstein), სათერლანდის ფრიზული (in Lower Saxony), ბოშური (across Germany), ქვემო გერმანული (in Bremen, Hamburg, Mecklenburg-Western Pomerania, Lower Saxony and Schleswig-Holstein).

თხუთმეტს კი თავისი პოზიცია საერთოდ არ ჩამოუყალიბებია (საქართველო, თურქეთი, საბერძნეთი, ლიტვა, ესტონეთი, ბელგია, ლატვია, პორტუგალია...).[9]

1999 წელს ნაკისრი ერთწლიანი ვალდებულების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ 10 წლის განმავლობაში ვერ შეძლო "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" რატიფიკაცია; შესაბამისად, დღემდე საქართველოს ხელისუფლებამ მრავალი საყვედური მიიღო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისგან; აქ დავიმოწმებთ ერთ-ერთ ბოლო მოთხოვნას: 2008 წლის №1603 რეზოლუციას საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და შეთანხმებების შესახებ[10]:

"საქართველოს მიერ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ხელი მოეწეროს და რატიფიცირება მოხდეს ევროპის ქარტიის რეგიონულ ან უმცირესობების ენაზე" (მე-17 პუნქტი)[11]

როგორც ზემოთ ითქვა, ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების **ერთი ნაწილი** ჯერჯერობით "ქარტიას" ხელს არ აწერს (მაგ., თურქეთი, ალბანეთი, ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, პორტუგალია...); **მეორე ნაწილი** (რუსეთი, საფრანგეთი, იტალია, აზერბაიჯანი, პოლონეთი...) კი რატიფიკაციას აყოვნებს. მიზეზი: პრობლემურია ისტორიული და ახალი უმცირესობების (ეთნიკური ჯგუფების) ენების გამიჯვნა; გარდა ამისა, ჩანს, მთავრობები უფრთხიან დეზინტეგრაციულ პროცესებს.

ამგვარივე შიშით შეიძლება აიხსნას **საქართველოს ხელისუფლების სიფრთხილეც;** საშიშროება მართლაც არსებობს, მაგრამ არა საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, არამედ "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის"

---

[9] http://conventions.coe.int/treaty/Commun/ChercheSig.asp?NT=148&CM=&DF=&CL=ENG.

[10] http://conservatives.ge/docs/evrosabchos_rezolucia.pdf

[11] [9] With regard to Council of Europe legal instruments, the Assembly notes that to date Georgia has ratified 53 Conventions and signed 9 others. It commends the ratification of the Framework Convention on National Minorities (ETS No 157), of the European Outline Convention on Transfrontier Co-operation between Territorial Communities or Authorities (ETS No 106) and of the Council of Europe Criminal Law Convention on Corruption (ETS No 173). Regretfully, however, the procedure for signing and ratifying the European Charter for Regional or Minority Languages (ETS No 148) has not progressed so far
http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/WorkingDocs/Doc08/EDOC11502.htm

დებულებების არასწორი, საქართველოსთვის სახიფათო ინტერპრეტაციების გამო.

პრობლემას ქმნის ისიც, რომ საქართველოს შესაბამისი ინსტიტუტების მიერ დღემდე ვერ ჩამოყალიბდა ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს ქართველურ იდიომთა კვალიფიკაცია-კლასიფიკაცია და საქართველოს რეგიონული თუ უმცირესობის ენების სიის შედგენა.

წესით, არ უნდა გართულებულიყო ქართველურ იდიომთა კვალიფიკაცია-კლასიფიკაცია, ვინაიდან, მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული ტრადიციული ხედვით, ქართველებს 23-საუკუნოვანი **ერთი დედაენა** (ეროვნული ენა) გვაქვს[12] ამავეს ამტკიცებს თანამედროვე ლინგვისტური ქართველოლოგიაც, ისტორიოგრაფიაც და ეთნოლოგიაც[13].

---

[12] იხ.: **ქართლის ცხოვრება, თბ., 1955; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე,** ქართული სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I-IV, თბ., 1976-2003; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე: "ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომელია საერთო-სალიტერატურო ენა და რომელია ადგილობრივი დიალექტი", "საქართველოს რესპუბლიკა", 3 თებერვალი, 2007 წ. (№ 5622); ბ. დიასამიძე, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 2001 და სხვ.

[13] სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: **ტ. ფუტკარაძე,** ქართველები, ნაწილი I, ქრისტიანობამდელი ეპოქა, ქუთაისი, 2005; **თ. გვანცელაძე,** ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006; **მ. ნაჭყებია,** საქართველოს ეთნოლინგვისტური ტერმინები, თბ., 2006; **რ. შეროზია,** ქართველური სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას სიტყვის კონის" ზოგი საკითხისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქუთაისი, 2007; **მ. ტაბიძე,** სახელმწიფო ენის მდგომარეობა, როგორც სახელმწიფოს სიძლიერე-სისუსტის ერთ-ერთი მაჩვენებელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: საქართველო და მსოფლიო, ბათუმი, 2008, 14-15 ნოემბერი; **რ. თოფჩიშვილი,** ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008; **რ. გუჯეჯიანი,** ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008, გვ. 191-197; **თ. ბერაძე,** ქართული იდენტობის ძირითადი ეტაპები, ეთნოლოგიური კრებული, თბ., 2008, გვ. 3-9; **რ. თოფჩიშვილი, ჭ. ხუციშვილი, რ.გუჯეჯიანი,** თეორიული ეთნოლოგია, თბ., 2009; **თ. ბერაძე, ბ. ხორავა,** ქართული სალიტერატურო ენა და ქართული კულტურა - საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული მხარის შემოქმედების ნაყოფი, ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 2009, გვ. 19-29.

იხ., აგრეთვე, **საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "ქუთაისური საუბრები XII" მასალები** (სიმპოზიუმი მიეძღვნა საქართველოში მოციქულთა შე-მობრძანებასა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას), 13-14 ნოემბერი, 2009 წ.

საქართველოში გაბატონების შემდეგ რუსეთის იმპერიის მესვეურნი შეეცადნენ, დაემკვიდრებინათ მოსაზრება, რომ საქართველო თითქმის არასოდეს ყოფილა ერთიანი, ხოლო ქართველთა სხვადასხვა "ეთნოსი" 3000 წელზე მეტია სამ-ოთხ განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს. მაგ., დღესაც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილი სპეციალისტი, **პროფ. იური კორიაკოვი** "მსოფლიოს ენათა რეესტრით" **(Linguarium.ilingran.ru)** ცდილობს დაარწმუნოს მთელი მსოფლიო, რომ **დამოუკიდებელი ეთნოსებია** (EG): მეგრელი, ლაზი, ქართველი, ბალელი (ზემო სვანი) და ქვემო სვანი, ხოლო დამოუკიდებელი ენებია: მეგრული, ლაზური, ქართული, ზემოსვანური (ბალური ენა) და ქვემოსვანური.

თანამედროვე საინფორმაციო ქსელშიც ძირითადად საბჭოთა კვალიფიკაციებია გავრცელებული; მაგ., მსოფლიოს ვირტუალური ისტორიის ვებგვერდზე, აზიის განყოფილებაში საქართველოს შესახებ დევს რუკა, რომლის მიხედვითაც საქართველოში **არაქართველების - ეთნიკური უმცირესობის - ენებია:**

1. ჩეჩნური; 2. წოვა-თუშური; 3. ხუნძახური; 4. უდური; 5. აზერბაიჯანული; 6. სომხური; 7 ლაზური ანუ ჭანური; 8. მეგრული; 9 აფხაზური; 10. სვანური; 11. ოსური[14]

ამგვარი კვალიფიკაციების კვალად, უცხოელ თუ ქართველ სპეციალისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ, ევროსაბჭოს რეკომენდაციების მიხედვით, **უმცირესობის ან რეგიონული ენის სტატუსი** უნდა მიენიჭოს საქართველოში არსებულ 12 ენას: რუსულს, სომხურს, აზერბაიჯანულს... მეგრულს, სვანურს.

შდრ., "ევროპული ქარტია" მიზნად ისახავს ავტოქთონი **ეთნიკური უმცირესობის დედაენის დაცვას**[15] კიდევ ერთხელ შევნიშნავთ: მეგრული, ლაზური და სვანური ქართველთა საშინაო მეტყველებებია და **არა ეთნიკური უმცირესობების ენები საქართველოში.**

---

[14] http://vlib.iue.it/history/asia/georgia.html.

[15] საკითხის ისტორიისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, "ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ" და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის საკითხი, კავკასიოლოგიური სერია, V, თბ., 2009; http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia

სამწუხაროდ, უკვე **ევროკავშირის ექსპერტებიც** უშვებენ შეცდომას და აცხადებენ, რომ ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური დამოუკიდებელი ეთნოსების თუ **სუბეთნოსების** ენებია; მათი აზრით, ამ "ენების" არსებობა დასტურია ქართველი ერის არაკონსოლიდირებულობისა; მაგ., ევროკავშირის მიერ შექმნილი საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის დასკვნის მიხედვით (თავმჯდომარე, შვეიცარიელი დიპლომატი ჰეიდი ტალიავინი), თითქოსდა, ქართველი ნაციის არაკონსოლიდირებულობას სხვა მიზეზებთან ერთად განაპირობებს ქართულისგან განსხვავებული მეგრული, ლაზური და სვანური "ენების" არსებობა[16]

---

[16] http://www.cciig.ch/Report.html (ტომი, II, გვ. 2). **History of an Ambivalent Relationship:** "Georgian national identity claims historical origins dating as far back as the establishment of an autocephalous Georgian church in the 4th century and the emergence of the Georgian language with its own alphabet in the 5th century. Nevertheless, for centuries Georgia was divided into diverse local sub-ethnic entities, each with its own characteristic traditions, manners, dialects and, in the case of the Mingrelians, Lazs and Svans, with separate languages similar to Georgian. The process of ethnic consolidation and nation-making had not been completed (A standard work on this process is: Ronald Grigor Suny, *The Making of the Georgian Nation*, Bloomington/Indianapolis, 1994). Earlier Georgian history culminated in the united Georgian Kingdom of the 11 th to 13th centuries, when Georgia was a regional power in the Caucasus. In ensuing periods it split up into several political entities such as the kingdom of Kartli and Kakheti in the east and the kingdom of Imereti and principalities like Samegrelo and Svaneti in the west. Georgia weakened after repeated attacks by foreign powers like the Mongols and Timurides. From the 16th century onward, Ottoman Turkey and Safavid Iran began to subjugate western and eastern regions of Georgia respectively".

თარგმანი: ისტორია და ამბივალენტური ურთიერთობა: ისტორიულად, ქართული ეროვნული იდენტობა თავის წარმოშობას მე-4 საუკუნეში ქართული ავტოკეფალური ეკლესიის ჩამოყალიბებას და მე-5 საუკუნეში ქართული ენის გამოჩენას და ანბანის შექმნას უკავშირებს. თუმცა, საქართველო საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ადგილობრივ სუბ-ეთნიკურ ერთეულებად იყო დაყოფილი, რომელთაგან თითოეულს ჰქონდა თავისი საკუთარი ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, დიალექტები და, მეგრელების, ლაზებისა და სვანების შემთხვევაში კი – სხვა ენები, რომლებიც ჰგავს ქართულს. **ეთნიკური კონსოლიდაციის და ერად ჩამოყალიბების პროცესი არ დასრულებულა** (A standard work on this process is: Ronald Grigor Suny, *The Making of the Georgian Nation*, Bloomington/Indianapolis, 1994). საქართველოს ადრეულმა ისტორიამ კულმინაციას XI-XIII საუკუნეებში მიაღწია, როცა ჩამოყალიბდა გაერთიანებული ქართული სამეფო, რომელიც გახდა **ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო კავკასიის რეგიონში**. შემდეგ პერიოდში საქართველო რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დაიყო, როგორიცაა ქართლ-კახეთის სამეფო აღმოსავლეთში, ხოლო დასავლეთში - იმერეთის სამეფო, სამეგრელოს და სვანეთის სამთავროები. საქართველო დაასუსტა უცხო ძალების (მონღოლები, თე-

სინამდვილეში ქართული ენა მეგრელისა თუ სვანისთვისაც ისტორიული დედაენაა (ეროვნული ენაა); **ქართული სამწიგნობრო ენა, როგორც ქართველთა ეროვნული თვითშემოქმედება, ქართველი ერის გამაერთიანებელი მრავალსაუკუნოვანი დუღაბია,** ხოლო მეგრულ-ლაზურ-სვანური იდიომები ზოგადქართული ენის დედაენის მეორეული სახესხვაობებია. შდრ., ვინც ფიქრობს, რომ, მაგ., მეგრელისთვის ქართული დედაენა არ არის, ქართველთა ამ ჯგუფს ართმევს (უუცხოებს) ჭყონდიდლების, მინჩხის, მერჩულის თუ რუსთველის მიერ შექმნილ დიდ სამწიგნობრო კულტურას.

ქართველური ენა-კილოების კვალიფიკაციის საკითხს ააქტუალურებს "რეგიონული ან უმცირესობის შესახებ ევროპული ქარტიის" რატიფიკაციის აუცილებლობაც. ჩვენს სინამდვილეში საკითხს ართულებს ისიც, რომ არ არსებობს კონსენსუსი იმ **კრიტერიუმების** შესახებ, რომელთა მიხედვითაც უნდა აღიწეროს **საქართველოს ენობრივი სიტუაცია.**

ბუნებრივია, პრობლემურია საკუთრივ ქართველური იდიომების ენად თუ კილოდ გამიჯვნაც, ვინაიდან საბჭოთა იმპერიის პერიოდში პოლიტიზებული დებულებები **საკმაოდ მყარადაა გამჯდარი საზოგადოებრივ ცნობიერებაში.** ენათმეცნიერები თავს ვერ დავიმშვიდებთ იმით, რომ ენა-კილოდ კვალიფიკაცია საკუთრივ ლინგვისტიკის სფეროს სცილდება; შდრ., მაგ., *ჯ. ლაონზი: "სხვაობა ახლომონათესავე ენებსა და დიალექტებს შორის უპირატესად პოლიტიკური და კულტურული რიგისაა, ვინემ საკუთრივ ენობრივისა"; ბ. ჯორბენაძე (1889, გვ. 118-119): ენებად და დიალექტებად დიფერენციაციის პროცესში მართლაც მონაწილეობენ პოლიტიკური და კულტურული მომენტები... "დიალექტი, ენა, ენობრივი განშტოება, ენობრივი ოჯახი ფარდობით ტერმინებს წარმოადგენენ"*

დღეს დიდი შრომაა საჭირო, რომ რუსეთის იმპერიის მიერ დეზინფორმირებული საერთაშორისო ველი შეივსოს **ქართველთა**

მურლენგის შთამომავლები...) მრავალმა შემოსევამ. მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, ოსმალეთი და სეფიანთა ირანი საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებს გაუდმებით აწიოკებდნენ...

კრიტიკისათვის იხ.: http://www.scribd.com/doc/21919401/T-Putkaradze-Taliavni-Komisiis-Daskvnis-Kidev-Erti-Rusuli-Pasaji;
http://pirveli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=36778&Itemid=1.

ენობრივი ისტორიისა თუ აწმყოს შესახებ ობიექტური ინფორმაციებით.

ასეთ ფონზე, ექსპერტთა თუ დაინტერესებულ ჯგუფთა ინიციატივით, ფართო საზოგადოებასა და საერთაშორისო ქსელში განიხილება **ურთიერთგამომრიცხავი** კვალიფიკაციები საქართველოს ენობრივი სიტუაციის შესახებ; კერძოდ, იმ ენების ჩამონათვალი, რომლებზეც უნდა გავრცელდეს "ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ", მერყეობს რამდენიმე ერთეულიდან 12-მდე. დავის საგანია როგორც საკუთრივ ქართველთა კუთხური მეტყველებების ერთი ნაწილის, ისე საქართველოში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით მიგრირებული ეთნიკური ჯგუფების ენების სტატუსი. წინასწარ წარმოვადგენთ ორ ძირითად მოსაზრებას:

I. საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე ვალდებულებების აღების შემდეგ მალევე გამოითქვა მოსაზრება, რომ დამოუკიდებელ თუ რეგიონულ (უმცირესობის) ენად არ უნდა ჩაითვალოს საქართველოს **სახელმწიფო ენის ადგილობრივი ვარიანტები (დიალექტები)**: ლაზური, მეგრული, სვანური, წოვა-თუშური... ასევე. 180-300 წლის წინ საქართველოში შემოხიზნული თუ **რუსეთის იმპერიის მიერ ჩამოსახლებული** და დღეს უკვე კომპაქტურად მცხოვრები არაავტოქთონი ეთნიკური ჯგუფების ენები, რომლებიც მეზობელი ქვეყნების სახელმწიფო ენებია[17]

II. ტომაშ ვიხერკევიჩისა და მისი ქართველი თანაავტორების მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის მომზადებული

---

[17] მსჯელობისათვის იხ.: ტ.ფუტკარაძე, ღვთისმსახურების ენა "ყოველთა ქართველთა" ერთიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი (ოფიციალური ენისა და დიალექტების მიმართების საკითხისათვის); ქუთაისური საუბრები VII, ქუთაისი, 2000; ტ.ფუტკარაძე, საერთოეროვნული სალიტერატურო ენისა და საშინაო სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების მიხედვით, XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ზუგდიდი, 2000; ტ.ფუტკარაძე, მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის საკითხისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთაისი, 2003; ტ. ფუტკარაძე, ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქარტია უმცირესობათა ენების შესახებ, (Ethnolinguistic Terms and European Charter for Regional or Minority Languages), 2005;
http://www.nplg.gov.ge/ic/DGL/work/abxaztauflebebi.htm;
www.nplg.gov.ge/ic/DGL/work/tariel%20putkaradze/etnolingvisturi%20terminebi.htm.

რეკომენდაციების მიხედვით[18], საქართველოში რეგიონული ან უმცირესობის ენის სტატუსი უნდა მიენიჭოს სომხურსა და აზერბაიჯანულს (გვ.35); ასევე, "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" მეორე თავის დებულებები უნდა გავრცელდეს "ტერიტორიის არმქონე ენების": რუსულის, ბერძნულის, ებრაულის, ქურთულის/იეზიდურის, უკრაინულის, ჩეჩნურის/ ქისტურის, ასირიულის, ავარიულის[19] და "უმწერლობო ენების": მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მიმართ (გვ. 36-37).

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამგვარ კვალიფიკაციებს "კვებავს" საქართველოს ენობრივი სიტუაციის აღწერის საბჭოური ტრადიცია და ამ ტრადიციის გავლენით საერთაშორისო ქსელში დამკვიდრებული **"საქართველოს უმცირესობათა ენების" არაადეკვატური სიები**; იხ., მაგ., მსოფლიოს ვირტუალური ისტორიისა და ევროპის ეროვნულ უმცირესობათა ენების გვერდზე[20] მიბმული მასალის მიხედვით, საქართველოში უმცირესობების ენებია: 1. ჩეჩნური; 2. წოვა-თუშური; 3. ბეჟიტური (Bezhta), ჰუნზიბური (Hunzib); 4. უდიური; 5. აზერბაიჯანული; 6. სომხური; 7 ლაზური ანუ ჭანური; 8. მეგრული; 9. აფხაზური; 10.

---

[18] პროექტი დაფინანსებულია პოლონეთის საელჩოს მიერ. ავტორები: "ახალგაზრდული რესპუბლიკური ინსტიტუტი" (YRI), სახალხო დამცველის სამოქალაქო განათლების ცენტრი (ხელმძღვანელი: კახა გაბუნია, სახალხო დამცველის მთავარი მრჩეველი), "სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი" (შალვა ტაბატაძე, კახა გაბუნია, მარიკა ოძელი, ჭაბუკი ქირია...), პოზნანის ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტის ენობრივი პოლიტიკისა და უმცირესობათა კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, **დოქტორი ტომაშ ვიხერკევიჩი**. სახალხო დამცველის ოფისშივე გავრცელდა 49-გვერდიანი დოკუმენტი, საიდანაც ქვემოთ ვიმოწმებთ ციტატებს. იქვე, კრიტიკულად გავაანალიზებთ ამ ჯგუფის "რეკომენდაციებს", რამდენადაც, ზემოთ დასახელებულ პირთა შორის, უცხოელი ექსპერტისა და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის გარდა, არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართული ენის სამსახურის უფროსი და ენის პოლიტიკის მიმართულებით საქართველოს ეროვნული წარმომადგენელი ევროპის საბჭოში. ტ. ვიხერკევიჩის სხვა ნაშრომისათვის კი იხ.:
http://www.ru.lv/index.php?lang=lv&p=4&p2=401&pkonf=read&pkonfid=0004

[19] უმჯობესი იყო, მოსახლეობის აღწერის მასალებში დაფიქსირებულიყო ავარიელთა ქართული სახელწოდება: ხუნძები (შდრ. ხუნძური ენა).

[20] http://www.armazi.com/georgian/unicode/the_kartvelian_languages.htm და
http://www.smo.uhi.ac.uk/saoghal/mion-chanain/en/

სვანური; 11. ოსური[21] შდრ., ასევე: **არტურ ცუციევის** კვალიფიკაციების მიხედვით, მეგრელები, აჭარლები, სვანები... არაქართული ეთნიკური ჯგუფებია.[22]

თვისობრივად მსგავსი, მაგრამ უფრო თავშეკავებული პოზიციაა ჩამოყალიბებული **ჯონათან უითლის (Jonathan Wheatley)** [23] ოფიციალურ მოხსენებაში, რომელიც 2009 წლის ივნისში ინგლისურად, ქართულად და რუსულად (?) გამოქვეყნდა "უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის" სახელით[24]

ცნობილი ექსპერტი **ჯონათან უითლი** საქართველოს **"რეგიონული და უმცირესობათა ენების ცხრილში"** 29 ენას წარმოადგენს (გვ. 10-12). მისი აზრით, ამ ენათა დიდი ნაწილი საქართველოში დაცული უნდა იყოს "რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიის" მიხედვით.

ჯონათან უითლი ფრთხილად ეკიდება ქართველური იდიომების სტატუსის საკითხს, მაგრამ მაინც მიიჩნევს, რომ გაგებინების არარსებობის გამო მეგრული, ლაზური, სვანური შეიძლება მიჩნეულ იქნეს ენებად (გვ. 17). საინტერესოა, ამ ნიშნით მეკლენბურგულის ან ბავარიულის აღიარებას რატომ არ

---

[21] ამ კვალიფიკაციის ავტორია **ფ. ჰილერი** (P.J. Hillery), რომელმაც ამგვარი დასკვნების მიღებას ცხრა წელი მოანდომა (1996-2004). ასევე წლობით აქვს საქართველოში ნაღვაწი საქართველოს ვებგვერდის ავტორს, ბ-ნ ადრიან ბრისკუს (ix. http://vlib.iue.it/history/asia/georgia.html).

[22] "კავკასიის ეთნოპოლიტიკური ისტორიის ატლასი", 1774-2004.

[23] დრ. **Jonathan Wheatley - RELATED PROFESSIONAL EXPERIENCE: January 2006 – February 2006: European Centre for Minority Issues, Regional Office, Tbilisi, GEORGIA.** Conducted a feasibility study on the possibility of granting local administrative status to minority languages in Georgia in the context of Georgia's recent ratification of the Council of Europe Framework Convention for the Protection of National Minorities and the planned ratification of the European Charter for Regional or Minority Languages.

[24] http://www.ecmi.de European Centre for Minority Issues (ECMI): http://www.isn.ethz.ch/isn/Digital-Library/Publications/Detail/?ots591=0C54E3B3-1E9C-BE1E-2C24-A6A8C7060233&lng=en&id=102089
http://www.ecmi.de/download/working_paper_44_rus.pdf
Jonathan Wheatley, "Georgia and the European Charter for Regional or MinoritLanguages";"Джонатан Уитли, Грузия и Европейская хартия региональных языков или языков меньшинств", Рабочий доклад ECMI № 42, Июнь 2009; კრიტიკისათვის იხ.: ტ.ფუტკარაძე, **"ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ" და საქართველო"** http://www.scribd.com/doc/23745708/Putkaradze-Jonathan-Wheatley-s-Kritika.

სთავაზობენ გერმანიის ხელისუფლებას? გარდა ამისა, მრავალგზისაა დასაბუთებული, რომ **გაგებინება არ არის ენისა და დიალექტის გამმიჯნავი კრიტერიუმი,** ვინაიდან მსოფლიოს თითქმის ყველა ენას აქვს ისეთი დიალექტები, რომლის გაგება შეუძლებელია (ან უჭირს სალიტერატურო ენის მცოდნეს) და პირიქით: მრავალია ისეთი ენა, რომლის გაგება შეუძლიათ მონათესავე ენის მფლობელთ.

ენისა და კილოს გამიჯვნისას, როგორც ჩანს, უფრო არსებითი ჩანს სამწიგნობრო ტრადიციის გათვალისწინება[25] ასე მაგალითად, გერმანიის ხელისუფლებამ, ბავარიულისგან განსხვავებით, ქვემოგერმანული ჩათვალა **რეგიონულ ენად** იმიტომ, რომ ქვემოგერმანულს მე-16 საუკუნიდან აქვს წერილობითი ტრადიცია. გარდა ამისა, ქვემოგერმანული და ზემოგერმანული საერთოგერმანულისგან წარმოქმნილი პარალელური ენობრივი "სისტემებია", მაშინ როცა მეგრულ-ლაზური თუ სვანური მეტყველებები ქართული/ქართველური ენობრივი სისტემის მეორეული სახესხვაობები - ქვესისტემებია (იხ. ქვემოთ).

ჯონათან უითლიმ კარგად იცის, რომ "ენის ქარტია" ენას მიიჩნევს მოცემული საზოგადოების (ეთნოსის) კულტურული სიმდიდრის გამოხატულებად (გვ. 8, 22); ამ ფონზე ის **მეგრულ, ლაზურ და სვანურ იდიომებს "რეგიონულ ენებად" მიიჩნევს.**

ჩანს, **ცნობილი ექსპერტისთვის უცნობია,** რომ მეგრელისთვის, სვანისა თუ საკუთარი ეთნოსის ისტორიის მცოდნე ლაზისთვის ეროვნული კულტურის გამოხატულება არის წინაპრების მიერ შექმნილი მრავალსაუკუნოვანი დედაენობრივი **ქართულენოვანი** - წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი **კულტურა,** რომლის ნაწილია მშობლიური დიალექტიც.

შდრ., საფრანგეთისა თუ ესპანეთის ბასკისთვის მართლაც სხვადასხვა კულტურაა ბასკური ენა და სახელმწიფო ენა, მაგრამ მეგრელ-ლაზ-სვანთათვის **ქართული/ქართველური კულტურა წინაპრების შემოქმედებაა,** შესაბამისად, საერთოქართველური ენობრივი სისტემის ბაზაზე შექმნილი წერილობითი კულტურა დედაენობრივი კულტურაა; შდრ., 100 წელია საპირისპიროს

[25] ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.

დამტკიცებას ცდილობენ რუსეთის იმპერიის იდეოლოგები და "ექსპერტები"

ჯონათან უითლის აკადემიურ მოხსენებაში სხვა უზუსტობანიც არის, რომელთა დაზუსტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს; მაგ., **ჯონათან უითლის ჰგონია** (გვ. 14), რომ XIX საუკუნეში მხოლოდ საქართველოს ინტელიგენციამ გამოთქვა პროტესტი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ (მეგრელ-სვანთათვის დამწერლობის შექმნის მცდელობის გამო); **სინამდვილეში უფრო არსებითი იყო სამეგრელოსა და სვანეთის ფართო საზოგადოების პროტესტი:** საქართველოს ამ კუთხეების მოსახლეობა მიხვდა, რომ დედაენობრივ წერილობით კულტურას ართმევდა რუსეთი და აქტიური პროტესტით უარყო იმპერიის შემოთავაზება; ეს ფაქტი მრავალი დოკუმენტით დასტურდება[26]

დასასრულ, აღვნიშნავთ იმასაც, რომ განსაკუთრებული დაჟინებით რუსულენოვანი ავტორები ცდილობენ, საქართველოს თავს მოახვიონ "ენის ქარტიის" რატიფიკაცია **ენათა მრავალრიცხოვანი ჩამონათვალით**, რათა ეს მაღალი დონის დოკუმენტი საქართველოს დეზინტეგრაციის საფუძვლად აქციონ. ვფიქრობთ, რუსულენოვანი ავტორების აქტიურობა არ უნდა იყოს მხოლოდ იმის შედეგი, რომ ევროსაბჭოში "ენის ქარტიის" სამდივნოს ხელმძღვანელია **მიხეილ გორბაჩოვის** ყოფილი მრჩეველი **ალექსეი კოჟემიაკოვი**[27]

---

[26] **თ.გვანცელაძე, მ.ნაჭყებია, მ.ტაბიძე,** სტიქიური პლებისციტები სოციოლინგვისტურ საკითხთა შესახებ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, კავკასიოლოგიური კრებული, თბ., 2007 (სტატიად გამოქვეყნებამდე მოხსენება წაკითხულ იქნა სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა პროფ. იან ბრაუნის 80 წლისთავს, თბილისი, 2007). **თ.გვანცელაძე, მ.ნაჭყებია, მ.ტაბიძე,** გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი "სვეტიცხოველი", 2009 წ., №1, გვ. 149-163; **რ.გუჯეჯიანი,** "ერთობილნი სვანნი" საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ - დეკანოზი ივანე მარგიანი, სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი "სვეტიცხოველი", 2009 წ., №1, გვ. 164-170 და სხვ.

[27] Mr Alexey Kozhemyakov, Head of the Charter Secretariat (Secretariat of the European Charter for Regional or Minority Languages)
http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/secretariat/default_en.asp:
ალექსეი კოჟემიაკოვი: 1971 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (სამართლის სპეციალობით), 1990 წელს გახდა მეცნიერებათა დოქტორი; 1992 წელს ამავე უნივერსიტეტში მიწვევით მუშაობდა ლექტორად. მუშაობდა **გორბაჩოვის მრჩეველად,**

ამ მიმართულებით გეგმაზომიერად მუშაობს რუსეთის ხელისუფლება; იხ., მაგ., ა. დუგინის "შემოქმედების" ჩარჩოებით კონსტრუირებული კრემლის სამეცნიერო-იდეოლოგიური დივერსიის ერთ-ერთ ბოლო "მეცნიერულ" ტრაქტატად წარმოჩნდა რუსტემ **ვახიტოვის** სტატია "ხალხის გაყოფა", რომელიც დაიბეჭდა 2008 წლის 6-11 ნოემბრის "ლიტერატურნაია გაზეტაში" (http://www.lgz.ru/article/6440); აქ მეცნიერული ქართველოლოგია, კერძოდ კი საქართველოს ობიექტური ისტორია, გამოცხადებულია ეთნონაციონალისტურ თეორიად; დოც. რ.ვახიტოვის სახით "მოვლენილი" კრემლის ამ ახალი იდეოლოგის აზრით, მეგრელები და სვანები ქართველები არ არიან ("ნაცმენშესტვები" არიან), ხოლო ერთიანი ქართველი ერი არ არსებობდა მე-20 საუკუნემდე; თურმე "ეთნონაციონალიზმი" პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ დოქტრინად აქცია ზვიად გამსახურდიამ, ამჟამად კი ეთნონაციონალისტურ სახელმწიფოს აშენებს მიხეილ სააკაშვილი... ამ შეკვეთილ "ისტორიოგრაფიულ" მიმოხილვაში "ეთნონაციონალიზმის" ერთ-ერთ გამოვლინებად მიჩნეულია ისიც, რომ თურმე **საქართველოს ხელისუფლება მეგრელებსა და სვანებს ქართველებად აცხადებს და მათ "ენებს" არ განიხილავს ეროვნული უმცირესობების ენებად**; ეს თურმე გამოიხატება იმაში, რომ საქართველო არ უერთდება **"ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ"** (ნიშანდობლივია ისიც, რომ რ. ვახიტოვი "ენის ქარტიას" "შეცდომით" უწოდებს "კონვენციას ნაციონალურ უმცირესობათა და მათი ენების შესახებ")[28]

განვითარების და რეკონსტრუქციის ევროპული ბანკის სპეციალურ მრჩეველად. მას შემდეგ, რაც რუსეთი შევიდა ევროსაბჭოში 1996 წელს, კოქეშიაკოვმა ევროსაბჭოში დაიკავა მაღალი თანამდებობა - მდივნის პოზიცია. მას ეკავა საჯარო და კერძო სამართლის დეპარტამენტების და რეგიონული და უმცირესობის ენების დეცენტრალიზაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტები.

[28] ამ "იდეოლოგიური დივერსიის" კრიტიკისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ" და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის საკითხი, კავკასიოლოგიური სერია, V. თბ., 2009, გვ. 64; http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia; იქვე, დანართში იხ. მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წერილი: "ლიტერატურნაია გაზეტას" გეგმა საქართველოს დაქუცმაცებისა; იხ., აგრეთვე: მ.ლორთქიფანიძე, გ. ოთხმეზური, შეუგნებელი არაკომპეტენტურობა თუ შეგნებული სიყალბე... ("საქართველოს რესპუბლიკა", 27, 28, 29 იანვარი, 2009).

საქართველოს ენობრივი სიტუაციის სხვადასხვაგვარი კვალიფიკაციების არსში გასარკვევად ქვემოთ წარმოგიდგენთ:

- საკითხის პოლიტიზების ისტორიას;
- ქართველური ენობრივი სამყაროს მოკლე ისტორიას;
- ქართველურ ენა-კილოთა კლასიფიკაციას;
- ქართველურ იდიომთა დიასისტემურ ანალიზს;

"რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" ძირითადი ტერმინის - რეგიონული ან უმცირესობის ენა (regional or minority language) - ანალიზს;

"ენის ქარტიის" (და სხვა რამდენიმე დოკუმენტის) ძირითად მიზანს და ჩვენეულ მოსაზრებებს საქართველოს ენებისა თუ დიალექტების დაცვის მექანიზმების შესახებ.

შესავალი

ქართველური ენა-კილოების კვალიფიკაციის სამეცნიერო პრობლემა პოლიტიკურ კონტექსტში (როდიდან იწყება საკითხის პოლიტიზება?)[29]

ეთნოსის (ერის) ჩამოყალიბება მხოლოდ ენის (ენობრივი სისტემის) მეშვეობით არის შესაძლებელი, რადგან მხოლოდ ენით აღვიქვამთ სამყაროს — ენით ვხედავთ, ენით გვესმის, ენით ვგრძნობთ და, რაც მთავარია, ენით ვაზროვნებთ. **ქართველი ერის მშობელი ქართველური ენობრივი სისტემაა,** რომლის შემადგენელი ნაწილებია სალიტერატურო ენა და მრავალრიცხოვან-მრავალფეროვანი ქართველური დიალექტები. ერთ ეთნიკურ-ენობრივ ერთობას შეუძლებელია ერთზე მეტი სააზროვნო ენობრივი სისტემა გააჩნდეს.

ქართველური ენობრივი სისტემა ქართველი ხალხის შექმნილია, ქართველი ერი კი ქართული (ანუ ქართველური) ენისა; ქართული (/ქართველური) მწერლობის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, კულტურის ქმნადობის ისტორია მიგვითითებს ამაზე. ფაქტია ისიც, რომ ქართველთა (საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მკვიდრთა) ეთნოკულტურული ისტორია და ენობრივი სისტემის განვითარების გზა ერთმანეთს არასოდეს დასცილებია: ქართველი ერის ისტორია და დედაენა ("მსოფლხედვა") ერთ კალაპოტში მდინარებდა ყოველთვის. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ქართველური და უცხოური ისტორიული წყაროები, არქეოლოგიური მასალა, კულტურის ძეგლები, მეორე მხრივ, ქართველური სალიტერატურო ენის ხილული ისტორია — მასში სისტემური და სტრუქტურული ცვლილებების დინამიკა, რაც თვალნათლივაა ასახული **ქართველური ენობრივი სისტემის ვარიანტებშიც - ქართველურ დიალექტებშიც.**

---

[29] გეოპოლიტიკური წინარეისტორიისათვის იხ. ტ.ფუტკარაძე, საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი (ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის, საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები, საქართველოს საპატრიარქოსა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ქართულად და ინგლისურად გამოქვეყნებული კრებული), თბ., 2009, გვ. 221-234.

ქართველთა ისტორია სამ ძირითად მონაკვეთად შეიძლება წარმოვადგინოთ:

- უძველესი დროიდან 1801 წლამდე;
- 1801-1990 წლები: რუსეთის ოკუპაციისა და ანექსიის პერიოდი (1918-1920 წლების გამოკლებით);
- 1991 წლიდან დღემდე: საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენა დე იურედ და რუსეთის ჯარისათვის ოკუპანტის სტატუსის მინიჭება (1991, 2008); დეოკუპაციის დაწყება და ცივილიზებულ სამყაროსთან საქართველოს სახელმწიფოს ინტეგრაციის აღდგენის პერიოდი.

საფუძველი მსგავსი სეგმენტაციისა არის ის, რომ არც ერთ დამპყრობელს ქართველთა სულიერი და კულტურული ფასეულობებისთვის ისეთი ზიანი არ მიუყენებია, როგორც 1801 წლის შემდეგ ქართველ ერს ევნო რუსეთის იმპერიისგან; კერძოდ, თვალი რომ გადავავლოთ ისტორიას, ვნახავთ, რომ ბერძენი, სპარსელი, არაბი, მონღოლი თუ თურქი დამპყრობლებისგან განსხვავებით, დამპყრობლად მოსული **რუსი შეეცადა, მოეშალა ქართველთა ეთნიკურ-ენობრივი ერთიანობაც:**

1801-1990 წლები თვისობრივად სულ სხვა ეტაპია; რუსების მიზანი არ იყო (და არ არის) მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკური ანექსია, როგორც ამას სხვები ცდილობდნენ; რუს პოლიტიკოსებს სურდათ (და სურთ!) **ქართველი ერის სახის** წაშლა ეთნოკულტურული და ენობრივი ფსიქოლოგიის მოშლით. საუბედუროდ, ეს საფრთხე დღეს უფრო დიდია, ვიდრე ოდესმე (ქვემოთ იხ. კორიაკოვ-დუგინებისა და მათი ზოგი დასავლელი თუ აღმოსავლელი "კოლეგის" "კონცეფციები")[30]

წიგნის ამ ნაწილში წარმოვადგენთ XVIII-XX საუკუნეების დოკუმენტების ნაწილს, რომლებიც შექმნილია, ერთი მხრივ, რუსი მოხელეების, მეორე მხრივ კი, ქართველი მოღვაწეების მიერ.

საქართველოს მიმართ რუსეთის დამოკიდებულება ყალიბდება ამ ქვეყნის იმპერიული ამბიციების პარალელურად. ჯერ კიდევ 1770 წლის 16 ივლისს რუსეთის იმპერიის კანცლერის, **გრაფ ნიკიტა პანინის** მიერ გენერალ ტოტლებენისათვის გაგზავნილ საი-

[30] 1992-2008 წლის მოვლენები ცხადყოფს: რუსეთის იმპერია ყველაფერს აკეთებს ქართველი ერისა და საქართველოს დაშლისათვის. ასე რომ, საფრთხე გაზვიადებული არ არის, როგორც ეს ზოგ ექსპერტს ჰგონია.

დუმლო წეი ლ ი ვკითხ ლ ობთ "**საქართველოში საქმე ისე უნდა წარმართოთ, რომ იქ მცხოვრებთა სული აქაური, რუსული იყოს, ხოლო სხეული ქართული**" ("...была бы душа здешняя, а тело грузинское").

საქართველოში განლაგებული რუსული არმიის მთავარსარდალი (1809-1811), **გენერალი ა. ტორმასოვი** 1810 წელს იმპერატორ ალექსანდრე პირველს (1801-1825) დასავლეთ საქართველოს შესახებ სწერდა: *"ამ საკმაოდ ვრცელი მხარის გაყოფით ოთხ სამფლობელოდ, როგორიც, მაგალითად, იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთია... ადვილი იქნება მისი შენარჩუნება... იმ რაოდენობის რაზმებით, რომლებიც ახლა აქ იმყოფებიან, მით უფრო კი მაშინ, როცა საშუალება გვექნება, აუცილებელ შემთხვევაში ერთი მთავრის ძალა დავუპირისპიროთ მეორისას" (რ. ლომინაძე, 2000, გვ. 128).*

1834 წელს **შტაბსკაპიტანი შახოვსკი** მოახსენებდა **მთავარმართებელ (1831-1837) გ. როზენს**: *"ჩვენთვის ყველაზე მომგებიანი იქნება, თუ სხვათა შორის [სვანეთში] შემოვიღებთ რუსულ ღვთისმსახურებას, რაც მოაჯაჭვებდა ამ ხალხს თქვენთან. ამის შესასრულებლად აუცილებლად მიმაჩნია: წავიყვანოთ რამდენიმე სვანი ღვთისმსახურის შვილი, ვასწავლოთ მათ საღვთო სჯული რუსულ ენაზე, ვაკურთხოთ მღვდლებად და გავგზავნოთ თავიანთ ხალხში, რომელიც მათ სიხარულით მიიღებს, ხოლო მამები საკუთარი ნებით დაუთმობენ ადგილს თავიანთ შვილებს"*

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთის იმპერია ინტენსიურად ცდილობს, საქართველოში დაამკვიდროს რუსული ენა; პარალელურად, **ესწრაფვის რა შეზღუდოს ქართული ენის გამოყენების არეალი,** ოფიციალურ დოკუმენტებს გამოსცემს მეგრული კილოს ("ენის") მიხედვითაც. ამ თვალსაზრისით "სანიმუშოა" კავკასიაში რუსეთის მეფის წარმომადგენლის (1862-1881) - "ნამესტნიკ" ღენერალ-ფელდცეიხმეისტერის, მიხაილ ნიკოლოზის ძე რომანოვის 1867 წლის 27 იანვრის **"კანონი" "უფლებისათვის, რომელთაცა მოიპოვებენ გლეხნი ყმობიდან გამოსულნი სამეგრელოში (ზუგდიდისა, სენაკის და ლეჩხუმის მაზრასა შინა)... ხელი მოწერილია: ნაჩალნიკი გლავნის უპრავლენიისა კავკასიის ნამესტნიკი, სენატორი, სტატსსეკრეტარი ბარონი ა. ნიკოლაი".**

შდრ., მეგრული ვარიანტის დასახელება:

"თი უფლება შენი, ნამუსითი სამარგალოს მახორუუ (მაზრეფი: ზუგიდი, სენაკი, ლეჩხუმა) პატრონჭყორალიშე გ შუულირი ყა-

ზახეფი... ხე მოჭარილი რენ: ნაჩალნიკი კავკასიასი ნამესტნიკიში დუდი მართველობაში. სენატორი, სტატსსეკრეტარი ბარონი ა. ნიკოლაი"[31]

1899 წელს გამოცემული მეგრული საანბანო სახელმძღვანელოს ავტორი **ალ. გრენი** ამ წიგნის წინასიტყვაობაში აცხადებს: *"ამ ანბანის შედგენისას მე მიზნად მქონდა, როგორმე, თუნდაც არაპირდაპირ, გამომეწვია ნაციონალური ბრძოლისათვის მეგრელები, რომელნიც ითელებიან უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან. ასეთი ბრძოლა, ჰეშმარიტად, სრულიად შეუძლებელია საკუთარი ეროვნული ანბანის უქონლად, [იმ ანბანისა], რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისევე გამოხატავდა, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში - ქართველი" (ს. ხუნდაძე, 1940, გვ. 104).*

იდეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა, აგრეთვე, ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორის, **გენერალ-მაიორ გერშელმანის 1900 წლის** საიდუმლო წერილი, სადაც მითითებულია, რომ: "...указом грузинско-имеретинской синодальной конторы от 17-го марта 1898 г. за №2771, преподавание грузинского языка в школах Абхазии и Самурзакани совсем воспрещено..." ; ამ დოკუმენტით რუსები სამურზაყანოელ (გალელ!) მეგრელებს სხვა ეროვნებად, ხოლო მათ მეტყველებას სხვა "ენად" წარმოაჩენენ და უპირისპირებენ დანარჩენ ქართველებს.

1918-20 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სამწლიან პერიოდში, ბუნებრივია, ქართველთა ენობრივ იდენტობაზე შეიზღუდა იმპერიის ხელისუფლების ზეწოლა და დაიწყო ქართული ენის უფლებების აღდგენა. პარალელურად, საქართველოს ხელისუფლება ტრადიციული ქართული ტოლერანტობით მოეკიდა უმცირესობების ენობრივ უფლებებს; კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ "საქართველოს კონსტიტუციაში" მე-14 თავი ეძღვნება **ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს**; მაგ., 137-ე მუხლის მიხედვით, არაქართველ დეპუტატს, რო-

[31] მასალა მოგვაწოდა დოქტ. მერაბ კვზევაძემ, ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორმა; დოკუმენტი დაცულია ქუთაისის არქივში (ფონდი 1, 1392 ფ.57-65).

მელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლია სიტყვა წარმოთქვას დედაენით.

რუსული იმპერიული პოლიტიკა გაგრძელდა საქართველოს 1921 წლის **ბოლშევიკური ანექსიის** შემდეგ. ლენინისა და შემდეგ სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, გორბაჩოვის იმპერიაც ცდილობდა საქართველოს არა მარტო ტერიტორიულ დანაწევრებას, არამედ მათთვის ქართველთა ცალკეული ჯგუფებისთვის ქართველური ისტორიის, კულტურისა და ერთიანი ენობრივი იდენტობის გაუცხოებას. მათაც კარგად იცოდნენ, რომ **ერის დასანაწევრებლად პირველი რიგის ამოცანაა "ენათმეცნიერული დივერსიებით" ერის შემქნელი დედაენის დანაწევრება რამდენიმე ენობრივ სისტემად.** აქვე აღვნიშნავთ, რომ ამჟამინდელი რუსეთის იმპერია (პუტინ-მედვედევ-დუგინის რუსეთი) ახლა უფრო დახვეწილი მეთოდებით ცდილობს თავისი **საუკუნოვანი მიზნის** მიღწევას ქართველი ერის დანაწევრების გზით კავკასიაში სამუდამო გაბატონებას.

"ენათმეცნიერული დივერსიები" განსაკუთრებული აქტივობით განხორციელდა გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისის საქართველოში (თუმცა, ამ მხრივ დღეს უფრო დიდი რისკფაქტორები ჩნდება!). ეს იყო ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი ქართველი ერის მთელი ისტორიის მანძილზე:

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობის შემდეგ სოციალურ-პოლიტიკური ტერორი მძვინვარებდა[32]. თუ მეფის რუსეთი თავისი მოხელეების, გენერლების, სასულიერო პირებისა (კ.იანოვსკის[33], გენერალ გერშელმანის, ი.ვოსტორგოვის[34]...) და თითო-ოროლა

---

[32] თავისი მაშტაბებით იგი ბევრად აღემატებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსიფიკატორულ ქმედებებს, რომლებიც მთლიანად მიმართული იყო ქართველური ენის, როგორც ქართველი ერის საარსებო საშუალების, გასაქრობად.

[33] კირილ პეტრეს ძე იანოვსკი (1822-1902) რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების საიდუმლო მრჩეველი, კავკასიის სასწავლო ოლქის ზედამხედველი 1878-1902 წლებში; აქტიურად იბრძოდა საქართველოში ქართული ენის აკრძალვისთვის (გარდაიცვალა სოხუმში).

[34] ივან ივანის ძე ვოსტორგოვი (1864-1918) რუსი საეკლესიო მწერალი და მისიონერი; ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის საეკლესიო და საერო სკოლების ზედამხედველი; რედაქტორი ჟურნალისა: "Духовный вестник Грузинского Экзархата". აქტიურად იბრძოდა საქართველოში ქართული ენის აკრძალვისთვის.

ადგილობრივი რუსეგატის (თადა აშორდია [35]...) საშუალებით ცდილობდა ქართველთა დანაწევრებას, ბოლშევიკების ტაქტიკა უფრო ვერაგული გახლდათ: დემოკრატიისა და სოციალური თანასწორობის ლოზუნგით მოსული დამპყრობელი თავისი მიზნის აღსრულებას შეეცადა ადგილობრივი ბოლშევიკ-კომუნისტების გამოყენებით.

სტრატეგიული გეგმა იგივე იყო:

გრძელდებოდა არა მარტო აფხაზების, ოსების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და სხვათა ამხედრება ქართველი ერის წინააღმდეგ, არამედ გეგმაზომიერად ხორციელდებოდა ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრებაც. მეფის მოხელეების მსგავსად, ბოლშევიკებმაც გამოაცხადეს, რომ **მეგრელები, აჭარლები, სვანები, ლაზები, იმერლები ქართველები არ არიან და ქართველებისგან იჩაგრებიანო.** აქვე ერთი დეტალიც უნდა აღინიშნოს:

აფხაზებს ჩააგონებდნენ, რომ ქართველი მათი ისტორიული მტერია, რომ თითქოს, ქართველები იტაცებენ აფხაზთა მიწებს, ჩუმ-ჩუმად სახლდებიან იქ, ხელს უშლიან აფხაზური კულტურის განვითარებას და სურთ მოსპონ აფხაზი ერი[36]; ზოგი აფხაზი მართლაც იჯერებდა ამ სიცრუეს[37] არადა, რუსეთის მიერ აფხაზთა გენოციდის შეჩერებას სწორედ ქართველი ინტელიგენცია ცდილობდა... დღესაც, პირველ რიგში ქართველებს შეუძლიათ,

---

ი. ვოსტორგოვი რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 2000 წელს წმინდანად შეარაცხა.

[35] თადა აშორდია რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩამდგარი ქართველი რენეგატი, ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი XIX საუკუნის 80-იან წლებში; მან რუსული ანბანისა და მეგრული კილოს მიხედვით შეადგინა "დედა ენა" მეგრელთათვის ("დედა ნინა"); ვრცლად იხ.: http://burusi.wordpress.com/2009/08/29/dzveli-senakis-skola;

[36] საქართველოში (აფხაზეთში) რუსების დამპყრობლური პოლიტიკა ("გათიშე და იბატონე") და აფხაზეთში რუსების ჩამოსახლების გეგმა ნათლადაა აღწერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტურ მასალაში: საარქივო მოამბე, VI, 2009, გვ. 4-125.

[37] ამ მხრივ ნიშანდობლივია ვინმე აფხაზი მარღანიას გვარით გამოქვეყნებული წერილი: "აფხაზ ძმებს", სადაც მიჩქმალულია რუსების მიერ აფხაზთა გენოციდის ფაქტი; აფხაზეთის გამანადგურებელი რუსეთი (როგორც მეფის რუსეთი, ისე ბოლშევიკთა რუსეთი) მხსნელადაა წარმოდგენილი (რუსეთი დღეს ცდილობს, დაასრულოს აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის სრული განადგურება).

შეაჩერონ რუსეთის მიერ აღებათა განაგრძობაც და. ზოგადად. კავკასიის სრული დაპყრობაც.

რუსეთის იმპერია "გათიშე და იბატონეს" პრინციპით მოქმედებდა სამეგრელოშიც; ოღონდ, აქ წინა პლანზე წამოსწია სხვა ტაქტიკური გეგმა; მაგ., "სოვეტიზაციის" პერიოდში რუსები სამეგრელოს მკვიდრ ბოლშევიკებს იმავეს ვერ ათქმევინებდნენ, რასაც აფხაზებს, ამიტომ სხვა "იდეოლოგიური" ფონი მოიძებნა: წინა პლანზე წამოიწია მეფის რუსეთის (პატკანიან-იანოვსკ-აშორდია-ვოსტორგოვების) მიერ დამუშავებული თემა - "დავიცვათ დაჩაგრული მეგრული ენა"; ამ "მოძრაობის" ბოლშევიკ ლიდერად მოგვევლინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის **ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ისაკ ჟვანია.**

1925 წელს ზუგდიდის პარტიულმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, ხოლო იმავე წელს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის (კახიანი, ოკუჯავა, ელიავა, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე) სხდომამ გამოიტანა დადგენილება **სამეგრელოს სკოლებსა და სასამართლოებში მეგრული ენის შემოღების,** ასევე მეგრული გაზეთის გამოცემის შესახებ. 1928 წელს მოსკოვიდან ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი **პშენიცინი,** რომელმაც შემოიარა სამეგრელოს სოფლები და დაასკვნა: "მეგრელ გლეხებს უნდა მივცეთ სკოლა, სასამართლო და პოპულარული ბროშურა მშობლიურ ენაზე"

1929 წლის 25 მარტს "საქართველოს" კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კახიანმა მიიღო **დადგენილება მეგრული ენის პრივილეგიების აღსადგენად** სკოლაში, სასამართლო საქმის წარმოებისა და გამოძიების საქმეში. ამ **დადგენილების** მიხედვით იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცოდა (!), **საქმის წარმოება და სასამართლოს წარმოება მეგრულ ენაზე** უნდა შესრულებულიყო... (ი. ჟვანია, 1931, გვ. 147). ნიშანდობლივია: დადგენილების I და II პუნქტებში ერთმანეთს უპირისპირდება ქართული და მეგრული; მაგ. IV პუნქტში მითითებულია, რომ დადგენილებები, განკარგულებები უნდა გამოქვეყნდეს როგორც ქართულად, ისე მეგრულად.

ამგვარი **ენობრივი პოლიტიკის** დაგეგმვა შეუძლებელი იყო რუსეთის მთავრობის, კერძოდ კი **სტალინის ნებართვის** (ან მითითების) გარეშე. რუსული იმპერიული მანქანა XVIII საუკუნეში დაწყებულ სვლას განაგრძობდა; "მავრის" როლის შემსრულებელნი კი სხვები იყვნენ (ბოლშევიკები: ფილიპე მახარაძე, ისაკ ჟვანია...).

1929 წლის ამ ავბედითი დადგენილების მერე ი. ჟვანიასა და მის თანამზრახველებს ხელ-ფეხი გაეხსნათ. დაიწყო მეგრული სიტყვა-ფორმებით ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა. 1931 წ. იბეჭდება ი. ჟვანიას წიგნიც: **"როგორ იბრძოდა სამეგრელოს მშრომელი გლეხობა საბჭოების ხელისუფლებისათვის"**. იმპერიის მესვეურნი ამ წიგნს რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ჩანს მისი 30-ათასიანი ტირაჟითაც[38].

სამეგრელოში ბოლშევიკური "ენობრივი დივერსია" აქტიურად ხორციელდებოდა 6 წლის მანძილზე (1929-1934). 1934 წელს მსგავსი პუბლიკაციები შეწყდა; იმპერიის ხელისუფლებამ თანამდებობიდან გადააყენა ისაკ ჟვანიაც, რომელიც მალევე ფიზიკურადაც მოიშორეს.

ცნობილია, რომ 30-იანი წლების შუა პერიოდიდან ი. სტალინი ცდილობს მსოფლიოს დაანახოს **მისი დაბადების ადგილის** საქართველოს დიდი წარსული, რუსთაველის გენიოსობა და ა.შ. პარალელურად, 1937 წელს საქართველოს მთავრობის მეთაური ლ. ბერია "აღშფოთებული" წერს სტალინს, რომ **საკავშირო აკადემიის ენათმეცნიერებისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტების მეცნიერები "თავგზააბნეულები" არიან** და "თავიანთი დასკვნებით ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან" (წერილის პირველ ვარიანტში მათ "ველიკოდერჟავული" სულით გაჟღენთილებად მოიხსენიებს

---

[38] თავის ნაწერებში ისაკ ჟვანია სასტიკად ესხმოდა თავს "ქართველ ნაციონალისტებსა" და "რეაქციონრებს": ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, თედო ჟორდანიას, სხვა "ბურჟუაზიულ-შოვინისტ პროფესორებს" და "მათთან მიტმასნილ სამეგრელოს ეპისკოპოსს ბესარიონ დადიანს".

ის ასევე წერდა: "ეს ქართველი ფაშისტები: კოწია გამსახურდია, თედო ჟორდანია, თ. სახოკია და სხვანი შეიკრიბნენ ქ. თბილისში, რუსთაველის თეატრში; ცკ-ს მიერ რაიმე დადგენილების გამოტანამდე ეს შავი თავადაზნაურული ხროვა გმობს სამეგრელოს საკითხს, როგორც საქართველოში განხეთქილების, გათიშვის შემომტანს..."

[საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს პერიოდული ჟურნალი: "საარქივო მოამბე", VI, 2009, გვ. 116]).

საკითხი ეხება 1926 და 37 წლის აღწერების შედეგად საკავშირო აკადემიური წრეების მიერ საქართველოს დაყოფას სხვადასხვა ეროვნებად. კერძოდ, 1926 წელს რუსეთის (იგივე საბჭოთა) აკადემიამ საქართველო ასე დაყო:

<u>ქართველები</u> (ქართლელები, კახელები, თუშები, ფშავ-ხევსურები, სომხები, ჯავახები, მესხები, კლარჯები, ტაოელები, აჭარლები, გურულები, იმერლები, რაჭველები, ლეჩხუმელები), <u>მეგრელები, ჭანები, სვანები, ბაცბები</u>.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შეხედულებით კი 1937 წელს ასეთი სურათი გვაქვს: **ქართველები, მეგრელები, ლაზები, სვანები, ბაცბები, აჭარლები.**

იმავე წელს ანთროპოლოგიის ინსტიტუტს შეუდგენია თავისი ვარიანტი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დასდებია "ეროვნებათა ლექსიკონს" აქ უკვე ქართველებად არიან მიჩნეული: მეგრელები, ლაზები, სვანები და ბაცბები, მაგრამ **აჭარლები ცალკე ნაციად არის დასახელებული**. ლ. ბერია ყველა მასალას იცნობს, მაგრამ აქცენტს აჭარლებზე აკეთებს და სთხოვს სტალინს, ჩაერიოს და არ დაუშვას ასეთი შეცდომა "ეროვნებათა ლექსიკონში", რადგან ეროვნებათა ასეთი დაყოფა ეწინააღმდეგება **ბელადის მოსაზრებებს ნაციის** შესახებ.

რუსეთის იმპერიის მიერ ქართველი ერის იდენტობის (თვითობის) მოშლა ახალი ინტენსივობით იგეგმება XX საუკუნის 70-იანი წლებიდან. **1978 წლის 14 აპრილს** საბჭოთა იმპერიას ჰქონდა მცდელობა, გაეუქმებინა ქართული ენის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენის - ისედაც დაკნინებული სტატუსი. რუსეთს უფრო "დიადი" გეგმები ჰქონდა; წარმოგიდგენთ **მიხეილ სუსლოვის** (1902-1982) დახურული მოხსენების ფრაგმენტს, რომელიც გამოქვეყნდა პარიზის ეროვნული საბჭოს ჟურნალში ("მებრძოლი საქართველო"; 26 მაისი, 2003 წელი):

"კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არ დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსე-

ი დარჩენის კ ომე. სხვა ება რესპუბლიკებში სხვადა
ება იქნება.

შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს"

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან - 1991 წლის 9 აპრილიდან 19 წელი გავიდა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ დღემდე ვერ შეძლო იმპერიული ენათმეცნიერულ-ეთნოლოგიური "ნაღმების" განეიტრალება; მეტიც, **საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო ახლა უფრო აგებს საინფორმაციო ომს, ვიდრე ოდესმე.** დღეს უკვე ევროპელი ჯ.ჰიუიტი, ვ.ფოიერშტაინი და სხვ. აფრიალებენ "ყაზახიში გაზეთს"; სხვებს კი დიდი ფინანსური გრანტებით "აღჭურვილ" ი.გიპერტს, ფ.ჰილერის და სხვებს - **შეცდომაში შეჰყავთ მსოფლიო,** რომ თურმე ქართული ენის გავრცელების არეალი არ არის: **სამეგრელო, სვანეთი, ლაზეთი, იმერხევი, ცხინვალის მხარე, აფხაზეთი**... რომ ქართველები არ არიან: მეგრელები, ლაზები, მესხები, სვანები... სამწუხაროდ, ამ "გრანტების" მიმღები ზოგი ჩვენი თაობის ქართველი თუ უცხოელი მეცნიერი ცუდს ვერაფერს ხედავს **ამგვარ არაადეკვატურ, პოლიტიზებულ კვალიფიკაციებში.**

ვფიქრობთ, ცივილიზებულ სამყაროსთან **საქართველოს ინტეგრაციის პროცესში** არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის აკადემიურ, დეპოლიტიზებულ აღწერებსა და კვალიფიკაციებს. თუ

საერთაშორისო საინფორმაციო ველი არ გათავისუფლდება რუსულიმპერიული **დეფინიციებისა და კვალიფიკაციებისგან** (რომლებიც, საბჭოთა "მეცნიერების" ინერციით დღესაც დომინანტურია საერთაშორისო საცნობარო ქსელში), საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და **ქართველი ერის იდენტობას** დაუძლეველი საფრთხეები შეექმნება; კერძოდ, თუკი მოხდება რეალობის იგნორირება და "ენის ქარტიის" რატიფიკაციის დოკუმენტში ქართველები ენობრივ-ეთნიკურად დაშლილნი დაფიქსირდებიან, საქართველოს დაშლით დაინტერესებული ძლიერი იმპერია მომდევნო ათწლეულში იოლად შეძლებს საქართველოს შემდგომ ტერიტორიულ სეგმენტაციას.

ქართველები არასოდეს შეგუებიან ძალმომრეობას (ასე იყო და ასე იქნება): ქართველი (/საქართველოს მოქალაქე) საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები თუ ფართო საზოგადოება ყოველთვის იბრძოდა იმპერიული აგრესიების მოსაგერიებლად. სანიმუშოდ ქვემოთ დავიმოწმებთ ვრცელ ამონარიდებს იაკობ გოგებაშვილის, ნიკო მარის, თედო სახოკიასა და კონსტანტინე გამსახურდიას წერილებიდან.

იაკობ გოგებაშვილმა ქართველთა დედაენისა და მეგრული კილოს/კილოკავის მიმართების საკითხს სპეციალურ სტატია მიუძღვნა ("ენა და კილო"), სადაც წერდა: *"ყოველ ერს აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მის დედა ენად და თემური კილო-კავები, რომელნიც იხმარებიან ადგილობრივ. ხალხის განათლებაში ამ სიტყვიერების ფაქტორებს კაცობრიობის კეთილგონიერებამ ასეთი დანიშნულება მისცა: ყველა სკოლებში სწავლა მოწყობილია დედა ენაზედ და ადგილობრივის კილოკავებს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტავად იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით. ამ სახით ეფინება მთელს ხალხში დედა ენის სრული ცოდნა და მასთან ერთად ვრცელდება განათლება. ასეთი წესია ევროპაში, ამერიკაში და ყველგან კულტურულ ქვეყანაში.*

IV საუკუნიდგან დაწყებული დღეინდელ დღემდე ყველა ჩვენებურს სკოლებში, შავი ზღვიდგან მოკიდებული დაღისტნის საზღვრამდე, იხმარებოდა მხოლოდ წიგნები, საერთო ლიტერატურულ დედა-ენაზე დაწერილნი. განსამარტავად ადგილობრივ გაუგებარ სიტყვებისა და ფრაზებისა, მასწავლებლები ხმარობდნენ სიტყვიერად ადგილობრივს ტერმინებსა და ფრაზებსა, მაგ., სამეგრელოში და სვანეთში, და სწავლასთან ერთად ავრცელებდნენ დედა-ენის სრულს ცოდნასა. ვინ

მოიფიქრებდა, თუ ამ გონივრულს წესს, ღვთისაგან დალოცვილს და კაცთაგან მოწონებულს, მოწინააღმდეგენი გამოუჩნდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში, მაგრამ მოულოდნელი ახდა, შეუძლებელი აცხადდა, და აცხადდა მხოლოდ ჩვენში და სხვაგან არსად, არც სომეხთა შორის, არც თათართა შორის და არც სხვა კავკასიელებში. არ აღმოჩენილია იმისთანა ჰკუა-მოკლე და უკულმართი ადამიანი, რომელსაც ეთქვას, სკოლებში სწავლება თემურს კილოებზე უნდა იყოს და არა დედა ენაზეო.

ჩვენში კი აღმოჩნდნენ იმისთანა ჰკუით გლახაკნი, რომელთაც გაჰბედეს და წარმოთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდგან დედა-ენა უნდა იქნას გამორიცხული, რადგან აქ ხალხი ადგილობრივს კილო-კავებსა ხმარობსო.

რას გვიქადის ამ უკულმართის აზრის სისრულეში მოყვანა, გაბორციელება? რასაკვირველია, მეტად ცუდს მომავალსა...

განცალკევება ჰლუპავს ეროვნულ ხესაც და მისგან მოშორებულს ტოტებსაც... ხოლო ღმერთს იმისთანა დიდებული არსება, როგორც არის მთელი ერი, შეუქმნია არა გადაშენებისა და დაქვეითებისათვის, არამედ წარმატებისა და ბედნიერებისათვის. ამიტომ ჩვენ ყველამ წმინდა მოვალეობად უნდა დავსახოთ მტკიცედ დაცვა და აღორძინება ქართულის დედა-ენისა სამეგრელოსა და სვანეთის ეკლესიაში და სკოლაში, ისეთივე მტკიცე დაცვა, როგორც მტკიცედ იცავდნენ ამერნი, იმერნი — მეგრელნი და სვანნი — ამ ეროვნულს საუნჯეს მრავალ საუკუნის განმავლობაში, ნებითა და შეწევნითა ღვთისათა...“

საინტერესოა **ნ. მარის** მსჯელობა (ქართველთა ეროვნება - წერილი პროფესორის ნ. მარრისა იმ სიტყვის გამო, რომელიც დეკანოზს ი. ვოსტორგოვს წარმოუთქვამს საქართველოს ერზედ უწმინდესის სინოდის წევრთა და სხვა წარჩინებულ პირთა კრების წინაშე; ქუთაისი, 1905, გვ. 60):

“ვოსტორგოვი შეუცდენია ვისიმე შინაურს კავკასიელ ლინგვისტს, რომელსაც ქართული ენის დიალექტური განსხვავება, სხვა და სხვა ადგილობრივ გამოთქმითა და კილოთი საუბარი და ენა, რომელზედაც წერა-კითხვა არ არსებობს, თუმცა ესენი, რასაკვირველია, განუყრელად ერთ მონათესავე ენას წარმოადგენენ, მიულია იმისთანა ნიშნებად, რომლითაც თითქო ირღვეოდეს ერთობა კულტურულის საქართველოისა... ვოსტორგოვს არა აქვს ნამდვილი წარმოდგენა იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე ერთიანი ქართული ნაციონალური კულტურა შეიქმნა ყველა ქართველი ტომის მიერ; ამიტომაა, რომ საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჰანურს, ანუ მეგრულს და სხვა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით ქართული სალიტერატურო ენა

იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართული. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომებისათვის... ეხლა მაინც გაიგონ რუსებმა, ნამდვილად თვალი გამოახილონ და დარწმუნდენ, რომ კავკასია ის ქვეყანა არის, სადაც რუსები თვით რუსეთის კანონების დარღვევას სწავლობენ, ვითომც სახელმწიფო ინტერესის გულისათვის..." (გვ. 7-10).

მაფალუელების[39] მხილებისას ანალოგიურად მსჯელობს **თედო სახოკია** წერილში: "თქვენ რაღას მისდევთ?!"[40]:

"სამეგრელოს "ავტონომიის" კითხვა აღძრულია ერთ ჯგუფ "მეგრელ ავტონომისტთა" მიერ. ეს კითხვა, როგორც ესენი ბრძანებენ, აღძრულია მათის სიყვარულისა და მზრუნველობით მეგრელთა პროლეტარიატის მიმართ, რომელნიც, როგორც ცალკე "ეროვნება", თურმე ნუ ბრძანებთ, იჩაგრებიან საქართველოს უდღეური სუვერენიტეტისაგან.

...მკითხველს უკვე გაცნობილი ექნება პრესაში დაბეჭდილი წერილები ამ ავტონომისტთა უსუსურობის, თუ გნებავთ, მოღალატური საქციელისა და ბოროტ ზრახვათა შესახებ. საერთო აღშფოთების ჟამს არ შემძლია ჩემი, როგორც ქართველისა, კერძოდ, სამეგრელოს მკვიდრის, ხმაც არ შევუერთო და არ გამოვთქვა ჩემი გულისწყრომა სამეგრელოს ამ არამკითხველ პატრონების მიმართ.

---

[39] "მაფალუ" - **თადა აშორდიას** სულიერ მემკვიდრეთა (ს.გაგუა, მ.კანკავა...) რამდენიმეკაციანი ჯგუფი, რომელიც ზუგდიდში მოქმედებდა 1918 წლიდან; მათი მიზანი იყო მეგრელების გამიჯვნა სხვა ქართველებისგან (ჯერ ენობრივ-ეთნიკურ-კულტურულად, შემდეგ კი "სახელმწიფოებრივადაც"). XX საუკუნის 20-30-იან წლებში "მაფალუს" გეგმებს "სახელმწიფო დონეზე" აქტიურად ახორციელებდა **ისაკ ჟვანია** - ზუგდიდელი ბოლშევიკი. აშორდიებისვე მსგავსად "მაფალუისტების" საქმიანობა დაგმო სამეგრელოს მოსახლეობამ და ამ კუთხიდან გამოსულმა ინტელიგენციამ (იხ., ქვემოთ); მაფალუისტებისა და ისაკ ჟვაიას კრიტიკისათვის იხ., ზვიად გამსახურდია," მეგრელთა საქმე";
http://svetlcxovelijournal.ge/view.php?id=42

[40] თედო სახოკიამ ეს სტატია "მცოდნეს" ფსევდონიმით დაბეჭდა ხობის რაიონულ გაზეთში (1933, № 6-7). გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" 1992 წლის 12 სექტემბერს დაბეჭდილ ვარიანტს (რომელიც გამოსაცემად მოამზადა შუქია აფიდონიძემ) საფუძვლად უძევს თ.სახოკიას მოხსენება, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ "კომუნისტში" 1925 წელს (№ 219). ეს მოხსენება ავტორმა წაიკითხა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მისივე თავმჯდომარეობით გამართულ "ტფილისში მცხოვრებ სამეგრელოს მკვიდრთა კრებაზე" 1925 წლის 24 სექტემბერს.

თედო სახოკიას წერილი მოგვყავს 1992 წლის გამოცემის მიხედვით; "საქართველოს რესპუბლიკის" მიხედვით ვიმოწმებთ ბერძნული მითოლოგიის ცნობილი მთარგმნელის, ალექსანდრე მიქაბერიძის შემდეგ ციტატასაც: თედო სახოკიას "სრულის რწმენით და გაბედულებით წარმოთქმული სიტყვის შემდეგ კრების მონაწილეებმა ერთხმად უარყვეს ავტონომისტების მიერ წამოყენებული საკითხი. და **ამრიგად კრებამ სამეგრელო იხსნა სამუდამოდ მოსალოდნელი დაღუპვისაგან**".

ორგორც ქართველი ერის განუყრელ. ორგანიულ ნაწილს, სამეგრელოს, რომელსაც თავისი ღღენი, რაც თავი ახსოვს, დედაქართველთან უცხოვრია საერთო ცხოვრებითა, მათთან ერთად ერთ უღელში შებმულს უწევია ცხოვრების ჰაპანი. მათთან ერთად შეუქმნია საერთო კულტურა, ახლა, ამდენ საუკუნეთა შემდეგ, ვილაც გარეწარი გამოდის და ურჩევს - შენს ღვიძლს დედას გულიდან უნდა მოსწყდეო?!.

როგორ, "საქართველოს სუვერენიტეტი" ჩაგრავს სამეგრელოსა, რომელსაც მთელი საქართველო თვალის ჩინსავით ულოლიავებს? ნუთუ მეოცე საუკუნეში ვინმემ უნდა თქვას: მეგრული სხვა არის და ქართული კიდევ სხვაო?! სხვა არის ის მეგრული, რომელშიაც თითქმის ასი პროცენტი ქართული ძირის სიტყვებია? ის მეგრული, რომელიც წარმოადგენს აწინდელის ქართულის შევსებას?! მეგრულს ოჯახში, შინაურობაში, ხმარობს ხალხი, მაგრამ მეგრული. როგორც დამახასიათებელი ეროვნებისა, არ არსებულა, ყოველსავე შემთხვევაში ქრისტეს აქეთ. საუკეთესო მცოდნენი ქართულის ენისა სამეგრელოს მოუცია ქართული კულტურისათვის. მარტო სახელოვანი მქადაგებელი ანტონ ჭყონდიდელი და საქართველოს ისტორიკოსი და ქართული გრამატიკის შემდგენელი თ.ჟორდანია ქმარა, რომ სხვათა მთელი გუნდი არ ვახსენოთ.

ყოველივე "მეგრელ ავტონომისტთაც" მშვენივრად იციან. იციან და მაინც ვითომდა "სამეგრელოს პროლეტარიატის" ქომაგთა როლსა კისრულობენ და გაიძახიან და ვითომ ვილაცეები უნდა დაარწმუნონ - სამეგრელოს ხალხი ცალკე ეროვნებას შეადგენს.

გვეთაკილება კიდეც ქამათი ამ საანბანო ჭეშმარიტებაზე... მხოლოდ გვინდა, სამზეოზე გამოვიტანოთ ნამდვილი მიზეზი ამისა - ეს უდავო ჭეშმარიტება სადავოდ რად გახდა, უხრიკავი სახრიკავად რამ აქცია?

ყველას მოგეხსენებათ, რომ **მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა.** ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს. როცა საქართველოს სხვადასხვა სამთავროები გაუქმდა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ნაწილები გაერთიანდა, რუსის მთავრობამ იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება და გადაწყდა ხელოვნურად შეექმნა დაქუცმაცება ჩვენის ქვეყნისა. 1870-იან წლებში იერიში მიტანილ იქნა სამეგრელოს სკოლებზე. აქ სამინისტრო სკოლებიდან ქართული ენა გამოდევნილ იყო, როგორც არადედაენა და პირდაპირ რუსულის საშუალებით ასწავლიდნენ საგნებს. ასე იყო საქმე "სამოქალაქო" და "ნორმალურ" სკოლებში. ამ სკოლებში მყოფი შეგირდები ქართულის, ანუ, როგორც ისინი ამბობდნენ და დღესაც ამბობენ, "ჩქინობურას" ე.ი. (ჩვენებურას) წერა-კითხვას კონტრაბანდით, შინაურულად, მალვით თუღა სწავლობდნენ.

ასე მიდიოდა **სამეგრელოს გარუსების** საქმე 1890 წლამდე. ამ ხნიდან იწყება უფრო "დასაბუთებით" უარყოფა ქართული ენისა, როგორც

სამშობლო ენისა. რომლის საშვალებით უნდა ჰომ: არ ი, ე ხა: ე ი. ც ი ალური პედაგოგიის მოთხოვნილებებია, სწავლა-აღზრდა სამეგრელოს მოზარდი თაობისა. ამ ხნიდან სცენაზე გამოდის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი (ტომით პოლონელი)[41] და მისი მარჯვენა ხელი ლევიცკი (ისიც პოლონელი). ლევიცკიმ ჯერ შემოიღო ეგრეთ წოდებული "მუნჯური" მეთოდი სკოლებში, რომლის მიზანი იყო რუსული ენის შესწავლა ჯერ უშუალოდ, დედაენის დაუხმარებლად და მერე სრულიად განდევნა ქართული ენისა საქართველოს სკოლებიდან. ლევიცკის "მუნჯურ" მეთოდს ხმალამოღებული დაუხვდა ჩვენი ნეტარხსენებული პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი და აღმოსავლეთ საქართველოში გასავალი არა ჰქონდა.

სულ სხვანაირად მიდიოდა საქმე იმერეთში, სადაც ლევიცკი სკოლების საგუბერნიო ინსპექტორად იყო. განსაკუთრებით იერიში მიიტანეს სამეგრელოს სკოლებზე. აქ ხელზე დაიხვიეს მეგრულის არსებობა, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს სხვა, განსაკუთრებული ენა არისო. რა თქმა უნდა, ლევიცკებისათვის ხელსაყრელი არ იყო აღიარება იმისა, რომ ეს სხვაობა მხოლოდ გარეგნული იყო და რომ არსებითად ქართულ ენას, როგორც ლიტერატურულს და სამშობლო ენას. უნდა დაეჭირა ადგილი სამეგრელოს სკოლებში.

ლევიცკიმ ხონის სემინარიის მასწავლებელ პეტროვს მეგრელთათვის ცალკე ანბანიც შეადგენინა, რა თქმა უნდა, რუსული ასოებით და იმავე სემინარიის მუშაკის და შემდეგ ში "ცნობილი" თადა აშორდიას საშვალებით მეგრული ხალხური ზღაპრები თუ ლექსებიც ჩაწერინა; ეს სახელმძღვანელო უნდა გამხდარიყო სამეგრელოს სკოლებში. თ. აშორდიას კარგი ადგილი მისცეს, მატერიალურად უზრუნველყვეს, თან დაავალეს, ზუგდიდის მაზრაში ქართული ენა, თუკი სადმე არსებობდა ასეთი, სკოლებიდან გამოედევნა და ხელი შეეწყო რუსული ენის განმტკიცებისათვის.

აშორდიას თავის მხრივ აგენტებიც გაუჩნდნენ და გააჩაღა საქმე: სამეგრელოს სკოლა გადაიქცა ბავშვების დაჩლუნგებისა და გადაგვარების ერთგვარ ქარხნად. ერთი თოფის დაცლით მთავრობამ ორი კურდღლის მოკვლა მოახერხა: სამეგრელოს სამინისტრო სკოლებიდან ქართული გამოდევნა და გარუსების გზაზე შეაყენა სამეგრელოს მკვიდრნი.

სამშობლო ენას, ქართულ ენას თუ კიდევ სული ედგა სამეგრელოში, ისევ სამრევლო სკოლებში. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ღვთისმსახურების ენა ეკლესიებში ქართული იყო და, რაკი სკოლები მრევლში, ეკლესიებთან იყო გახსნილი, ენაც ქართული უნდა ყოფილიყო სახმარად ასეთ სკოლებში. გაიმართა ჯერ ყრუ ბრძოლა სამინისტრო უწყებასა და ადგი-

[41] რედაქტორის შენიშვნა: პარალელის გავლება შეიძლება 100 წლის წინანდელი ლევიცკისა და ჩვენი თანამედროვე ვიხერკევიჩის ქმედებებს შორის.

ლობრივ სასულიერო უწყებას შორის ამ ნიადაგზე, მაგრამ გამარჯვებული ჯერჯერობით სასულიერო უწყება რჩებოდა, მხოლოდ დიდხანს არა.

ლევიცკიმ გადაწყვიტა სხვა მხრივ მოეარნა საქმისათვის. ამავე ამორდიას ახალი მისია, გიორგი მთაწმინდელობა დააკისრა. ამორდიას უნდა "ეთარგმნა" საღმრთო წერილი ქართულიდან მეგრულად. ეს, ლევიცკის აზრით, განდევნიდა სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართულ ენას, მაგრამ მთელი სამეგრელო, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა ასეთი უხამსობისა და არამკითხე ჰირისუფლების წინააღმდეგ და ეს კოლექტიური გულისწყრომა და აღშფოთება სამეგრელოს მკვიდრთა გამოიხატა მაშინდელი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლის დასაბუთებულ მოხსენებაში, რომელშიაც სამეგრელოს წარმომადგენელი ერისკაცნი,

სხვათა შორის, ნიკო (დიდი) დადიანი მისთვის ჩვეული ოსტატობით ამტკიცებდა მთელს უგვანობას და უსაფუძვლობას ასეთი განზრახვისას. გრიგოლის მოხსენებას საფუძვლად დაედო მოხსენება ეპისკოპოს ბესარიონისა, რომელსაც. როგორც სამეგრელოს მკვიდრს, მოსთხოვეს თავისი აზრი წარმოედგინა მეგრულად საღმრთო წერილის თარგმნის შესახებ. ეპისკოპოს ბესარიონის მიერ შედგენილ კომისიაში, სხვათა შორის, მუშაობდა ჩვენი ისტორიკოსი თ. ჟორდანია, რომელმაც სავსებით დაასაბუთა მთელი უაზრობა და ზედმეტობა ასეთი ცდისა.

ეპისკოპოს გრიგოლის მოხსენებამ ერთხანს შეაჩერა მეგრულად საღმრთო წერილის მთარგმნელნი და, მაშასადამე, სამეგრელოს სკოლებში ქართული ენაც დარჩა.

მაგრამ, აჰა, საქართველოს საეგზარქოსოს საეპარქიო სკოლათა მეთვალყურედ დაინიშნა დეკანოზი ივ. ვოსტორგოვი. ამჟამად საქართველოს სასულიერო უწყების სწავლა-განათლების საქმეს სათავეში ჩაუდგა ანაფორას ქვეშ ამოფარებული ჯალათი და სულთამხუთავი ჩვენი სულისა, ეს ებრაელთა იროდი ჩვენი ყრმებისა, ეს კარიერისტი და საუკეთესო განმახორციელებელი რუსთა სახელმწიფოს მტარვალური მთავრობის გამარუსებელი და გამანადგურებელი პოლიტიკისა. მაბე ზღარობა, ჯაშუშობა, გამცემლობა. მუხანათობა გაჩნდა მასწავლებელთა შორის...

განსაკუთრებით სამეგრელოსათვის შეიქმნა მძიმე დეკანოზ ვოსტორგოვის ფარფაში. იგი თამამად იძახდა - მეგრელები სხვანი არიან, ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ და ამიტომ ქართული ენა მათს სკოლებში არ უნდა ისწავლებოდეს, მის მაგივრად რუსული, სახელმწიფო ენა, ასწავლეთო. ბოლოს იმდენად გაკადნიერდა ეს ანაფოროსანი პოლიტიკანი, რომ პრესაშიაც გაბედა ამის მტკიცება. ალბათ მკითხველს ახსოვს პროფესორ ნ.მარის პასუხიცა; აკადემიკოსმა ნ.მარმა მიწასთან გაასწორა მეტიჩარა, პოლიტიკანობით დაბრმავებული დეკანოზი, რომელ-

მაც ისეთ სფეროში შეტოპა, სადაც არავითარი კომპეტენცია არ ჰქონდა და გამოაჩინა მარტოოდენ უსუსურობა.

მაგრამ ახლა მეორე მხრიდან მოიტანეს იერიში ქართულ ენაზე. სოხუმის ეპარქიაში მთავრობა რუს ეპისკოპოსებს გვიგ ზავნიდა. ამ ეპისკოპოსებმა და განსაკუთრებით არსენიმ ბრძანება გასცეს, სამურზაყანოში და მთლიანად აფხაზეთშიც წირვა-ლოცვა რუსულად უნდა ყოფილიყო. სოხუმში ჟანდარმერიის დახმარებით სდევნიდა სასულიერო მთავრობა ყველას, ვინც მრევლის გულისნადების გამომჟღავნებას გაბედავდა და მოითხოვდა წირვა-ლოცვის შესრულებას სამშობლო ენაზე ეკლესიებში. ვინ მოსთვლის, რამდენი ოჯახი აატირეს ამ ნიადაგ ზე.

1905 წ. რევოლუციამ ცოტათი შეანელა ჩვენი რუსიფიკატორების გულმოდგინება. რევოლუციის შემდეგ, რეაქციის დაწყებისთანავე, ბნელეთის ძალნი ისევ ამუშავდნენ. 1918 წ. ფოთში მასწავლებელ სტეფანე გაგუას ინიციატივით უკვე თვით მეგრელები გამოვიდნენ ლევიცკი-ვოსტორგოვის მიერ დაწყებული საქმის განმგრძობნი, როგორც მოხალისენი. მაგრამ ყველას ბალღთა ლაღობად მიგვაჩნდა მათი ნაცოდვილი და სერიოზულობაში არ ჩამოგვირთმევია, სანამ 1925 წელს, როცა ყველაზე ნაკლებ მოველოდით ასეთი ავანტიურის გაღვიძებას, ზუგდიდში დაიწყო ავტონომიის ნიადაგის მზადება. მაფალუელთა ჯგუფმა მოსკოვში თხოვნა გაგზავნა: "გვიხსენით საქართველოს სუვერენიტეტისაგან, სამეგრელოს "პროლეტარიატის საცოდაობას ნუღა უყურებთ და უშუალოდ შეუერთეთ რუსეთის პროლეტარიატსო" მკითხველს ნებას ვთხოვ, მეგრული ანდაზით მოვათავო ჩემი მოკლე საუბარი: "მწევარი კურდღელს მისდევს, მაგრამ კურდღელი რაღას მისდევს? (წიარი კურდღელ მეთხოზუნია, მარა კურდღელი მუს მეთხოზუნია?).

ლევიცკი-ვოსტორგოვები ყველამ იცის, რასაც მისდევდნენ, მაგრამ თქვენ, სამეგრელოს "ავტონომისტებო", თქვენ რაღას მისდევთ?!.."

ანალოგიური კითხვით შეგვიძლია მივმართოთ იმ პირებს, ვინც სამეგრელოსა თუ სვანეთის მოსახლეობას დღეს ეკითხებიან:

— **რა ენაზე გინდათ, რომ განათლება მიიღონ თქვენმა შვილებმა?** (მეგრულ-ლაზურ, ქართულ, სვანურ თუ სხვა)? რატომ?

— **რომელ ენაზე ლოცულობთ ეკლესიაში** (მეგრულ-ლაზურ, ქართულ, სვანურ თუ სხვა)?

— **საჭიროდ თვლით თუ არა, რომ პრესა გამოდიოდეს მეგრულ-ლაზურ/სვანურ ენაზე? თუ არა რატომ?** იცით თუ არა, რომ გამოდის ჟურნალ-გაზეთები მეგრულ-ლაზურ/სვანურ ენებზე საქართველოში?[42]

---

[42] კითხვარის კრიტიკისათვის იხ.: **როზეტა გუჯეჯიანი, ბეჟან ხორავა,** ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან ("ერთობილი საქართ-

საქართველოსა და ქართველის ერის **ნამდვილი ენობრივ-ეთნიკური ისტორიით** დაინტერესებულ უცხოელ კოლეგებს კი ვთავაზობთ ცნობილი ქართველი მწერლის **კონსტანტინე გამსახურდიას** ენობრივ კონცეფციას, რომელიც წინ აღუდგა იმპერიის მიერ დამკვიდრებულ ე.წ. ქართველთა ოთხი ენის დივერსიულ თეორიას და ქართული სამწიგნობრო ენის ქმნადობის ძველქართული ტრადიციის გათვალისწინებით (**ქართველებს გვაქვს ერთი დედაენა**) დღეისთვისაც აქტუალური თეორიული პოსტულატი ჩამოაყალიბა:

*"XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, **ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული** (კ. გამსახურდია, 1929; ათტომეული, 1983, ტ. VII, გვ. 499)...[43] ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ (საწიგნობრო) ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას..." (კ. გამსახურდია, 1922; იხ. ათტომეული, 1983, ტ. VII, გვ. 411); შდრ., აგრეთვე: "მე შემოვუშვი ახალ ქართულში მრავალი გარდასული სიტყვა; სამაგიეროდ ასევე უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას ხევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და მეგრულ-გურულ ენაკავებიდან მოტანილი სიტყვები... მე საჭიროდ დავინახე ქართული ტომების (განსხვავებული) ლექსიკის შეკრების ლოზუნგი გადამესროლა და ეს პირველად ვცადე კიდევაც "დიონისოს იმილში" და ჩემს ნოველების წიგნშიაც..." "...სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოოდენ გარეგან სესხს პარბარიზმებს დაეყრდნოს. აქ უმთავრესია "შინაგანი სესხი",*

...ლოსათვის"), "ქართველური მემკვიდრეობა", XIII, ქუთაისი, 2009, გვ. 79-92).

კითხვარი შედგენილია ი. გიპერტისა და მ. თანდაშვილის პროექტის ...არგლებში: http://www.volkswagenstiftung.de/foerderung/auslandsorientiert/mittelasien-kaukasus/bewilligungen-2005.html; Die sprachliche Situation im gegenwärtigen Georgien; Bewilligung: 02.12.2005 Laufzeit: 3 Jahre.

ამ ტრადიციულ მიდგომასთან სრულ შესაბამისობაშია ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში უნდა შევიტანოთ ნარჩევი **მეგრულ-ლაზურ-სვანური დიალექტური ლექსიკაც** (ჯერჯერობით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში შედის მხოლოდ ქართველთა სხვა კილოების მონაცემები).

ქართულ ენაში ყველაზე სვანურ-ჭანურ და იმერულ დიალექტებიდან ახალი და უბრალო ლექსიკური მასალის ძოხვეჭა... (კ. გამსახურდია. რვატომეული. 1980, ტ. V, გვ. 995-956)[44]

რამდენადაც 1999 წელს საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი და ჩვენმა ქვეყანამ აიღო ვალდებულება, ერთი წლის ვადაში მოეხდინა **"რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია"**, დღეს მაინც აუცილებელია, რომ საერთაშორისო საზოგადოებას მიეწოდოს ქართველურ ენა-კილოთა დეპოლიტიზებული და აკადემიური ისტორია.

ასევე, აუცილებელია, ცივილიზებულმა მსოფლიომ გაიგოს რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული **დემოგრაფიული ექსპანსიის** შესახებ; კერძოდ:

XIX საუკუნეში რუსეთმა ე.წ. მუჰაჯირობით ქართველებისგან დაცალა სამხრეთი საქართველო და აფხაზეთი: საქართველოს ამ მხარეებში ჩაასახლა სომხები, რუსები... 1992-

---

[44] ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ კ. გამსახურდიას შეხედულებებზე როცა ვსაუბრობთ, აუცილებელი ჩანს იმის გათვალისწინებაც, თუ როდის და საქართველოსათვის როგორ ვითარებაში იწერებოდა ის წერილები (ან კეთდებოდა მოხსენებები), რომლებშიც მწერალი ჩვეული პროფესიონალიზმით მსჯელობს სალიტერატურო ენასა და დიალექტებზე. ეს არის გასული საუკუნის 30-50-იანი წლები, როცა: სრული დატვირთვით მოქმედებდა რუსული ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმის ყველა მანქანა; უკვე სისხლში იყო ჩახშობილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება; ინგრეოდა ქართული (/ქართველური) ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები, "განკულაკებისა" და "ხალხის მტრების" ცრუ მოტივ-სახელით ხერეტდნენ ან ციმბირში ასახლებდნენ უბრალო მოსახლეობასა და ინტელიგენციას... სამაგიეროდ, საქართველოს "მთავრობას" უკვე მიღებული ჰქონდა 1929 წლის დადგენილება, რომლის ძალითაც სამეგრელოში სახელმწიფო დაწესებულებაში (სკოლა, სასამართლო, პრესა...) საქმის წარმოება "მეგრულ ენაზე" უნდა შესრულებულიყო; 30-ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა ბოლშევიკ-აქტივისტის ი. ჟვანიას წიგნი, "მეგრული სიტყვებით" დაწერილი; "მეგრულ ენაზე" იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთები; იმავე პერიოდში ქართველოლოგიაში უკვე დამკვიდრებული იყო ტერმინი "ქართველური ენები", რაც ითვალისწინებდა ერთიანი ქართული ენობრივი სივრცის დაშლას სამ-ოთხ ნაწილად. კ. გამსახურდიასთვის, როგორც ეს ჩანს მისი შემოქმედებიდან, ამგვარი დაყოფა ქართველური ენობრივი სამყაროსი მიუღებელი უნდა ყოფილიყო როგორც მოქალაქის, მწერლისა და ენათმეცნიერების საკითხებში საკმაოდ ღრმად ჩახედული პიროვნებისათვის. ყოველ შემთხვევაში, მწერალი არც მხატვრულ ნაწარმოებებში, არც კრიტიკულ წერილებში "ქართველურ ენებად" დასახულ ერთეულებს ენებად არ მოიხსენიებდა. მისთვის ქართველური (=ქართული) ენობრივი სამყარო ერთი მთლიანი იყო, დაუნაწევრებელი.

2008 წლების რუსეთ-საქართველოს ომით მეზობელმა იმპერიამ განახორციელა ქართველთა და ანტირუსულად განწყობილ აფხაზთა გენოციდი საქართველოს აფხაზეთში. რუსეთი ახლა ცდილობს ისტორიული საქართველოს ამ ნაწილში შექმნას სატელიტი "სახელმწიფო", სადაც აფხაზეთიდან გამოდევნილი ძირითადი მოსახლეობის ქართველების ნაცვლად იცხოვრებენ პრორუსულად განწყობილი აფხაზები, მიგრანტი სომხები, ახალჩამოსახლებული რუსები...

XX-XXI საუკუნეებში რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო შიდა ქართლში - ცხინვალ-ჯავის რაიონებში ოსეთიდან (ჩრდილო კავკასიიდან) ჩამოესახლებინა თავისი მხარდამჭერი ოსები, რომელთაც ჯერ არალეგიტიმურად და ულოგიკოდ შეუქმნა ე.წ. "სამხრეთ ოსეთის ავტონომია"; ახლა კი ცდილობს ამ ხელოვნურ წარმონაქმნზე დაამყნოს რუსულენოვანი "სახელმწიფო" საკითხის ისტორიისათვის აქ მოკლედ ვიტყვით: საბჭოთა პერიოდშიც და ამჟამადაც ჩრდილო ოსეთის ავტონომიად წოდებულ ნომინალურ ავტონომიაშიც - რეალურ ოსეთშიც - კრემლი ფაქტობრივად კლავს ოსურ ენასა და კულტურას; მაგ., ოსეთში არ არსებობს ოსურენოვანი საშუალო თუ უმაღლესი განათლების შესაძლებლობა და ოსური კულტურის აღორძინება-განვითარების პერსპექტივა; ოსეთშიც აქტიურად მიმდინარეობს გარუსების პოლიტიკა. პარალელურად, ბესლანის ტრაგედიამ აჩვენა, რომ, ჩეჩენთა და ინგუშთა კვალად, კრემლი ახორციელებს ოსთა გენოციდსაც[45].

[45] რუსეთის მიერ საქართველოს დემოგრაფიული სიმძლავრეების მართვის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე, საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი (ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის, საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები; საქართველოს საპატრიარქოსა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ქართულად და ინგლისურად გამოქვეყნებული კრებული), თბ., 2009, გვ. 221-233.

ნაწილი I
ქართველური ენობრივი სამყარო

1.1. ენისა და დიალექტის საკვალიფიკაციო კრიტერიუმების საკითხი და ქართველური ენობრივი სამყაროს მოკლე ისტორია

1.1.1. ენისა და კილოს გამიჯვნის საკითხი

ტერმინები: ეთნოსი, ერი, ეროვნება; ეროვნული ენა, დედაენა, დიალექტი... პოლისემანტურია, ამიტომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, წინასწარვე განვმარტავთ ქვემოთ გამოყენებულ ძირითად ტერმინებს[46]

თანამედროვე მსოფლიოში **ტერმინი ეროვნება** (natioality) ორგვარად გაიაზრება:

ეროვნება - ერად ჩამოყალიბებული ცივილიზებული ეთნოსი; შდრ.,

ტომი ერთი ენის, კულტურისა და წეს-ჩვეულებების მქონე განვითარებადი ეთნოსი;

ეროვნება ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობლიობა (/დემოსი).

ეროვნების ცნების ორგვარი გააზრების შესაბამისად, ორგვარად განიმარტება **ეროვნული ენაც** (national language); კერძოდ:

I. ტრადიციულად, ტერმინები: **ეროვნული ენა (=ეთნიკური ენა)** და **დედაენა პარალელურად გამოიყენება;** შდრ.: ჰუმბოლდტის აზრით, **დედაენა არის ერის სასიცოცხლო ენერგია.** ილიას, ვაჟას, იაკობისა და სხვა დიდ მოაზროვნეთა მსგავსად, ენის როლს ანალოგიურად აფასებდა **არნ. ჩიქობავაც: "ენა ერის მთავარი ნიშანია"**[47]; შდრ., არნ ჩიქობავა, 1952, გვ. 113-118: "ყველა **ეროვნული ენა** იმავე დროს სალიტერატურო ენაც არის" ქართველი ერისა და ქართული ენის მიმართება მკაფიოდ ჩამოაყალიბა ცნობილმა ენათმეცნიერმა გურამ რამიშვილმა (2000,

[46] ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქრისტიანობამდელი ეპოქა, ქუთაისი, 2005.

[47] ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VI, თბ., 1984, გვ. 37.

გვ. 6-7): **"ქართული ენა, როგორც ქართველთა დედაენა, ქართველთა ეროვნულობის საფუძველია"**. ამგვარი მიდგომის მიხედვით, საქართველოში **ქართველისთვის** (კახელისთვის, სვანისთვის, მეგრელისთვის, აჭარელისთვის, მესხისთვის, იმერელისთვის...) სახელმწიფო ენა და ეროვნული ენა (ეთნიკური ენა. დედაენა) არის ქართული; შდრ.: საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომეხის სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო ეროვნული/ეთნიკური ენა ანუ დედაენა არის სომხური.

II. თანამედროვე კვლევათა ერთ ნაწილში თუ ნორმატიულ დოკუმენტებში, მაგ., "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" მიხედვით, ტერმინი "ეროვნული ენა" (national language) გამოიყენება ოფიციალური ენისა და სახელმწიფო ენის სინონიმებად (იხ., მაგ., 69-ე განმარტება); ხოლო ტერმინები: **ღვიძლი ენა, დედაენა** (own language-მე-3 განმარტ.; native language; 66-ე განმარტ.) არის ბავშვობაში მშობლებისგან შესწავლილი ენა (**=ეთნიკური ენა**).

წარმოდგენილ ტერმინთა ამგვარად გააზრების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქე ქართველისთვის სახელმწიფო ენა (ანუ ეროვნული ენა) და ეთნიკური ენა (დედაენა) არის ქართული. შდრ.. საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომეხისთვის ეროვნული (/სახელმწიფო) ენა იქნება ქართული, ხოლო ეთნიკური ენა (ანუ დედაენა) - სომხური.

ქართულენოვან სამეცნიერო ველში უფრო პოპულარულია პირველი მიდგომა, მაგ., შდრ., ბ. ჯორბენაძის პოზიცია (1989, გვ.170): ***ენა ეროვნული თვითშეგნების უპირველესი გამოვლინებაა;*** *სავსებით კანონზომიერია ერის უპირველეს ნიშნად ენის მიჩნევა, რადგან ნებისმიერი ერის ერთიანობა, კონსოლიდაცია ძირითადად სწორედ ერთიანი ენის მქონებლობით განისაზღვრება.*

შდრ.. ამავე ავტორის აზრით (1989, გვ. 16): *"**დიალექტი არის საერთო ეროვნული ენის ნაირსახეობა და არა დამოუკიდებელი სისტემა.** ხაზგასასმელია: ეროვნული და არა სალიტერატურო ენის ნაირსახეობა, რადგან სალიტერატურო ენა თავად არის ეროვნული ენის ნაირსახეობა. უკეთ: საკუთრივ ამ ნაირსახეობათა ერთობლიობა წარმოადგენს **ეროვნულ ენას**. ამიტომაც დიალექტი სწორედ ამ ერთიანი ეროვნული ენის პოზიციიდან უნდა იქნეს შესწავლილი"*

ორივე მიდგომის მიხედვით, **დედაენა** და **ეთნოსი** ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია: არაცივილიზებული **ეთნოსის (ტომის)** დედაენა უმწერლობო ენაა[48]; **ცივილიზებული** (მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო და სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე) **ეთნოსი ერია, რომლის დედაენა ეროვნული ენაა.**

შდრ.: **ეთნიკურ ჯგუფად** განიხილება ეთნოსის/ეროვნების ნაწილი, რომელიც ამ ეთნოსის განსახლების ძირითადი არეალის (სახელმწიფოს) გარეთ, სხვა ეთნოსის/ეროვნების მიერ შექმნილ სახელმწიფოში ცხოვრობს[49], შესაბამისად, მისი ეროვნული ენა (დედაენა) შეიძლება არ იყოს სახელმწიფო ენა. ქართველი ერისა და მისი დედაენის მიმართების შესახებ ძველი ქართველი მემატიანეებისა თუ ცნობილი ქართველი მოღვაწეების ხედვა თანამედროვე ტერმინოლოგიით ასე ჩამოყალიბდება:

ქართული ენა არის ქართველთა (მეგრელთა, სვანთა, მესხთა, იმერელთა, კახელთა...) **დედაენა ანუ ეთნიკური ენა.** ამ ენის სტანდარტული ვარიანტი ქართული სამწიგნობრო ენა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოსა და კულტურის ენაა - ეროვნული ენაა. ქართველთა ყველა სხვა არასტანდარტული (საშინაო) მეტყველება არის დედაენის მეორეული ლოკალური სახესხვაობები (ენაკავები, თემური კილოები, დიალექტები...).

ტრადიციული ქართული ხედვის იგნორირებით და სამეცნიერო არგუმენტაციის გარეშე, ზოგი დღესაც თვლის, რომ არსებობს რამდენიმე ქართველური ენა: დამწერლობის მქონე ერთი ენა (ქართული) და დამწერლობის არმქონე სამი (თუ ორი) ენა (მეგრული, ლაზური, სვანური)[50]

შდრ., ი.კორიაკოვის აზრით, სვანებს ორი ეთნიკური ენა აქვთ (ზემო და ქვემო სვანური); სხვა ავტორთა აზრით, სვანური სვანთა

---

[48] შდრ. იუნესკოს კვალიფიკაცია: http://portal.unesco.org/education/en/ev.php-URL_ID=28301&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html:
ეთნოსის უმწერლობო ენა - იდიომი, რომელიც არ არის სტანდარტული (ნორმალიზებული) და არ გამოიყენება ოფიციალურ ენად პროფესიული შემოქმედების პროცესსა თუ საქმისწარმოებაში (ეს ეთნოსი ამ მიზნით მოიხმარს სხვა საზოგადოების მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას).

[49] მაგ., **ქართველები თურქეთში.**

[50] იხ., მაგ., ქართული ენა (ენციკლოპედია), თბ., 2008; რუსი მოხელეების მიერ პოლიტიზებული ეს თვალსაზრისი დღეს აქტიურად ვრცელდება ინტერნეტით.

უმწერლობო დედაენაა, ხოლო ქართული ეროვნული ენა (მ. ჭურდიანი); ზოგს კი, სულაც, სვანური **ტომობრივ ენად** მიაჩნია.

ამგვარი მცდარი მიდგომით ეთნიკურ ქართველთა ერთ ნაწილი (სვანები, მეგრელები...) წერილობითი კულტურის არმქონე ეთნიკურ არაქართველებად ცხდადება.

ენის ლინგვისტური განმარტების მიხედვით (**"ენა არის ბგერით ნიშანთა სისტემა") შეუძლებელია იდიომისთვის ენის თუ კილოს სტატუსის მინიჭება.** ენის ფუნქციებიც[51] არაფრით განსხვავდება კილოს ფუნქციებისგან[52].

ქვემოთ, მსჯელობის პროცესში ჩვენ ვეყრდნობით დიალექტის შემდეგ განმარტებას:

დიალექტი - ეროვნული (ეთნოსის) ენის სახესხვაობაა; ერთი ენის დიალექტებს შორის გაგებინება შეიძლება იყოს და შეიძლება არ იყოს[53]

შდრ., მიჩნეულია, რომ დიალექტი ერთ-ერთი შუალედური დონეა ენასა და თქმას შორის; იხ., მაგ., სქემა: **ენა - კილოური ჯგუფი (метаязык/наречие) - დიალექტი (კილო) - კილოკავი - თქმა - იდიოლექტი**[54].

---

[51] სამყაროს "ხედვა-აღქმა", აზრის ფორმირება და გამოხატვა, კომუნიკაცია, ინფორმაციის გადაცემა, აზრის გაცვლა-გამოცვლა, ინფორმაციის შენახვა...

[52] შდრ., მაგ "ადამიანის ენა შეიძლება დახასიათდეს როგორც პირობით ბგერით ნიშანთა სისტემა, რომელიც გამოიყენება ადამიანთა საზოგადოებაში აზრის გამოხატვისა და კომუნიკაციის, ინფორმაციისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებად (თ. გამყრელიძე... 2003, გვ. 23-26)

[53] შდრ.: http://bse.sci-lib.com/article027018.html: **Диалект** (от греч. diálektos — разговор, говор, наречие), **разновидность данного языка, употребляемая в качестве средства общения с лицами, связанными тесной территориальной, социальной или профессиональной общностью. Территориальный Диалект всегда представляет собой часть целого другого Диалект данного языка, часть самого этого языка, поэтому он всегда противопоставлен другому Диалект или другим Диалект Мелкие Диалект объединяются в более крупные. Самые большие могут называться наречиями, меньшие — говорами. Территориальные Диалект обладают различиями в звуковом строе, грамматике, словообразовании, лексике. Эти различия могут быть небольшими, так что говорящие на разных Диалект данного языка могут понимать друг друга (например, Диалект славянских языков); Диалект других языков могут так сильно отличаться друг от друга, что общение между говорящими затруднено или невозможно (например, Диалект немецкого или китайского языков);**

[54] სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2005; თ.გვანცელაძე, 2006; შდრ.: ინტერნეტში განთავსებული მასალის ერთი ნაწილი:

ქართულ თუ უცხოურ ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ რთულია ენის, მეტყველების, კილოს, კილოკავის, თქმის კვალიფიკაციაც და მონათესავე ენობრივ ერთეულთა (იდიომთა) კლასიფიკაციაც[55]; შდრ.: ზოგჯერ დიალექტთა დაჯგუფება გეოგრაფიას ეფუძნება, ზოგჯერ სტრუქტურულ მახასიათებლებს (მოცემული დიალექტის ლექსიკას, ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს).

სპეციალისტები ხშირად ვერ თანხმდებიან, კლასიფიკაციისას რომელ კრიტერიუმს უნდა მიენიჭოს უპირატესობა (მსჯელობისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 64-68) [56]. რთული და პრინციპულია **უმწიგნობრო ენისა და კილოს** (ზეპირი

---

http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%92%D0%B5%D1%80%D1%81%D0%B8%D0%BA%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%BD%D1%8B%D0%B9_%D1%8F%D0%B7%D1%8B%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%BE%D0%B4%D1%81%D1%82%D0%B2%D0%BE%D0%BC: термину диалект присвоен таксономический статус на шкале с четырьмя уровнями близости:

язык — наречие — диалект — говор. ***Язык или диалект*****: Диале́кт (греч. διάλεκτος — «наречие» от греч. διαλέγομαι «говорить, изъясняться») — разновидность языка, которая употребляется в качестве средства общения лицами, связанными между собой одной территорией. Диалект является полноценной системой речевого общения (устной или знаковой, но не обязательно письменной) со своими собственными словарём и грамматикой. Не существует единого понимания и соответственно единых критериев для разграничения языка и диалекта, поэтому говоря, что данный идиом является языком или диалектом, необходимо оговаривать что имеется в виду под тем или иным термином... Идиом может считаться диалектом, например, в случае, если: (1) он не является стандартизованным литературным языком; (2) его носители не имеют собственного государства или автономного образования; (3) он не является престижной формой общения...**

[55] მსჯელობისათვის იხ.: თ გვანცელაძე, 2006;

[56] მაგ., ბოშური კილოების კლასიფიკაციისათვის იხ.:

http://romani.humanities.manchester.ac.uk/files/12_dialect_intro.shtml: One must first select the criteria on which a classification is to be based. Sometimes dialect classification is based strictly on geography, sometimes it is based strictly on the structural features – lexicon, phonology, morphology – of the dialects. In the latter case, it is necessary to select those features that are of global relevance and that can be used as a reference grid to compare the different dialects and to determine the relationships among them. Scholars often disagree on which features should be given greater attention as a basis for a classification. As a result, is not unusual to find different classification models. There is also an objective difficulty: Some dialects may share 'typical' features with two distinct dialect branches. Such transitional dialects are part of any linguistic landscape. It is therefore almost impossible to postulate clear-cut divisions between dialect groups or 'branches'...

მეტყველების) გამიჯვნა; შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: **არ არსებობს** მოცემული სამწიგნობრო ენის მონათესავე უმწერლობო ენისა და კილოს გასამიჯნი **მყარი ლინგვისტური კრიტერიუმი**[57]; შდრ.:

გ.ე.შმიდტის, უ.ამონის, ა.ბახის, თ.ლევანდოვსკის, პ.ვიზინგერის, ბ.სოვინსკის, ა.ლინკეს და სხვათა აზრით, **ენას ახასიათებს:** განფენის ხარისხის მრავალფეროვნება (პრესტიჟულობა) - გამოყენების მაღალი ხარისხი, კოდიფიცირებული დამწერლობა, სტანდარტულობა, სამწერლობო სტატუსი, გარკვეულწილად ხელოვნურობა; **დიალექტს კი** - გამოყენების დაბალი ხარისხი, არასტანდარტულობა, ზეპირი კომუნიკაციის საშუალება, ბუნებრიობა.

შდრ.: პ.ფინკეს, ბ.ჯორბენაძის, გ.ნებიერიძისა და სხვათა აზრით, დიალექტების მფლობელთა შორის გაგებინება უნდა იყოს; ვ.ჟირმუნსკის, ე.კოსერიუს, ი.ქლოუპეკის, ჯ.ჰერგენის და მრავალ სხვათა მტკიცებით კი **დიალექტებს შორის გაგებინება არაარსებითია.** ზოგი მიიჩნევს, რომ მონათესავე ენობრივ ერთეულებს შორის თუკი არის ბგერათშესატყვისობა, მაშასადამე, ისინი ენებად უნდა კვალიფიცირდეს (მ.ქურდიანი)[58].

გ.ბელმანის, ვ.კონიგის და სხვათა აზრით, დიალექტსა და ენას შორის ზღვარი ძნელი გასავლებია; დიალექტიდან ენაში გადასვლა თავისუფლად ხდება...

ჰ.ჰარმანი, პ.აუერი და სხვ. თვლიან, რომ ენობრივი ერთეულის სტატუსი მისმა მფლობელმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს. ენისა და დიალექტის სტატუსის **განსაზღვრა თავად მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ** ადეკვატურ შედეგებს მო-

---

[57] ტ. ფუტკარაძე. 2005. გვ. 64-70. ხელოვნური და პრობლემის კვლევისათვის თითქმის არაფრის მომცემია ენობრივი ერთეულების ენებად თუ დიალექტებად კვალიფიცირება, ერთი მხრივ, სოციოლინგვისტური, მეორე მხრივ კი, "საკუთრივ" ლინგვისტური კრიტერიუმების მიხედვით.

[58] **ბგერათშესატყვისობის** არსებობა-არარსებობის მიხედვით მსოფლიოში არსებული არც ერთი ენა თუ დიალექტი არ არის კვალიფიცირებული; გარდა ამისა, მრავალ მონათესავე ენას შორის ბგერათშესატყვისობა არ გვაქვს და პირიქით: კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები გვაქვს დიალექტებად მიჩნეულ ენობრივ ერთეულებს შორის (გერმანულში, ჩინურში, იაპონურში...), მეტიც. მაგ., ჩრდილოკავკასიურ ენებში ბგერათშესატყვისობები დადასტურებულია თქმებშიც კი.

გვცემს ახალშექმნილი მწიგნობრობის მქონე ან წერილობითი კულტურის არმქონე ენობრივი ერთეულის შემთხვევაში (წერილობითი კულტურის არმქონე ხალხის თვითაღქმა ხდება გაგებინების მიხედვით განსაზღვრული უმწერლობო ენის ფარგლებში (შდრ., ჩრდილოკავკასიური ენები) [59]

ენისა და კილოს გასამიჯნად მოსახერხებელი ჩანს: **პრესტიჟულობა-სტანდარტულობა,** ე.წ. "**სისტემურობა**" და მოცემული საზოგადოების **ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმა;** თუმცა პირველის მიხედვით უფრო შეიძლება სამწიგნობრო ენისა და დიალექტის დახასიათება, მაგრამ, ჩვენი აზრით, შეუძლებელია უმწერლობო ენისა და დიალექტის გამიჯვნა. "**ენობრივი სისტემის**" მიხედვით მსჯელობაც მეტად ფარდობითია, ვინაიდან, მაგალითად, ფონემატური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურების მიხედვით რუსული, ბელორუსული, უკრაინული, პოლონური ენები ერთმანეთთან მიმართებით უფრო ახლომდგომი ვარიანტებია, ვიდრე, მაგალითად, გერმანული ენის დიალექტები (ქართველური იდიომების სისტემური ანალიზი იხ. ქვემოთ).

ჩვენი აზრით, ენისა და კილოს მიმართების პრობლემა უფრო წყდება **ცივილიზებული საზოგადოების ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმისა** (თვითიდენტიფიკაციის) და სამწიგნობრო ტრადიციის გათვალისწინებით[60].

---

[59] ამ მეთოდს გადაულახავი პრობლემები შეექმნება ხანგრძლივი წერილობითი კულტურის მქონე საზოგადოების გამოკითხვისას, რადგანაც საზოგადოების განათლებული ფენისთვის თუ გასაგები და მშობლიური იქნება არქაული ენა და კულტურა, საზოგადოების გაუნათლებელი ფენისთვის ის უცხო აღმოჩნდება: მაგ., სალიტერატურო იაპონურის ან სინჰალურის არმცოდნე გლეხისთვის თუ თავისი მშობლიური დიალექტი აღიქმება დედაენად, იგი მისდაუნებურად ემიჯნება საკუთარ უძველეს კულტურას: განათლების სიმწირის (ეროვნული კულტურისა და სამწიგნობრო ენის ვერფლობის) პირობებში ადამიანთა ჯგუფმა დედაენად შეიძლება ჩათვალოს მშობლიური კილო.

[60] მსჯელობისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 42-70.

1.1.2. ქართველურ ენა-კილოთა ისტორიის რამდენიმე ასპექტი

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა დამუშავებული არსებულ ენათა მონაცემების შეპირისპირებით **წინარე ენების** კონსტრუირების მეთოდები; კერძოდ, შინაგანი რეკონსტრუქციით, შედარებითი რეკონსტრუქციითა და ლექსიკურ-სემანტიკური რეკონსტრუქციის საფუძველზე აღდგება მონათესავე ენობრივ ერთეულთა ამოსავალი ენობრივი მოდელი.

ქართველური ენობრივი სამყაროს თითქმის ყველა მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქართველურ ენა-კილოთა ამოსავალ **საერთოქართველურ მოდელს ძირითადად მიჰყვება ქართული სამწიგნობრო ენა**. სპეციალისტთა დიდი ნაწილი საერთოქართველურში ძირითადად იმავე თანხმოვნებს აღადგენს, რაც გვაქვს არქაულ სამწიგნობრო ქართულში:


ხშულები: ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ; გ, ქ, კ; ჳ, ყ.

ნაპრალოვნები: ზ, ს; ჟ, შ; ღ, ხ; ჰ.

სონორები: მ, ნ, რ, ლ.

ქართველური ფუძეენის მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურებიც არსებითად არქაული სამწიგნობრო ქართული ენის მსგავსია (ვრცლად იხ. ქვემოთ).

სპეციალისტთა შორის კამათის საგანია ქართველურ დიალექტთა დივერგენციის სქემა. ჩვენი აზრით, უფრო არგუმენტირებული შეხედულება ჩამოყალიბებულია **აკად. არნ. ჩიქობავას** მიერ; მისი აზრით, თვისობრივად არაარსებითი ცვლილებებით საერთოქართველურისგან ერთდროულად გადაიხარა ზანურ-სვანური დიალექტური ჯგუფი, რომელიც შემდეგ დაიშალა ზანურ და სვანურ ენობრივ ერთეულებად. სქემატურად ეს აზრი ასე შეიძლება გამოხატოს:



თანამედროვე სამეცნიერო კვლევების მიხედვით ნათელია, რომ საერთოქართველური ენის მეოცვიდრეა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის (საეკლესიო) ენა, რომლის უშუალო გაგრძელებაა **თანამედროვე სამწიგნობრო ქართული ენა**; **არქაული ქართულის** მეტ-ნაკლებად შეცვლილ განშტოებებს კი წარმოადგენს ქართველური დიალექტური ჯგუფები: ცენტრალური, სვანური, ზანური, მესხური, ფხოური, რაჭული, ჰერული.

საერთოქართველური ენის ქრონოლოგიასთან დაკავშირებითაც სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა: მეცნიერთა ერთი ნაწილი საერთოქართველური ენის არსებობის დროდ ძვ. წ. II-I ათასწლეულებს ასახელებს (არნ.ჩიქობავა, კ.ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი...), მეორე ნაწილი კი საერთოქართველური ენის ფუნქციონირებას შესაძლებლად მიიჩნევს ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში (თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი, თ.მიქელაძე...). ჩვენი აზრით, უფრო დამაჯერებლად გამოიყურება პირველი მოსაზრება; სავარაუდოდ, ქართველური მოდგმის მიერ კოლხურ-ყობანური კულტურის[61] შექმნის დროს, **ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან** (ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრამდე) წინარე ქართველურ ტომთა[62] დიალექტების ბაზაზე ყალიბდება **საერთოქართველური** ენა (**კოინე**) - ძველ ქართველ ტომთა საერთო-სამეტყველო ენა.

მეზობელ ხალხთა ენებში ქართველურიდან შესული ონომასტიკური მასალის, ქართველური ნასესხობისა და ე.წ. თარიღიან ტოპონიმთა (ქუთაისი, ფათისი...) ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ **თანამედროვე ქართველური ქვესისტემები** (სამწიგნობრო ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური, ფხოვური, მესხური და სხვა კილოები) **სათავეს იღებენ წელთაღრიცხვათა მიჯნიდან**[63].

---

[61] დედამიწის პირველი ცივილიზებული საზოგადოებები ძვ.წ. III ათასწლეულიდან იღებს სათავეს, შესაბამისად, ქართველური თუ იბერიულ-კავკასიური ერთობების გადატანა V-IV ათასწლეულებში არარეალურია.

[62] შდრ.: ძვ.წ. I ათასწლეულის II ნახევარში ჩანან შემდეგი ქართველური თემები: მუშქები/მესხები, დაიანელები/ტაოხები, კოლაელები, ტიბარენები, იბერები, ჭუთები/კვიტები, კორაქსები, ჰალიბონები/ხალიბები, ხალდები/ქალდები, მაკრონები, ფასიანები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი, ჰენიოხები, სანები...

[63] მსჯელობისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე, 2005.

1.1.3. თანამედროვე ქართველური ქვესისტემების (იდიომების) კლასიფიკაცია

ტრადიციულად, სამწიგნობრო კულტურისა და ეთნიკურ-კულტურული ისტორიის გათვალისწინებით, მიიჩნეოდა, რომ ქართველებს ერთი **დედაენა** ("სამშობლო ენა") და მრავალი **შინაური** ("თემური") **კილო** გვაქვს. მართლაც, სულ მცირე 15 საუკუნის მანძილზე ქართველი ერი - საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველობა (მეგრელები, ლაზები, სვანები, კახელები, მესხები, ჰერები, იმერლები, ჯავახები, თუშები, აჭარლები, რაჭველები, ტაოელები, ქართლელები...) ქმნის სამწიგნობრო კულტურას; შესაბამისად, იგი **უველა ქართველის დედაენაა**. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკიდურესი ფეოდალური დაქუცმაცებულობის ჟამსაც კი წირვა-ლოცვა ქართველთა მთელ ტერიტორიაზე ქართული სამწიგნობრო ენით აღესრულებოდა (სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა: ქართული ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, X საუკუნის პირველ ნახევარში სინას მთაზე მოღვაწე **იოვანე მინჩხის**, X საუკუნის დასასრულს მოღვაწე ჰიმნოგრაფისა და მთარგმნელის, **სტეფანე სანანოის ძე ჭყონდიდლისა** და XVII საუკუნეში მოღვაწე **ანტონ ჭყონდიდლის** ქმნილებების ენა).

ქართველთა ერთიანი ენობრივ-ეთნიკური ცნობიერების წარმოსაჩენად განსაკუთრებით საინტერესოა "**ივერიელთა ერთობის ტრაქტატი**", რომელსაც 1790 წელს მოაწერეს ხელი ქართლ-კახეთის, ოდიშის (სამეგრელოს), იმერეთისა და გურიის მეფე-მთავრებმა. ისტორიულ დოკუმენტში მკაფიოდაა ნათქვამი:

"ვინაიდან **ყოველთავე ივერიელთა**, მსახლობელთა სამეფოსა შინა **ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა** აქვსთ **ერთ მორწმუნეობა**, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და **ერთისა ენისა მჭონებელნი**, აქვსთ მავასხელობითიცა (=ურთიერთვალდებულებითი) სიყვარული ვითარცა **სისხლით ნათესავთა** და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის"

ისტორიული ტრადიციის თვალსაზრისით, საყურადღებო ფაქტია ის, რომ საქართველოს ყველა კუთხეში (მათ შორის, სამეგრელოსა და სვანეთშიც) ლაპიდარული და ეპიგრაფიკული ძე-

გლების, აგრეთვე, პირადი მიმოწერის ენა ყოველთვის იყო ქართული სალიტერატურო ენა.

ძველი დროიდანვე ქართველთა დიალექტებით უწყვეტად მდიდრდებოდა სალიტერატურო ენა; კერძოდ, მეგრული, სვანური, მესხური, ფხოვური, ქართლური თუ იმერხეული თვისობრივად ერთნაირად იყო მასაზრდოებელი ხანმეტი ტექსტების, "ვეფხისტყაოსნის" თუ პეტრიწის შრომების ენისთვის. საინტერესოა არნ.ჩიქობავას თვალსაზრისი: ძველი ქართული სამწიგნობრო ენა შეიქმნა ზანური და სვანური დიალექტების მონაწილეობით (არნ. ჩიქობავა, 1948). შდრ., აგრეთვე, ნ.მარის მოსაზრება:

"ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-განვითარებაში მონაწილეობას იღებდნენ: ქართლელები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ლაზჰანები და სხვანი... საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჰანურ ანუ მეგრულ, იმერხეულ და სხვა ტომთა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით, ***ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომისათვის****" (ნ.მარი, 1905).*

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, კავკასიაში რუსეთის იმპერიის გავლენის გაძლიერების შემდეგ ცარიზმის მოხელეები შეეცადნენ, ქართველთა ნაწილისთვის გაეუცხოებინათ წინაპართა მიერ შექმნილი წერილობითი კულტურა და **საშინაო კილოები უმწერლობო ენებად გამოუცხადეს**: რუსეთის იმპერიის მოხელეებმა (ქ.პატკანიანმა, კ.იანოვსკიმ, ი.ვოსტორგოვმა,...) ქართველურ ენობრივ ერთეულთა სტატუსის თითქოსდა უწყინარი **თემის მძაფრი პოლიტიზება** მოახდინეს.

დიდი ილიას მეთაურობით საქართველოში საპასუხო ანტიიმპერიული მოძრაობა დაიწყო: ქართველმა საეკლესიო და საერო მოღვაწეებმა ქართული ენა **ეროვნების ბურჯად გამოაცხადეს** და "დაუშრეტელი ზრუნვის საგნად აქციეს" (ბ.ჯორბენაძე, 1987, გვ. 17). განსაკუთრებით აღსანიშნავია **"წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წევრთა** და სხვა სასულიერო პირთა ღვაწლი, რომელთა ნაწილი საქართველოს სამოციქულო მართლ-

მადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა; აქვე აღვნიშნავთ ერთ საინტერესო ფაქტს:

საქართველოში წმინდანად შეირაცხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ამბროსი (ხელაია)**, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში მკვეთრად უპირისპირდებოდა ი. ვოსტორგოვის ანტიქართულ ქმედებებს (რომელიც ცდილობდა სამეგრელოში აეკრძალა ქართული ენა).

შდრ.: რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ 2000 წელს წმინდანად გამოაცხადა ი.ვოსტორგოვი.

1865 წლიდან დღემდე სხვა ბევრმა ქართველმა იბრძოლა აქტიურად, რომ დაეცვა თავისი ისტორიული დედაენა - ქართული ენა და არგუმენტირებულად უკუაგდო რუსეთის იმპერიისგან თავსმოხვეული, ქართველთა ენობრივ-ეთნიკურად დამაქუცმაცებელი ე.წ. ოთხენოვანი "თეორია"; დავასახელებთ ბოლო ორი საუკუნის სასულიერო და საზოგადო მოღვაწეთა ერთ ნაწილს: **ივანე კერესელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე), აკაკი წერეთელი, დიმიტრი უიფიანი,** გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი **წმიდა ალექსანდრე (ოქროპირიძე), წმიდა მღვდელმოწამე კირიონი II (საძაგლიშვილი), პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე), წმინდა ამბროსი (ხელაია), ეპისკოპოსი გრიგოლ (დადიანი), დავით გიორგის ძე დადიანი, ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი, პეტრე ჭარაია, მოსე ჯანაშვილი, ვაჟა-ფშაველა, პეტრე მირიანაშვილი, წმინდა ალექსი (შუშანია), იაკობ გოგებაშვილი, ივანე მარგიანი, ბესარიონ ნიუარაძე, ლუარსაბ ლოლუა, სოსიკო მერკვილაძე, ვალერიან გუნია, პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, სილოვან ხუნდაძე, ივანე ჯავახიშვილი, თედო სახოკია, თედო ჟორდანია, პავლე ინგოროყვა, გიორგი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, ზვიად გამსახურდია, ოთარ გიგინეიშვილი, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II (შიოლაშვილი), მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), ნოდარ ჯალაღონია, ნომადი ბართაია, ერეკლე საღლიანი, იაკობ თანდილავა და სხვ.**

შდრ.: საქართველოში საბჭოთა რუსეთის იმპერიის გაბატონებამდე მეგრულ-ჭანურ (ზანურ) და სვანურ ენობრივ ერთეულებს ქართულ კილოებად აცხადებდა მეცნიერთა ნაწილიც; სანიმუშოდ მოვიხმობთ რამდენიმე თვალსაზრისს:

პეტრე ჭარაია (მოსაზრება წარმოადგინა გამოკვლევებში: "ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა" და "მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან"): *ნაციას აქვს ენა, ხოლო თემს (ტომს) - დიალექტი. მეგრულ-ჭანურ-სვანური თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დიალექტები კი არ არის, არამედ იმ ენის, რომლის ნაწილებიცაა თანამედროვე სალიტერატურო "ენა", მისი დიალექტები და ისტორიული ქართული სალიტერატურო "ენა" ქართველთათვის ისტორიული ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთია და თითოეული ქართული კილო არ უნდა გავიხადოთ სალიტერატურო ენად: გერმანიის თითოეულ კუთხეში, ოლქში და თითქმის სოფელში სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ სალიტერატურო ენა ყველგან არის ერთი: მწიგნობრულ ენად მიაჩნიათ იმ ენა, რომელიც შეუმკიათ და განუმშვენიერებიათ ლიუტერს, ლესსინგს, გიოტესა და სხვ. თუ ასეთ მრავალრიცხოვან ერს, როგორიც გერმანელები არიან, რომლებიც ამასთანავე სდგანან განათლების სათავეში, ერთი საყოველთაო სალიტერატურო ენა საჭიროდ უცვნიათ, ჩვენ რაღანი ვართ, რომ თითოეული კილო სალიტერატურო ენად გავიხადოთ..." (პ. ჭარაია, 1997, გვ. 203-204).*

შდრ., აგრეთვე, **მ.ჯანაშვილი** და **რ.ერკერტი:** სამეცნიერო ლიტერატურაში **იბერიული** (ქართველური, ქართული) **ენის** არსებობის ადრეულ სახეობად მიჩნეულია **ძველი ქართული,** რომლის განშტოებაა სვანური მეტყველება. იმავე ძველი ქართულის გაგრძელებაა ახალი ქართული, რომლის განშტოებაა მეგრული, მეგრულის განაყარი კი ლაზურია (რ. ერკერტი, 1895, გვ. 287).

ი.გოგებაშვილი ("დაბალი ღობე ერთა შორის"; 1894): *"სად თქმულა და გაგონილა, რომ დაბალმა მოხელეებმა (იგულისხმება რუსეთის იმპერიის მოხელეები) ერს მოჰგლიჯონ ღვიძლი, მთელი მხარე, გაჰყარონ შეხორცებულნი ერთად ღვთისა და ბუნების ნებით, გასწყვიტონ ათასის წლის ძმური კავშირი, ორივ მხრის შესასუსტებლად და ჩასაყლაპავად, და უბრძანონ მთელს მხარესა, კარგა ბლომა ნაწილს ქვეყნისასა: აღარ გაიხსენო შენი ნათესაური დამოკიდებულება და ძმური ურთი-ერთობა დედა-ქვეყანასთანა, ილაპარაკე მხოლოდ შენს შინაურს კილოზედ, ზურგი შეაქციე შენს მთავარს დედაენასა,* და დაივიწყე იგი, გადააგდე იქით მშობლიური ანბანი, შენი მონაწილეობით მოგონილი, უარჰყავ სამშობლო ლიტერატურა, რომ-

*ლის სალაროში არც ერთს ძმაზედ შენ ნაკლები არ შეგიტანია, გააუქმე შენი საღმრთო მეტყველება, რომელთანაც შეხორცებულია შენი სარწმუნოება, დაივიწყე შენი ათასის წლის ისტორიული არსებობა და გადაიქეც ველურ ხალხად, რომელმაც ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოსო... მეგრელთათვის იმის თქმა, რომ ისინი ქართველები არ არიან. რომ მათ არა აქვთ არც ანბანი, არც დამწერლობა, არც ლიტერატურა, რომ **უველაფერი ეს ამიერიდან უნდა შეიქმნას**, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ წავართვათ მათ მთელი მათი **სახელოვანი წარსული**, მთელი ისტორიული მონაპოვარი, გამოვაცხადოთ ისინი გონებრივ ღატაკებად და გვერდით ამოვუყენოთ ისეთ **ბარბაროსულ ტომებს**, რომელთაც არავითარი ისტორია არ გააჩნიათ"...*

შდრ., აგრეთვე, სილოვან ხუნდაძე (გაზ. "სახალხო საქმე", 1919, №709): *"...ქართული ენის ფორმების შესწავლის დროს მათი შედარება **მონათესავე კილო-კავების** ფორმებთან ინტერესს აორკეცებს. გარდა ამისა, საჭიროა, რომ ჩვენმა მოზარდმა თაობამ იცოდეს, რომ მეგრული და სვანური შტოებია ქართული ენისა და არა განსხვავებული ენები, როგორც ამას ამბობდენ და დღესაც **ამბობენ მტერნი და ორგულნი ჩვენი ქვეყნისა**".*

ცარიზმის დროს ვერა, მაგრამ საბჭოთა იმპერიაში აშკარად გაბატონდა ქართველური "ენების" თეორია; საბჭოთა პერიოდის ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ი.სტალინის მიერ "ერთადერთად" აღიარებული მოსაზრებისთვის. რეპრესიული რეჟიმის პირობებში ენათმეცნიერთაგან წინააღმდეგობის გაწევა ან განსხვავებული თვალსაზრისის მტკიცება თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ **საბჭოური** ტრადიციის გავლენით ზოგმა **მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ქართული კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი** - ლაზეთ-სამეგრელოსა და სვანეთის ქართველობა ისეთ **უმწიგნობრო ტომებად** გამოაცხადა, რომლებსაც საკუთარი დამწერლობა არა აქვთ და მონათესავე ხალხის (ქართველების) ენაზე წერენ. თუმცა, ამგვარ უმართებულო დასკვნას დიდი პოლემიკა უძღოდა წინ; განსაკუთრებით საინტერესოა **ივ.ჯავახიშვილისა და ნ.მარის, ა.შანიძისა და ს.ხუნდაძის დისკუსიები** (იხ. ქართული ენის ისტორია, 2006, გვ. 37-39).

საერთოქართველური ენის რეკონსტრუირების ყველა აკადემიური ცდა და **ქართული სამწიგნობრო ენის ისტორია** ადასტურებს, რომ თანამედროვე სამწიგნობრო ქართულის ფონემატური, სახელური, ზმნური, სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურები ძირითადად საერთოქართველური ენის იგივეობრივია (მასალისათვის იხ., 2.2.); ქართველთა საშინაო კილოები კი რეკონსტრუირებული ამ საერთო ენის **მეტნაკლებად შეცვლილი** ვარიანტებია. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ისტორიულ **საერთოეროვნულ ენასთან** მიმართებით დიალექტებად განვიხილოთ წინარეენისგან მომდინარე დღევანდელი სახესხვაობანი[64]

თანამედროვე ქართველური დიალექტები სხვადასხვა ნიშნით შეიძლება დაჯგუფდეს; მაგ.: **ცენტრი-პერიფერიის** მიხედვით სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა, თანხმოვანთა ისტორიული რეფლექსების მიხედვით კი - ორი:

I. **ცენტრი-პერიფერიის** პრინციპი, პირველ რიგში, გულისხმობს მოცემული ენობრივი ერთეულის ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურების **სიახლოვე-სიშორეს სამწიგნობრო ენის მონაცემებთან**. აქ ასევე მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ხალხურ მეტყველებაზე ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის ენობრივი "წნეხის" სიდიდე არსებითად განსაზღვრავს სტანდარტული და დიალექტური კოდების ურთიერთზემოქმედების ხარისხს: სამწიგნობრო ენას უფრო შორდება კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრთან შორს მცხოვრები **ფართო საზოგადოების** მეტყველება (და არა კულტურული თუ პოლიტიკური ელიტისა). აღსანიშნავია, რომ სამწიგნობრო ქართულსა და კილოებს შორის სხვაობა მატულობს დედაქალაქთან (სასულიერო-კულტურულ და მმართველობით ცენტრთან) კილოს დაშორების პროპორციულად. სამწიგნობრო ენის გავლენის კლების შესაბამისად, **ქართველთა თანამედროვე საშინაო-სამეტყველო ერთეულები** შესაძლებელია დაიყოს ცენტრალურ, განაპირა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებულ დიალექტებად; თავის მხრივ, განაპირა დიალექტურ ჯგუფებს ექვს

---

[64] **შდრ.: დიალექტი** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს საერთო-სახალხო ენის განშტოებას, ადგილობრივ მეტყველებას, რომელზეც ლაპარაკობს მოცემული ერის (ეთნოსის) ერთი ნაწილი.

ქვეჯგუფად წარმოვადგენთ:

ცენტრალური კილოები: კახური, ქართლური, იმერული, ლეჩხუმური, გურული.

განაპირა კილოები: **მესხური კილოები**: აჭარული, ლივანური, მაჭახლური, იმერხეული, ტაოური, სამცხური, ჯავახური;

ჰერული კილოები: კაკური, ალიაბათური;

ფხოური კილოები: ჩალმათუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული; აქვე, "ასოცირებულ" დიალექტად შეიძლება განვიხილოთ წოვათუშურიც, რომელიც შეიცავს როგორც ჩეჩნურ-ინგუშურის, ასევე, ქართულის მსგავს ფენებს;

რაჭული კილოები: ბარისრაჭული, მთარაჭული;

სვანური კილოები: ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული, ბალსქვემოური, ბალსზემოური;

ზანური კილოები: მეგრული, ლაზური (ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური).

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები: ფერეიდნული, ბურსა-ინეგოლში, ადაფაზარიზმითში, გონენსა და კაიზერში გადასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა მეტყველება და ყიზლარ-მოზდოკურ-პლასტუნკური ქართული.

II. ნუნისმიერ ბგერათა ისტორიული რეფლექსების მიხედვით ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა:

A ჯგუფი: სისინა კილოები: ქართლური, კახური, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული, გურული, აჭარული, მაჭახლური, ლივანური, იმერხეული, ტაოური, გურული, მთიულურ-გუდამაყრული, მოხეური, ხევსურული, ფშაური, თუშური, ჰერული, ფერეიდნული...

B ჯგუფი: შიშინა კილოები: ზანური (მეგრული, ლაზური); სვანური (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული)[65]

[65] სხვა კლასიფიკაციებისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ლ. ხაჭაპურიძე, ქართველურ ენა-კილოთა განდასების საკითხები, XXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მოხსენებები, ქუთაისი, 2009.

1.2. ქართველურ ენა-კილოთა ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურების სისტემური ანალიზი

დღეს აქტუალურია კითხვა: ქართველური იდიომები ლინგვისტურად უფრო დამოუკიდებელი ენობრივი სისტემებია თუ ერთი ენობრივი სისტემის ქვესისტემებს (ვარიანტებს) წარმოადგენენ?

1.2.1. ქართველურ ენა-კილოთა ფონემატური სტრუქტურა

თანამედროვე ქართველური იდიომები ფონემათა რაოდენობისა და მათი პარადიგმატული მიმართების თვალსაზრისით არსებითად არ განსხვავდება **საერთო-ქართველურისა და სამწიგნობრო ქართულისაგან**. წარმოდგენილია ყველა ის ფონემა (ხმოვანი, თანხმოვანი), რომელიც ისტორიულად სალიტერატურო ქართულ ენას ახასიათებდა:

ხმოვნები: ა ე ო ი უ (ი და უ სონანტური ბუნების ბგერებია).

თანხმოვნები: ხშულები: ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; გ, ქ, კ; ჲ, ყ.
აფრიკატები: ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ.
ნაპარალოვნები: ზ, ს; ჟ, შ; ღ, ხ; ჰ.
სონორები: ვ, მ, ნ, რ, ლ.

ძირითადი ფონემების გვერდით ქართველურ დიალექტებში დასტურდება თანამედროვე სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული ბგერები; ხმოვანთაგან: გრძელი ხმოვნები, ნეიტრალური გ ხმოვანი, პალატალიზებული ("უმლაუტიანი") ხმოვნები, მოკლე ხმოვნები, შემართვა-დამართვის ხმოვნები (მკვეთრი, ფშვინვიერი, იოტიანი)... თანხმოვანთაგან: ჲ (რომელიც სამწიგნობრო ენაში გამოიყენებოდა მე-20 საუკუნემდე), ღ, ჶ.

ქართველურ კილოებში **გრძელი ხმოვნები** მიიღება: ა) იდენტურ ხმოვანთა შერწყმით, ბ) დაკარგული ბგერის საკომპენსაციოდ, გ) ტონური მახვილის შედეგად... გვხვდება: სვანურ კილოებში (ბალსზემოური, ლაშხური, ჩოლურული), თუშურში, მთიულურში, აჭარულში, სამცხურში, ფერეიდნულში, ნაწილობრივ მეგრულში.[66]

---

[66] არნ.ჩიქობავა,1924; ჭ.ლომთათიძე, 1946; ს.ჟღენტი,1953; ა.ონიანი, 1962; გ.მაჭავარიანი, 1963; თ.უთურგაიძე,1969; ბ.ჯორბენაძე, 1989; ვ.თოფურია, 2002...

ნეიტრალური გ ბგერა მეტ-ნაკლებად ყველა ქართველურ კილოში დასტურდება. ნიშანდობლივია სვანური და მეგრული მეტყველებისათვის. სვანურ კილოებში **გ** ხმოვანი ძირითად ხმოვანთა რიგში განიხილება. **გ** ბგერა ზოგადად წარმოადგენს: ა) ხმოვანი ფონემის პოზიციურ (რედუცირებულ) ვარიანტს, ბ) მავრცობ ხმოვანს, გ) თანხმოვანთგამყარს.[67]

პალატალიზებული (უმლაუტიანი) ხმოვნები (ჳ, ჶ, ჷ) დასტურდება: მოხეურში, სამცხურში, ჯავახურში, იმერხეულში, ლივანურში, ტაოურში, ჰერულ და სვანურ კილოებში (გარდა ლაშხურისა). მოხეურში, სამცხურში, ჯავახურში, მთიულურში ვე, ვი კომპლექსის შემცველ სიტყვებში ვლინდება, ისინი ფონემების დონეზე არ გამოიყოფა. იმერხეულში, ლივანურში, ტაოურში პალატალიზებული ხმოვნები ძირითადად თურქულ სიტყვებში დასტურდება, საკუთრივ ქართული წარმომავლობის სიტყვებში არ ჩანს. სვანურ კილოებში პალატალიზებული ხმოვნები ფონემებს წარმოადგენს, ხოლო ჰერულ კილოებში ფონემიზაციის პროცესი სრულყოფისაკენ მიდის.[68]

მოკლე ხმოვნები დასტურდება ხევსურულსა და თუშურში. როგორც წესი, გვხვდება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. წარმოადგენს სრულ ხმოვანთა პოზიციურ ვარიანტს.[69]

ხმოვანთა შემართვისა და დამართვის სამივე სახეობა (მკვეთრი, ფშვინვიერი და რბილი) მეტ-ნაკლებად ყველა კილოში გვხვდება. მკვეთრი შემართვა-დამართვა ძირითადად დასტურდება ექსპრესიულ სიტყვებში (შორისდებულები, ნაწილაკები), გრაფიკულად ჴ ან ' ნიშნით გადმოიცემა.

მკვეთრი შემართვა: **თუშ.**: **ჴ** უამბუ „უამბო" **მოხ.**: **ჴ** ის „ის", **ჴ** არა „არა" **ჰერ..**: **ჴ** უთქომ „უთქვამს" **ჳან.**: **ჴ** არ (ათინ.) „ერთი", **ჴ** იდეს <

---

[67] გ ბგერის წარმომავლობისა და დისტრიბუციისათვის დაწვრ. იხ.: ს.ჟღენტი, 1953, ნ.იმნაძე, 1981; ბ.ჯორბენაძე, 1998; ტ.ფუტკარაძე, 1998; მ.ფაღავა, 2004; ე.დადიანი, 2007...

[68] ძირითადი ლიტერატურა: ვ.თოფურია, 1928; ს.ჟღენტი, 1949; გრ.იმნაიშვილი, 1953; გ.მაჭავარიანი,1963; მ.ქალდანი, 1969; ა.ონიანი, 1969; გ.მაჭავარიანი, 1970; თ.უთურგაიძე, 1979; ა.შანიძე, 1981; ვ.კუზიბაბაშვილი, 1991; ბ.ჯორბენაძე, 1998; ტ.ფუტკარაძე, 1997; ტ.ფუტკარაძე, 1998.

[69] დაწვრ. იხ.: ა.ჭინჭარაული, 1960; თ.უთურგაიძე, 1960; თ.უთურგაიძე, 1969; ბ.ჯორბენაძე., 1998.

იდეს (ათინ.) „წავიდნენ“, ჳ იკითხუ „იკითხა“ მეგრ.: ჳ ეხ „ეხ“ ჳ აუ „აუპ“... სვან. ჳ ახ, ჳ ოხ, ჳ ოჲტ (ვ.თოფურია, 1979, გვ. 159).

მკვეთრი დამართვა: თუშ.: გაჳ კეთ „გააკეთა“, გუჳ კეთ „გაუკეთა“ ხევს.: დასტურებჳ „დასტურები“, ჰოჳ , არჳ , ჰჳ

ფშვინვიერი შემართვა-დამართვა ჰ ნიშნით გამოიხატება. დასტურდება: სვანურ, ჭანურ, მეგრულ, თუშურ, ჰერულ, მესხურ, ქართლურ დიალექტებში.

ფშვინვიერი შემართვის ნიმუშები: სვან.: ბზ. ჰარაყ “არაყი”, ჰავეკ “ავეკი”, ჰალაგ “ალაგი”, ბქვ. ჰეჭუ “ეჭვი“, ლხმ., ჩბხ. ჰარაკ “არაკი”, ჰარიქა “არიქა” ჭან.: ვიწ.-არქ. ჰაჲა “ეს“, ჰეა “ის“, ჰამუქ “ამან”, ჰაშო “ასე“, ჰასთერი/ასთერი “ასეთი” თუშ.: ჰაბა „აბა“, ჰარიქ „არიქა“ ჰერ.: ჰეგი “ეგი”, ჰეს “ეს”, ჰომობს “ომობს”, ჰალალ “ალალი” სამცხ.: ჰამას “ამას”, ჰაკვანი “აკვანი”, ჰეკალი “ეკალი” ჯავახ.: ჰამას “ამას”, ჰეჭვი “ეჭვი”, ჰეგრე “ეგრე”... მეგრ.: ჰაი, ჰატ, ჰა...

რბილი შემართვა ჲ ნიშნით აღინიშნება. დასტურდება: ჰერულში, თუშურში, მოხეურში, მეგრულში, ჭანურში, სვანურში... მაგ.: ჰერ.: ჲ-ემაგ(/ჰემაგ), ჲ-ეხლა „ახლა“, ჲ-ერით(/ჰერით)... თუშ.: ჲ-ამ, ჲ-ახლ, ჲ-აგრ... მოხ.: ჲ-ეს, ჲ-ეგ, ჲ-ენა, ჲ-ერთი... ჭან.: ჰჲატი „ცუდი“, ჲოფშა „სავსე“, ჰჲურჭა (/ჰურჭა) „ჩინჭალა“ (ს.ჟღენტი,1953,გვ.29-30). მეგრ.: ძაჲამი „ძალიან“, მაჲაღური „მოლაღური“ (ს.ჟღენტი, 1953, გვ. 31). სვან.: ჲორი “ორი”, ჲეშდ “ათი”

ჳ თანხმოვანი დაცულია სვანურ და ფხოურ კილოებში. შედარებით იშვიათია კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში, ფერეიდნულში, მესხურ კილოებში (იმერხეულში, ლივანურში, ტაოურში), ჰერულში, ქართლურში (არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველებაში). მაგ.:

სვან.: ლიჳშდე (*ლი ჳეშდე „ყეფა“), ლიჳჩე (*ლი ჳიჩე “ცვეთა”)... (ვ.თოფურია, 1979, გვ.45); ფხოური: ჳელი, ფეჳი, ჳორცი, ჳევი, ჳმა, ჳევისბერი... ჰერ: ჳარი, საჳნავი... იმერხ.: ბაჳალა, ჳერჳი, ჳელი, ჳარი, ჳევი, ჳელი, ჳიდი... (შ.ფუტკარაძე,1995, გვ.6; მ.ფალავა, 2005, გვ.47); მაჭახლ.: ჳერთვისი, ჳევჳიდი, ჳმა, ჳარი... (შ.ფუტკარაძე, 1995, გვ. 24); ტაოური: თოჳი, ჳმა, ფერჳული... (შ.ფუტკარაძე, 1995, გვ. 30).

ფ კბილბაგისმიერი ყრუ ფშვინვიერი ბგერა, როგორც ჳ ფონემის პოზიციური ვარიანტი, კილოებში თავს იჩენს ყრუ ფშვინვიერი და მკვეთრი ბგერების წინ: ფ-კითხულობ, ფ-თქვი, ფ-ფურცლავ, ფ-სინჯავ, ამბაფ-ს, კლაფ-ს... მეგრ.: ფ-თასუნქ „ვთესავ“, ფ-ქუნუნქ „ვფუთავ“... ჭან.: მო-ფ-თი “მოვედი”... ჭანურში ფ უმთავრესად უცხო სიტყვებში დასტურდება: ფუკარა (თურქ.) „ღარიბი“, ეფენდი

(თურქ.) "ბატონი", ოფრიდი (ბერძნ.) "წარბი", კარაფი (ბერძნ.) "ლურსმანი"... ჰერულში (ალიაბათურში) ფ, ჩვეულებრივ, ჩნდება გარკვეულ პოზიციებში ფონეტიკურ ნიადაგზე: ფ-ჭამ, ფ-ჭრი, ფ-თლი (გრ.იმნაიშვილი, 1963, გვ. 82).

ჳ ბგერა შორისდებულებისა და ჩვენებითი ნაცვალ-სახელების დასაწყისში (ხმოვნის წინ) შეიძლება ყველა დიალექტში შეგვხვდეს. იგი ძირითადად ხმოვნის მაგარი შემართვის შედეგად ვითარდება და ფონემად არ ჩაითვლება.

მეგრულ-ჭანურში ჳ ბგერა ძირითადად წარმოადგენს ყ-ს პოზიციურ ვარიანტს: ჳუჯი "ყური", ჳვალი "ყველი"

ჳ ბგერა დამახასიათებელია თუშური კილოსათვის. თ. უთურგაიძის აზრით, თუშურში ჳ ბგერა დამოუკიდებელ ფონემად უნდა გამოიყოს, ვინაიდან ზოგჯერ მნიშვნელობათგანმასხვავებლის ფუნქციით დასტურდება, მაგ.: დაჳ ოჲ (მამაკაცის სახელი) და დაოჲ (ნათესავი ქალი), ხ იჳ ოჲ (მამაკაცის სახელი) და ხიოჲ (ხევა ზმნის II კავშირებითის ფორმა).[70]

ჩამოთვლილი ბგერები (გარდა ჯ-ისა) მეორეული, პოზიციურად მიღებული ბგერებია. ამ თვალსაზრისით მეგრულ-ლაზური და სვანური მეტყველებები ქართული ენის დიალექტებისაგან ფაქტობრივად არაფრით განსხვავდება.

საერთოქართველური ენის ხმოვანთა დიალექტური ვარიანტები (ხმოვანთშესატყვისობანი). საერთოქართველური ხმოვნები თანამედროვე ქართველურ დიალექტებში ძირითადად უცვლელი რჩება. არაიშვიათად, ა და ე ხმოვნებს მეგრულ-ჭანურში სხვა ვარიანტები (ო, ა) შეესაბამება. ამგვარი ხმოვანთმონაცვლეობა ბგერათშესატყვისობის სახელითაა ცნობილი (სალიტერატურო ქართულსა და სვანურ კილოებს შორის ხმოვანთა მიმართება ძირითადად იდენტურია).

საერთოქართველურსა და მეგრულ-ჭანურს შორის ცნობილია ხმოვანთშესატყვისობის შემდეგი შემთხვევები:
ს.ქართვ. ა > მეგრ.-ჭან. ო: კოჩი „კაცი", ოში „ასი", დო "და"
ს.ქართვ. ე > მეგრ.-ჭან. ა: მა „მე", დღა „დღე", მაფა „მეფე"

---

[70] ჳ ბგერის შესახებ იხ.: ი.ყიფშიძე, 1914; არნ. ჩიქობავა,1936; ს.ჯღენტი,1953; თ.უთურგაიძე, 1960; გრ. იმნაიშვილი, 1963; ნ.კიზირია, 1980; ნ. იმნაძე,1981; ბ.ჯორბენაძე, 1998; ნ.ქუთელია, 2005...

მსგავსი შემთხვევები სპორადულად სხვა დიალექტებშიც გვხვდება, კერძოდ:

ა>ო: ტანიანი>ტონიანი (ჰერ.-კაკ.), დედა>დედო (აჭარ.), ჭაპანი>ჭოპანი (მოხ.), მზარეული>მზორეული (ქართლ.)...

ე>ა: ჯებირი>ჯაბირი, ქეიფი>ქაიფი/ქაიბი (ხევს.), ზეით>ზაით, კიდევ>კიდავ, მერე>მამრე (მოხ.)...

ი>ე: იყო>ეყო (ჰერ.), მანდილი>მანდელი (ხევს.), ხესავით>ხესავეთ (იმერ.), უნაგირი>უნაგერი (რაჭ.)... [71]

როგორც ვნახეთ, საერთოქართველურ ხმოვნებს თვისობრივად ერთგვარი რეფლექსები აქვს ყველა ქართველურ კილოში, თუმცა მეგრულ-ჭანურში ხმოვანთმონაცვლეობა შედარებით რეგულარულია.

ზანური ვარიანტების შესახებ არნ.ჩიქობავა აღნიშნავს, რომ სხვაობას იწვევს არტიკულაციის ცვლა, კერძოდ, ზანურში მოხდა ბგერათა წარმოთქმის (**წარმოების**) **უკან გადაწევა**. მკვლევრის აზრით, აღნიშნული პროცესი ერთბაშად არ მომხდარა, იგი თანდათან ვითარდებოდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც გარკვეული ბგერათშესატყვისობა (არნ.ჩიქობავა, 1938, გვ. 6-9, 441-442). აქვე ისმის კითხვა: თუკი არტიკულაციის უკან გადაწევა მოხდა, რატომ განიცადა ეს მხოლოდ ფონემათა მცირე ნაწილმა (მაგ., დ, თ, ტ რატომ არ გადაიწია ძ, ც, წ-დ)? გარდა ამისა, ა > ო პროცესის განსახორციელებლად საკმარისი არ არის ენის უკან გადაწევა; ა

---

[71] ცნობილია სხვა სახის ხმოვანთმონაცვლეობის ფაქტებიც. კერძოდ, ზოგი მეცნიერის აზრით: ს.ქართვ. ი > მეგრ.-ჭან. ე: მაყარე (მეგრ.) „მაყარი", ქოთუმე (ჭან.) „ქათამი" ვფიქრობთ, ი/ე აქ უფრო მორფოლოგიური ეკვივალენტებია, ვიდრე - ფონეტიკური სახესხვაობები. აქვე **ე : ი** მონაცვლეობის შესახებ: გ. როგავა აღნიშნავს, რომ ზანურში ე ხმოვნის გადასვლა ი ხმოვანში პოზიციური ხასიათისაა: ეა ხმოვანთკომპლექსი გადადის ია-ში: მწარე>მწარია, ეამა>იამა (ფშ.)... აქ საქმე გვაქვს ხმოვანთა დისიმილაციასთან, უკეთ, გარკვეულ ხმოვანთა კომპლექსის დიფთონგიზაციასთან: ეა>ია/ჲა. მეგრულში დისიმილაციას ადგილი აქვს მაშინაც, როცა ე და ა ხმოვნები თანხმოვნითაა გათიშული: დედა>დიდა, ვენახი>ბინეხი, ენა>ნინა, ნეტავი>ნიტე, მტევანი>ტიანი, მწევარი>წიარი... (გ. როგავა, 1975).

ხმოვანთა ვარიანტების გამოვლენის მიხედვით სხვაობს მეგრულ-ჭანური კილოებიც, მაგ.: ა/ე: ჟაშხა/ჟეშხა (მეგრ.) „კვირა", ჰაჰა/ჰეჰა (ჭან.) (შდრ.: რაბე (კაკ.)/რებე (ალიაბათ.), ფაყი (ალიაბათ.) /ფეყი (კაკ.) „ფეხი")...

ი/ე: დიხა(მეგრ.), დეხა(ჭან.) „მიწა"; ქოთომი (მეგრ.), ქოთუმე (ჭან.) „ქათამი"

უ/ი: ჭან. ქური/მეგრ. ქირი, ჭან. ჟური/მეგრ. ჟირი, ჭან. ჯუმა/მეგრ. ჯიმა, ჭან. გურუნი/მეგრ. გირინი...

ვიწ.-არქ. ლუმჯი/ხოფ. ლიმჯი, ვიწ.-არქ. ნუსა/ხოფ. ნისა, ვიწ.არქ. ფუქური/ხოფ. ფიქირი „ყვავილი"... (შდრ.: შააქდინა (ალიაბათ.)/შააქდუნა (კაკ.)...

უფრ ... (შდრ. ... აღრეთვე ... ება - ება, დ - დ ... (კავშირ ...), შენ - ... ი ტიპის მიმართებები)...

აღსანიშნავია ისიც, რომ მეგრულ-ჭანურში ს.ქართვ. ა ხმოვანი ყველა შემთხვევაში არ გადადის ო-ში: უფრო ხშირად ა უცვლელი რჩება. ასევე დახასიათდება ს.ქართვ. ე ზან. ა შესატყვისობაც.[72]

საერთოქართველური ენის თანხმოვანთა დიალექტური ვარიანტები (თანხმოვანთშესატყვისობანი). საერთოქართველური ენის თანხმოვნები ქართველურ ქვესისტემებში ძირითადად უცვლელია. განსხვავებულ სურათს ქმნის სიბილანტები.

ზანურსა და სვანურში სიბილანტთა ცვლილება კანონზომიერ და რეგულარულ ხასიათს ატარებს და თანხმოვანთშესატყვისობის სახელით არის ცნობილი.

ა) სისინა თანხმოვანთა რეფლექსები

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეგრულ-ჭანურ-სვანურის შიშინა თანხმოვნები ს.ქართველური სისინა თანხმოვნების შესატყვისად არის შედეგი არტიკულაციის უკან გადაწევისა (არნ.ჩიქობავა, 1938, გვ.6-9, 441-442; ს.ჟღენტი, 1949, გვ.130-133; გ.როგავა, 1953, გვ.42-43; ვ.თოფურია, 1960, გვ.150).

გარკვეულ შემთხვევებში საერთოქართველური სისინა თანხმოვანი მეგრულ-ჭანურ-სვანურში იმავე სისინა თანხმოვნით არის წარმოდგენილი, მაგ.:

ს.ქართვ. მძაღე, მეგრ. ძუღე, სვან. მგ-ძიღ; ს.ქართვ. ცხემლა, მეგრ. ცხემური/ცხიმური, სვან. ცხუმ/ცხგმ/ცხუიმ....

კანონზომიერ შესატყვისობათაგან გადახვევები სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი:

მკვლევართა ნაწილი (გ. მაჭავარიანი, კ. შმიდტი, გ. წერეთელი, მ. ჭურდიანი...) ვარაუდობს საერთოქართველურში სპირანტებისა და აფრიკატების სამი რიგის (წინა, შუა და უკანა) არსებობას.

---

[72] საერთოქართველურ ხმოვანთა რეფლექსები ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა გაანალიზებული; იხ.: ი.ყიფშიძე,1914; არნ.ჩიქობავა,1938; გ.მაჭავარიანი, 1958; თ.გაყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965; ტ.ფუტკარაძე, 1989; ტ. ფუტკარაძე,1990; ტ.ფუტკარაძე, ე.დადიანი, 2005...

ნაწილი მეცნიერებისა [illegible] ჩუხუა...) ვიცინა მაგ-
მოვნების შემცველ სიტყვაფორმათა არსებობას მეგრულ-ჭანურ-სვანურში ქართულის გავლენით ხსნის: ან შეთვისებულია ქართულიდან, ან კიდევ ქართულის გავლენითაა სახეცვლილი.

უფრო ლოგიკურია იმის აღნიშვნა, რომ საერთოქართველურ სიტყვათა ერთი ნაწილი უცვლელად არის შემონახული ქართველურ დიალექტებში, ხოლო მეორე ნაწილი ფონეტიკურად თუ სემანტიკურად არის სახეცვლილი. ბგერათცვლილების გამომწვევი ფონეტიკური ფაქტორები დღეს უცნობია.

ბ) შიშინა თანხმოვანთა რეფლექსები

ს.ქართველურ შიშინა თანხმოვნებს მეგრულ-ჭანურსა და სვანურში, როგორც წესი, ბგერათკომპლექსი შეესატყვისება: შიშინა თანხმოვანი + უკანაენისმიერი ხშული: **ს.ქართვ.** (ნა)ბიჯი, **მეგრ.** გებიჯგ-აფა "დაბიჯება", **სვან.** ბიჯგ "ნაბიჯი"; **ს.ქართვ.** შუიდი, **მეგრ.** შქვითი, **ლაზ.** შქვითი/შქითი, **სვან.** იშგუიდ...

ს.ქართვ. *ჟ ფონემის არსებობა საეჭვოდ მიიჩნევა. ა.შანიძის აზრით, ჟ მეორეული ბგერაა. შესაბამისად, შესატყვისობა ჟ:ჟგ/ზგ არ არის დადასტურებული.

ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით, ს.ქართველურში გამოვლენილია ისეთი ფუძეები, რომლებიც ადასტურებენ ბგერათშესატყვისობას: ქართ. **ჟ** ზან. **ჟლ/ჟგ**, რაც უტყუარს ხდის ს.ქართვ. *ჟ ფონემის რეკონსტრუქციას.[73]

აღნიშნული ბგერათფარდობანი მეგრულ-ჭანურ-სვანურში ხშირად დარღვეულია:

ა) ს.ქართვ. **შ**-ს შესატყვისად **ს** გვაქვს: ს.ქართვ. **შენ** - მეგრ.-ჭან. **სი** - სვან. **სი**...

ბ) ს.ქართვ. **შიშინა** თანხმოვნების შესატყვისად წარმოდგენილია სისინა თანხმოვნიანი კომპლექსი (**ძგ, ცქ, წკ, სქ/სგ**): ს.ქართვ. **შუენის**, მეგრ. **სქვამი** "შვენიერი", სვან. **მუსგუან** „მშვენიერი"

---

[73] მაგ.: ს.ქართვ. **ულეტ**, ზან. **ჟგართ/ჟგარტ** "დახეთქება, მაგრად ცემა, დაბეგვა" (ვ.შენგელია, 1996, გვ. 28).

ს.ქართვ. **ურობა** (გურ.) "ნელი ხარშვა", **დამჟღნარი** "ხილი დამჭკნარი" (საბა), ზან. **ჟღირაფა/ბუღირაფა** "ჭკნობა"; ს.ქართვ **ჟუვილი** "დაბუჟებული ხორცის ჩხვლეტა" (საბა), ზან. **ჟღირინი**, უჟღირუანს "უხურს, სჩხვლეტს, უბუჟის" (რ.აბაშია, 2003, გვ. 5-9).

გ) შიშინა თანხმოვანი უცვლელია, არ განივითარებს უკანაენისმიერ თანხმოვნებს. მაგ.: ს.ქართვ. **ღრეჯა**, მეგრ. **ღრანჯუა** "დაღრეჯა", სვან. **მგ-ღლიჯ/მგ-ღიჯ** "დაკრეჭილი (კბილი)"

დ) სვანურს ორი ყრუ თანხმოვნისაგან შედგენილი ბგერათკომპლექსი არ ახასიათებს: დისიმილაციის საფუძველზე მეორე ყრუ თანხმოვანი მჟღერდება. ამავე დროს ხდება აფრიკატთა სპირანტიზაცია, მაგ.: **ჭ>ჭკ>შკ**: ქართ. **ჭედვა**, მეგრ.-ლაზ. **ჭკადუა**, სვან. **ლი-შკად-ი**...[74]

სიბილანტ თანხმოვანთა მეგრულ-ჭანურ-სვანურის მსგავსი რეფლექსები იშვიათად სხვა დიალექტებშიც დასტურდება, მაგ.:

სისინა > შიშინა: სკამი>შკამი, ქისტი>ქიშტი (მოხ.); უსტვენს>უშტვენს (კახ.); ნესტო>ნეშტო, სტოლი>შტოლი (ზ.იმერ.); სტრაფილი>შტრაფილი (ქართლ.)... ზის>ჟის (ჰერ.); ზღმარტლი>ჟღმარტლი (ალგ. ქართლ.)... სპილენძი>სპილენჯი (რაჭ.)... ამოვძირკვე>ამოვჯირკვე... გაბეცება>გაბეჭება (კახ., ჯავახ.); დერციკი>დერჩიკი (კახ.)... წირინტა>ჭირინტა (ალგ. ქართლ.); ნაწვრეთი>ნაჭვრეთი< „ნაჭრილობევი" (ხევს.); წვეთი>ჭვეთი (გურ.)...

შიშინა > თანხმოვანთკომპლექსი: ჰდე > ჰკდე (ხევს., მთ., თუშ.), ჴნავი > ჰკნავი (აჭარ.), მჭვარტლი > ჰკორტლ (ჰერ.), ჭრიალი > ჰკრიალი (ლეჩხ.)... (ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 51-57).

---

[74] შიშინა თანხმოვნების ნაირგვარი რეფლექსი სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი, კერძოდ, მკვლევართა ნაწილი (არნ.ჩიქობავა, 1938; გ.როგავა, 1960) მიიჩნევს, რომ ბგერათფარდობაში **შ - სჭ/სგ** ამოსავალია სისინა ვარიანტი. თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი ვარაუდობენ, რომ **შჭ/შგ** და სჭ/სგ კომპლექსები ერთი და იმავე შ ფონემის რეფლექსებია, რომელიც შეპირობებულია პოზიციით, კერძოდ: **შ-შჭ/ შგ>სჭ/სგ** პროცესი მეგრულ-ჭანურ-სვანურში შეიძლება აიხსნას ვ/უ ბგერის არსებობით, აგრეთვე, შ ბგერის პალატალური ბუნებით. შ სისთან შედარებით უფრო პალატალურია. პალატალური და ლაბიალური ბგერები ერთმანეთის მეზობლად ვერ ძლებს, ამდენად, ენაში კანონზომიერი პროცესი განვითარდა:**შ>ს** (თ.გამყრელიძე,1959; გ.მაჭავარიანი, 1965). მ.ჩუხუას აზრით, ქართულში თავდაპირველი **ს>შ**, მეგრულ-ჭანურ-სვანურში კი ს არ შეცვლილა, ოღონდ მის შემდეგ დაირთო უკანაენისმიერი თანხმოვანი; მ.ჩუხუას აზრით, სისინა რიგის სიბილანტებში არტიკულაციის უკან გადაწევა სისინა>შიშინა გარდაქმნის გარდა მიიღწეოდა სისინა სიბილანტის მომდევნოდ უკანაენისმიერ ხშულთა განვითარებით (მ.ჩუხუა, 2003).

შიშინა თანხმოვნებს მუდმივად ახასიათებს თავისთავადი ლაბიალიზაცია. თუ ასეთ თანხმოვანს მოსდევს ლაბიალური ხმოვანი, თანხმოვანი, მაშინ ხდება დელაბიალიზაცია, შიშინა თანხმოვანთა გასისინება (ტ.ფუტკარაძე, 2005, გვ. 272).

როგორც ვხედავთ, **ქართველურ ქვესისტემებს შორის განსხვავება არაარსებითია:** ზანურ-სვანურში თანხმოვანთ-მონაცვლეობას უფრო ინტენსიური ხასიათი აქვს. ქართველურ კილოებში ბგერათფარდობის სხვადასხვაგვარი გამოვლენა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას.

„საკუთრივ რომელიმე დიალექტისათვის არაკანონზომიერი პროცესი საერთოქართული პოტენციის გამოვლინებაა... ის, რაც ამჟამად ცალკეული ფაქტების სახით დაჩნდება მავან დიალექტში, შესაძლოა ისტორიულად ყოფილიყო მისთვის დამახასიათებელი ან შემდგომ გახდეს მისი ფონეტიკური იერ-სახის განმსაზღვრელი“ (ბ. ჯორბენაძე,1998, გვ. 150).

“ის, რაც ამჟამად ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობად განიხილება, ისტორიულად ამ ენათა დიალექტებისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო“ (ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 56).

“მონათესავე ენებსა და იმავდროულად მათსავე დიალექტებში საკმაოდ მრავლადაა საერთო საფუძვლის მქონე მოვლენები “ (ბ. ჯორბენაძე). ე. ი. თვისებრივი სხვაობა არ არსებობს ფუძეენასა და თანამედროვე ვარიანტს შორის. საერთოქართველურშიც ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ სიტყვის სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტთა თანაარსებობა (ტ.ფუტკარაძე, 1996, გვ.23-24).

ვფიქრობთ, დასადგენია მიზეზები, რა შემთხვევებში მივიღეთ საყოველთაოდ ცნობილი ბგერათშესატყვისობანი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გ. ელიავას ლექსიკონში ჰ ბგერით დაწყებული იდენტური სიტყვები შეადგენს 40%-ს, შესატყვისობა გვაქვს 29%, ხოლო 31% საკვლევია. ბევრი იდენტური სიტყვა მკვლევრებს ლექსიკონში არ შეაქვთ. ამდენად, გაუმართლებლად გვეჩვენება საერთოქართველურში ორი ჰ-ს (ან ორი წ-ს, ძ-ს, ც-ს) რეკონსტრუირება, ასევე, იდენტური ფორმების სესხებით ახსნა. სავარაუდოა, რომ კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობის სახელით ცნობილი მიმართებანი სათავეს იღებს საერთოქართველურშივე არსებული ფონეტიკური ვარიანტებიდან. ამას გვაფიქრებინებს მსგავსი ფაქტების არსებობა ქართველურ ქვესისტემებში.

ამდენად, უფრო ლოგიკური ჩანს ე.წ. ქართველური შესატყვისობების მიზეზი ფონეტიკურ გარემოცვაში ან სხვა ფაქტორებში ვეძიოთ და არა “არტიკულაციის უკან გადაწევაში.“

ქართველურ ქვესისტემებში ფონეტიკურ ცვლილებათა ტენდენციებიც ძირითადად საერთოა. მაგ., ქართველურ ქვესისტემებში ხმოვანთა რედუქციის შესახებ იხ.: ი.ყიფშიძე, 1914; მ.ციკოლია, 1950; ს.ჟღენტი, 1953; მ.ციკოლია, 1954; თ.უთურგაიძე, 1976; ა.შანიძე, 1981; მ.ნიკოლაიშვილი, 1984; ბ.ჯორბენაძე, 1998... ხმოვანთკომპლექსთა ტრანსფორმაციისათვის შესახებ კი იხ.: ი.ყიფშიძე, 1914; არნ.ჩიქობავა, 1936; ა.ღლონტი,1936; ვ.თოფურია, 1954; მ.ციკოლია,1954; კ.კუბლაშვილი, 1959; ო.კახაძე, 1981; ბ. ჯორბენაძე, 1995; შ. ძიძიგური, 1998; ო.კახაძე, 1999; გ.კარტოზია, 2005; ნ. ქუთელია, 2005...

სხვა ფონეტიკურ პროცესთაგან რამდენიმეს შევეხებით:

მეტათეზისის შემთხვევები ქართველურ ქვესისტემებში ხშირია. აქ ნიმუშად I პირის **ვ-** ნიშნის მეტათეზისს განვიხილავთ[75].

ვ- პრეფიქსის მეტათეზისი გვხვდება: თუშურში, ჰერულში, მეგრულში, სვანურ კილოებში. იშვიათად: იმერულში, აჭარულში, ჭავახურში... ფონეტიკური პროცესი აიხსნება თავკიდურ პოზიციაში წარმოქმნილი არაბუნებრივი კომპლექსის გამარტივების ძლიერი ტენდენციის არსებობით. **ვ-** პრეფიქსის გაინფიქსება დასტურდება როგორც თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან, ისე ხმოვანპრეფიქსებთან შეხვედრისას.

I. სიტყვის თავკიდურად მორფემათა ზღვარზე **ვ-** პრეფიქსისა და ფუძისეული თანხმოვნისაგან შედგენილი ბგერათკომპლექსის **ვ/უ+C** ცვლილება კილოებში შეიძლება ორგვარად წარიმართოს, კერძოდ:

ა) ერთ შემთხვევაში **ვ-/უ-** პრეფიქსი გადაინაცვლებს ფუძისეული თანხმოვნის მომდევნოდ და წარმოიქმნება ქართველურისთვის უფრო ბუნებრივი კომპლექსი (**C+ვ-/უ-**), მაგ.: თუშ.: ვ-დაობ>დ-ვ-აობ, ვ-ტირი>ტ-ვ-ირი, ვ-ჩეჩ>ჩ-ვ-ეჩ, ვ-ჭამ>ჭ-ვ-ამ... იმერ., აჭარ.: ვ-ხნავ>ხ-ვ-ნავ... (მსგავსი ფაქტები სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია ენის მისწრაფებით, შექმნას მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსები) (თ.უთურგაიძე, 1976).

სვანურ კილოებში I პირის ნიშანი თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან, ჩვეულებრივ, ინფიქსად იქცევა, მაგ.: ზ.სვ., ლნტ. ტ-უ-

[75] დაწვრილებით იხ.: ტ.ფუტკარაძე, ე.დადიანი, 2004.

"ვლაპარაკობ" ფორმის ანალიზი ავალებს მკვლევარს ეჭვი შეიტანოს ამ ფორმის (ვ.თოფურია, 1967, გვ.10). შდრ. ლაშხურის ვითარება. სადაც I სერიაში ზმნებს უ პრეფიქსი არ გააჩნიათ, მაგ.: ტეხე "ვაბრუნებ", ტეხნი "ვბრუნდები", გარგლი "ვლაპარაკობ"

თუკი ფუძე იწყება ლაბიალური თანხმოვნით და მას მოსდევს ე, ი ხმოვნები, პალატალიზებული ხმოვნების მქონე სვანურ დიალექტებში (ბზ., ბქვ., ლნტ.) უ ნიშანი მეტათეზისის შემდეგ ე, ი ხმოვნებს ერწყმის და ვიღებთ პალატალიზებულ (უმლაუტიან) ო, უ ბგერებს, მაგ.: ბზ. პორნი, ლნტ. პორენი "ვფრენ" მიღებულია ასე: პორნი<პ-უ-ერნი<უ-პერნი, ბზ. ბოჭკუნი<ბ-უ-ეჭკუნი<უ-ბეჭკუნი "ვსკდები" (ვ.თოფურია, 1967, გვ.10).

ანალოგიური ვითარება გვაქვს ჰერულში, ოღონდ, სვანურისაგან განსხვავებით, ჰერულში პალატალიზებული ხმოვნები მიიღება ნებისმიერი თანხმოვნის მეზობლად, მაგ.: ვ-ფ-იქრობ>ფ-ვ-იქრობ>ფ-უ-ქრობ, ვ-რ-ეცხავ>რ-ვ-ეცხავ>რ-ო-ცხავ...

ბ) მეორე შემთხვევაში თავკიდურ პოზიციაში არსებული თანხმოვანთკომპლექსი (ვ+C) მარტივდება ვ-ს გადასმით მომდევნო მარცვლის შემდეგ, მაგ.: იმერ., ჯავახ.: ვ-ნახე>ნა-ვ-ხე (შდრ. ინგ.: ნოხე<ნ-ვახე<ვ-ნახე); სვან. (ეცერ.): უ-ფეშგნი>ფეშგუნი "ვიხსნები", უ-ნეცხნი>ნეცხ-უ-ნი "ვიღვიძებ"

მეგრულში ვ- პრეფიქსი ფუძისეული მარცვლის მომდევნოდ გადაჯდება გარკვეულ შემთხვევაში, კერძოდ, ბაგისმიერი (ბ ფ პ მ) თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან (ამასთანავე, ვ- ნიშანი იცვლება მომდევნო თანხმოვნის გავლენით):

ვ-ბარუნქ > ბა-ვ-რუნქ > ბა-ბ-რუნქ "ვბარავ"

ვ-ფორუნქ > ფო-ვ-რუნქ > ფო-ბ-რუნქ "ვფარავ"

ვ-პუტორუნქ > პუ-ვ-ტორუნქ > პუ-პ-ტორუნქ "ვპუტავ"

აღნიშნული ფონეტიკური მოვლენა გამოხატულებაა გარკვეული ენობრივი კანონზომიერებისა. ცნობილია, რომ ქართულში (შესაბამისად, ქართველურ ქვესისტემებშიც) იდენტური ან ერთი ლოკალური რიგის ბგერები (ფონემები) ერთიმეორის მომდევნოდ არ გვხვდება ერთი მორფემის ფარგლებში სიტყვის თავკიდურად (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 78). ასევე, არაბუნებრივი ჩანს ქართველური კილოებისათვის ვ/უ+ი ბგერათმიმდევრობა და მისი სუპერაცია სხვადასხვა გზით ხდება.

მეგრულში **ვ-** პრეფიქსი **ი** ხმოვანპრეფიქსის მეზობლად ვერ ძლებს და, როგორც წესი, ინფიქსად იქცევა. პროცესი გარკვეული წესის დაცვით მიმდინარეობს:

1. თუ ფუძე არაბაგისმიერი თანხმოვნით იწყება, მეტათეზისი კონტაქტურია, **ვ-** ნიშანი გადაისმის ზმნური ხმოვანპრეფიქსის მომდევნოდ ფუძის წინ, მაგ.: **ვ-ი-რდუქ>ი-ვ-რდუქ>ი-ბ-რდუქ** "ვიზრდები". **ვ-ი-ჭყანქ>ი-ვ-ჭყანქ>ი-პ-ჭყანქ** "ვიწყებ"

2. ხოლო თუკი ფუძის თავკიდურად ბაგისმიერი თანხმოვანია წარმოდგენილი, მაშინ ადგილი აქვს დისტანციურ მეტათეზისს, **ვ-** მორფემა ფუძის პირველივე მარცვლის მომდევნოდ გადაჯდება (ც.ჯანჯღავა, 1989, გვ.44), მაგ.: **ვ-ი-ბირქ> ი-ბ-ი-ვ-რქ>ი-ბი-ბ-რქ** "ვმღერი", **ვ-ი-ფიქრენქ>ი-ფი-ვ-ქრენქ>ი-ფი-ფ-ქრენქ** "ვიფიქრებ"

პროცესს ვერ აბრკოლებს ზმნისწინისა თუ ნაწილაკის დართვა, მაგ.: **ქი-ბი-ბ-რქ** "ვიმღერებ", **მი-ფი-ფ-ქრენქ** "მოვიფიქრებ"

ვ- ნიშნის მეტათეზისი უცხოა ჭანურისათვის. თუმცა ჭანურში (ძირითადად ვიწურ-არქაბულსა და ხოფურ კილოკავებში, იშვიათად ათინურში) არის ტენდენცია, თავკიდურ პოზიციაში ხმოვანთა წინ **ვ-** პრეფიქსი **ბ-**თი შეიცვალოს და ამით თავიდან იქნას აცილებული **ვ+ი** მიმდევრობა, მაგ.: **ბ-ი-დი** "წავედი", შდრ. მეგრ. **ი-ბ-დი**. **ბ-ი-მგარ** "ვტირი" შდრ. მეგრ. **ი-მ-გარქ**, **ბ-ი-შქვიდერ** "ვიხრჩობი" შდრ. მეგრ. **ი-ფ-შქვიდუქ**, **ბ-ო-რე** "ვარ" შდრ.მეგრ. **ვ-ორექ**...

ვ+ი ბგერათმიმდევრობა ჰერულში შეიძლება პალატალიზებული **ჳ** ხმოვნით შეიცვალოს: **ვიც>ჳც, ვიქ>ჳქ** "ვშვრები"

ვ+ი ბგერათმიმდევრობა თავკიდურ პოზიციაში არაბუნებრივი ჩანს როგორც დიალექტებისათვის, ასევე სალიტერატურო ქართულისათვის. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულშიც, ო.ჭაჭაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონსა და ვ.თოფურიასა და მ.ქალდანის სვანურ ლექსიკონშიც ძალზე იშვიათია ისეთი ფუძეები, რომელთაც თავკიდურად **ვ+ი** მიმდევრობა უდასტურდებათ. არც ისაა შემთხვევითი, რომ საერთოქართველურისათვის მხოლოდ ერთადერთ ფორმაში, ისიც დუპლეტურ **ვინ/მინ** ნაცვალსახელში აღდგება **ვ+ი** ბგერათმიმდევრობა.

ვ- პრეფიქსის მეტათეზისის შემთხვევებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: მორფემათა ზღვარზე მორფონოლოგიური ცვლილებები ქართველურ ქვესისტემებში საერთო ფონემატური კა-

ნონზომიერების საფუძველზე მიმდინარეობს და იგი შეპირობებულია არაბუნებრივი ბგერათკომპლექსის მოშლის ტენდენციით.

ლაბიალურ კომპლექსთა ცვლილებანი. ქართველურ ქვესისტემებში **ვა, ვე, ვი** კომპლექსები შემდეგი ფონეტიკური ნაირსახეობებით რეალიზდება:

ა) ვა (უა) > ო, ბ) ვე (უე) > ო / ჶ, გ) ვი (უი) > უ / ჳ.

1. **ვა(უა)>ო** გავრცელებულია: ფხოურ კილოებში, ქართლურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, რაჭულში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულში, სამცხურში, ტაოურში, მეგრულში... მაგ.: ვაჟი>ოჟი, სიტყვა>სიტყო, სხვა>სხო (ხევს.); ყვავილი> ყოილი, ყვავი>ყოვი, ზვავი>ზოვი (ფშ.); ძვალი>ძოლი, გაგვაგებინა>გაგოგებინა>გოგოგებინა (მოხ.); ვაჟშამი>ოჟშამი, ცხვარი>ცხორი, უყვარს>უყორს (მთ.-გუდ.); მარცვალი>მარცოლი, გადაუსვამს> გადაუსომს (ქართლ.); სვამს>სომს, ხვავი>ხოვი, შაუშვა>შაუშო (კახ.); ვაჩუქებ>ოჩუქებ, გვაქვს>გოქავ, იცვამს>იცომს (ინგ.); წაგვართვა> წაგორთო>წოგორთო, ცხვარი>ცხორი, ძვალი>ძოლი (ფერ.); სხვამის> სხომის, იცვამს>იცომს, ჩასვა>ჩასო, გაუშვა>გაუშო რაჭ. (ზ. რაჭ., გლოლ.); სხვაგან>სხოგან, მიართვა>მიართო (იმერ.); მოირთვამს> მეირთომს (ლეჩხ.); სხვაგან>სხოგან (გურ., აჭარ.); უსვამდა>უსომდა, მარხვა>მარხო (მესხ.); ქვაბი>ქობაი (ტაოური); უცვარს>უცორს "უყვარს", ღვარანს>ღორანს "ყვირის", თოლი "თვალი", ქვარა>ქორა „მუცელი" (მეგრ.)...

2. **ვე(უე)>ო** პროცესიც მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტში გამოვლინდება:

ქვეოდე>ქოოდ "მთლად, სრულად" (ხევს.); ქვეყანა>ქოყანა/ხოყანა (ფშ.); გვეძახის>გოძახის, ჩვენ>ჩონ (მოხ.); გვედგა>გოდგა, ქვევით> ქოით (მთ.-გუდ.); უშვებს>უშოფს, ქვევით>ქოით (ქართლ.); ნაკვერჩხალი>ნაკორჩხალი, დაჩვეული>დაჩოული (კახ.); გვებარა> გობარა (ფერ.); შვრებოდა>შობოდა, წვეულება>წოულობა (ზ.რაჭ., ქვ.რაჭ.); ყველაფერი>ყოლიფერი, მოყვება>მოყობა (იმერ.); ახვევს>ახოვს, სველდება>სოლდება (ლეჩხ.); გაუშვებს>გუშოფს, ჩვეულება>ჩოულება (აჭარ.); შედღვებენ>შედღობენ (იმერხ.); ქვემოთ>ქომოთ (ლივან.); ყველი>ყოლი, ქვემო>ქომო (ტაოური შ.ფუტკარაძე, 1995, გვ.16,31); ჩვენი>ჩონი, ხვეწნები>ხოწნები (ტაოური - მ.ცინცაძე, 2001).

ვე (უე)>ჶ დასტურდება ინგ., მოხ., ნაწილობრივ სამხრ. ქართლურსა და სამცხურ კილოებში: კვერცხი>კჶრცხი (ინგ.); გვერდი>გჶრდი (მოხ.); ქვევრი>ქჶვრი (სამცხ.); თვე>თჶ (ქართლ)...

3. **ვი (უი)>უ** შედარებით იშვიათია: მშვიდობა>მშუდობა, აკვირდების>აკურდების (მოხ.); საკვირველი>საკურველი (მთ.-გუდ.); წვივი>წუვი, ყივილი>ყიული (ქვ.ქართლ.); გვითხრეს>გუთხრეს, გვიდგა>გუდგა (ფერ.); რასაკვირველია>რასაკურველია, წვიმა>წუმა (რაჭ.-გლოლური, რიენისთაური); გათხოვილი>გათხოული, წვიმს> წუმს (იმერ.); ღვინო>ღუნო, ალვის ხე>ალუს ხე (ლეჩხ.)...

ვი (უი)>უ გვხვდება: ინგილოურში, მოხეურში, ნაწილობრივ სამცხურ-ჯავახურსა და ქვ. ქართლურში: წვიმა>წუმაი, გვიან>გუან (ინგ.); შვიდი>შუდი, გვითხრა>გუთხრა (მოხ.), კვიცი>კუცი, ძმისთვინ>ძმისთუნ (სამცხ.-ჯავახ.), წყვილი>წყული (ქვ. ქართლ.).[76]

1.2.2. ბრუნვათა სისტემა

მეგრულ-ჭანურ-სვანურში თვისობრივად ერთგვარია ბრუნვათა სისტემა (როგორც ბრუნვის ნიშნები, ისე ბრუნების პროცესი). ცალკეულ ბრუნვებს განვიხილავთ სალიტერატურო ენასთან და სხვა დიალექტებთან მიმართებით.

სახელობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფები ქართველურ ენა-კილოებში არის: **ი/ე/0**, რომლებიც დიალექტების მიხედვით ასე ნაწილდება:

-ი/-ე ალომორფი ხმოვანფუძიან სახელებთან გამოვლინდება[77]: ქართლურში, კახურში, ფშაურში, მოხეურში, თუშურში, ხევსურულში, მთიულურ-გუდამაყრულში, იმერულში, აჭარულში, გურულში, სამცხურში, ჯავახურში, კაკურში...

ქვემოიმერულში, ზემოგურულში, ლეჩხუმურში, მეგრულში, სვანურში **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან (გარდა

---

[76] დასტურდება პირუკუ პროცესიც: ო>ვა, ო>ვე, უ>ვი. მაგ.: საბანავად>საბანაოდ (კახ.); ხორბალი>ხვარბალი, დურბინდი>დვირბინდი (მოხ.); ხორაგი>ხვარაგი (იმერ.); ორაგული>ვერაგული (ხევს.); ოსი>ვასი, ორსული>ვარსული, გიორგი>გივარგი, ნიორი>ნივარი, ეყოფა>ეყვაფა (მთ.); გატყორცნა>გატყვარცნა; ტოტ (ლშხ.)>ტვეტ (ჩოლ.) "ხელი"; თხუმ (ლშხ.)>თხვიმ (ჩოლ.)"თავი"; მეგრ.: ჰუტუა>ჰვიტუა "მოჰუტვა"

[77] ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითში **ე/0** ალომორფთა გამოვლენა უკავშირდება ქართული ენის ფონემატური სისტემის დაწოლას მორფოლოგიურ სისტემაზე. ფონემატური კანონზომიერებით ერთი მორფემის ფარგლებში იკრძალება ხმოვანთა უშუალო თანმიმდევრობა (თ.უთურგაიძე, 1976,გვ.26). ენა მიისწრაფვის, ხმოვანკომპლექსი აქციოს ერთმარცვლოვან სეგმენტად: აი>აე, აე>აი>აე, ოუ>ოუ, ოა>უა>უა (ტ.ფუტკარაძე, 1998).

ერთმარცვლიანი ფუძეებისა) სახელობითი ბრუნვის ნიშანი ერწყმის ფუძისეულ ა-ს და ბოლოკიდურად -ე გვაქვს: აი>ეი>ეჲ>ე:

ზ.გურ.: ბაღანე, ბაბუე, ძამიე (ს. ჟღენტი); ლეჩხ.: იასონე, ვასილე, ტარიელე... (მ. ალავიძე, 1941, გვ. 232); ქვ.იმერ.: ბებიე, კალათე, ბიცოლე (კ. კუბლაშვილი, 1985, გვ. 98); მართაიე, ყველე, ნუცაიე... (ქ. ძოწენიძე, 1973, გვ. 233); დეიდე... (ო. კახაძე, 1981, გვ. 183-192); სვან.: მ̄არა+ი(ე?)>მ̄არე კაცი" (ვ. თოფურია, 1954, გვ. 450); მეგრ.: ბამბე, ჭინკე. ტომარე, კართე...

მეგრულში ე-ს შეხორცება ფუძესთან დამთავრებულია: იგი ყველა ბრუნვაში გადაჰყვება სახელს (მოთხრ. ბამბე-ქ, მიც. ბამბე-ს... (ვ. თოფურია, 1954, გვ. 450).

იმერულ-გურულ-ლეჩუმურში -ე ხმოვანი · ძირითადად სახელობით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში დასტურდება, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ე დაბოლოებიანი ფორმა ფუძედ გაიაზრება და ე სხვა ბრუნვებშიც გადაყვება: ბიცოლეი, ბიცოლემ, ბიცოლეს... (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 459).

აღნიშნული ერთგვაროვანი მოვლენები ლიტერატურაში ერთიან კონტექსტშია განხილული. ვ.თოფურიას აზრით, ამ მათ საერთო საფუძველი აქვს: წარმოიშვა წმინდა ფონეტიკურ ნიადაგზე ასიმილაციის გზით უთუოდ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გავრცელებულობით და ინტენსივობით (ვ.თოფურია, 1954).[78]

სახელობითის ი ნიშანი ბოლოთანხმოვნიან სახელებთან ხშირად იკარგება და სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი. ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია სვანური და ფხოური დიალექტებისათვის; გვხვდება, აგრეთვე, მეგრულში, ფერეიდნულში; კაკურში, ქართლურში... მაგ.: დიდ თოვლი (ფშ.); აქ ვალ აღარ გვაქვ... (ხევს.); კახელებ მთაში მიდიოდნენ (ქართლ.); ჯარ წაუყონი (კაკური)... კოჩ მეურს "კაცი მიდის", ბოშ ჰარუნს "ბიჭი წერს" (მეგრ.)... ჰაშ აჭმე "ქმარი თიბავს", ჯან აჭნი "ხარი ხნავს" (სვან.).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული მოვლენა დახურული მარცვლისკენ ქართული ენის მიდრეკილებით არის ახსნილი (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 132).

ამგვარად, სახელობითი ბრუნვის ნიშანი (ი/ჲ/0) საერთოა ყველა ქართველური ქვესისტემისათვის.

---

[78] ამავე აზრს ავითარებენ მ.ქალდანი (1974) და ბ.ჯორბენაძე (1995).

მოთხრობითი ბრუნვა სალიტერატურო ქართულში **-მა/-მ** ალომორფებით აღინიშნება. ქართველურ დიალექტებში მოთხრობითი ბრუნვა გაფორმებულია განსხვავებული ნიშნებით: **ქ** (მეგრ.-ჭან), **-ემ/-დ...** (სვან). სამეცნიერო ლიტერატურაში არქაული სამწიგნობრო ენისა და ქართველური კილოების მონაცემები ერთ კონტექსტში განიხილება.

ქართველური ერგატივის ნიშნის ძირითადი ალომორფი უკავშირდება ჩვენებითი **ნაცვალსახელისგან მომდინარე დეტერმინაციულ "მან"** მორფემოიდს.

გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, **-მა/-მ** სუფიქსი მომდინარეობს **მან** III პირის ნაცვალსახელისაგან (გ.დეეტერსი, 1930, გვ. 95; არნ.ჩიქობავა, 1939, გვ. 168,173...).

ბ.კიკვიძისა და გ.მაჭავარიანის აზრით, სვანურშიც გვაქვს **მან/ამან** განმსაზღვრელი ნაწევარი, რომლისგანაც მიღებულია ერგატივის **-ემ/-მ** ნიშანი. არქაული მოთხრობითისთვის დამახასიათებელი **ამან** ნაცვალსახელი უნდა აღდგეს სვანური **-ემ/ნ** ნიშნისთვისაც და **ამნემ** "ამან" ფორმის ფუძისთვისაც: *ამან>*ამან-ემ>ამნ-ემ; სადაც **-ემ** მეორეული დანართია (ბ.კიკვიძე, 1958, გვ. 91).

გ.მაჭავარიანის აზრით, ქართველურ ენათა დიფერენციაციის პერიოდში მოთხრობითი ბრუნვა გაფორმებული არ იყო. ქართველურ ენებში ეს ბრუნვა საერთო პრინციპის მიხედვით ნაცვალსახელური წარმოშობის ელემენტების გამოყენებით გაფორმდა. მკვლევრის აზრით, სვანური **-მ** უშუალოდ არ მომდინარეობს ქართული **-მან** ნაწევარისგან; სვანურშიც არსებობდა **ძველი ქართულის** ტიპის "განსაზღვრული ბრუნება" (მსაზღვრელი იყო ***-ამან** ჩვენებითი ნაცვალსახელისგან მომდინარე ნაწევარი); სუბსტანტივისა და პოსტპოზიციური ნაწევარის ერთად ბრუნების გამო, ენკლიტიკურად დართული ნაწილაკი შეერწყა სუბსტანტივს: ***მ̌არად ა-მა-ნ(ა)/ე-მა-ნ(ა) > *მ̌არ̌ამან/*მ̌არ̌ემან > *მ̌არ̌ამ/მ̌არ̌ემ** (გ.მაჭავარიანი, 1960, გვ. 102-103).

სარწმუნოა სვანურ კილოებში გამოვლენილი **მან-**იანი ერგატივის **-მ** ნიშნის ქართველურობა (ვიდრე მისი ადიღური წარმომავლობა): სვანური ერგატივის -მ/-ემ წარმოიქმნა საერთოქართველური *მან/-იმან ნაწევარის ცვეთის გზით (როგორც სამწიგნობრო ქართულსა და ქართველურ ე.წ. სისინა კილოებში): მარა-იმან>მარეიმან>მარ̌ემან>მარ̌ემ.

მეგრ.-ჭან. ერგატივის **-ქ** სხვადასხვაგვარადაა ახსნილი:

ქ- სუფიქსი ი-გ-ი, ე-გ-ე ნაცვალსახელის ძირეულ გ-ს უკავშირდება: გ>ქ (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ. 173-174).

-ქ (<*გ<*გო) ზანურში იმავე ფუნქციის მქონე ელემენტია წარმომავლობით, რაც **-ნ** სუფიქსი ქართულში (შდრ., მა-**ნ**, ზან. მუ-**ქ**) (კ. გაბუნია, 1998, გვ. 38).

-ქ მომდინარეობს მტკიცებითი **ქო** ნაწილაკისაგან: სახელის ბოლოკიდურ პოზიციაში -ქო გამარტივდა (გაცვდა): -ქო>-ქ; შედეგად -ქ-მ დაკარგა დადასტურებითობის ფუნქცია, რის გამოც ფრაზაში ხელახლა გაჩნდა ქო ნაწილაკი; შდრ., ფრაზის დინამიკა: კოჩ ქო მორთუ>კოჩქ ქო მორთუ>კოჩქ ქომორთუ "კაც მოვიდა" (ნაწილაკისგან აფიქსის წარმოქმნა სხვა ენებისთვისაც არ არის უცხო; ტ.ფუტკარაძე, 2008, გვ. 122).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართველური ერგატივის ფორმირება დაკავშირებულია **განსაზღვრულობის კატეგორიასთან**. დეტერმინირება ესაჭიროება მხოლოდ III პირს. სახელური ფუძის განსაზღვრა შესაძლებელი იყო როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელისგან მომდინარე -მან ნაწევარით, ასევე, დადასტურებითი -ქო მორფემოიდით: დადასტურებითობა და განსაზღვრულობა გარკვეულწილად გულისხმობს ერთმანეთს (ტ.ფუტკარაძე, 2008, გვ.123).

მიცემითი ბრუნვის მაწარმოებელი ძირითადი ფორმანტი ქართველურ ქვესისტემებში არის **-ს**:

წყალ-ს, წიგნ-ს, მზე-ს, ცა-ს.... წყარ-ს „წყალს", ოსურ-ს „ქალს", ბოში-ს „ბიჭს", ბჟა-ს „მზეს", თუთა-ს „მთვარეს" (მეგრ.); კოჩი-ს „კაცს", ოსურე-ს „ქალს", ბერე-ს „შვილს", კუჩხე-ს „ფეხს" (ჭან.); მარა-ს „კაცს", ზურაშ-ს „ქალს", უეღ-ს „ძაღლს", ხოჩა-ს „კარგს" (სვან.)...

მიცემითის **-ს** მორფემა შემდეგი ალომორფებით დასტურდება: **-ს, -სა, -ჰ, ჲ, (//-ჲს, -ჲჰ, -ჲჰს), ც, 0.** ისინი ფონეტიკური ცვლილებით არის მიღებული.

ჰ<ს: რაჰ<რას, ძმაჰ<ძმას (სამცხ.-ჯავახ.) (ბ.ჯორბენაძე, 1998, 550).

ჲ<ს: ქართლურში, კახურში, ჰერულ კილოებში: ბზე-ჲ რაღა-ჲ უზამ? (ქართლ.); იმა-ჲ უთხრა (კახ.); ენაჲ ნუ უგდევ „ენას ნუ იჩლექ. ფენავს სუფრაჲ, იწყოვენ სახელევ დადმაჲ (ჰერ.).

-ს>-ჰ>ჲ//-ჲს//-ჲჰ//-ჲჰს: ქართლ., მთიულ.: დედას>დედაჰ >დედაჲ/დედაჲს/დედაჲჰ/ დედაჲჰს (ქართლ.), სიზმარას>სიზმარაჲს

(ბთიულ.). ამ შემთხვევაში **-ჲს, -ჲჰ, -ჲჰს** რთული ბგერებია, რომელსაც შემართვა ჲ-სი აქვს, ხოლო დამართვა ს-ს ან ჰ-სი.

-ც<ს: მეგრულში (ი.ყიფშიძე, 1914, გვ.024; გ.კლიმოვი, 1962, გვ.69-70; ა.ლომთაძე, 1987, გვ.10); აგრეთვე გურულსა და აჭარულში (ს.ჟღენტი, 1936; ი.მეგრელიძე, 1938; შ.ნიჟარაძე, 1957). მაგ.: მეგრ.: უწუ მუში ცხენ-ც "უთხრა თავის ცხენს" (ხუბ. 218,33), კოჩი ჭკმეთხოზგ ირემ-ც "კაცი მისდევს ირემს", პაღურ-ც ქუჩანთუანც „პანღურს ურტყამს" (ხუბ. 185.36). გურ.: წალ-ც<წალდ-ს, ვარ-ც<ვარდ-ს, სტუდენ-ც<სტუდენტ-ს... (ი.მეგრელიძე, 1938); გულ-ც<გულ-ს, წყალ-ც<წყალ-ს, სადილ-ც<სადილ-ს (გრ.იმნაიშვილი, 1966, გვ.250); აჭარ.: ბღავილ-ც... (შ. ნიჟარაძე, 1957, გვ.31).

/0/: კახ., ქართლ., აჭარ., ჯავახ., კაკ., იმერ., ლაშხ.. ლენტ., მეგრ. დიალექტებში: ას ნაბიჯზე კვერცხ-0 არტყამდა, ირმებ-0 ქამანდო იჭერდა (ქართლ.); პოლ-0 რეცხენ, ჩედიან ქორწილ-0 (კაკ.); ცხენ-0 საძოვარი მისცა, თათრებ-0 დაუძახა, ხურჯინ-0 პირი მოხსნა (ჯავახ.); მატყუარა ხალხ-0 ვერ იპონი იქა, ვექსილ-0 დოუწერდენ (ზ.იმერ.); მეზობლეფ-0 დურიგეს, კარდლეფ-0 მუაკალიეფ (ზ.აჭარ.); იმა-0 მოყვებიან (რაჭ.)...

მიცემითი ბრუნვა ქართველურ ქვესისტემებში ძირითადად ერთნაირად არის გაფორმებული.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფებია: **-ის/-ისა/-ისი, -ს/-სა/-სი, -ი-ი,/-შ-ი, -იჲ (/-იჲს, -იჲჰ), -ჲს, -ჲჰ, -იზ, -იწ, -ი, 0.**

ამათგან სამწიგნობრო ქართულში წარმოდგენილია **-ის/-ს/-სი/-ჲს/0,** დასტურდება დიალექტებშიც. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფები ასე ნაწილდება:

-ჲს (ძვ. ქართულის მსგავსად) დასტურდება ხმოვანფუძიან სახელებთან ქართლურში, ლეჩხუმურში, აჭარულში: მიარტყა ძუძუჲს თავზედა (ქართლ.), ურო-ჲს (ლეჩხ.), აგვისტო-ჲს (აჭარ.)...

-ის>-იჲ (სამცხ.-ჯავახ.): ხ-ის ძირი>ხ-იჲ ძირი, თავ-ის(ი) ქალი>თავ-იჲ ქალი (ბ. ჯორბენაძე, 1998).

-იჲს, -იჲჰ, -იჲ გვხვდება ალგეთის ხეობის ქართლურში: ქალ-იჲს-თვინა/ქალ-იჲჰ-თვინა (თ. სარალიძე, 1978, გვ. 55).

-იჲ (<ის/იშ)/ჲ(<ს,შ) ალომორფები დასტურდება: ქართლ., კახ., მეგრ... მაგ.: პურ-იჲ ჭამა, გზ-იჲ პირაჲ... (კახ.); ხემწიფ-იჲ ცოლი (ქართლ.); ხოჯ-იჲ თოლი "ხარის თვალი", დღა-ჲ სინთე "დღის სინათლე" (მეგრ.)...

-იზ ვარიანტი გვხვდება -გან თანდებულთან: კაც-იზ-გან, იმ-იზ-გან, არაფრ-იზ-გან...

-იწ ვარიანტი გვაქვს მეგრულში -კალა/-კუმა „თან" თანდებულთან. ბრუნვის ნიშნისეული **შ** თანხმოვანი თანდებულისეული **კ** ბგერის გავლენით იცვლება და, ნაცვლად **შკ** კომპლექსისა, ვიღებთ **წკ** კომპლექსს, სადაც **წ** არის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ფონეტიკური ვარიანტი: კოჩ-ი**შ**-კელა>კოჩ-ი**წ**-კელა "კაცთან"

-ი (<-ის/-ი**შ**) ალომორფი თითქმის ყველა ქართველურ დიალექტში გვხვდება. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტი ხშირად იკარგება საზღვრულის წინამავალ თანხმოვან-ფუძიან და ფუძეუკვეცელ მსაზღვრელ სახელებთან, მაგ.: ისბამს წიფლ-ი ხეში, დაჯდა სუფრ-ი თავსაო, მაწვნ-ი ქილა (ქართლ.); მამლ-ი ნაყივ თარაფში "მამლის დანაყივლებ მხარეში" (კაკ.); პურ-ი ჭამა, გზ-ი პირას (ჯავახ.); რუ-ი პირზე (კახ.)... ბებ-ი ღუჩა "ბებიის სახლში" (მეგრ.)... ჯვნ-ი მუჭ „ხარის რქა" (სვან.)...

0 დასტურდება პრეპოზიციურ მსაზღვრელთან, აგრეთვე თან, -თვის თანდებულების წინ (იმერ., ქართლ., მეგრ.): ქალი-თვინ, ამი-თანა... პურ ჭამაე, პატრა ზმაე თავ დააძებნელა მივ (ინგ.)... ბაბუ ღუდე (მეგრ.) "ბაბუის სახლი" ზუღა-პიჯი (<ზუღაშ პიჯი) (ჭან.) "ზღვის პირი"

-იშ, -შ (<-ის,-ს) წარმოდგენილია ზანურ და სვანურ დიალექტებში. ზანურ-სვანური **-იშ/-შ** კანონზომიერი შესატყვისია **-ის-/ს** სუფიქსისა. **-იშ** — თანხმოვანფუძიან სახელებთან, **-შ** — ხმოვანფუძიანებთან[79]: მეგრ.: კოჩ-იშ სახელი „კაცის სახელი", ჯა-შ ღუდე „ხის სახლი" ჭან.: კუჩხე-შ(ი) „ფეხის", ორძო-შ(ი) „სკამის", კატუ-შ-ი „კატის"... სვან.: ჯვნ-იშ „ხარის", ყელ-იშ "ძაღლის"

ჰერულში, ფშაურში, მოხეურში, კახურში, მეგრულში, ჭანურში ნათესაობითი ბრუნვის **-ის** ნიშანს ემფატიკური დანიშნულებით შეიძლება **ი** ხმოვანი დაერთოს[80]: კარ გააღეს კიდობნ-ის-ი, ჩამაჯღეს ქობი წყლ-ის-ი (ალიაბათ.); ღმერთ-ის-ი-ც სახელის ჭირიმენ, იმ ქალ-ის-ი-ც მალ დოვლათ აჯღეს. ღე ქალ ჩემ ზმ-ის-ი (<ზმ-ის-ი-ა) (კაკური); ძმ-ის-ი-ა, იმ დრო-ს-ი (მოხ.); არ მესმის ამ ქვეყნ-ის-ი (ფშ.);

---

[79] ლაზურში ნათესაობითის ნიშნად -ს ალომორფიც დასტურდება (რ.ერკერტი, 1895, გვ.347; ჰ.აჭარიანი, 1899, გვ.69; ნ.მარი, 1910, გვ.12; გ.კარტოზია, 2005, გვ.78). გ.კარტოზიას აზრით, -ს ნიშნიანი ფორმები -შ ფორმანტიანი ნათესაობითის ფონეტიკურ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს; ბოლოკიდურ პოზიციაში შ>ს (გ.კარტოზია, 2005, გვ.78-80).

[80] მეგრ.-ლაზ. ნათესაობითის -ი დაბოლოების შესახებ არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი: 1) ნათესაობითის -ი ემფატიკური ხმოვანია (არნ.ჩიქობავა, 1942, გვ.71). 2) ი ნანათესაობითარი სახელობითია (გ.კარტოზია, 2005,გვ. 63-83).

ყამდა ორი ვაჟიშვილი, უმფროსი რვა წლ-ის-ი (კახ.)... კოჩ-ი**შ**(ი) ცუდე „კაცის სახლი", ქობალ-ი**შ**(ი) ქვირი „პურის ფქვილი" (მეგრ.)...

ქართველურ ქვესისტემებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფები საერთო ფონეტიკური კანონზომიერების საფუძველზეა მიღებული.

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები ქართველურ დიალექტებში (გარდა სვანური კილოებისა)[81] ძირითადად სამწიგნობრო ქართულის მსგავსია. თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ა) დიალექტთა ნაწილში (მთარაჭ., აჭარ., გურ., ჰერ.) ხმოვანფუძიან სახელებთან (თანხმოვანფუძიანების მსგავსად), გვაქვს **-ით** (>**-ად**): რძე-**ად**, ერბო-**ად**, დილა-**ად** (მთარაჭ. — შ. ძიძიგური, 1970, გვ. 199); ტუნგო-**ად**, ბალანა-**ად** (აჭარ. — ჯ.ნოღაიდელი, 1972, გვ.69); ძმა-**ით**, და-**ით** მდიდარია, გათფა მზე-**ით** (გურ. — ს.ჟღენტი, 1936). შდრ. ძვ. ქართ.: წყარო-**ად**/წყარო-**ადა**, ძუძუ-**ად**/ძუძუ-**ადა** (ა.შანიძე, 1976, გვ.38-39; ი.იმნაიშვილი, 1957, გვ.145-146).

ბ) ქართლ., კახ., ჰერ., ზ.იმერ., მეგრ. დიალექტებში მოქმედებითი ბრუნვის **-ით** ალომორფი შეიძლება გავრცობილ იქნეს **ი** ემფატიკური ხმოვნით: კიბ-ით-ი ადიან, მოდის თოხის ძალ-ით-ი, ჩაიარა ფერხ-ით-ი (ქართლ.). ჰერულში ხმოვანფუძიანებთან გვაქვს **ით**-ი: დაამბეს ცხენი ზუა-**ით**-ი ("ძუით"), წასულ შინა-**ით**-ი "წასულა შინიდან" კოჩ-ით(ი) "კაცით", კუჩხ-ით(ი) "ფეხით" (მეგრ.)...

ჭანურში **ი**-ს ნაცვლად **ე** ხმოვანია: კოჩი-**თ**-ე(ნ) „კაცით", კუჩხე-**თ**-ე(ნ) „ფეხით", არგუნი-**თ**-ე(ნ) „ნაჯახით"

ჭანურში **-თ** გვაქვს ყველა სახელთან: ინჯილი ქვათ იფშუ "მარგალიტის თვლით აივსო"; ხოჯი დო საფანით ხონუმტეს "ხარითა და სახნისით ხნავდნენ" (გ.კარტოზია, 2005, გვ.84).

გ) ჰერულში **-ით**/**-ად** > **-ი**/**-ა**: ურმი ვზიდავთ „ურმით ვზიდავთ"... კრი ზედა „კარის ზედაით, ზემოდან"...

ვითარებითი ბრუნვის ნიშნებად დიალექტებში ძირითადად ის ალომორფებია წარმოდგენილი, რაც სალიტერატურო ენაში. **-ად**/**-დ** ალომორფები თითქმის ყველა კილოში იხმარება.

---

[81] სვანურ კილოებში მოქმედებითი ბრუნვა გაფორმებულია **-უშ**/**-შუ** ალომორფებით: **-უშ** - ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: დინა-**უშ** „ქალიშვილით"... **-შუ** თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში (ამ შემთხვევაში შესაძლებელია **შუ**/**უშ** მონაცვლეობა): ჯან-**შუ** (/ჯან-**უშ**) "ხარით"... გ.თოფურიას აზრით, სვანური მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისათვის ამოსავალია საერთო-ქართველური **-თ** სუფიქსი, კერძოდ: თ>შდ>შ (გ.თოფურია, 1997, გვ.113).

ვითარებითი ბრუნვის ნიშნად სვანურ დიალექტებში ყოველგვარ სახელთან ერთადერთი სუფიქსი **-დ** გამოიყენება: **ბაჩ-დ** „ქვად“, **დინა-დ** „ქალიშვილად“, **მარა-დ** „კაცად“ (ვ.თოფურია, 1944, გვ. 342-343; გ. კლიმოვი, 1962, გვ. 80-84). **დ<ად** (ვ.თოფურია, 1956. გვ. 32; თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1956, გვ.183; ა.ონიანი,1989, გვ. 209).

მეგრულში კანონზომიერი ფონემური შესატყვისობა გვაქვს: **-ოთ/-თ (<-ად/-დ)**: თანხმოვანფუძიანებთან **-ო**. ხმოვანფუძიანებთან — **-თ**: დიდ-ო “დიდად“, ცხენ-ო “ცხენად“; ბაღანა-თ “ბავშვად“, ჰითა-თ “წითლად“....[82]

ვითარებითის ნიშნის დაყრუების პროცესი **დ>თ** თითქმის ყველა კილოში დასტურდება: კაც-**ათ** არ ვარგა, გლახ-**ათ** მეიქცა (გურ.); გაგზანა საომრ-**ათ**, სანადირო-**თ** გამოვიდა (ქართლ.): სახელ-**ათ**, მინდვრ-**ათ** (ჯავახ.), სოფლ-**ათ**, ციხე-**თ** (კახ.); სანადირო-**დ/თ** (ჰერ.)...

ასევე, ვითარებითი ბრუნვის ნიშნად **-ა** (<**ად**) ალომორფი (ძველი ქართულის მსგავსად) გვხვდება შემდეგ კილოებში: ხევს., ფშ., ჰერ., მესხ., რაჭ., იმერ., გურ., აჭარ., იმერხ... მაგ.: ღუნეი დაალეველ-**ა** თქრნსა მაახლრვარ (ჰერ.); ამოიგავა მისი გვარეულობა ძირიან-**ა** (ჯავახ.); ის ლამაზ-**ა** იუბნებს (ფშ.)...

ამგვარად, ვითარებითი ბრუნვის ნიშნის მიხედვით ქართველური ქვესისტემები თითქმის არ სხვაობს.

დანიშნულებითი ბრუნვა მიღებულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დართვით (**იშ+ოთ**) (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.54; ვ.თოფურია, 1937, გვ.182). მეგრულის დანიშნულებითი ბრუნვის (**კოჩ-იშ-ო(თ)** „კაცისთვის“, **ჯიმა-შ-ო(თ)** „ძმისთვის“) ფუძე (**კოჩ-იშ, ჯიმა-შ**) კანონზომიერი შესატყვისია სალიტერატურო ქართულის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებისა (**კაც-ის, ძმ-ის**), ხოლო **-ოთ** სუფიქსი გენეტურად იგივე ნიშანია, რაც სალიტერატურო ქართულის ვითარებითი ბრუნვის **-ად**: კაც-ად (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.54).

---

[82] თანამედროვე ჭანურში ვითარებითი ბრუნვა არა გვაქვს. თუმცა დასტურდება ვითარებითი ბრუნვის ფორმები, როგორიცაა: დიდო კაი „ძალიან კარგი“, მოთ “რატომ, რად“, მჯეშოთ “ძველად“, ართოთ “ერთად“, ლაზუროთ “ლაზურად“; ა.ლომთაძე, 1986. გვ.112; გ.კლიმოვი, 1962, გვ.82-84; გ.კარტოზია, 2005. გვ.85). ამდენად, ეს ბრუნვა „ჭანურისათვის პრინციპულად უცხო არ არის“ (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ 17). საინტერესოა ჭანური მიმართულებითი ბრუნვის ფორმები: ჩქიმ-და, კოჩი-შა (<*კოჩ-იშ-და)... -და<ად-ა- (-ად ვითარები ბრუნვის მაწარმოებელია).

მეგრულის დანიშნულებითის ფორმა ზუსტი ფონეტიკურ-მორფოლოგიური ეკვივალენტია ხევსურული დიალექტის დანიშნულებითი ბრუნვის ფორმებისა: კაც-ის-ად, ძმ-ის-ად, ამხანაგ-ის-ად (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 52).

ვ.თოფურიაც დანიშნულებითს ნანათესაობითარ ვნებითად (ვითარებითად) მიიჩნევს. ნიმუშად მოჰყავს ხევს., ფშ., გურ., სვან. მსგავსი წარმოების ფორმები:

ხევს.: ერთ დღისად დაამზადებს (=ერთი დღისთვის).

ფშ.: ქმრ-ის-ად სახელის მძებნელი (=ქმრ-ის-თვის).

გურ.: იმ-იზ-ა არ გაქ ხეირი (იმ-იზ-ა < იმ-ის-და „იმ-ის-თვის"

სვან.: მერმა ლადღ-იშ-დ ასდენიხ „მეორე დღისთვის დარჩებიან" (ლადღ-იშ-დ = დღ-ის-ად).

სვანურში **-იშ-დ** დაბოლოებიანი ნანათესაობითარი ვითარებითი, ჩვეულებრივ, გადმოსცემს დანიშნულებითის მნიშვნელობას (მუ-ეშ-დ „მამისთვის", ლადღ-იშ-დ „დღისთვის", ქალაქ-იშ-დ „ქალაქისთვის", გუმ-იშ-დ „გულისთვის" (ვ.თოფურია, 1937, გვ. 180-181; გ.კლიმოვი, 1962, გვ. 96).

ი-ზა დაბოლოებიანი ფორმები გვხვდება ლეჩხუმურშიც: მადღ-იზ-ა, მომავლ-იზ-ა, გილ-იზ-ა... (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ.503); რაჭულშიც: თავ-იზ-და, ამბ-იზ-და... (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 414).

ამგვარად, ფორმობრივ-სემანტიკური თვალსაზრისით მეგრულის დანიშნულებითი ფორმა იდენტურია სვანური და ფხოური კილოების, გურულის, იმერულის, ლეჩხუმურის შესაბამისი ფორმებისა (შდრ. ნანათესაობითარი ვითარებითი კუთვნილებითი დანიშნულებით გამოიყენება ძველ ქართულშიც: და ვქმნეთ სამი ტალავარი: ერთი შენდად, ერთ მოსესად, ერთი ელიასად. მრკ. 9).

მიმართულებითი ბრუნვა იწარმოება ნათესაობითის ფორმისაგან **ა** (<**და**) ვითარებითის სუფიქსის დართვით: კო-ჩ-იშ-ა... ნაცვალსახელთან **-და** გვაქვს: ჩქიმ-და... მიმართულებითის ფორმაში ძირითადად წარმოდგენილია ვითარებითის **ა** ხმოვნითი ელემენტი (**ად>ა**), თანხმოვანი დაკარგული ჩანს (**-და** ნაცვალსახელთან შემონახულია).

მეგრულში **-და** სუფიქსიანი ფორმები მიმართულებას გადმოსცემს: სქან-და „შენკენ, შენთან", ჩქინ-და „ჩვენკენ, ჩვენთან" სალიტერატურო ქართულსა და რიგ დიალექტებში დანიშნულებას გამოხატავს: შენ-და „შენთვის"... იმიზა „იმისთვის"

არქაულ ქართულში **და>ა** სუფიქსიანი ფორმები (ჩემ-და, მათ-და/მათ-ა, მის-ა...) გადმოსცემს როგორც კუთვნილებით დანიშნულებას, ისე მიმართულებას (თ.შარაძენიძე, 1956, გვ. 425-426; ი.იმნაიშვილი, 1957, გვ. 493-495...). მიმართულებითობის ფუნქცია დაკარგა, შემოინახა კუთვნილებითი დანიშნულებისა. მეგრულში **და>ა** სუფიქსიან ფორმებს მიმართულებითობის ფუნქცია შემორჩათ, კუთვნილებითი დანიშნულების ფუნქცია კი **ო(თ)** (<*-**ად**) სუფიქსიანმა ფორმამ შემოინახა.

არქაულ ქართულში **-ისა/-ესა/-თა** დაბოლოებიანი სახელური ფორმები მიმართულებითი ბრუნვის (ლატივის) ფუნქციით გვხვდება: მიველით ესავისა, ძმისა შენისა... სიკუდილი მიავლინა უფალმან იაკობისა.[83]

ამგვარად, მიმართულებითი ბრუნვა მეგრულისთვის სპეციფიკურ მოვლენას არ წარმოადგენს, არამედ იგი საერთოქართველური მოვლენაა. ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმა თავიდან მიმართულებითობისა და კუთვნილებითი დანიშნულებითობისთვის საერთო (საზიარო) ფორმა იყო. მისი დიფერენციაციის შედეგადაა ჩამოყალიბებული კუთვნილებითი დანიშნულებისა და მიმართულების გადმომცემი ბრუნვები ძველ ქართულში (კაც-ის-ად/კაც-ის-ად-ა... ჩემ-და, უფლ-ის-ა), ფხოურ-იმერულ-გურულ-ლეჩხუმურ-რაჭულში (კაც-ის-ად, ჩემ-და, კაც-იზ-და > კაც-იზ-ა), სვანურსა (ლადღ-იშ-დ „დღისთვის“) და მეგრულში (კოჩ-იშ-ო(თ) „კაცისთვის“, ჩქიმდა „ჩემთან“, კოჩ-იშ-ა „კაცთან“).

1.2.3. მწკრივთა წარმოება

ქართველურ ენა-კილოებში თვისობრივად ერთგვარია ზმნური სისტემა (პირისა და რიცხვის ნიშნები, ძირითად მწკრივთა წარმოება, ზმნური ყალიბები...).

ყველა ის მწკრივი, რომელიც თანამედროვე ქართულ სამწიგნობრო ენაშია, გვაქვს ქართველურ დიალექტებშიც.

---

[83] მკვლევართა ნაწილი (ა.შანიძე, 1976, გვ.213; ც.ქურციკიძე, 1960, გვ.31-42; ა.ჭინჭარაული, 1960, გვ.14-15) ამგვარ ფორმებს ნათესაობით ბრუნვად მიიჩნევს, ნაწილი (ვ.თოფურია, 1956; ი.იმნაიშვილი, 1957, გვ.379-80; ა.მარტიროსოვი, 1968, გვ.169-178) ნანათესაობითარ ვითარებითად თვლის. თ.უთურგაიძე მათ ბრუნვის ფორმებად არ მიიჩნევს, რადგან ფუნქციით ზმნიზედებია და არაფერი აქვთ საერთო ბრუნების პარადიგმასთან (თ.უთურგაიძე, 1986). ვ.თოფურიას აზრით, მიმართულებითი ბრუნვა ნაგენეტივარი ნაწილაკიანი ბრუნვაა: ა (<და) ნაწილაკი.

I სერიის მწკრივთა წარმოების პრინციპი ქართველურ კილოებში ძირითადად სალიტერატურო ქართულის მსგავსია: საყრდენად გამოყენებულია აწმყოს ფუძე. ყოველი მომდევნო ფორმისთვის ამოსავალია წინამავალი ფორმის სტრუქტურა, რომელსაც, თავის მხრივ, დაერთვის ახალი ფორმანტი:

სალიტ. ქართ. აგ-ებ-ს — აგ-ებ-დ-ა — აგ-ებ-დ-ე-ს

მეგრ. ოგ-ან-ს — ოგ-ან-დ-უ — ოგ-ან-დ-ა-ს

სვან. აგ-ემ — აგ-ამ-დ-ა — აგ-ამ-დენ-ს

აწმყოს ფუძის წარმოება განსხვავებულია სხვადასხვა ტიპის (გარდამავალ, გარდაუვალ) ზმნებში; ამ მხრივაც ქართველური კილოები არსებითად ერთნაირ ტენდენციას ამჟღავნებენ.

ა) **გარდამავალ ზმნათაგან** თავისებურებებით ხასიათდება თემისნიშნიანი ფორმები. თემის ნიშნის დართვა-დაურთველობის თვალსაზრისით ქართველური ქვესისტემები 2 ჯგუფად დაიყოფა:

1 დიალექტები, რომელთაც მარტივფუძიანი, უთემისნიშნო წარმოება ახასიათებს (იგულისხმება იმ რიგის ზმნები, რომლებმაც შემდგომ **-ავ** თემის ნიშანი დაირთეს II სერიის ფუძისგან განსასხვავებლად);

2. კილოები, რომელთა ფუძე თემის ნიშნით არის გართულებული.

აწმყოს ფუძე განსაზღვრავს I სერიის სხვა ფორმათა სტრუქტურას; თუ აწმყოს ფუძე უთემისნიშნოდ იწარმოება, ასევე თემის ნიშნის გარეშე იქნება უწყვეტელსა და კავშირებითშიც. და პირიქით, თუ ზმნა აწმყოში თემის ნიშანს დაირთავს, თემის ნიშნით იქნება წარმოდგენილი მისგან ნაწარმოები სხვა მწკრივის ფორმებიც.

არქაული (უთემისნიშნო) წარმოება უმთავრესად ფხოურ და სვანურ კილოებშია დაცული: **ხევს.**: ხ-ჴოც-ს "ხოცავს", ს-თიბ-ს "თიბავს", ღ-რეცხ-ს "რეცხავს" **სვან.**: ლნტ. ა-ჯნ-ი, ა-ჯან-ი "ხნავს"

შედარებით იშვიათია სხვა კილოებში: თეს-ს, რეცხ-ს (იმერ.); ხვეტ-ს, ჩეხ-ს, კეტ-ს (გურ.); თიბ-ს, ნაყ-ს (აჭარ.); რეცხ-ს, კეპ-ს (რაჭ.)...

თემისნიშნიანი წარმოება დამახასიათებელია ქართლ., კახ., ინგ., სამცხ., ჯავახ., იმერ., ლეჩხ., გურ., აჭარ., მეგრ., ჭან. კილოებისათვის, მაგ.: ვ-წერ-**ავ** (ქართლ., კახ...), ვ-წერ-**ამ** (ჯავახ.), პ-ჭარ-უნ-ქ (მეგრ.), ვ-ჭარუფ/უმ (ჭან.) „ვწერ"

მეგრულსა და ჭანურში უნიფიკაცია დამთავრებულია: ყველა გარდამავალი ზმნა თემისნიშნიანია. სხვა დიალექტებთან შედარე-

ბით, მეგრულ-ჭანურში პროცესი შორს არის წასული და აწმყო-წყვეტილის ფუძეთა განსხვავებას მთლიანად თემის ნიშნის დართვა-დაურთველობა განსაზღვრავს: ჭარ-უნ-ს „წერს“ (აწმყო) — დო-ჭარ-უ „დაწერა“(წყვეტილი), ხანტ-უნ-ს „ხატავს“(აწმყო) — დო-ხანტ-უ „დახატა“ (წყვეტილი).

სალიტერატურო ენაში გარდამავალი ზმნები აწმყოს მწკრივში სპეციალურ ნიშანს არ დაირთავენ. ასეა დიალექტთა დიდ ნაწილში.

სვანურ კილოებში აწმყოს ფუძე დასრულებულია ი, ე, ა ნიშნებით, ან კიდევ უნიშნოდაა წარმოდგენილი: ახტ-Აუ-ი „ხატავს“, ამᲐრ-ე „ამზადებს“, ხაყ-ა „ჰყავს“, აგემ „აგებს“

მეგრულში აწმყოში ზმნას (როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალს) მხ. რიცხვის I და II პირში დაერთვის ჭ- სუფიქსი. ჭანურში გარდამავალი ზმნები რაიმე მაწარმოებელს არ დაირთავს. უღლების ნიმუში:

მეგრული

მხ რიცხვი	მრ. რიცხვი
ვ/პ-ჭარ-უნ-ჭ “ვწერ”	ვ/პ-ჭარ-უნ-თ “ვწერთ”
ჭარ-უნ-ჭ “წერ”	ჭარ-უნ-თ “წერთ”
ჭარ-უნ-ს “წერს”	ჭარ-უნ-ა(ნ) “წერენ”

ჭანური

პ-ჭარ-უფ/უმ “ვწერ”	პ-ჭარ-უფ/უმ-თ “ვწერთ”
ჭარ-უფ/უმ “წერ”	ჭარ-უნ-უფ/უმ-თ “წერთ”
ჭარ-უფ/უმ-ს “წერს”	ჭარ-უფ/უმ-ა(ნ) “წერენ”

ბ) გარდაუვალ ზმნებს აწმყოს მწკრივში სალიტერატურო ქართულში სპეციალური მაწარმოებელი აქვს: I-II პირში დაერთვის -ი სუფიქსი, მესამეში დაკარგულია (ა-ს გამო): ვ-თბებ-ი (Iპ.), თბებ-ი (IIპ.), თბებ-ა (IIIპ.)... შდრ. ძველი ქართული: გან-ტფ-ებ-ი-ს...

არქაული ვითარება დაცულია ფხოურ კილოებში: დგ-ებ-ი-ს “დგება“, ე-ხვევ-ი-ს “ეხვევა“, კეთდ-ებ-ი-ს “კეთდება“ სხვა დიალექტები: იმალ-ვ-ი-ს “იმალება“, ენატრ-ებ-ი-ს “ენატრება“ (რაჭ.); იხარშ-ვ-ის “იხარშება“, იბ-მ-ი-ს “იბმება“ (აჭარ.)... იზილ-ვ-ი-ს “იზილება“, იკითხ-ვ-ი-ს “იკითხება = ისწავლება“ (იმერხ.), იყიდ-ვ-ი-ს “იყიდება“, იჭ-მ-ი-ს“იჭმება“ (მაჭახლ.) (შ.ფუტკარაძე, 1995, გვ.13, 27).

მეგრულში გარდაუვალი ზმნები, გარდამავალთა მსგავსად, აწმყოს I-II პირში დაირთავს -ჭ სუფიქსს:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი

ვ/პ-ტიბუ-ჭ "ვთბები" ვ/პ-ტიბუ-თ "ვთბებით"
ტიბუ-ჭ "თბები" ტიბუ-თ "თბებით"
ტიბუ-(ნ) "თბება" ტიბუ-ნ-ა(ნ) "თბებიან"

ჰანურში -ჭ სუფიქსის ნაცვლად წარმოდგენილია -რ:

პ-ტუბუ-რ "ვთბები" პ-ტუბუ-თ "ვთბებით"
ტუბუ-რ "თბები" ტუბუ-თ "თბებით"
ტუბუ-ნ "თბება" ტუბუ-ნ-ან "თბებიან"

მეგრულში ჭ- სუფიქსი ყოველგვარ ზმნას მოუდის, ჰანურში კი რ- მხოლოდ გარდაუვალ ზმნათა გარკვეული ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი.

მეგრულ-ჰანური ჭ-, რ- სუფიქსების წარმოშობისა და ფუნქციის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული:

ჰანური რ- და მეგრული ჭ- სუფიქსები ერთმანეთს შეიძლება დაუკავშირდეს მორფოლოგიური ფუნქციის მიხედვით (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ. 112, 115, 135).

მეგრ. ჭ- და ჰან. რ- ერთი და იმავე წარმოშობის სუფიქსებია. მათ, ისევე როგორც მეშველ ზმნებს აფხაზურსა და ყაბარდოულში, ეკისრებოდათ სტატიკურობის, მდგომარეობის, არსებობის აღნიშვნა. ჭ- და რ- სუფიქსები ორე(ნ) „არის" მეშველი ზმნის ნაშთს წარმოადგენს (ჭორენ>ჭო ნაწილაკდართულს მეგრულში და უამნაწილაკოდ ჰანურში), რომელიც მეგრულში ზმნას, ქართული ზმნის მსგავსად, I თურმეობითში უნდა დართოდა. აქედან უნდა იყოს ის გადასული აწმყოში — ჯერ სტატიკურ ვნებითში და შემდეგ საშუალი გვარის გარკვეულ ზმნებში (ქ.ლომთათიძე, 1946, გვ.134).

მეგრ. ჭ- მიღებული უნდა იყოს მტკიცებითი **ჭო** ნაწილაკისაგან ხმოვნის დაკარგვით, რის შედეგადაც ენკლიტიკურად შეუერთდა ზმნურ ფორმას: **ჭო-ვ-ჭარუნ-ჭ<ჭო-ვ-ჭარუნ-ჭო**... (ტ.ფუტკარაძე).

უწყვეტლის მწკრივი ქართველურ ქვესისტემებში ერთნაირი წესით იწარმოება: საყრდენად იყენებს აწმყოს ფუძეს, რომელსაც დაერთვის მწკრივის სავრცობი და ნიშანი. **-დ** სუფიქსი საერთოა ყველა ქართველური კილოსათვის. მწკრივის ნიშნების მხრივ გარკვეული თავისებურებები შეიმჩნევა (განსაკუთრებით სვანურ კილოებში).

სალიტერატურო ქართულში როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს უწყვეტლის I-II პირში მწკრივის ნიშნად დაერთვის -ი სუფიქსი (III პირში იკარგება). მწკრივის სავრცობად გარდამავალ ზმნებთან -დ გვაქვს: ვ-წერ-დ-ი, წერ-დ-ი, წერ-დ-ა...

ასევე იუღლება -ავ, -ამ თემისნიშნიანი ზმნები თანამედროვე სალიტერატურო ენაში: ვ-კლ-ავ-დ-ი, კლ-ავ-დ-ი, კლ-ავ-დ-ა... შდრ. ძვ. ქართ.: ვ-კლ-ევ-დ(ი), კლ-ევ-დ(ი), კლ-ვ-ი-დ-ა...

დიალექტებში -ავ, -ამ თემისნიშნიანი ზმნები განსხვავებულად იწარმოება:

ა) ქართლ., კახ., ჰერ., მოხ., მთ.-გუდ., ფშ., იმერ. დიალექტებში -ავ, -ამ უცვლელია: კლ-ავ-ს>კლ-ავ-დ-ა, აბ-ამ-ს>აბ-ამ-დ-ა...

ბ) ხევს., თუშ., მოხ., ქართლ., ფერ., იმერ., რაჭ., აჭარ., სამცხ., ჯავახ., იმერხ., ლივან., მაჭახლ. კილოებში -ავ, -ამ > -ევ, -ემ: კლ-ავ-დ-ა>კლ-ევ-დ-ა, აბ-ამ-დ-ა>აბ-ემ-დ-ა... რწყ-ევ-დ-ა, თიბ-ევ-დი (იმერხ.), კერ-ევ-დ-ი-თ, ხარშ-ევ-დ-ენ (მაჭახლ.), ვხნ-ევ-დ-ი-თ, აბ-ემ-დ-ა (ლივან.) (შ.ფუტკარაძე, 1995).

გ) გურ., აჭარ., მაჭახლ., ზ.რაჭ. კილოებში -ავ>-ვ: კლ-ავ-ს>კლ-ვ-ი-დ-ა, ხატ-ავ-ს>ხატ-ვ-ი-დ-ა... გურულსა და მაჭახლურში -ევ-დ, -ემ-დ>ვ-ი-დ, მ-ი-დ სამივე პირში დასტურდება: ვასხ-მ-ი-დ-ი-თ, იც-მ-ი-დ-ა (მაჭახლ.) (შ.ფუტკარაძე, 1995, გვ.27); ვ-მალ-ვ-ი-დ-ი (გურ.)...

თემის ნიშანთა გადაბგერება გავრცელებულია სვანურ კილოებშიც, დასტურდება ე>ა: აგემ „აგებს“ > აგამ-დ-ა „აგებდა“, აბემ „აბამს“ > აბამ-დ-ა „აბამდა“ (ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 379-382). მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ -ევ და -ემ არის თემის ნიშნები, რომლებიც ენაცვლება -ავ, -ამ ნიშნებს, ე.ი, თემის ნიშანთა მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 98-100); მეორე ნაწილის აზრით, -ევ, -ემ მიღებულია ფონეტიკურ ნიადაგზე: დ-ს მომდევნო ი იმსგავსებს ა-ს ნაწილობრივ და ე-დ აქცევს: ვკლ-ავ-დ-ი-თ>ვკლ-ევ-დ-ი-თ. პროცესი ჯერ მრავლობითის ფორმაში განხორციელდა, შემდეგ კი ანალოგიით მხოლობითში გადავიდა (ლ.კიკნაძე, 1957, გვ.317-344)[84]

---

[84] კლ-ვ-ი-დ-ა ტიპის ფორმებში ი თანხმოვანთგასაყარი უნდა იყოს, რომელიც მას შემდეგ გაჩნდა, რაც III სუბ. პირის ნიშნებმა შეკუმშეს თემის ნიშნები. ა ხმოვნის ამოგდების შემდეგ თავი მოიყარა რამდენიმე თანხმოვანმა, რომელთა გასათიშად განვითარდა ი (ი.იმნაიშვილი, ვ.იმნაიშვილი,1996, გვ.128).

ზანურშიც გარდამავალ ზმნებს I-II პირში მხოლობითსა და მრავლობითში ი დაერთვის, სავრცობად კი — -დ/-ტ:

მეგრული

ვ/პ-ჭარ-უნ-დ-ი "ვწერდი" ვ/პ-ჭარ-უნ-დ-ი-თ "ვწერდით"
ჭარ-უნ-დ-ი "ვწერდი" ჭარ-უნ-დ-ი-თ "წერდით"
ჭარ-უნ-დ-უ "წერდა" ჭარ-უნ-დ-ეს "წერდნენ"

ჭანური

პ-ჭარ-უმ-ტ-ი "ვწერდი" პ-ჭარ-უმ-ტ-ი-თ "ვწერდით"
ჭარ-უმ-ტ-ი "ვწერდი" ჭარ-უმ-ტ-ი-თ "წერდით"
ჭარ-უმ-ტ-უ "წერდა" ჭარ-უმ-ტ-ეს "წერდნენ"

-დ უწყვეტლის მაწარმოებელი ძირითადი სუფიქსია სვანურ კილოებში; იგი უმთავრესად ი-ზე დაბოლოებულ ზმნებთან არის წარმოდგენილი: ა-ჯნ-ი-დ-ა „ხნავდა" I-II პირში დ-ს ემატება -ჱს (ბზ., ლნტ. ხუ-ა-ჯან-დ-ჱს „ვხნავდი"), -ჱსგუ (ბეჩ.: ხუ-ა-ჯნ-იდ-ჱსგუ) ელემენტები.

ხუ-ა-ხტ-ჲუ-დ-ჱს (*ხუახატ-ჲუ-ი+დჱს) „ვხატავდი" ლ-ა-ხტ-ჲუ-და-დ „ვხატავდით"
ხუ-ა-ხტჲუ-და-დ „ვხატავდით"
ხ-ა-ხტ-ჲუ-დ-ჱს „ხატავდი" ხ-ა-ხტ-ჲუ-და-დ „ხატავდით"
ა-ხტ-ჲუ-დ-ა „ხატავდა" ა-ხტ-ჲუ-და-ხ „ხატავდნენ"

ბ) გარდაუვალ ზმნებს უწყვეტლის მწკრივის ნიშნად იგივე -ი სუფიქსი მოუდით, ხოლო სავრცობად — -ოდ/-დ. -დ გვხვდება უყვარს ტიპის ზმნებთან: უყვარ-დ-ა, სძულ-დ-ა... -ოდ — ვნებითის ფორმებთან: თბებ-ოდ-ა, ჯდებ-ოდ-ა...

შდრ. ძველ ქართულში -ოდიან ზმნებს უწყვეტლის I-II პირში (მხ. და მრ. რიცხვში) მწკრივის ნიშნად -ე სუფიქსი მოუდის: ვ-ტირ-ოდ-ე, ს-ტირ-ოდ-ე... არქაული ვითარება შემონახულია თუშურში: ვაპირებ-დ-ე „ვაპირებდი", აპირებ-დ-ე „აპირებდი"

მეგრულში გარდაუვალ ზმნებთანაც -დ სავრცობი გვაქვს: ტიბ-უ-დ-უ "თბებოდა" ჭარ-უ-დ-უ "ეწერა" (ი.ყიფშიძე, 1914, გვ.071-072; არნ.ჩიქობავა, 1937, გვ. 112; 1948, გვ.107; გ.როგავა, 1954, გვ.82; გ.მაჭავარიანი, 1959; კ.დანელია, 1976, გვ.169-170; რ.შეროზია, 1981, გვ. 203).

-დ სავრცობი უწყვეტლის ფორმაში გვხვდება სვანურ კილოებშიც: ხუ-ა-ყურ-დ "ვიწექი", ხ-ა-ყურ-დ "იწექი", ა-ყურ-დ-ა"იწვა"

აწმყოს კავშირებითი იწარმოება უწყვეტლის ფუძისაგან შესაბამისი სუფიქსის დართვით. წარმოება საერთოა ყველა ტიპის

ზმნისათვის. სალიტერატურო ქართულში აწმყოს კავშირებითს ერთადერთი -ე სუფიქსი დაერთვის: ვ-წერ-დ-ე, ვ-მალ-ავ-დ-ე, ვ-თბ-ებ-ოდ-ე, ვ-ი-ჯდ-ე... შდრ. ძველ ქართული: -დ სავრცობიანებთან ყოველთვის -ე იხმარება, ხოლო -ოდ სუფიქსიანებთან -ი სუფიქსი (ა.შანიძე, 1927, გვ.117-118; ა.შანიძე. 1945, გვ.835-844).

დიალექტებში კავშირებითის მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვითარებაა:

ხევსურულში კავშირებითის ნაკვთთა მაწარმოებლად ერთადერთი -ა სუფიქსი გამოიყენება: ჩეჩ-დ-ა-ს "ჩეჩდეს", წერ-დ-ა-ს "წერდეს" მხ.რიცხვის I-II პირში ა>ი̆/ე:

ვ-ჩეჩ-დ-ა/ე/ი̆ "ვჩეჩდე" ვ-ჩეჩ-დ-ა-თ "ვჩეჩდეთ"
ჩეჩ-დ-ა/ე/ი̆ "ჩეჩდე" ჩეჩ-დ-ა-თ "ჩეჩდეთ"
ჩეჩ-დ-ა-ს "ჩეჩდეს" ჩეჩ-დ-ა-ნ "ჩეჩდნენ" (ა.ჯინჭარაული, 1960).

ხევსურულის იდენტური ვითარება გვაქვს ჰანურში, სადაც ასევე კავშირებითის -ა სუფიქსი ერთადერთია.

პ-ჰარ-უმ-ტ-ა "ვწერდე" პ-ჰარ-უმ-ტ-ა-თ "ვწერდეთ"
ჰარ-უმ-ტ-ა "წერდე" ჰარ-უმ-ტ-ა-თ "წერდეთ"
ჰარ-უმ-ტ-ა-ს "წერდეს" ჰარ-უმ-ტ-ა-ნ "წერდნენ"

მეგრულში I კავშირებითის მაწარმოებლად -ა, -ე ნიშნები გამოიყენება. მხ. რიცხვის I-II პირში პარალელურად წარმოდგენილია -ა/-ე ნიშნები. მხ. რიცხვის III პირსა და მრ. რიცხვის სამივე პირში -ა სუფიქსი იხმარება (ი.ყიფშიძე, 1914, გვ.065-067; არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.140):

ვ/პ-ჰარ-უნ-დ-ა/ე "ვწერდე" ვ/პ-ჰარ-უნ-დ-ა-თ "ვწერდეთ"
ჰარ-უნ-დ-ა/ე "წერდე" ჰარ-უნ-დ-ა-თ "წერდეთ"
ჰარ-უნ-დ-ა-ს "წერდეს" ჰარ-უნ-დ-ან "წერდნენ"

არნ.ჩიქობავას აზრით, კავშირებითის "-ა უნდა იყოს ქართულში კავშირებითის მაწარმოებელი ძირითადი სუფიქსის -ე-ს კანონზომიერი შესატყვისი... -ეე უნდა იყოს ფონეტიკურად გამარტივებული დამხმარე სიტყვა ერე "რომ" (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.139-140). არნ.ჩიქობავას მოსაზრებას იზიარებს გ. როგავა (1945, გვ. 647). გ.კარტოზიას მტკიცებით, ე-ნიანი ფორმები მიღებულია ა-ნიან ფორმებზე **ინი** კავშირის დართვით. ამ შემთხვევაში შემდეგი ფონეტიკური პროცესი იგულისხმება: ბჭარუნდა-ინი> ბჭარუნდეინი>ბჭარუნდეენი/ბჭარუნდენი (გ.კარტოზია, 1958, გვ. 231).

სვანურ კილოებში I კავშირებითის მაწარმოებლებად დასტურდება -ედ, -დედ (ბზ.), -ადე, -იდე (ბქვ.), -დე, -გდე (ბქვ., ქვ.სვან.) სუფიქსები.

I კავშირებითის ყალიბია: **ნამყო უსრულის ფუძე** + ე. დ-ს შემცველი ნიშნები დაიშლება ასე: **-დ** (ნამყო უსრულის ფორმანტი) + -ე (კავშირებითის ნიშანი). **-ე** სუფიქსი დასტურდება (ბალსზემოურში ხშირად მოკვეცილია): უშგ. ა-მარ-ედ-ე-ს, ბქვ. ა-მარ-ა-დ-ე-ს, ლშხ. ა-მარ-დ-ე-ს „ამზადებდეს" ბზ. ა-მარ-ედ-ს...

ბზ. **-ედ/-დედ** ფორმანტების შესახებ ვ.თოფურია აღნიშნავს: ე სუფიქსიან ზმნებზე დართული **-ედ** მიღებულია ბოლოკიდური ე-ს მოკვეცით, რამაც გამოიწვია წინა ე-ს დაგრძელება: *ამჩე-დე-ს ("აბერებდეს") > ამჩედ-ს. ამ ფორმათა ანალოგიით უნდა იყოს მიღებული აკლაუ-დედ-ს ტიპის ფორმები, სადაც **-დედ** ცალკე ფორმანტად იქნა მიჩნეული (ვ. თოფურია, 1967, გვ. 112).

მყოფადის მწკრივის წარმოების პრინციპი ქართველურ ენა-კილოებში იდენტურია; გამოიყენება:

1. **ზმნისწინი + აწმყო**, რომელიც მყოფადის მწკრივის ყველაზე გავრცელებული სახეა: **ქართლ., კახ.**: წერავს დაწერავს... **თუშ.**: კეთდებ(ის) გაკეთდებ(ის)... **ხევს.**: რეცხს გაღრეცხს, შჳრი დაშჳრი; **ინგ.**: დოჷერ "დავიჯერ", ჩაჷცომს "ჩაიცვამს", გაფცლუ "გავცალი" **ფერ.**: ჩაიცმენ, დაიხოვენ: **ჭან.**: ფათხუმთ დოფათხუმთ "გავფერთხავთ", პტკამუმთ - დოპტკამუმთ "დავტკეპნით" **მეგრ.**: ჭარუნს - დოჭარუნს "დაწერს", ხანტუნს - დოხანტუნს "დახატავს" სვან.: აჴნი - ადჴანი "დახნავს", ახტჳში ადხატში "დახატავს", ახზჳში ანხაზში "დახაზავს" [85]

2. **ფორმათა შენაცვლებაც** საერთოქართველური მოვლენაა. მაგ.: მუშაობს იმუშავებს, მღერის იმღერებს; **ინგ.**: უნადირევ "ვინადირებ", უცხოვრევ "ვიცხოვრებ" **მეგრ.**: მუშენს "მუშაობს" იმუშენს „იმუშავებს". ღალატენს "ღალატობს" უღალატენს „უღალატებს", ორე „არის" - იცუაფუ/იცია - "იქნება", არძენს "აძლევს" მეჩანს "მისცემს" სვან.: ლი "არის" ირი/ირა "იქნება", ესღუა/ესღუე "მიაქვს" ჲაესგი "წაიღებს"

3. **ჭანურში** მყოფადის წარმოების ძირითად ტიპს წარმოადგენს **კავშირებითის ფორმაზე მეშველი ზმნის დართვა,**

---

[85] ზმნისწინის დართვა სვანურში ნაირგვარ ცვლილებებს იწვევს ფორმაში, რის გამოც აწმყო-მყოფადის ფორმები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

რაც კილოკავების მიხედვით განსხვავებულია: ხოფურში II კავშირებითის ფორმას დაერთვის **უნონ** „უნდა“ მეშველი ზმნა: მხ. რიცხვი: ბ-კითხა-**მინონ** „ვკითხავ“, კითხა-**გინონ**, კითხას-**უნონ**... შდრ.: ჩხალურ თქმაში ზმნა იცვლება როგორც პირის, ისე რიცხვის მიხედვით, მეშველი ზმნა კი მას ერთვის უცვლელად, მხ. რიცხვის III პ. ფორმით: მხ.: ბ-კითხა-**უნონ**, კითხა-**უნონ**, კითხას-**უნონ**...

ვიწურ-არქაბულსა და ათინურში **უნონ** მეშველი ზმნის ნაცვლად დაერთვის **ერე**[86], რომელიც სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით (**რე, ე, რ**) იხმარება. მაგ., მხ.: ბ-კითხა-**რე**, კითხა-**რე**, კითხას-**ერე**/კითხას-**ე**. მრ.: ბ-კითხა-თ-**ერე**/ბ-კითხათ-**ე**, კითხათ-**ერე**/კითხა-თ-**ე**, კითხა-ნ-**ე**/კითხა-ნ-**ე**-ნ.

II კავშირებითის მყოფადის მნიშვნელობით გამოყენება ჰანურში არქაული ფაქტია, მეშველი ზმნის დართვა კი დიალექტური მოვლენაა.[87]

II სერია

წუვეტილის მწკრივის ნიშნებად სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში გვხვდება: **-ი, -ე, 0**.

არქაული ქართულის **ნულსუფიქსიანი** ზმნები გაფორმებულია **-ი** სუფიქსით: მოვხან(ი), მოვკალ(ი)... დაცულია ფხოურ კილოებში (ხევს., თუშ.).

-ი, -ე, 0 ალომორფების განაწილების წესი ქართველურ ენა-კილოებში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია:

-ე სუფიქსი მწკრივის ნიშნად თითქმის ყველა კილოშია: ქართლ.-კახ.: დავხატ-**ე**, გავაღ-**ე**, დავიწყ-**ე**... მეგრ.: დო-ჳ/პ-ჳ-**ე** „შევკერე“,

---

[86] ერე-ს წარმომავლობასთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრია გამოთქმული; ერე<ორე „არის“ (ნ.მარი, 1910, გვ.53;); ერე წარმოშობით კავშირია; სვან. ერე „რომ“ (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.148-49). -ერე სუფიქსი თურმეობითის ფორმებში მეშველი ზმნისგან არის მომდინარე (ქ. ლომთათიძე, 1946, გვ.137-39; ნ.ნათაძე, 1961, გვ.32; ირ.ასათიანი, 1970, გვ.147; ზ.ჭუმბურიძე, 1986, გვ 153).

[87] მყოფადის მეშველზმნიანი ფორმები დასტურდება სვანურშიც. ლენტეხურში, სხვა კილოებისაგან განსხვავებით, მყოფადის ფორმას ხშირად ერთვის მეშველი ზმნა. მეშველი ზმნა ერთვის არა მიმღეობას (როგორც ეს ინგილოურშია), არამედ უშუალოდ მყოფადის ფორმას. მაგ.: ხუირა "ვიქნები" ზმნის პარალელურად ლენტეხურში იხმარება ხუირახუი, ხირა/ხირახი "იქნები" ასევე: ლამთგრე/ლამთგრეხუი "დავლევ", ლახთგრე/ლახთგრეხი "დალევ", ანჯუედენი/ ანჯუედენიხუი "მოვალ", ანჯედენი/ ანჯედენირი "მოხვალ"... მყოფადის ეს სახეობა ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერების გამოხატულებადაა მიჩნეული (ჰ.შუხარდტის, არნ.ჩიქობავას და სხვათა მოსაზრებების მიმოხილვისათვის იხ. ზ.ჭუმბურიძე, 1986, გვ. 127, 213).

გუათ-ე „გავათავე“, დო-ვ/პ-კილ-ე „დავკეტე“ სვან.: ად-ხატუ-ე „დახატა“. ად-კარ-ე „გააღო“

მეგრულში წყვეტილის ნიშნებად -ი და -ე სუფიქსები გამოიყენება. მაგ.: ფხანტ-ი “ვხატე“, პკვათ-ი “ვჭერი“ პტყაბარ-ე “ვატყავე“ გიტ-ე “გაგიშვი“, პჭყ-ე “ვწყევლე“

ჰანურში უნიფიკაციის შედეგად ერთი ნიშანი (ი) არის გაბატონებული, რომელიც I-II პ. ფორმას დაერთვის: ბ-ზუმ-ი, ზუმ-ი, ზუმ-უ... (ი.ქავთარაძე, 1973, გვ.33).

ჰანურის იდენტური ვითარებაა ხევსურულსა და ინგილოურში (III პირში -ა გამოვლინდება): ა-ვ-ი-ღ-ი, ა-ი-ღ-ი, ა-ი-ღ-ა; გა-ვ-ი-გ-ი, გა-ი-გ-ი, გა-ი-გ-ა... (შდრ., ალიაბათურში წყვეტილის მწკრივს -ე სუფიქსი აწარმოებს: ვიცან-ე, მამეც-ე, წეველ-ე...).

სვანური კილოები წყვეტილს აწარმოებენ: ̣-ე სუფიქსით და ფუძის სახით. -ე სუფიქსი მხ. რიცხვის I-II პირში არ გვაქვს, თუმცა ისტორიულად უნდა ყოფილიყო ყველა პირსა და რიცხვში. ე-ს დაკარგვა ფონეტიკური ფაქტორით იხსნება:

1. ზსვ. ოთ-ზა̈უ̈ < *ათუ-ა-ზაუ-ე *და-ვ-ა-ზავ-ე“
2. ათ-ზა̈უ̈ < *ათ-ა-ზაუ-ე *და-ჰ-ა-ზავ-ე“
3. ად-ზაუ<ლნტ. ად-ა-ზა̈უ̈-ე *და-ა-ზავ-ე-ა (ვ.თოფურია,1967, გვ.140).

შდრ. ძვ. ქართ. III პ. ფორმები: მხ.: წერ-ა (*წერ-ე-ა), მრ.: წერეს (*წერ-ე-ეს)...

ნულსუფიქსიან ზმნებს III პირის ფორმებში მოკვეცილი აქვთ ნიშანი. პრევერბად იყენებენ ა-ს. I-II პირში მახვილს ატარებს წინდებული ან მაქცევარი (სუფიქსი), III პირში კი — შიდა ხმოვანი ფუძეში: ა̈/ა, ო/რ, უ̈/უ̈. პრევერბისეული ა-ს დაგრძელება ლა-ში, სიგრძის უგულებელყოფა I და II პირში... გამოწვეულია ე-ს მოკვეცით და მახვილის “მოქმედებით“ (ვ.თოფურია, 1967, გვ. 152-153).

სვანურში წყვეტილის ფორმას შეადგენს: პრევერბი + პირის პრეფიქსი + მაქცევარი + -ე ან 0 (ნული) სუფიქსი.

ბზ. მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი	
ო-ხუ-მა̈რ	„მოვამზადე“	ინკლ. ალ-მა̈რ-ე-დ	„მოვამზადეთ“
		ექსკლ. უ-ხუ-მა̈რ-ე-დ	„მოვამზადეთ“
ა-ხ-მა̈რ	„მოამზადე“	ა-ხ-მა̈რ-ე-დ	„მოამზადეთ“
ან-მა̈რ-ე	„მოამზადა“	ან-მა̈რ-ე-ხ	„მოამზადეს“

არცთუ იშვიათად წყვეტილის I-II პირში (მხოლობითში) ი დაბოლოება იკარგება: მეგრ.: გეგნაყოთ(ი) „გადააგდე“, ქომიღ(ი)

„მოიტანე", დოჭარ(ი) „დაწერე" **ხევს.**, **თუშ.**: გავიგ "გავიგე", გაიგ "გაიგე; გადავუგდ "გადავუგდე", გადაუგდ "გადაუგდე"

ზოგჯერ წყვეტილის დაბოლოებაში მთელი მარცვალი იკარგება: **მეგრ.**: მოიცა(დე), ქომუ(ჩი) „მომეცი" (შდრ.: მოიცა(დე), მომე(ცი), დახე(დე), მომყე(ვი), გასწი(ე)...).

-ე სუფიქსის წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული:

-ე სუფიქსი მომდინარეობს **ევ**-ისგან (არნ.ჩიქობავა, 1938, გვ.405; 1936, გვ.135-38; გ.როგავა, 1945, გვ.651-653); **-ე** ნამყოს სახეობათა საერთო ნიშანია (ვ.თოფურია, 1955, გვ.459).

გ.როგავას აზრით, წყვეტილის III პირის ფორმაში **ევ** გადასულია **უ**-ში (**ო** საფეხურის გავლით): **ოგურ-უ-უ<ოგურ-ევ-უ**. I-II პირში გაორკეცებული ე (ეე) უნდა იყოს მიღებული **ე**-სთან **ი**-ს ასიმილაციით: **ვოგურეე<ვოგურეი** (გ.როგავა, 1945, გვ.648-653).(შდრ. **ვოგურეი** ტიპის ფორმა ლიტერატურაში კონტამინაციურ წარმოებადაა მიჩნეული (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.136).

მეგრ. **ბრაგადეი** (<**ბრაგადევი**) ფორმის სრული ანალოგია დასტურდება დიალექტებში: **ვიჩივლეი<ვიჩივლევი, ავიღეი<ავიღევი** (ვ. თოფურია, 1925, გვ. 143). შდრ.: დევნახევით, გააღ**ევ-ი** (იმერხ.), ვიყიდ-**ევ-ი**, დევნახ-**ევ-ი** (ლივან.), დაანგრი-**ევ-ი**, გავწალდ-**ევ-ი** (მაჭახლ.), დევიჭირ-**ევ-ი-თ**, ეიკიდ-**ევ-ი** (ტაოური)... (შ. ფუტკარაძე, 1995).

II კავშირებითის წარმოების პრინციპი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში იდენტურია: საყრდენად იღებს წყვეტილის ფუძეს, რომელსაც ურთავს შესაბამის მაწარმოებელს.

სალიტერატურო ქართულში II კავშირებითს აწარმოებს **-ე, -ა, -ო** სუფიქსები. მათ განაწილებას ძირითადად წყვეტილის ფუძე განაპირობებს, კერძოდ:

ა) **-ა** ნიშანი II კავშირებითში გვხვდება მაშინ, როცა წყვეტილში ზმნა **-ი** სუფიქსით ან უნიშნოდაა წარმოდგენილი: ვთქვ-**ი** - ვთქვ-**ა**, დავწვ-**ი** - დავწვ-**ა**, მოვკალ - მოვკლ-**ა**...

ბ) **-ე** ნიშანი გვაქვს იმ ზმნებთან, რომლებიც წყვეტილს **-ი** სუფიქსით აწარმოებენ: დავეც-**ი** ~ დავეც-**ე**, წავედ-**ი** - წავიდ-**ე**...

გ) **-ო** სუფიქსი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა წყვეტილში **-ე** გვაქვს: ვწერ-**ე** - ვწერ-**ო**, ვტეხ-**ე** - ვტეხ-**ო**...

სვანურ კილოებშიც II კავშირებითის ნიშანთა (-ა, -ე, -ი) განაწილებას წყვეტილის დაბოლოება განსაზღვრავს, კერძოდ:

ა) -ა სუფიქსი II კავშირებითში გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა წყვეტილის III პირის ფორმაში ზმნას -ე გააჩნია: ად-კალუ-ე "გალეწა" - ად-კალუ-ა-ს "გალეწოს"

ბ) -ე სუფიქსი წარმოდგენილია ფუძედრეკად ზმნებთან: ადიგ "გააქრო" - ადგგ-ე-ს "გააქროს"

გ) -ი დაბოლოება II კავშირებითში გამოვლინდება მაშინ, როცა წყვეტილის III პირის ფორმებში -ე მოკვეცილია (ნულსუფიქსიანი წყვეტილის ზმნებთან): ანქაჩ "მოჭრა" ანქჩ-ი-ს "მოჭრას" (ვ.თოფურია, 1967, გვ.164-167).

ჰანურში II კავშირებითს (ისევე როგორც I კავშირებითს) ერთადერთი -ა სუფიქსი აწარმოებს (პირისა და რიცხვის განურჩევლად):

(დო)-პ-ჭარ-ა "დავწერო" (დო)-პ-ჭარ-ა-თ "დავწეროთ"
(დო)-ჭარ-ა „დაწერო" (დო)-ჭარ-ა-თ "დაწეროთ"
(დო)-ჭარ-ა-ს „დაწეროს" (დო)-ჭარ-ა-ნ "დაწერონ"

ჰანურის მსგავსი ვითარებაა ხევსურულში:

და-ვ-წერ-ა და-ვ-წერ-ა-თ
და-წერ-ა და-წერ-ა-თ
და-წერ-ა-ს და-წერ-ა-ნ

მეგრულში II კავშირებითი მხ. რიცხვის I-II პირში პარალელური -ა/-ე ნიშნითაა წარმოდგენილი:

(დო)-ვ/პ-ჭარ-ა/ე "დავწერო" (დო)-ვ/პ-ჭარ-ა-თ "დავწეროთ"
(დო)-ჭარ-ა/ე "დაწერო" (დო)-ჭარ-ა-თ "დაწეროთ"
(დო)-ჭარ-ა-ს "დაწეროს" (დო)-ჭარ-ა-ნ "დაწერონ" [88]

---

[88] ი.ყიფშიძეს შენიშნული აქვს II კავშირებითის წარმოებაში გარკვეული კანონზომიერებანი, კერძოდ: ზმნები, რომლებიც ნამყო სრულში -ეე ნიშნითაა წარმოდგენილი, II კავშირებითში მიიღებენ -უა/-უე დაბოლოებას: გოვთირეე — გოვთირუა/გოვთირუე "გავცვალო" (ი.ყიფშიძე, 1914, 060).
II კავშირებითში -უა/-უე სუფიქსებს დაირთავს, აგრეთვე -ი/-იი ნიშნიანი ფორმები: „ჳუწიი - ჳუწუა/ჳუწუე „ჳუთხრა", ფთქვიი - ფთქუა/ფთქუე „ვთქვა" (ი.ყიფშიძე, იქვე).
განხილული რიგის ზმნებში კავშირებითის ნიშნად იგივე -ა/-ე სუფიქსები გამოიყოფა, რომლებიც კავშირებითთა პარალელური წარმოებისას გვაქვს. რაც შეეხება უ ხმოვანს, იგი, გ.როგავას აზრით, -ევ სუფიქსის შერწყმული სახეობა უნდა იყოს: ვოგურუა<ვოგუროა<*ვოგურევა (გ.როგავა, 1945, გვ.650).

III სერია რიგი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებით ხასიათდება.

მეგრულ-ჭანურ-სვანურში, სალიტერატურო ქართულთან შედარებით, დრო-კილოთა III ჯგუფის მწკრივთა წარმოების პრინციპი განსხვავებულია; I და II სერიის ფორმების მსგავსად, აქაც მწკრივები საწარმოებელი ფუძის მიხედვით არის დალაგებული; მაგ., მეგრ.: III სერიის ფორმებისათვის ამოსავალია I თურმეობითის ფუძე: დომიხანტუ - დომიხანტუდუ - დომიხანტუდას "დამიხატავს - დამეხატა - დამეხატოს"

სვანურ კილოებშიც ნამყოსრულის (თურმ. I) ფუძე არის ამოსავალი ნამყო წინარეწარსულისათვის (თურმ. II). ამ უკანასკნელს კი კონიუნქტივი III (კავშ. III) ეყრდნობა: ბზ.: ხოხტაუ-ა - ხოხტაუ-ჱნ - ხოხტაუ-ჱნ-ს "უხატავს - ეხატა - ეხატოს" (ვ. თოფურია, 1967, გვ.177).

I **თურმეობითს** სხვადასხვა ტიპის ზმნა სხვადასხვანაირად აწარმოებს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გარდამავალი ზმნის I თურმეობითის ფუძედ გამოყენებულია I და II სერიის ფუძე.

ა) **გარდამავალი** ზმნებიდან რიგ თავისებურებებს წარმოაჩენს **-ავ, -ამ** თემისნიშნიანი ფორმები. ამ ტიპის ზმნებისათვის I თურმეობითში ამოსავალია აწმყო-მყოფადის ფუძე. თუ ზმნა აწმყო-მყოფადში თემისნიშნიანია, მას თემის ნიშანი ეკნება I თურმეობითშიც. დაერთვის **-ი, -უ** პრეფიქსები. წესი უგამონაკლისოა ძველი ქართულისათვის: გაუძარცვავს (აწმყო: ძარცვავს), მოუქარგავს (აწმყო: ქარგავს), დაუდგამს (აწმყო: დგამს).

როცა სახელობითში დასმული ობიექტი III პირშია, უღლება მარტივია: მომიკლავს მე იგი, მოგიკლავს შენ იგი, მოუკლავს მას იგი...

განსხვავებული ვითარებაა მაშინ, როცა ობიექტად I-II პირია წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ძველ ქართულში მეშველი ზმნა არ ჩანს: მოუკლავ მას მე, მოუკლავ მას შენ, მოუკლავს მას იგი...

აღნიშნული ტიპის ზმნებს თანამედროვე ქართულში დაერთო მეშველი ზმნები: მოვუკლავ-ვარ, მოუკლავ-ხარ.

სხვა ტიპის გარდამავალ ზმნებთან I თურმეობითში ძველი ქართულის **ი-ე**-ს დაბოლოება **-ი-ა** დაბოლოებითაა შეცვლილი.

არქაულ უთემისნიშნო ზმნათა ნაწილი დღეს თემისნიშნიანი გახდა: რეკავს, თიბავს, თესავს, კენკავს, კეტავს, კეცავს, რეცხავს,

წეწავს, ჰედავს, ხეხავს, ხოცავს... ამგვარ ზმნათა ნაწილი **-ავ** თემის ნიშანს I თურმეობითშიც გამოავლენს: დაუხოცავს, გაურეცხავს, დაურეკავს... თუმცა უფრო ხშირია უთემისნიშნო ფორმები: დაუხოცია, გაურეცხია, დაურეკია... ამ შემთხვევაში ამოსავალი ჩანს II სერიის ფუძე.

ფხოურ კილოებში (ხევს., ფშ., თუშ.) გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი (როცა რეალური ობიექტი III პირია) **-ავ** (<**ავ-ი-ს**) ფორმანტით იწარმოება: გაუკეთებ-**ავ(ი-ს)** "გაუკეთებია", გაუგ-**ავ(ი-ს)** "გაუგია", აუსხამ(**ი-ს**) "აუსხამს" ბოლოკიდური **-ი-ს** ხშირად მოკვეცილია.

მეგრულ-ჭანურშიც I თურმეობითი ნაწარმოებია სტატიკური ვნებითის **ი, უ** პრეფიქსიანი (სასხვისო ქცევის) ფორმით და ეყრდნობა I სერიის ფუძეს ან საწყისს: მ-ი-ჭარ-უ "მიწერია", მ-ი-კეთ-ებ-უ "მიკეთებია" მ-ი-თქუალ-უ "მითქვამს", მ-ი-ყიდირ-უ "მიყიდია"

მეგრულ-ჭანურში I თურმეობითში ყველგან **-უ(ნ)** დაბოლოება გვაქვს: (მიძირუ(ნ) "მინახავს", მიხანტუ(ნ) "მიხატავს" გამოყენებულია აწმყოს ფუძის საობიექტო ქცევის ფორმა, რომელიც წარმოშობით სტატიკური აწმყო უნდა იყოს (ჭარუნ „სწერია", მიჭარუნ „მიწერია").

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
(დო)მ-ი-ჭარ-უ	(დო)მ-ი-ჭარ-უ-ნ-ა(ნ)
(დო)ი-ჭარ-უ	(დო)ი-ჭარ-უ-ნ-ა(ნ)
(დო)უ-ჭარ-უ	(დო)უ-ჭარ-უ-ნ-ა(ნ)

ბ. ჯორბენაძე: მეგრულში გარდამავალი ზმნის III სერიაში გამოყენებულია აორისტის ფუძე, რომელიც ფორმდება I სერიაში დადასტურებული სუფიქსებით (შდრ. ქართ. ორპირიანი გარდაუვალი ზმნები, რომლებიც გაფორმებულია მეშველი ზმნით (ერთპირიანი ზმნების ანალოგიით), აწმყო: ეწერება - დასწერია - დასწერიყო - დასწერიყოს (შდრ.: იწერება - დაწერილა დაწერილიყო - დაწერილიყოს).

ჭანურში ინვერსიული თურმეობითები მასდარის მქონე ყველა გარდამავალი ზმნისაგან იწარმოება; იმ ზმნებს, რომელთაც მასდარი არ ეწარმოებათ, თურმეობითებიც არა აქვთ: მაგ.: მიგნა-

თუნ "გამიგია" მითქვ-ნ "მითქ[illegible] ებუნან ესვამთ", მიჭკომუნ კ[illegible]ია"" (გ. კარტოზია, 2005, გვ. [illegible])"

სვანურ კილოებში I თურმეობითის ერთადერთი დაბოლოება არის **ა**: მიშთხრ-ა "მითხრია", მიმვარ-ა „მიმზადებია", მისყ-ა „მიკეთებია"

-ა წარმოშობით აწმყოს სუფიქსია, ქართ. **-ავ** და ზან. **-უ** სუფიქსების კანონზომიერი შესატყვისი (გ. მაჭავარიანი).

ბ) არქაულ ქართულში ორპირიან გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითში (საერთოდ III სერიაში) არ გვხვდება მეშველზმნიანი ფორმები: და-ვ-ჰ-ვიწყ-ებ-ი-ე, და-ჰ-ვიწყ-ებ-ი-ე, და-ჰ-ვიწყ-ებ-ი-ე-ს... და-მ-ვიწყ-ებ-ი-ე-ს, და-გ-ვიწყ-ებ-ი-ე-ს, და-ჰ-ვიწყ-ებ-ი-ე-ს...

ამგვარი წარმოების გვერდით გვაქვს I თურმეობითის **-ია** დაბოლოებიანი ფორმებიც: დამიტევებია, დაჰვიწყებია, მჭონებია...

სტატიკური ზმნები III სერიაში ძირითადად ისევე იწარმოება, როგორც შესაბამისი დინამიკური ფორმები: აღწერითად ან ორგანულად.

ორპირიან სტატიკურ ზმნათათვის საყრდენ ფუძედ გამოყენებულია მოქმედებითი გვარის ზმნის აწმყო-მყოფადის თემაზე დამყარებული მასდარი, რომელსაც I თურმეობითში ემატება მეშველი ზმნა, II თურმეობითსა და III კავშირებითში კი **-ოდ-ი, -ოდ-ე** სუფიქსები: ვბმი-**ვარ**, ვბმ-**ოდ-ი**, ვბმ-**ოდ-ე**.

ორპირიანი სტატიკური ზმნების წარმოება ყოველთვის არ ემთხვევა შესაბამისი დინამიკური ვნებითის წარმოებას: უწერია სწერებია... ხურებოდა.

დიალექტებშიც სალიტერატურო ქართულის მსგავსი წარმოება გვაქვს.

გარდაუვალი რელატიური ზმნები III სერიას სინთეზურად აწარმოებენ. I თურმეობითში მეშველ ზმნას დაირთავენ, ხოლო II

---

[89] ლაზურის თურმეობითებთან დაკავშირებით სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული: 1. ლაზურში ინვერსიული თურმეობითების წარმოება იშვიათია (ნ.მარი, 1910, გვ.46; არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.153; ა.კიზირია, 1967, გვ.70-71); 2. ინვერსიული თურმეობითები ჭანურში ხშირად გამოიყენება (ი.ყიფშიძე, 1911, გვ. 3-4; ჟ.დიუმეზილი, 1967, გვ.7, 11; გ.კარტოზია, 2005, გვ. 97-102). ლიტერატურაში გაბატონებულია ნ.მარისა და არნ.ჩიქობავას მოსაზრება ლაზურში ინვერსიული თურმეობითების შეზღუდული გამოყენების შესახებ.

თურპეობითსა და III კავშირებითში გამოავლენენ **-ოდ** სუფიქსს. ანალიზური წარმოება დიალექტებისათვისაც არ არის უცხო.

იმერულში ზოგი ორპირიანი გარდაუვალი ზმნა I თურმეობითს აღწერითად აწარმოებს: მოფერებ-ლარიენ (კ. კუბლაშვილი, 1985, გვ. 165).

მეგრულში ორპირიანი გარდაუვალი ზმნები I თურმეობითში სხვადასხვა ფუძეს იყენებენ. წარმოება მეშველზმნიანია:

ა) ამოსავალია I სერიის ფუძე, რომელსაც დაერთვის მეშველი ზმნა. აწმყოსეული -უ სუფიქსი გვაქვს I თურმეობითშიც: ქოდავბადებუქ "დავბადებივარ", მობრდუქ "გავზრდივარ"

ბ) ამოსავალია საუღლებელი ზმნის საწყისი, რომელსაც დაერთვის მეშველი ზმნა: გოპჭყოლადუქ "დავვიწყებივარ", ქაფხვალამუქ "შევხვედრივარ"

გ) **ერთპირიანი ზმნების** დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები ქართულში ჩამოყალიბდა ანალიზური წარმოების საფუძველზე: ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა + მეშველი ზმნა (I თურმეობითში აწმყოს - "არს", II თურმეობითში ნამყოს - "იყო" და III კავშირებითში II კავშირებითის - "იყოს" ფორმით): დახატულ-ა(რს), დახატულ-იყო, დახატულ-იყოს.

ძველ ქართულში ერთპირიან ზმნათა აღწერით ფორმაში მხოლოდ მეშველი ზმნა იუღლებოდა, მიმღეობას პირის ნიშანი არ მოუდიოდა. თანამედროვე ქართულში III პირში ორივე სიტყვა გაერთიანდა, ამას მოჰყვა პირის ნიშნების გადმოტანა თავში. I-II პირი ორმაგი პრეფიქსით გამოიხატა: **ვ-ჩვეულ-ვარ, ჰ-ყოფილ-ხარ**... III პირში მეშველი ზმნა გამარტივებულია: მოსულ-ა, წასულ-ა...

ერთპირიანი ზმნები ყველა ქართველურ ქვესისტემაში აღწერითად იწარმოება. ცალკეულ დიალექტებში (იმერ., გურ., ლეჩხ.) მეშველი ზმნა სრულად ჩანს III პირშიც: მოსულ-არიენ, ყოფილ-არიენ, დამალულ-არიენ...

ხევსურულში მეშველი ზმნა ზოგჯერ "**ას**" სახით გვხვდება: მამკვდარ**ას**... შესაძლებელია ა-ც გაუჩინარდეს და მხოლოდ მიმღეობით გადმოიცეს I თურმეობითი: **ამაბრუნვილ** (ა.ჭინჭარაული, 1960, გვ. 136).

ასეა **ჭანურსა და მეგრულშიც**. მეგრ.: დოპჭველექ "დავმწვარვარ", დოპჭველედი "დავმწვარიყავი", დოპჭველედა "დავმწვარიყო"

-ერე სუფიქსიანი წარმოება მეგრულში ისტორიულად ერთპირიან გარდაუვალ ზმნებს ახასიათებს[90], ჭანური კი თურმეობითის წარმოებაში არ განასხვავებს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს.

მეგრულ-ჭანურში ერთპირიან ზმნათა ნაწილი I თურმეობითს ორგანულად აწარმოებს (იყენებს ინვერსიულ ფორმებს): მეგრ.: მიდამირთუმუ, მინგარუ... ჭან.: მიხთიმუნ "წავსულვარ", უნჯირუნ "უძინია" (გ.კარტოზია, 2005, გვ. 98).

სვანურ კილოებში I თურმეობითი ყოველგვარ ზმნასთან გაფორმებულია -ა სუფიქსით. ქვემოსვანურ დიალექტებში სუბიექტური წყობის პარადიგმის I-II პირის ფორმებში ხუ-ი „ვარ", ხ-ი „ხარ" მეშველი ზმნაა წარმოდგენილი ლშხ. ხომარ-ა-ხუი, ლნტ. ხუმარ-ა-ხუი "მოვუმზადებივარ" (ვ. თოფურია).

II თურმეობითი

ა) გარდამავალ ზმნათა II თურმეობითის წარმოებისას სამწიგნობრო ქართული იყენებს დინამიკური ზმნის II სერიის ფუძეს. წარმოების ყალიბი ყველა ზმნისათვის ერთია: ფორმა ეყრდნობა სათანადო ზმნის წყვეტილის ფუძეს და ფორმობრივად წარმოადგენს შესაბამისი ენიანი ვნებითის წყვეტილს. მწკრივის ნიშნებია: **-ი, -ე** სუფიქსები და **ნული**.

ძველ ქართულში გვხვდება II თურმეობითის მოკლე ფორმები: აღმეშმნა, დამეტევა, განმეახლა, მომემზადა, მედიდა... თანამედროვე სალიტერატურო ენაში ისინი **-ებ-ინ-ა** დაბოლოებითაა წარმოდგენილი: ამეშენებინა, დამეტოვებინა, მედიდებინა... არქაული წარმოება შემორჩენილია ფხოურ კილოებში.

მეგრულსა და ჭანურში II თურმეობითი იმავე ფუძეს იყენებს, რასაც I თურმეობითი, ოღონდ მას უწყვეტლის **-დ** სუფიქსს ურთავს: მიზიმ-უ(ნ)>მიზიმ-უ-დ-უ... (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.145-147; ი.ყიფშიძე, 1914, გვ.086-088) (შდრ. სალიტერატურო ქართულის ორპირიანი გარდაუვალი ზმნები: მომსვლია მომსვლოდა, მქონია მქონოდა).

---

[90] მეგრულში -ელე(<ერე)-იანი წარმოების გვერდით გამოიყენება გამარტივებული, -ე ელემენტიანი ფორმებიც: ცოფერედას/ცოფედას "ყოფილიყოს", დოლურელედას/ დოლურედას „მომკვდარიყოს", დოქველედას/დოქვედას „დამწვარიყოს"... მიუთითებენ, რომ ე<ერე (მ.მარგველაშვილი, 1982, გვ.97).

ჭანურის ნიმუშები: მითქვაფუტუ "მეთქვა", დუკიდაფუტეს "აეგოთ", გუნწკიმუტუ "გაეხსნა", უბირაფუტუ "ემღერა" (გ.კარტოზია, 2005, გვ.100-101).

ვიწურ-არქაბულში II თურმეობითი ზოგჯერ **დორენ/რენ** "არის" მეშველი ზმნით არის გართულებული: მუხტიმუტუ-დორენ "მოსულიყო", უგნაფუტეს-რენ "გაეგონათ, გაეგოთ" (გ. კარტოზია, 2005, გვ. 101).

სვანურშიც II თურმეობითის ფორმა I თურმეობითისაგან ძირითადად მხოლოდ მწკრივის ნიშნით განსხვავდება. II თურმეობითის მაწარმოებლად გვხვდება: ბზ.: **ǯნ**, ბქვ.(ეცერ.) **ǯნ**, ლნტ. **ან**, ლშხ. **ǯნ/ენ**. ბზ.: მიმǯარ-**ǯნ** „მემზადებინა", ჯიმǯარ-**ǯნ**, ხომǯარ-**ǯნ**; მიხტაუ-**ǯნ** "მეხატა", ჯიხტაუ-**ǯნ**, ხოხტაუ-**ǯნ**...

ბ) ორპირიან გარდაუვალ ზმნათა II თურმეობითი ისტორიულად წარმოადგენს I თურმეობითის ნამყო უსრულს; გართულებულია **-ოდ** სუფიქსით.

II თურმეობითის ფორმათა ზოგადი სტრუქტურა ასეთია: *ზმნისწინი + პირის ნიშანი + ძირი + თემის ნიშანი + ოდ სავრცობი + მწკრივის ნიშანი:* და-ვ-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ე, და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ა...

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მწკრივის ნიშნად, **-ე**-ს ნაცვლად, გვაქვს **-ი**: და-ვ-ვიწყ-ებ-ოდ-ი, და-ვიწყ-ებ-ოდ-ი, და-ვიწყ-ებ-ოდ-ა...

ორპირიანი გარდაუვალი ზმნების ორგანული წარმოების გვერდით მეშველზმნიანი ფორმებიც ჩნდება. გამოიყოფა 2 ტიპი:

1. ამოსავალია მასდარი, **-ოდ** სუფიქსის ნაცვლად წარმოდგენილია მეშველი ზმნა: **ვიყავ, იყავ, იყო**: ჰყოლ-**იყო**, სჯობნებ-**იყო**, დამკარგ-**ვიყო**, შესძლებ-**იყოს**...

2. საყრდენია ვნებითი გვარის მიმღეობა, რომელსაც იგივე მეშველი ზმნა ემატება: ჩამოვრჩენილ-**იყავ**, მიახლოებულ-**იყვნენ**... მსგავსი ფორმები ხშირია აღმოსავლურ დიალექტებში.

ორპირიან გარდაუვალ ზმნათა II თურმეობითში პარალელური წარმოებიდან თანამედროვე სალიტერატურო ენაში გაბატონებულია **-ოდ**იანი ფორმები. აღწერითი წარმოების ნიმუშები დიალექტურ წარმოებად მიიჩნევა.

ხევსურულში, მოხეურში ყველა ზმნა მეშველზმნიანია: ხევს.: ხუვან-**იუვა**, ჰქონ-**იყო**, შამასჩევე-**იყო**... მოხ.: გასთეთრებ-**იყო**, გახფუჭებ-**იყო**, მასწონებ-**იყო**...

მეგრულში ორპირიანი გარდაუვალი ზმნების წარმოება ორგანულია: II თურმეობითი იმეორებს ვნებითი გვარის ზმნის უწყვეტელს: დაბადებუ-დ-უ "დაბადებია", შეხვალამუ-დ-უ "შეხვედროდა", გოჭყოლადუ-დ-უ "დაჰვიწყებოდა"

სვანურშიც გარდაუვალ ზმნათა ფორმები ძირითადად გარდამავალ ზმნებს მისდევს, ძირითად განსხვავებას ქმნის მხოლოდ ხმოვანპრეფიქსების კლება (ვ.თოფურია, 1967, გვ. 169-170).

გ) ერთპირიანი ზმნები არქაულ ქართულში მხოლოდ აღწერითად იწარმოება: საუღლებელი ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობის ფუძე + ყოფა ზმნის წყვეტილის ფუძე: იუღლება მეშველი ზმნა, მიმღეობა პირის ნიშანს არ დაირთავს: წარსრულ ვიყავ, წარსრულ იყავ, წარსრულ იყო...

თანამედროვე ქართულშიც წარმოების პრინციპი უცვლელია. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ **ვ-** პრეფიქსი მეშველ ზმნას ჩამოშორდა და ზმნისწინის მომდევნოდ ჰპოვა ადგილი, მეშველი ზმნა კი მიმღეობის ფუძეს შეუხორცდა: წა-ვ-სულ-იყავი, წა-სულ-იყავი, წა-სულ-იყო...

ხევსურულშიც ყველა ერთპირიანი ზმნა II თურმეობითს "იყო" მეშველი ზმნით აწარმოებს: წერებულ-**იყვა**, ჩამასულ-**იყო**, სძინებ-**იყვა**, ზდებ-**იყვა**, შამამდგარ-**იყვა**...

მეგრულ-ჭანურში ერთპირიანი ზმნები ეყრდნობა I თურმეობითის ფორმას და დაირთავს **-დ** სავრცობს: დოჭველე-დ-უ "დამწვარიყო"

ჭანურის ნიმუშები: გამუხთიმუტუ "გამოსულიყო", მუხთიმუტუ "მოსულიყო" (გ.კარტოზია, 2005, გვ. 101).

III **კავშირებითის** წარმოებას სალიტერატურო ქართულში განსაზღვრავს II თურმეობითის წარმოება: III კავშირებითი ისევე იწარმოება II თურმეობითისაგან, როგორც აწმყოსა და მყოფადის კავშირებითი უწყვეტლისა და ხოლმეობითისაგან. მოქმედებითი გვარის ზმნათა III კავშირებითი სტატიკური ვნებითის აწმყოს კავშირებითს ემთხვევა.

ა) გარდამავალ ზმნებს III კავშირებითში დაერთვის **-ა, -ე, -ო** სუფიქსები.

მეგრულ-ჭანურშიც III კავშირებითი II თურმეობითს ეყრდნობა. მაწარმოებლად ძირითადად **-ა** სუფიქსია გაბატონებული. **-ე** შედარებით იშვიათია.

დო)მ-ი-ხანტ-უ-დ-ა-ს „მეხატოს" (დო)მ-ი-ხანტ-უ-დ-ა-ნ „გვეხატოს"

(..ო)გ-ი-ხა- ტ-უ-დ-ა-ა „გეხატოა“ (დო)გ-ი-ხან-ტ-უ-დ-ა-ნ „გეხატოთ“
(დ ო)უ-ხან-ტ-უ-დ-ა-ს „ეხატოს“ (დო)უ-ხან-ტ-უ-დ-ა-ნ „ეხატოთ“

ჭანურის ნიმუშები: დოგირჩაფუტას "დაგეფინოს", გიკვანდაფუტას "გემათხოვროს" (გ. კარტოზია, 205, გვ. 102).

ჭანურის იდენტურია III კავშირებითის წარმოება **ხევსურულში**, სადაც ერთადერთი -ა სუფიქსი გამოიყენება: და-მ-ე-ხატ-ა-ს, და-გ-ე-ხატ-ა-ს, და-ე-ხატ-ა-ს...

III კავშირებითის წარმოების პრინციპი ანალოგიურია სვანურ კილოებშიც: მ-ი-მარ-ენ-ს<*მ-ი-მარ-ენ-ე-ს "მემზადებინოს" აქ კავშირებითის **-ე** სუფიქსი მოკვეცილია. სვან. სუფიქსები: ბზ., ლშხ. -ენ. ბქვ., ლნტ. **-ენ**, ბქვ. **ენ-ე**.

ბ) ორპირიან გარდაუვალ ზმნებს არქაულ ქართულში III კავშირებითშიც აქვს ორგანული წარმოების ფორმები: და-ვ-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ი, და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ი, და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ი-ს...

თანამედროვე ქართულში მწკრივის ნიშნად, -ი-ს ნაცვლად, გვაქვს -ე: და-ვ-ვიწყ-ებ-ოდ-ე, და-ვიწყ-ებ-ოდ-ე, და-ვიწყ-ებ-ოდ-ე-ს...

მეგრულ-ჭანურში III კავშირებითის ნიშნად ძირითადად -ა სუფიქსი გვხვდება: დო-პ-ჳვ-ელე-დ-ა "დავმწვარიყავი", დო-ჳვ-ელე-დ-ა, დო-ჳვ-ელე-დ-ა-ს...

გ) ერთპირიანი ზმნები არქაულ ქართულში აღწერითად იწარმოება: მეშველი ზმნა წარმოდგენილია II კავშირებითის ფორმით: წარსრულ ვიყო, წარსრულ იყო, წარსრულ იყოს... შდრ. თანამედროვე ქართული: წავ-სულ-იყავი, წა-სულ-იყავი, წა-სულ-იყოს...

მეგრულში ერთპირიანი ვნებითი (დინამიკური) გვარის ზმნათა ერთ ჯგუფს დრო-კილოთა III ჯგუფში (აქედან გამომდინარე, III კავშირებითშიც) აღწერითი წარმოება ახასიათებს, თავს იჩენს **ელე (<ერე)** მაწარმოებელი: მო-ვ/ბ-რდ-ელე-დ-ა „გავზრდილიყავი“, მო-რდ-ელე-დ-ა, მო-რდ-ელე-დ-ა-ს...

მეგრულში ერთპირიანი ზმნების ნაწილი ორგანულად აწარმოებენ III კავშირებითს: უცხოვრებუდას „ეცხოვროს“, მიძიცინუდას „მეცინოს“ ჭანური: უხტიმუდას "ევლოს".

IV სერიის ფორმები

ქართველურ ქვესისტემებში (მეგრ., იმერ., ლეჩხ., რაჭ., სვან.) დამოუკიდებელ უღვლილების ერთეულებად გამოყოფილია ნა-/ნო-პრეფიქსიანი ზმნური ფორმები. დრო-კილოთა სხვა ჯგუფის ფორმებისაგან მათ განასხვავებს ყალიბი და ფუნქცია.

აღნიშნული ზმნური ფორმები ადრეულ გრამატიკულ ლიტერატურაში დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმათა პარალელურ წარმოებად (ვარიანტებად) არის მიჩნეული (ი.ყიფშიძე, 1914, 089; არნ.ჩიქობავა, 1936, 146; ვ.თოფურია სვანურში მათ I სერიაში აერთიანებს — ვ.თოფურია, 1967, გვ. 130-136).

მეგრულში ნო- პრეფიქსიან ზმნურ ფორმათა ცალკე სერიად გამოყოფა გ.როგავას სახელთანაა დაკავშირებული. მკვლევარმა აღნიშნული ფორმები დრო-კილოთა IV ჯგუფში გააერთიანა და აწმყოს თურმეობითის მწკრივები უწოდა, განსხვავებით აორისტის თურმეობითის მწკრივებისაგან. IV ჯგუფში შემდეგი მწკრივები შევიდა: III თურმეობითი, IV თურმეობითი, IV კავშირებითი, IV პირობითი.

მეგრულში IV სერიაში დაცულია საწარმოებელი ფუძის პრინციპი: III თურმეობითი არის საყრდენი დანარჩენი მწკრივებისათვის. III თურმეობითის ფორმა მიიღება ნო- პრეფიქსითა და -უ სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობის ფორმაზე ორე(ნ) მეშველი ზმნის დართვით: ნო-ჭკირ-უ-ე-(ნ) < *ნო-ჭკირ-უ-(ო)რე(ნ) „ჭრის/ჭრიდა თურმე“ (გ.როგავა, 1953, გვ.23). უღლების ნიმუში:

	ვინიანი წყობა	მანიანი წყობა
I	ნო-ვ/პ-ჭარ-უ-ე-ქ „ვწერდი თურმე“	ნო-მ/პ-ჭარ-უ-ე „მწერდა თურმე“
II	ნო-ჭარ-უ-ე-ქ „წერდი თურმე“	ნო-რ-ჭარ-უ-ე „გწერდა თურმე“
III	ნო-ჭარ-უ-ე „წერდა თურმე“	ნო-ჭარ-უ-ე „წერდა თურმე“

აწმყოს თურმეობითისა და აორისტის თურმეობითის ფორმები განსხვავებულ კონსტრუქციას ქმნიან: აწმყოს თურმეობითის მწკრივებში გარდამავალი ზმნა ნომინატიური კონსტრუქციისაა (თინა ნოჭარუე თის „ის წერდა თურმე მას“), ხოლო აორისტის თურმეობითის მწკრივებში — დატიური კონსტრუქციისა (თის დუჭარუ თინა „მას დაუწერია თურმე“). ამასთანავე, დრო-კილოთა IV ჯგუფში გარდამავალი ზმნა სამპირიანობას ინარჩუნებს, III ჯგუფში - არა (გ.როგავა, 1953, გვ.18).

მეგრ. ნო- პრეფიქსიანი აწმყოს თურმეობითის ანალოგიური წარმოება გვაქვს იმერულში, ლეჩხუმურში, რაჭულში (შ.ძიძიგური, 1938, 129-130; მ.ალავიძე, 1941, 234; ქ.ძოწენიძე, 1973, 91-92; ო.კახაძე, 1954, 173-174), სადაც ნა- პრეფიქსით ნაწარმოები სამი მწკრივი გამოიყოფა: III თურმეობითი, IV თურმეობითი, IV კავშირებითი. იმერ., ლეჩხ. და რაჭ. ნა- პრეფიქსიანი ყალიბი მეგრ. ნო-

პრეფიქსიანი ყალიბის იდენტურია როგორც წარმოების, ისე მნიშვნელობის თვალსაზრისით.

წარმოების პრინციპი: ნა- პრეფიქსიანი წარსული დროის მიმღეობა + მეშველი ზმნა (ა<არს):

ვინიანი წყობა	მანიანი წყობა
ვ-ნა-წერა-ვარ	მ-ნა-წერავ-ა
ნა-წერავ-ხარ	გ-ნაწერავ-ა
ნა-წერავ-ა	ნაწერავ-ა (ო.კახაძე, 1954, გვ. 174-175).

ნა- პრეფიქსიანი ყალიბი აღნიშნავს ზოგადად უნახავ მოქმედებას. დროის მიხედვით გამოხატავს: ა. ნამყო უსრულს: კოწია ლექსს რო ნაწერავა, მაშვინ მოსულა ი ბიჭი და... (=თურმე წერდა); ბ. კონკრეტულ აწმყოს: გედეონს ი გოგო ნაყვარება (=უყვარს თურმე); გ. შდრ. ზოგადი აწმყო: ი გოგო ლექსებს ნაწერავა (=წერს თურმე საერთოდ) (ო.კახაძე, 1954, გვ. 174).

ე.წ. IV სერია გამოიყოფა სვანურ კილოებშიც. წარმოდგენილია ორი მწკრივით: III თურმეობითი, IV თურმეობითი (გ.როგავა, 1953; ზ.ჭუმბურიძე, 1986; ა.ონიანი, 1998) (შდრ. ვ თოფურია, 1967, 130-136).

სვანურ კილოებში III თურმეობითის ყალიბია: აწმყოს ფუძე + უნ-ა (ბქვ.), ინ-ა (ბზ., ქვ.სვ.). ქვემო სვანურში მხ. რიცხვის I-II პირში მეშველი ზმნა (ხუი „ვარ“, ხი „ხარ“) დაერთვის:

ბზ. ხუაგმ-ინ-ა	ლნტ. ხუაგემ-ნა(ხუი)	„ვუშენებდი თურმე“
ხაგმ-ინ-ა	ხაგემ-ნა(ხი)	„უშენებდი თურმე“
ხაგმ-ინ-ა	ხაგემ-ნა	„უშენებდა თურმე“

ვ.თოფურიას აზრით, სუფიქსი „ა ეგებ ნ. უსრულის მაწარმოებელი იყოს“ (ვ. თოფურია, 1967, გვ. 130). -ინ/-უნ სუფიქსთა წარმომავლობა საკვლევია.

სპეციალისტთა მიერ IV თურმეობითად მიჩნეული ფორმის ყალიბია: ლგ-მა + აწმყოს ფუძე + უნ-ე, ან: ლგ-+მა + (აწმყოს ფუძე) ე + მეშველი ზმნა. პრეფიქსები ყოველთვის სახეზეა, სუფიქსები კი — არა.

ბზ. ლგმგამჳნ ხუი	ლნტ. ლგმაგემ ხუი „ნაშენებვარ“
ლგმგამჳნ ხი	ლგმაგემ ხი „ნაშენებხარ“
ლგმგამჳნ ლი	ლგმაგემ ლი „ნაშენება“

(ვ. თოფურია, 1967, გვ.134).

ვ.თოფურია: ლგ- პრეფიქსი შეიძლება ნამყოს მიმღეობის ლგ- იყოს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სვანურ კილოებში ნამყო დროის მიმღეობის ძირითად მაწარმოებლად სწორედ ლგ

პრეფიქსია, მაგ.: ლგ-გ-ე „აგებული", ლუ-ქ'ით „მოპარული", ლგ-მ-ე „შეჭმული", ლგ-ბ-ე „დაბმული" (ვ.თოფურია, 1979, გვ.218-219). ნა- პრეფიქსი წარსული დროის ფორმებში შედარებით იშვიათია. ამით უნდა აიხსნას ნა-ს ნაცვლად ლგ- პრეფიქსის გამოყენება IV თურმეობითში.

სვანური კილოების IV თურმეობითი სტრუქტურული თვალსაზრისით მეგრულ-იმერულ-ლეჩხუმურ-რაჭულ **ნა-** პრეფიქსიან ფორმათა გვერდით დადგება.

სვან. III თურმეობითი და IV თურმეობითი კონსტრუქციითაც განსხვავდება: პირველი რელატიურია, მეორე - აბსოლუტური.

IV სერიის ფორმები არ გვაქვს ჭანურში (თუმცა წინავითარების ნო- პრეფიქსი გამოიყენება). სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია ჭანურის თურმეობითის ორი ფორმა: ნანამყოუსრულარი თურმეობითი და ნააორისტალი თურმეობითი. აწმყოს თურმეობითის შინაარსი გადმოიცემა ნანამყოუსრულარი თურმეობითით, რომელიც ანალიზური წარმოებისაა: ნამყო უსრულის ფორმა + დორენ (ვიწ.-არქ.)//ერე(ათინ., ხოფ.) მეშველი ზმნა:

ვიწურ-არქაბული	ხოფური
ბ-ზუმ-უმ-ტ-ი-დორენ	ბ-ზიმ-უფ-ტ-ერ-ე „თურმე ვზომავდი"
ზუმ-უმ-ტ-ი-დორენ	ზიმ-უფ-ტ-ერ-ე „თურმე ზომავდი"
ზუმ-უმ-ტ-უ-დორენ	ზიმ-უფ-ტ-ერ-ე-ნ „თურმე ზომავდა"

(არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.141).

(ნააორისტალი თურმეობითი: ბ-ზუმ-ი-დორენ/ბ-ზიმ-ერე „თურმე მიზომავს").

ჭანური ნანამყოუსრულარი თურმეობითი ფუნქციური თვალსაზრისით იგივეა, რაც მეგრულ-იმერულ-სვანური თურმეობითები, ხოლო შედგენილობით მსგავსია სვან. III თურმეობითისა.

მაშასადამე, აწმყოს თურმეობითის სპეციფიკური წარმოება დამახასიათებელია არა მხოლოდ მეგრულ-იმერული... კილოებისათვის, არამედ ჭანური და სვანური კილოებისთვისაც; ე.წ. IV სერიის ფორმები საერთოქართველური მოვლენა ჩანს და არა რომელიმე დიალექტის ან დიალექტური ჯგუფის კუთვნილება; შდრ.:

ვარაუდობენ, რომ ნა- პრეფიქსიანი ფორმები ქართული ენის დასავლურ დიალექტებში მეგრულის გავლენით არის დამკვიდრებული (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ. 146). ამგვარი აზრის

ა [illegible] ში ძნელი ახსახსნელია ნო>ნ. პროცესი. ბგერათა შეთანხმების ცნობილი კანონზომიერების საფუძველზე უფრო ლოგიკურია ვივარაუდოთ პირუკუ პროცესი: ნა>ნო. სავარაუდოა: მეგრ. ნო- პრეფიქსიანი ფორმები მას შემდეგ გაჩნდა, რაც მეგრული და ჭანური ერთმანეთს დაშორდა.

თეორიულად მართლაც არსებობს ალბათობა იმისა, რომ მეგრ. ნო- პრეფიქსიანი ყალიბი იყოს ამოსავალი იმერ.-ლეჩხ.-რაჭ. ნა- პრეფიქსიანი ფორმებისათვის (ამ შემთხვევაში ნა- პრეფიქსიანი წარმოება მეგრ. ნო- პრეფიქსიანი ფორმების სემანტიკური კალკირების შედეგად უნდა მივიჩნიოთ), მაგრამ აქვე დაისმის სვან. IV თურმეობითისა და მეგრ. III თურმეობითის მიმართების საკითხიც; მეგრულის უწინარესობის დაშვებით სვან. ლგ- მეგრ. ნო- პრეფიქსის ფონეტიკური ვარიანტი გამოდის... ვფიქრობთ, სვან. ლგ- მომდინარეობს **ლა-** პრეფიქსისგან, რომელიც საერთოქართველური **ნა-/სა-**ს ეკვივალენტი ჩანს.

ე.წ. IV სერიის ფორმების საერთოქართველურად აღიარებას არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ სალიტერატურო ქართულსა და აღმოსავლურ დიალექტებში მსგავსი წარმოების ფორმები არ გვხვდება. შესაბამის შინაარსს გადმოსცემს I თურმეობითის მწკრივი, რომელიც კონტექსტის მიხედვით იმავე მნიშვნელობას აღნიშნავს, რასაც მეგრ.-ჭან.-იმერ.-სვან. აწმყოს თურმეობითები.

აწმყოს თურმეობითის ფორმათა მიხედვით თანამედროვე ქართველური ქვესისტემები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ა) დასავლეთ საქართველოში არსებული ქართველური კილოები (მეგრ., იმერ., ლეჩხ., რაჭ., ჭან., სვან.), რომლებიც აწმყოს თურმეობითის შინაარსს განსხვავებული ყალიბით აღნიშნავენ, ბ) სამწიგნობრო ქართული და აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები, რომლებსაც აწმყოს თურმეობითის სპეციალური ფორმა არ გააჩნიათ და საიმისოდ I თურმეობითს იყენებენ.

1.2.4. სინტაქსი

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა ქართველურ ქვესისტემებში თვისობრივად ერთგვარია.

ძველ ქართულში ატრიბუტული მსაზღვრელი საზღვრულს ეთანხმებოდა ბრუნვასა და რიცხვში. თანამედროვე სალიტერატურო ენაში საზღვრული ბრუნვაში ითანხმებს მასთან

დაკავშირებულ ატრიბუტულ მსაზღვრელს, მაგრამ რიცხვში ვერ ითანხმებს. ამასთან, განსხვავებულია ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელების ურთიერთობა საზღვრულთან: ბოლოხმოვნიანი მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი (პატარა სახლ-ი, პატარა სახლ-მა...), ბოლოთანხმოვნიანი მსაზღვრელი კი ბრუნვის ნიშანს დაირთავს (დიდ-ი სახლ-ი, დიდ-მა სახლ-მა...).

ძველ ქართულში არცთუ იშვიათად მართული მსაზღვრელიც ეთანხმებოდა საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში: რებეკაჲსი ძმაჲ, კაცისას გრძნობას.

მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური დამოკიდებულება მეგრულ-ჭანურ-სვანურში ძირითადად ერთნაირია: ატრიბუტული მსაზღვრელი (როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვანფუძიანი) საზღვრულთან ურთიერთობისას არ იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით, მაგ.:

მეგრ.: ჰიჰე ძღაბი "პატარა გოგო", ჰიჰე ძღაბიქ, ჰიჰე ძღაბის, ჰიჰე ძღაბიშ(ი), ჰიჰე ძღაბით(ი), ჰიჰე ძღაბით...[91] **ჭან.**: მორდერი ჰუკანითე "მოზრდილი ქვაბით" (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 68-69; ელ. ლომთაძე, 1954, გვ. 210-211); **სვან.**: ფჳრი ბალე "წითელი ფოთოლი", ფჳრი ბალე-დ, ფჳრი ბალე-ს, ფჳრი ბალჷმიშ, ფჳრი ბალე-უშ, ფჳრი ბალე-დ (ა.ონიანი, 1998, გვ. 96).

მსგავსი ვითარებაა იმერ., ლეჩხ., გურ., აჭარ., ქართლ., კახ., ფერ., ლივან... დიალექტებშიც:

იმერ.: დიდი კეტის, ბევრი აფხანიკებს (ქ.ძოწენიძე, 1973, გვ.296); **ლეჩხ.**: სამი ბათმანმა, სამი ბათმანს (შ.ძიძიგური, 1974, გვ.174); **აჭარ.**: თელი სოფელმა, უნცროსი ძმამ (შ.ნიჟარაძე, 1961, გვ.114); **გურ.**: დიდი კაცმა, დიდი კაცს (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ.536); **ქართლ.**: ბებერი ჭალმა, კოჭლი გოგომ (გრ.იმნაიშვილი, 1974, გვ.234); **კახ.**: მდიდარი კაცსა, ახალი რაიონს (ა.მარტიროსოვი, გრ.იმნაიშვილი, 1956, გვ.124; **ფერ.**: ჩემი ამხანაგებმაც, კარგი საუზმეს (არნ.ჩიქობავა, 1927, გვ.215)...

მართული მსაზღვრელი მეგრულ-ჭანურ-სვანურშიც ნათესაობით ბრუნვაში დგას: **მეგრ.**: კოჩიშ(ი) ღუდე "კაცის სახლი", კოჩიშ(ი) ღუდექ... **ჭან.**: ბერეშ(ი) ნანა "ბავშვის დედა", ბერეშ(ი) ნანაქ... **სვან.**: ჯანი(შ) მუჯ "ხარის რქა", ჯანი(შ) მუჯ-დ, ჯანი(შ) მუჯ-ს, ჯანი(შ) მუჯ-

[91] მეგრულ-ჭანურში სახელობითში მსაზღვრელი ხშირად კარგავს -ი სუფიქსს და ფუძის სახითაა წარმოდგენილი: დიდ კოჩ-ი "დიდი კაცი", დიდ კოჩიქ... ჟურ კოჩი "ორი კაცი", სუმ ბეე "სამი ბავშვი"

იშ. ჯანი(შ) მუჯუშ. ჯანი(შ) მუჯ-დ (ა.ონიანი, 1998, გვ. 98). ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ფონეტიკურად იცვლება: ოქროჲ ბურთი (ქართლ.), რკინიჲ კარი (კახ.), თოხი პირი (იმერ.), კოჩი ცუდე (მეგრ.) "კაცის სახლი", ჟელი გეზალ (სვან.) "ძაღლის შვილი" მაჭახლ.: თოფი ხმაზე (შ.ფუტკარაძე, 1993, გვ.29). ტაოური: პარხლი ქილისა (შ.ფუტკარაძე, 1993, გვ.35).

პოსტპოზიციური მსაზღვრელი, ჩვეულებისამებრ, დაირთავს ბრუნვის ნიშანს: მეგრ.: ცუდე კოჩიში "სახლი კაცისა", ცუდექ კოჩიშიქ... ჭან.: ოხორი ჯაში "სახლი ხისა", ოხორიქ ჯაშიქ, ოხორის ჯაშის... სვან.: ლუსდგვარს ვოქვრაშ "ნაწნავებს ოქროსას"

ვ.თოფურიას (1954, გვ. 455) აზრით, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას არსებულ ერთგვაროვან მოვლენებს ერთი საფუძველი აქვს, კერძოდ: ახალწარმოშობილი ერთნაირი ფუნქციის ერთნაირად გამოხატვა ენაში არსებული საშუალებებით; ენის ტენდენცია რთული ფორმების გამარტივებისა და სხვადასხვა ფორმის უნიფიკაციისაკენ.

მარტივი წინადადების სტრუქტურა. ქართულ სალიტერატურო ენაში ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობას განსაზღვრავს გარდამავლობა-გარდაუვალობა (პირდაპირი ობიექტის არსებობა): თუ შემასმენლად გარდაუვალი ზმნაა, მასთან შეწყობილი ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია; გარდამავალ ზმნა-შემსმენელთან დაკავშირებული ქვემდებარე კი ბრუნვაცვალებადია: I სერიაში სახელობითშია, II სერიაში - მოთხრობითში, მესამეში - მიცემითში.

აღნიშნული სინტაქსური წესი ქართველურ კილოებში, გარდა მეგრულ-ჭანურისა, ძირითადად დაცულია.

მეგრულში ქვემდებარე ყოველთვის მოთხრობითში დგას II სერიის ფორმებთან (ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობის მიუხედავად). ჭანურში კი მნიშვნელობა აქვს გარდამავლობას: თუ ზმნა გარდამავალია, მასთან დაკავშირებული ქვემდებარე ყველა სერიაში მოთხრობითში იქნება.

ჭანურის მსგავსი შემთხვევები შენიშნულია აჭარულში: ხელმწიფემ კლავს; ჭაჯებმა საჩეჩელით დეეჩხლიტენ... (ა.კიზირია, 1982, გვ.105). აგრეთვე ლივანურში: ისე იტყვიან ძველებმა (შ.ფუტკარაძე, 1993, გვ.21).

მოთხრობითში დასმული ქვემდებარე სახელობითის ნაცვლად გარდაუვალი ზმნის II სერიის ფორმებთან, გარდა მეგრულისა, გვხვდება იმერ., ლეჩხ., რაჭ., გურ., აჭარ., იმერხ., მაჭახლ., ქართლ., კახ., ფერ. დიალექტებში:

ქვ.იმერ.: ხპომ გეეკიდა ჯორს; **ლეჩხ.**: ამ ქალმა დაფიქრდა; **გურ.**: მევიდა საღამოს დევმა; **აჭარ.**: ადგა ამ დედაბერმა; **ქართლ.**: დილით ცოლმა ადგა; **კახ.**: იმ ბიჭებმა გავიდნენ კალოზე; **ფერ.**: მოდდა ქერიმხანმა; **იმერხ.**: ბებერმა მივიდა ფაშასთან... (ა.კიზირია, 1982, გვ.103-105); დათვმა გამომესხრიკა (შ.ფუტკარაძე, 1993, გვ.29).

მსგავსი ფაქტები იშვიათად დადასტურებულია არქაულ ქართულში: გარდამოჴდეს მღდელმან აღსავალსა საკურთხეველისასა; მადლმან შენმან შემეწიოს; მამამან მათმან ქსენეფორე წარვიდა... (ა.შანიძე, ივ.იმნაიშვილი, ზ.სარჯველაძე, ა.კიზირია).

განხილულ სინტაქსურ მოვლენასაც "საერთო საფუძველი უძევს" (ვ.თოფურია, 1954, გვ.455).

კითხვითი წინადადების სტრუქტურა. ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი კითხვითი **-ა** ნაწილაკიანი კონსტრუქცია (გნებავსა?) მეტ-ნაკლებად დაცულია ქართველურ დიალექტებში:

არქაული **-ა** ნაწილაკი თანამედროვე სალიტერატურო ენაში დაიკარგა, შემორჩენილია დიალექტებში: ხევსურულში, ფშაურში, მთიულურში, თუშურში, ჰერულში, რაჭულში, მეგრულში, სვანურში... იშვიათად დასტურდება: იმერხეულში, ლივანურში, ტაოურში, მაგ.:

იმერხ.: ინეგოლს შიგან ხარა? აქევრობას ცნობილობსა? (შ.ფუტკარაძე, 1993, გვ.11); **ლივან.**: ტანზე რასა ვიცვამთა? (შ.ფუტკარაძე, 1993, გვ.18)... **სვან.**: ანღრია? "მოდის?"; აშიდ ხარია? "ცოცხალი ხარ?" (ა.კიზირია, 1982, გვ.65).

-ა ნაწილაკის ფონეტიკური შესატყვისია მეგრული **-ო**[92]: თენა ვა(გ)იჩქუნო? "ეს არ იცი?", თხირს ჭკუნქო? "თხილს ჭამ?"

1.2.5. ლექსიკა

ქართველური კილოების ლექსიკური ფონდის ძირითადი ნაწილი საერთოქართველურია; მაგ., მეგრული დიალექტის ლექსიკის

---

[92] ჭანურში ამ ფუნქციით -ი ნაწილაკი გამოიყენება: სი ვა განჯიენი? "შენ არ გეძინება?"; ხატიჯე მოხთუი? "ხატიჯე მოვიდა?" (შდრ. აფხაზური -ი ნაწილაკი).

უმთავრეს ნაწილს ქმნის საერთოქართველური სიტყვები (სალიტერატურო ქართულის ფორმათა იდენტური, ან ფონეტიკურად შეცვლილი ვარიანტები). საკუთრივ დიალექტური ლექსიკური ერთეულების ხვედრითი წილი შედარებით ნაკლებია.

იდენტურ ფორმათა რაოდენობა ძალზე ბევრია, მაგალითად: ადრე, დაბადება, დიდი, დრო, ეზო, ზღვა, კარი, კისერი, კვალი, მდიდარი, მწარე, მხარე, სწორი, ტვინი, ქონება, ღარიბი, ღონე, შარა, შეძენა, შიში, შეცოდება, შეწუხება, შორი, ცა, ცხენი, ძალა, ძღვენი, წამი, წამალი, ხელობა, წადილი, წესი, წირვა, წყნარი, ჭირი, ჭკუა, ხანი, ხარება... ჩამოთვლილი სიტყვები საერთოქართველური წარმომავლობისაა და უძველეს ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება. აღნიშნულმა ლექსემებმა დღემდე შეინარჩუნეს თავდაპირველი სახე (როგორც ფორმა, ისე სემანტიკა).

მკვლევართა ნაწილი სამწიგნობრო ენის იდენტური ლექსიკური ერთეულების არსებობას მეგრულში სალიტერატურო ენის გავლენით ხსნის: ისინი ან ნასესხებია სამწიგნობრო ენიდან, ან კიდევ სახეცვლილია სალიტერატურო ქართულის სათანადო მასალასთან შეგუების (ადაპტაციის) პროცესში (გ.როგავა, 1960, გვ.161-168). ვფიქრობთ, არასწორია მათი ნასესხებ (ქართული სალიტერატურო ენიდან) სიტყვებად მიჩნევა (სესხება, როგორც წესი, უცხო ენობრივ სისტემებს შორის ხდება). მეგრულ-ჭანურ-სვანური საერთოეროვნულ ენასთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც ქართლური, კახური, იმერული... დიალექტები.

ამავე დროს, მეგრულს შემონახული აქვს უამრავი ისეთი სიტყვაფორმა, რომელიც თანამედროვე სამწიგნობრო ენას დაუკარგავს, მაგრამ გვხვდება ძველ წერილობით ძეგლებში; მაგ.: მეგრ. წილუა "მოკრეფა, მოწყვეტა" (შდრ. არქ. ქართ. მოწილვა "ხილის კრეფა"); მეგრ. წინდა "ჭუჭყი" (შდრ. არქ. ქართ. წიდა "ჭუჭყი"); მეგრ.-ჭან. გუბუა/გიბუა "ხარშვა" (შდრ. არქ. ქართ. გბობა "ხარშვა"); მეგრ. წიკუა "დასვრა, გაჭუჭყიანება" (შდრ. ძვ.ქართ. მწიკ "ჭუჭყი"); მეგრ. კურთა "ქვედა საცვალი" (შდრ. კვართი "ზედა ტანსაცმელი, გრძელი პერანგი")...

საერთოქართველურ ლექსიკურ ერთეულთა ერთი ნაწილი სახეცვლილია ფორმობრივად და სემანტიკურად. ფონეტიკური ცვლილება შეიძლება იყოს პოზიციური და ისტორიული (ბგერათშესატყვისობანი).

ძირეულ, არქაულ მასალას უმთავრესად განეკუთვნება ნათესაური ურთიერთობის, სხეულის ნაწილების, ცხოველების, ფრინველების, მცენარეების, ბუნებრივი მოვლენების, დრო-ჟამის აღმნიშვნელი ლექსიკა. აგრეთვე, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, ზედსართავი სახელები, ზმნები.

საერთოქართველური ფუძეები საფუძვლიანადაა გაანალიზებული ალ.ცაგარელის, ნ.მარის, ივ.ჯავახიშვილის, პ.ჭარაიას, არნ.ჩიქობავას, ვ.თოფურიას, გ.როგავას, კ.შმიდტის, გ.კლიმოვის, გ.მაჭავარიანის, ტ.გუდავას, ქ.ლომთათიძის, თ.გამყრელიძის, ბ.გიგინეიშვილის, კ.დანელიას, ჰ.ფენრიხის, ზ.სარჯველაძის, რ.აბაშიას, მ.ჩუხუას და სხვათა ნაშრომებში.

წარმოდგენილი მასალა ნათლად წარმოაჩენს ქართველურ ენობრივ ერთეულთა **სისტემურ ერთგვაროვნებას.** ამ დონის ენობრივი მსგავსება მხოლოდ ერთი ენის დიალექტებს შორის, ანუ ერთ სისტემაში შემავალ ქვესისტემებს შორის შეიძლება იყოს. ქართველურ დიალექტებში არ გვაქვს ისეთი ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა, რომელსაც ანალოგი სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში არ ჰქონდეს. ამდენად, **მეგრულ-ლაზურ-სვანური ლინგვისტური** (ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ-ლექსიკური...) **ნიშნებითაც წარმოადგენს დიალექტებს და არა დამოუკიდებელ ენებს.**

ქართველურ კილოთა შორის არსებული ენობრივი მსგავსებაიგივეობის ფონზე რამდენად მიზანშეწონილია მეგრულ-ლაზურ-სვანური მეტყველებების დანარჩენი ქართული ქვესისტემებისაგან გამოთიშვა/განცალკევება "ქართველური ენების" სახელით. მონათესავე ენებს შორის, როგორც წესი, სხვა დონის მიმართებებია (შდრ. ქართული და აფხაზური ენები...).

ქართველური ქვესისტემები, რა თქმა უნდა, გარკვეული თავისებურებებითაც ხასიათდება (განსაკუთრებით სვანური კილოები); მაგრამ არსებული განსხვავებები/ცვლილებები არ არის იმ რანგისა, რომ ახალი ენობრივი სისტემის წარმოქმნის საფუძვლად მივიჩნიოთ. ქართველურ დიალექტთა თავისებურებანი უნდა განვიხილოთ ქართული ენის საერთო სისტემასთან მიმართებით და არა ცალკე, იზოლირებულად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მსგავსი ენობრივი სტრუქტურის მქონე ერთეულები არცთუ იშვიათად დამოუკიდებელ ენებად განიხილება (მაგ., რუსული, უკრაინული და ბელორუსული; რუმინული და მოლდოვური; სერბული, ხორვატული და სლოვენური...),[93] ანუ:

---

[93] შდრ.: მსოფლიოში უამრავი ენაა, რომელთა დიალექტები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე, მაგრამ მაინც დიალექტებად განიხილება და არა დამოუკიდებელ ენებად (მაგ., გერმანული, არაბული, ფრანგული, იტალიური, სპარსული...).

სისტემური მსგავსება-განსხვავება არ არის საკმარისი პირობა მოხათესავე ენობრივ ერთეულთა სტატუსის დასადგენად. **სისტემური ერთგვაროვნების** გარდა მნიშვნელოვანია, ასევე, **ეთნიკური, კულტურული და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური** ფაქტორები. ქართველურ ენობრივ სამყაროში ამ მხრივაც ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ქართველები, როგორც ერთი ცივილიზებული ეთნოსი, ძრავალი საუკუნეა ერთი დედაენით ვქმნით კულტურას და ერთი ეროვნული ენა გვაქვს სახელმწიფო ენად. ყველა პირობა გვაქვს ვთქვათ: მეგრულ-ლაზურ-სვანური მეტყველებები "დანარჩენი ქართული კილოებისაგან არ განსხვავდება იმაზე მეტად, ვიდრე გერმანული, ფრანგული, იტალიური, არაბული, სომხური, ჩინური ენების დიალექტები ერთმანეთისაგან" (თ.გვანცელაძე, 2006, გვ.10).

უდავო ფაქტია: ერთიანი ქართული სამწიგნობრო ენის ჩამოყალიბებაში მეგრელ-ლაზ-სვანები ისევე მონაწილეობდნენ, როგორც დანარჩენი ქართველები. მეგრულ-ჭანურ-სვანურის "უმწერლობო დედაენებად" გამოცხადება ისტორიის გაყალბება უფროა, ვიდრე (ენათ)მეცნიერული ჰეშმარიტება; მეგრელ-ლაზთა თუ სვანთა ისტორიული დედაენაა ძრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე ქართული ენა.

კუთხური მეტყველებების დამოუკიდებელ ენებად გამოცხადების შემთხვევაში დგება მისი მატარებელი სოციუმის (საზოგადოების) სტატუსის საკითხიც:

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენა და ერი ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია: ენა აქვს ერს (ნაციას, ხალხს), ხოლო დიალექტი (კილო) - ამ ერის ცალკეულ ჯგუფებს (თემებს). "მიუხედავად ეთნოგრაფიული თავისებურებებისა და ენობრივი სისტემის ვარიანტთა (დიალექტთა) სიმრავლისა, ქართველურ სინამდვილეში არ წარმოქმნილა არც ერები და არც ენები, - ენას ქმნის ხალხი, მაგრამ ასევე ენა აყალიბებს ერს... არც სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული სისტემა ჩამოყალიბებულა (რ.შეროზია, 2007, გვ.391).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, უფრო ლოგიკურია ქართველური ენობრივი სამყარო ერთიან სისტემად განვიხილოთ:

არსებობს **ერთი ეროვნული ენა** (ერთი ენობრივი სისტემა) და **ათეულობით მისი ვარიანტი** (სალიტერატურო ენა და დიალექტები).

ნაწილი II

"ენის ქარტია" და თანამედროვე საქართველოს ენობრივი სიტუაცია

2.1. "ენის ქარტიის" პრინციპებისათვის

2.1.1. "ევროპული ქარტიის" ძირითადი ტერმინი: რეგიონული ან უმცირესობის ენა

რუსულ თუ ქართულ ენობრივ არეალში "ქარტიის" დებულებების სათუო ინტერპრეტაციების ერთ-ერთი მიზეზი "ქარტიის" ძირითადი ტერმინის ბუნდოვანი თარგმანია:

მიმოქცევაში არსებული თარგმანების სახელწოდებაშიც კი მთავარი ტერმინი regional or minority language ქართულში გადმოტანილია არასწორად: რეგიონალური და (ან) უმცირესობათა ენები; შესაბამისად, ბევრს ჰგონია, რომ ამ ევროპულ ქარტიაში ლაპარაკია, ზოგადად, რეგიონულ ენებსა და უმცირესობათა ენებზე.

სინამდვილეში სამკომპონენტიანი ტერმინი regional or minority language "ერთიანი ცნებაა"[94] და ნიშნავს მოცემული სახელმწიფოს ავტოქთონი მოსახლეობის **იმ ისტორიულ ენას**[95], რომელიც ამ ქვეყანაში **სახელმწიფო ენა არ არის.**

"ქარტიაში" საუბარი არ არის **ენაზე, როგორც კომუნიკაციის საშუალებაზე**; შესაბამისად, ქარტია არ აყალიბებს პიროვნების ინდივიდუალურ "ენობრივ უფლებებს"[96]. ამ ევროკონვენციაში გამოყენებული ტერმინი: **ენა**, უპირველეს ყოვლისა, გააზრებულია,

---

[94] იხ. მე-20 განმარტება.

[95] და არა - ახალი უმცირესობის ენას.

[96] შდრ.: "ქარტიის" მიზანია ისტორიული უმცირესობის ენის დაცვა და არა ეთნიკური (ენობრივ-კულტურული) უმცირესობის ენობრივი უფლებების ჩამოყალიბება (იხ. ქვემოთ).

როგორც ეთნოსის ისტორიული ელტ ი ინტეგრალური (ძირითადი) ნიშანი; კერძოდ, "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" მე-17 განმარტებაში ვკითხულობთ:

"ენის ცნება, რა მნიშვნელობითაც იგი ქარტიაშია გამოყენებული, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრებს ენას, როგორც კულტურის შემადგენელ ნაწილს"[97]

ქარტიის მე-18-20, ასევე, 30-37-ე პუნქტების განმარტებით, ტერმინი "**რეგიონული ან უმცირესობის ენა**" **ერთიანი ცნებაა,** რომელიც მოიცავს სახელმწიფოს მკვიდრი ისტორიული (ავტოქთონი) ეთნიკური ჯგუფის ენის სამ სახეობას:

ეთნიკური უმცირესობის არასახელმწიფო ენა, რომელიც სახელმწიფოს მოცემული რეგიონის მკვიდრი უმრავლესობის დედაენაა; "ქარტია" ამ სახეობას "**რეგიონულ ენას**" უწოდებს[98]

არასახელმწიფო ენა, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ძირძველი, მაგრამ ისეთი არაძირითადი მოსახლეობის დედაენაა, რომელიც ვერ გაიგივდება ერთ რომელიმე რეგიონთან; "ქარტიის" ავტორები ენის ასეთ სახეობას "ტერიტორიის არმქონე ენას" უწოდებენ[99]

არასახელმწიფო ენა, რომელიც სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ძირძველი, არაძირითადი მოსახლეობის დედაენაა, თუმცა ეს მოსახლეობა ამჟამად უმცირესობაშია ამ რეგიონშიც[100];

---

[97] იხ.: http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charte-rexpl_ka.pdf; Sdr., inglisuri varianti: The concept of language as used in the charter focuses primarily on the cultural function of language; (http://conventions.coe.int/treaty/en/Reports/Html/148.htm); თარგმანში სჯობდა, მკვეთრად ხაზგასმულიყო: ენა, როგორც კულტურული ფენომენი.

[98] იხ პირველი მუხლი და მე-18-19 განმარტებანი.

[99] 36-ე განმარტება.

[100] **Article 1, b: territory in which the regional or minority language is used" means the** geographical area in which the said language is the mode of expression of a number of people justifying the adoption of the various protective and promotional measures provided for in this Charter.

"ტერიტორია, რომელზედაც გამოიყენება "რეგიონული ან უმცირესობის ენა", ნიშნავს გეოგრაფიულ რაიონს, სადაც აღნიშნული ენა გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს იმ რაოდენობის ხალხისათვის, რომ ამ ქარტიით გათვალისწინებული სხვადასხვა დამცავი და ხელშემწყობი ზომების მიღება გამართლებული იყოს"; http://www.diversity.ge/geo/resources.php?coi=0|14|11|12|16;

ქარტია" ამ სახეობას "**უმცირესობის ენას**" უწოდებს[101]

ქარტიის ავტორები პირველივე მუხლში საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ტერმინი "**regional or minority languages**" გულისხმობს **ერთი კატეგორიის ენას, რომელიც** შეიძლება რეალიზებული იყოს **ორ** (/**სამ**) ალტერნატიულ ვარიანტად[102] ეს ალტერნატივა **or** კავშირით გამოიხატება (**და** კავშირი ორ საგანს გულისხმობს, **ან** - ერთ-ერთს).

შესაბამისად, ქარტიის დებულებებზე მსჯელობისას, ქართულ სინამდვილეში გამოყენებულ უნდა იქნეს ტერმინი: **რეგიონული ან უმცირესობის ენა**[103].

შემთხვევითი არ არის, რომ ცნობილი ექსპერტი **რობერტ დუნბარი** "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" შემოკლებულ სახელად ირჩევს: "**ენის ქარტიას**" და არა: ენათა ქარტიას[104]

აქვე აღვნიშნავთ: "**ენის ქარტია**" ერთმანეთისგან მკაფიოდ მიჯნავს ტერმინებს: "**რეგიონული ან უმცირესობის ენა**" და "**ენობრივი უმცირესობა**" (მე-17 განმარტება). საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ "ქარტიის დებულებები არ მოიცავს **ენობრივ უმცირესობებს**".

---

http://www.diversity.ge/files/files/ETS-148-geo.pdf და
http://portal.coe.ge/downloads/Charter%20%20Expl%20report%20-%20Georgian.pdf.

[101] იხ. პირველი მუხლი და მე-18-19 განმარტებანი.

[102] შდრ.: "ამავე მუხლით, ქარტია არ მოიცავს სახელმწიფო ენას (არც მის სახესხვაობებს, დიალექტებს) და მიგრანტთა ენებს; მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე განმარტებითი ნაწილის: მე-17, მე-18, მე-19, 32-ე, 33-ე, 36-ე და 37-ე პუნქტები.

[103] ქარტიის განმარტებით მოხსენებაში მსგავს ფრაზაში "და" კავშირიც გვხვდება: traditional regional and minority languages (26-ე განმარტება), თუმცა ამ კონტექსტში ეს შესიტყვება არ არის ერთიანი ტერმინი; აქ საუბარია, ზოგადად, ტრადიციულ რეგიონულ ენებზე და ევროპაში არსებული უმცირესობების ენებზე; შდრ.: The aim of the Council of Europe is to achieve a greater unity between its members in order to promote their common heritage and ideals. Linguistic diversity is one of the most precious elements of the European cultural heritage. The cultural identity of Europe cannot be constructed on the basis of linguistic standardisation. On the contrary, the protection and strengthening of its **traditional regional and minority languages** represents a contribution to the building of Europe, which, according to the ideals of the members of the Council of Europe, can be founded only on pluralist principles.

[104] **რობერტ დუნბარი**, "კომენტარები: ჩარჩო ხელშეკრულებისა და ენის ქარტიის ურთიერთობები", ჩარჩოს შევსება, დოკუმენტების კრებული, 2004, გვ. 32.

წარმოდგენილი ქართული თარგმანებისა და "ვიკიპედიის" მსგავსი გამოცემების გარდა, სამწუხაროდ, ზოგ ექსპერტთანაც კი არაიშვიათია ტერმინოლოგიური აღრევები; კერძოდ:

ინგლისურენოვან ტექსტებში ორი სხვადასხვა სემანტიკის მქონე ტერმინი: regional or minority language[105] და minority language[106] - **ეროვნული უმცირესობის ენა**[107] (ჩარჩო კონვენციისა და ეუთოს რეკომენდაციების ტერმინი) ხშირად ერთმანეთთანაა გაიგივებული; მეტიც, ერთნაირადაა შემოკლებული: **უმცირესობათა ენა**[108]

ამდაგვარი ტერმინოლოგიური აღრევა ქართულ სინამდვილეშიც (და სხვაგანაც) ბევრი შეცდომის წყარო გახდა.

შდრ.: "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" დებულებების ტერმინი: **"უმცირესობის ენა"**, როგორც წესი, გულისხმობს **ისტორიული უმცირესობის ენას**[109], ხოლო, მაგ., ჰააგისა თუ ოსლოს რეკომენდაციების ტერმინი: **"უმცირესობის ენა"** ძირითადად მოიაზრებს არაისტორიული უმცირესობის - დიასპორის - ენას[110]

---

[105] **რეგიონული ან უმცირესობის** ენა (ქარტიის ტერმინი).

[106] რომელიც უფრო მიემართება სახელმწიფოს **ახალი (არაისტორიული) უმცირესობების** ენას, ან ზოგადად, ორივე სახის უმცირესობის ენას.

[107] შდრ., მაგ., "ჩარჩო კონვენციის" მე-10 მუხლი: მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება **ეროვნულ უმცირესობას,** თავისუფლად და ყოველგვარი ჩარევის გარეშე, აქვს უფლება გამოიყენოს **მისი უმცირესობის ენა** კერძოდ და საჯაროდ, ზეპირად და წერისას. "The Parties undertake to recognise that every person belonging to a **national minority** has the right to use freely and without interference **his or her minority language**, in private and in public, orally and in writing".

[108] მაგ., ტ.ვიხერკევიჩისა და მისი თანაავტორების მიერ გაიგივებულია ტერმინები: "რეგიონალური ან უმცირესობის ენა" და "უმცირესობათა ენა" (გვ. 29 და სხვ.); ტერმინოლოგიური აღრევების შესახებ იხ., ასევე, ქვემოთ.

[109] შდრ.: It is not only the territory within which that language is dominant or spoken by the majority, since many languages have become **minority languages** even in the areas where they have their traditional territorial base. აქ გამოყენებული სინონიმური ფრაზაც minority languages აღნიშნავს რეგიონში უმცირესობად ქცეული ავტოქთონი მოსახლეობის ენას (33-ე განმარტება). იხ., აგრეთვე: ტ. ფუტკარაძე, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა, თბ., 2006, გვ. 39-40.

[110] ზოგჯერ შეიძლება მოიცავდეს ისტორიული უმცირესობების ენასაც.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ: ქარტიის მიზნიდან[111] გამომდინარე, ტერმინი: **რეგიონული ან უმცირესობის ენა** გულისხმობს ერთი კატეგორიის, მაგრამ სამი ვარიანტით გამოვლენილ ენას:

1. **რეგიონული ენა** სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქთონი მოსახლეობის ენა, თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმრავლესობაა მოცემულ რეგიონში (ქარტიის მე-18 განმარტება)[112];
2. **უმცირესობის ენა** სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქთონი მოსახლეობის ენა, თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმცირესობაა მოცემულ რეგიონშიც (ქარტიის მე-18 განმარტება)[113];
3. **ტერიტორიის არმქონე ენა** მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები ისეთი ისტორიული მოსახლეობის ენა, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი (36-ე განმარტება)[114]

2.1.2. ენათა სახეები "ქარტიის" მიხედვით

სახელმწიფოში არსებული სხვადასხვა ისტორიისა და ფუნქციის მქონე ენების აღსანიშნავად "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპულ ქარტიასა" და "განმარტებით მოხსენებაში" გამოყენებულია რამდენიმე **ტერმინოლოგიური შესიტყვება:**

---

[111] ისტორიული ეთნიკური უმცირესობის **ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაცვა.**

[112] კვალიფიკაცია სხვაგვარად ასეც შეიძლება ჩამოყალიბდეს: **მოცემულ სახელმწიფოში ისტორიულად მცხოვრები ისეთი ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელზეც მეტყველებს ამ ქვეყნის ერთ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა;** ან: სახელმწიფოში ავტოქთონი უმცირესობის, მაგრამ მოცემულ რეგიონში უმრავლესობის ენა.

[113] **მოცემულ სახელმწიფოში ისტორიულად მცხოვრები ისეთი ეროვნული/ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელზეც მეტყველებს ამ ქვეყნის ერთ რეგიონში კომპაქტურად მცხოვრები მოსახლეობა, მაგრამ ეს ხალხი უმცირესობაა ამ რეგიონშიც;** ან: სახელმწიფოში ავტოქთონი უმცირესობის და მოცემულ რეგიონშიც უმცირესობის ენა.

[114] მოცემულ სახელმწიფოში ისტორიულად მცხოვრები ისეთი ეროვნული/ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც კომპაქტურად არ/აღარ ცხოვრობს ამ ქვეყნის არც ერთ რეგიონში.

official language (განმარტებითი მოხსენების მე-14 პუნქტი) ოფიციალური ენა; იგი ხშირად სახელმწიფო ენის სინონიმია; მის სინონიმად გამოიყენება, აგრეთვე, ეროვნული ენა.

national language ეროვნული ენა; შდრ., სახელმწიფო ენის პარალელურადაა გამოყენებული 69-ე განმარტებაში [115];

შდრ.: national or official language (ეროვნული თუ ოფიციალური ენა (72-ე პუნქტი).

native language - დედაენა (66-ე); native speakers of that language (65-ე); შდრ.: own language [116] - დედაენა; პირდაპირი თარგმანი: ღვიძლი ენა (მე-3 განმარტება).

regional or minority language - რეგიონული ან უმცირესობის ენა[117]; **შდრ., სინონიმები: "historical regional or minority languages of Europe" (31-ე); regional or minority languages in Europe (მე-19); შდრ.: საფრთხის ქვეშ მყოფი ენები.**

historical language ისტორიული ენა (31-ე)[118]; შდრ.: ტრადიციული ენა: Languages traditionally used by nationals of the State (სახელმწიფოში მცხოვრები ეროვნებების ტრადიციული ენები);

regional language რეგიონული ენა: მოცემული სახელმწიფოს ერთი რეგიონის ავტოქთონი და, ამავე დროს, ამავე რეგიონში უმრავლესობის ენა (33-ე; შდრ., 66-ე);

minority language - უმცირესობის ენა: მოცემული სახელმწიფოს ერთი რეგიონის **ისტორიული,** მაგრამ ამავე რეგიონში

---

[115] იხ.: 51. The wording of Article 3 takes account of the position in certain member states whereby a **national language** which has the status of an **official language** of the state, either on the whole or on part of its territory, may in other respects be in a comparable situation to regional or minority languages as defined in Article 1, paragraph a, because it is used by a group numerically smaller than the population using the other official language(s).

[116] to use their own language.

[117] შდრ.: regional and minority languages in Europe (მე-6 პუნქტი): ამ ფრაზაში სხვა სემანტიკაა; აქ არ არის გამოყენებული ქარტიის ძირითადი ტერმინი; ამ წინადადებაში საუბარია ზოგადად ყველა სახის რეგიონული ენისა და უმცირესობათა ენების შესახებ

[118] the charter covers only **historical languages**, that is to say languages which have been spoken over a long period in the state in question (31-ე).

უმცირესობად ქცეული მოსახლეობის ენა. შდრ.: **minority languages** (and dialects) უმცირესობათა ენები (და დიალექტები) და **regional and minority languages** in Europe: აქ იგულისხმება ეთნიკური/ეროვნული უმცირესობების ენა სახელმწიფოს არაძირითადი მოსახლეობის ენა მკვიდრობის დროის მიუხედავად (იხ.: მე-4, მე-6 პუნქტები) [119]; შდრ.: **regional or minority languages**-ში მოაზრებული უმცირესობის ენა არის რეგიონის ავტოქთონი მოსახლეობის ენა. **majority language** - უმრავლესობის ენა (მე-18): **the majority language of the state** - სახელმწიფოს მოსახლეობის უმრავლესობის ენა;

შდრ., აგრეთვე: **linguistic minorities** - ენობრივი უმცირესობები (მე-17); **language group** - ენობრივი ჯგუფი (65-ე, 66-ე).

"non-territorial" language ტერიტორიის არმქონე ენა: არასახელმწიფო ენა, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ძირძველი, მაგრამ არაძირითადი მოსახლეობის დედაენაა; ეს მოსახლეობა ვერ გაიგივდება ერთ რომელიმე რეგიონთან[120]

შდრ.: **territorial language** - ტერიტორიული ბაზის მქონე ენა (33-ე);

non-European languages არაევროპული წარმომავლობის ენები; მე-15 განმარტება: ექსპერტთა ჯგუფმა (The CAHLR) მიიჩნია, რომ ასეთ ენებს მიგრანტთა ენებს ცალკე უნდა მიეძღვნას სამართლებრივი აქტი (იხ. ქვემოთ);

working language – სამუშაო ენა (106-ე). ამ შემთხვევაში, არ იგულისხმება ცენტრალურ ხელისუფლებასთან საურთიერთო ენა (ცენტრალურ ხელისუფლებასთან საურთიერთო არის ოფიციალური ენა).

language of migrants - მიგრანტთა ენა (ქარტიის I მუხლი);

foreign language - უცხო ენა (31-ე);

less widespread languages ნაკლებად გავრცელებული ენები (მე-18); ქარტიის შემქმნელებმა ეს ტერმინი ("ნაკლებად

---

[119] აქ შესიტყვება: minority languages მოიაზრებს ეთნიკური უმცირესობის ენას და არა მოცემულ რეგიონში მცხოვრები ავტოქთონი უმცირესობის ენას.

[120] 36-ე განმარტება.

გავრცელებული ენები") დაიწუნეს და უპირატესობა მიანიჭეს ტერმინს: რეგიონული ან უმცირესობის ენა;

local variant of the language - ენის ლოკალური ვარიანტი[121]; შდრ. იქვე, შესიტყვებები:

Different languages - განსხვავებული ენები;

separate language - დამოუკიდებელი ენა (32-ე);

similar language - მსგავსი ენა (69-ე);

dialect (of the language) - ენის დიალექტი...

სოციოლინგვისტური თვალთახედვით, ქარტიაში სხვადასხვა ტერმინით გამოხატული **იდიომები** სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. **სახელმწიფოს ოფიციალური ენა** და მისი ადგილობრივი სახესხვაობანი (დიალექტები):

1.1 ერთადერთი (ან ერთ-ერთი) სახელმწიფო ენა;

1.2. სახელმწიფო ენა ავტონომიურ წარმონაქმნში;

1.3. სახელმწიფო ენის რეგიონული სახესხვაობა (/დიალექტი).

2. **ისტორიული რეგიონული ან უმცირესობის ენა:**

---

[121] These languages must clearly differ from the other language or languages spoken by the remainder of the population of the state. **The charter does not concern local variants or different dialects of one and the same language.** However, it does not pronounce on the often disputed question of the point at which different forms of expression constitute separate languages. This question depends not only on strictly linguistic considerations, but also on psycho-sociological and political phenomena, which may produce a different answer in each case. Accordingly, it will be left to the authorities concerned within each state, in accordance with its own democratic processes, to determine at what point a form of expression constitutes a separate language. (32-ე პუნქტი); შდრ.· ეს ენები მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს იმ ენისგან (/ენებისაგან), რომელზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს. **ქარტიის დებულებები არ ეხება ერთი ენის ადგილობრივ სახესხვაობებსა თუ დიალექტებს,** თუმცა ქარტია არ განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება გამოხატვის ესა თუ ის ფორმა ჩაითვალოს ცალკე ენად. **ამ სადავო საკითხის გადაჭრა** დამოკიდებულია არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტურ მოსაზრებებზე, არამედ სხვადასხვა ფსიქო-სოციოლოგიურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე, რომლებიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულ პასუხს შეიძლება იძლეოდეს. აქედან გამომდინარე, ამ საკითხის განსაზღვრისას **ქარტია პრეროგატივას ანიჭებს ქვეყნის ხელისუფლებას,** რომელმაც დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით თავად უნდა განსაზღვროს ის **კრიტერიუმები,** რომლებზე დაყრდნობითაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ **ამა თუ იმ მეტყველებას** მიენიჭება **დამოუკიდებელი ენის** სტატუსი (შდრ., გამოქვეყნებული ქართული თარგმანები).

2.1. რეგიონში ისტორიული უმრავლესობის ენა - **რეგიონული ენა;**
2.2. რეგიონში ავტოქთონი უმცირესობის ენა - უმცირესობის ენა;
2.3. კონკრეტული რეგიონის არმქონე ისტორიული ენა ტერიტორიის არმქონე ენა.

3. არაისტორიული უმცირესობის ენა დიასპორის ან მიგრანტთა ენა:

3.1. სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე კომპაქტურად მცხოვრებ ძველ მიგრანტთა ენა (დიასპორის ენა);
3.2. სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე არაკომპაქტურად მცხოვრებ ძველ მიგრანტთა ენა (დიასპორის ენა);
3.3. მოქალაქეობის არმქონე ახალ მიგრანტთა ენა.

2.1.3. "რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ ევროპული ქარტიის" მიზანი: ისტორიული უმცირესობების დედაენის დაცვა

"ქარტიის" პრეამბულა იმთავითვე აცხადებს: "ევროპის ისტორიული რეგიონული თუ უმცირესობის ენების დაცვა, რომელთაგანაც ზოგიერთს საბოლოო გაქრობა ემუქრება, ხელს უწყობს ევროპის **კულტურული** სიმდიდრისა და **ტრადიციების** შენარჩუნება-განვითარებას" განმარტებითი მოხსენების პირველივე პუნქტში ვკითხულობთ: "ევროპის მრავალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ამა თუ იმ რეგიონის მკვიდრი ავტოქთონი **ჯგუფები**, რომელთა დედაენა განსხვავდება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ენისაგან. ეს იმითაა განპირობებული, რომ ისტორიულად სახელმწიფოთა ფორმირება არ ხდებოდა მხოლოდ ენობრივი ნიშნით და მათი წარმოქმნის პროცესში მიმდინარეობდა მცირე ხალხების შერწყმა უფრო მსხვილ ეთნიკურ ერთეულებთან"[122].

"ქარტიის" უმთავრესი მიზანი **კულტურულ-ჰუმანიტარული ხასიათისაა**. იგი მოწოდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს რეგიონული თუ უმცირესობის ენების, როგორც ევროპის საერთო კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილის,

---

[122] http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charterexpl_ka.pdf (ეს ვერსია დევს ევროსაბჭოს ვებგვერდის "ენის ქარტიის" განყოფილებაში: (http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/default_en.asp); შდრ., ინგლისური ვერსია:http://conventions.coe.int/treaty/en/Reports/Html/148.htm.

გამოყენებასა და განვითარებას... მისი ამოცანაა, **შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს** რეგიონული თუ უმცირესობის ენების გამოყენება **განათლების სისტემასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში;** ხელი შეუწყოს ამ ენებზე მხატვრული ლიტერატურისა და სამწიგნობრო კულტურის ჩამოყალიბებას, **დასაშვები გახადოს მათი გამოყენება მართლმსაჯულებისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში,** აგრეთვე საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში... ქარტიის მიზანია ევროპაში **რეგიონული თუ უმცირესობის ენების** დაცვა, ეროვნული იდენტობის ფორმირებისთვის ხელშეწყობა (და არა ენობრივი უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვა).

შესაბამისად, მთავარი ყურადღება ეთმობა **საკითხის კულტურულ ასპექტებს** და რეგიონული ან უმცირესობის ენების გამოყენებას ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში.

"ქარტია" არ ადგენს რეგიონულ თუ უმცირესობის ენებზე მოლაპარაკეთა ინდივიდუალურ თუ **კოლექტიურ უფლებებს** (მე-10-11 განმარტებანი). შდრ., აგრეთვე: "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" მიზანია ევროპაში **ისტორიულად გავრცელებული** რეგიონული ან უმცირესობის ენების დაცვა, რომელთაგან ზოგს გაჭრობა ემუქრება [123] აქვე იხ. აგრეთვე, 31-ე და 32-ე პუნქტები: "ქარტიის დებულებები მოიცავს მხოლოდ ისტორიულ ენებს, ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე[124] ეს ენები **მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს** იმ ენის ან ენებისაგან, რომელზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს. ქარტიის **დებულებები არ**

---

[123] სწორედ პოლიტიკური თუ სოციალური მიზეზების გამო **საფრთხის ქვეშ მყოფი ისტორიული ენების** გადასარჩენად საგანგებოდ ზრუნავენ საერთაშორისო ორგანიზაციები: YUNESKO და "Volkswagen-Stifung" (სხვა საკითხია, ვინ როგორ იყენებს მათ მიერ გამოყოფილ თანხებს, მაგ., იუნესკოს მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველთა დედაენა და დიალექტები, ქუთაისი, 2008, გვ. 21-25, 45.

[124] **the charter covers only historical languages, that is to say languages which have been spoken over a long period in the state in question** (31-ე განმარტება).

ეხება ერთი ენის ადგილობრივ სახესხვაობებსა თუ დიალექტებს".

ევროსაბჭოს სხვა დოკუმენტებშიც არაერთხელაა ხაზგასმული, რომ "რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" **მიზანია იმ ენების დაცვა,** რომლებიც **ტრადიციულად გამოიყენება საუკუნეების განმავლობაში** და წარმოადგენენ რეგიონული იდენტობის ინტეგრალურ (არსებით, შემაჯამებელ) ნაწილს [125]

ცალკეულ ექსპერტთა მიერაც არაერთხელაა ხაზგასმული, რომ "ენის ქარტიის" **პირველხარისხოვანი მიზანია** ევროპის იმ **ისტორიული რეგიონული თუ უმცირესობის ენების** დაცვა, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფო ენის სტატუსი და საფრთხე ემუქრებათ [126]

შდრ., აგრეთვე: **"რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია"** მოითხოვს, გატარდეს გარკვეული ღონისძიებები განსაკუთრებით დაუცველი ისტორიული უმცირესობების ენების მიმართ" [127]

"ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ" ორიენტირებულია მხოლოდ მოცემულ ქვეყანაში **ისტორიულად** მცხოვრები (ავტოქთონი), მაგრამ სახელმწიფოს **არაძირითადი ეთნოსის ენის გადარჩენა-განვითარებაზე** და არა, ზოგადად, ეთნიკურ უმცირესობათა **ენობრივ უფლებებზე**.

შდრ.: "ქარტიაში" ხაზგასმით წერია, რომ იგი არ მოიცავს **მიგრანტთა ენებს"** (მუხლი Ia, II), და, შესაბამისად, "ქარტიის" მიზანი არ არის უმცირესობის ენობრივი უფლებების ჩამოყალიბება.

---

[125] http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/WorkingDocs/Doc08/EDOC11480.htm: The European Charter for Regional or Minority Languages (Motion for a resolution, Doc. 11480; 7 January 2008).

[126] იხ., მაგ., **რობერტ დუნბარი,** "კომენტარები: ჩარჩო ხელშეკრულებისა და ენის ქარტიის ურთიერთობები", ჩარჩოს შევსება, დოკუმენტების კრებული (ქართული თარგმანი განხორციელებულია კავშირ "საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს" და ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კონვენციის სამდივნოს ფინანსური მხარდაჭერით"), დეკემბერი, 2004, გვ. 32.

[127] **რობერტ დუნბარი,** "კომენტარები: ჩარჩო ხელშეკრულებისა და ენის ქარტიის ურთიერთობები", ჩარჩოს შევსება, დოკუმენტების კრებული, 2004, გვ. 35.

აქვე წარმოვადგენთ მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები ისტორიული, **ავტოქთონი** (autochthonous), მაგრამ არაძირითადი მოსახლეობის ენის გადარჩენისა და განვითარებისთვის საჭირო მექანიზმს, რომელსაც აყალიბებს "ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ":

ნაწილი II, მუხლი 7 - მიზნები და პრინციპები:

1. რეგიონული ან უმცირესობის ენების მიმართ, იმ ტერიტორიებზე, რომლებზედაც ასეთ ენებს იყენებენ და თითოეული ენის მდგომარეობის შესაბამისად, მხარეები თავიანთ პოლიტიკას, კანონმდებლობასა და პრაქტიკულ საქმიანობას ააგებენ შემდეგ მიზნებსა და პრინციპებზე დაყრდნობით:

ა) რეგიონული ან უმცირესობის ენების აღიარება კულტურული სიმდიდრის გამოხატულებად;

ბ) თითოეული რეგიონული ან უმცირესობის ენის გეოგრაფიული არეალის პატივისცემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ არსებული ან ახალი ადმინისტრაციული დაყოფა დაბრკოლებას არ წარმოადგენდეს შესაბამისი რეგიონული ან უმცირესობის ენის ხელშეწყობისათვის [128];

გ) რეგიონული ან უმცირესობის ენების ხელშესაწყობად გადამჭრელი მოქმედების აუცილებლობის აღიარება, მათი დაცვის მიზნით;

დ) ზეპირი და წერილობითი ფორმით, საჯაროდ და პირად ცხოვრებაში რეგიონული ან უმცირესობის ენების გამოყენების ხელშეწყობა და/ან წახალისება;

ე) ქარტიით მოცულ სფეროებში რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე მოლაპარაკე ჯგუფებსა და სახელმწიფოში იმავე ან მსგავს ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებს შორის კავშირის შენარჩუნება და განვითარება, ისევე, როგორც კულტურული ურთიერთობების დამყარება სახელმწიფოში სხვა ჯგუფებთან, რომლებიც იყენებენ განსხვავებულ ენებს;

---

[128] შდრ.: "ევროპული ქარტიის" ავტორთა თუ ექსპერტთა სამართლიანი შენიშვნით, **ავტოქთონი უმცირესობების წარმოქმნის ერთ-ერთ მიზეზად** მიჩნეულია მეზობელ ხალხებს შორის ისეთი პოლიტიკური საზღვრების გავლება, რომელიც არ ემთხვევა ენობრივ-ეთნიკურ საზღვრებს (ავტოქთონ ეთნოსთა ნაწილი მოექცა სხვა ეთნოსის დომინანტობით შექმნილ სახელმწიფოში).

ვ) შესაბამისი ფორმებისა და საშუალებების უზრუნველყოფა ყველა შესაბამის საფეხურზე რეგიონული ან უმცირესობის ენების სწავლებისა და შესწავლისათვის[129];

ზ) რეგიონული ან უმცირესობის ენის შესასწავლად პირობების შექმნა იმ რაიონში მცხოვრები პირებისათვის, სადაც გამოიყენება შესაბამისი ენა, თუკი შესაბამისი პირები ვერ საუბრობენ ამ ენაზე და აქვთ მისი შესწავლის სურვილი;

თ) უნივერსიტეტებსა ან ანალოგიურ ინსტიტუტებში რეგიონული ან უმცირესობის ენების შესწავლისა და გამოკვლევის ხელშეწყობა;

ი) ამ ქარტიით მოცულ სფეროებში ტრანსნაციონალური გაცვლების შესაბამისი ფორმების ხელშეწყობა იმ რეგიონული ან უმცირესობის ენების ხელშესაწყობად, რომლებიც იდენტური ან მსგავსი ფორმით გამოიყენებიან ორ ან მეტ სახელმწიფოში.

ნაწილი III, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით აღებული ვალდებულებების შესაბამისად რეგიონული ან უმცირესობის ენების ხელშეწყობის ზომები

მუხლი 8 - განათლება

1. განათლების სფეროში მხარეები ვალდებულებას იღებენ იმ ტერიტორიებზე, სადაც ასეთი ენები გამოიყენება, ამ ენათაგან თითოეულის მდგომარეობის გათვალისწინებით და სახელმწიფო ენის (ენების) სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე:

ა) სკოლამდელი განათლება

I. ხელმისაწვდომი გახადონ სკოლამდელი განათლება შესაბამის რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე;

ან: II. ხელმისაწვდომი გახადონ სკოლამდელი განათლების არსებითი ნაწილი შესაბამის რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე;

ან: III. გამოიყენონ I და II ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზომები იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომელთა ოჯახებიც ითხოვენ ამას და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება;

ან: IV. თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს არა აქვთ პირდაპირი კომპეტენცია სკოლამდელი განათლების სფეროში, ხელი

---

[129] 63-ე განმარტების მიხედვით, "ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო იქნება რეგიონული/უმცირესობის ენაზე სწავლება".

შეუწყონ და წაახალისონ I-დან და III-მდე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზომების გამოყენება.

ბ) დაწყებითი განათლება

I. ხელმისაწვდომი გახადონ დაწყებითი განათლება შესაბამის რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე;

ან: II. ხელმისაწვდომი გახადონ დაწყებითი განათლების არსებითი ნაწილი შესაბამის რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე;

ან: III. უზრუნველყონ შესაბამისი რეგიონული ან უმცირესობის ენის დაწყებითი განათლების პროგრამაში ჩართვა მეცადინეობათა განრიგის შემადგენელ ნაწილად;

ან: IV. გამოიყენონ I-დან III-მდე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზომებიდან ერთ-ერთი იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომელთა ოჯახებიც ითხოვენ ამას და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება.

გ) საშუალო განათლება

I. ხელმისაწვდომი გახადონ საშუალო განათლება შესაბამის რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე;

ან: II. ხელმისაწვდომი გახადონ საშუალო განათლების არსებითი ნაწილი შესაბამის რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე;

ან: III. უზრუნველყონ შესაბამისი რეგიონული ან უმცირესობის ენის საშუალო განათლების პროგრამაში ჩართვა მეცადინეობათა განრიგის შემადგენელ ნაწილად;

ან: IV. გამოიყენონ I-III ქვეპუნქტთაგან ერთ-ერთით გათვალისწინებული ზომები სათანადო შემთხვევებში, ან იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომელთა ოჯახები ითხოვენ ამას და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება[130].

დ) ტექნიკური და პროფესიული განათლება

I. ხელმისაწვდომი გახადონ ტექნიკური და პროფესიული განათლება შესაბამის რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე;

ან: II. ხელმისაწვდომი გახადონ ტექნიკური და პროფესიული განათლების არსებითი ნაწილი შესაბამის რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე;

ან: III. ტექნიკური და პროფესიული განათლების სფეროში უზრუნველყონ, რომ შესაბამისი რეგიონული ან უმცირესობის ენების სწავლება იყოს მეცადინეობათა განრიგის შემადგენელი ნაწილი;

---

[130] შდრ.: გამოქვეყნებული ქართული თარგმანი: http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charterexpl_ka.pdf

ან: IV. გამოიყენონ I-დან III-მდე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზომებიდან ერთ-ერთი იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომლებიც, ან სათანადო შემთხვევებში, რომელთა ოჯახებიც ითხოვენ ამას და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება.

ე) საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება

I. ხელმისაწვდომი გახადონ საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონულ თუ უმცირესობის ენებზე;

ან: II. უზრუნველყონ საშუალებები ამ ენების შესასწავლად უნივერსიტეტის ან უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საგნის ფორმით;

ან: III. თუკი უმაღლესი განათლების ინსტიტუტების მიმართ სახელმწიფოს როლის მიზეზით ვერ მოხერხდება I და II ქვეპუნქტების განხორციელება, წაახალისონ და/ან ნება დართონ რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე საუნივერსიტეტო და სხვა ფორმის უმაღლესი განათლების მიღების, ან ამ ენების საუნივერსიტეტო ან უმაღლესი განათლების საგნებად სწავლების შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

ვ) უწყვეტი განათლება

I. მიიღონ ზომები მოზრდილთათვის უწყვეტი განათლების კურსების ჩასატარებლად, სადაც სწავლება მთლიანად ან ნაწილობრივ განხორციელდება რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე;

ან: II. უზრუნველყონ, რომ ასეთი ენები იყოს მოზრდილთა და განგრძობითი განათლების საგნები;

ან: III. თუ ხელისუფლების ორგანოებს პირდაპირი კომპეტენცია არა აქვთ მოზრდილთა განათლების სფეროში, ხელი შეუწყონ და წაახალისონ, რომ ასეთი ენები წარმოადგენდნენ მოზრდილთა და განგრძობითი განათლების დისციპლინებს.

ზ) მიიღონ ზომები, რომ უზრუნველყოფილ იქნას **იმ ისტორიისა და კულტურის სწავლება,** რომელიც ასახულია რეგიონულ ან უმცირესობის ენაში;

თ) უზრუნველყონ მასწავლებელთა ძირითადი და შემდგომი პროფესიული მომზადება, რაც მოითხოვება იმ პუნქტების განსახორციელებლად, რომლებიც მიღებულია მხარის მიერ ა-დან გ-მდე პუნქტებს შორის;

ი) შექმნან საზედამხედველო ორგანო ან ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან რეგიონული ან უმცირესობის ენების სწავლების შემოღებისა და განვითარების სფეროში მიღწეული პროგრესის მონიტორინგზე და მათ მიერ მოკვლეული შედეგების

შესახებ პერიოდული მოხსენებების შედგენაზე, რომლებიც შემდგომში საჯაროდ გამოქვეყნდება.

2. რაც შეეხება განათლებას იმ ტერიტორიებზე, სადაც ტრადიციულად არ გამოიყენება რეგიონული ან უმცირესობის ენები, მხარეები ვალდებულებას იღებენ ნება დართონ, წაახალისონ ან უზრუნველყონ რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე ან ამ ენების სწავლება განათლების ყველა შესაბამის საფეხურზე, **თუ რეგიონულ ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ამას ამართლებს...**

მუხლი 12 - კულტურული საქმიანობა და საშუალებები

1. მხარეები ვალდებულებას იღებენ:

ა) წაახალისონ რეგიონული ან უმცირესობის ენისათვის დამახასიათებელი თვითგამოხატვის საშუალებები და ინიციატივები, მხარი დაუჭირონ ამ ენებზე შექმნილი ნაწარმოებების ხელმისაწვდომობას;

ბ) წაახალისონ რეგიონულ ან უმცირესობის ენაზე შექმნილი ნაშრომების ხელმისაწვდომობა სხვა ენებზე თარგმნის, დუბლირების, პოსტსინქრონიზაციისა და სუბტიტრირების გზით;

გ) წაახალისონ სხვა ენებზე შექმნილი ნაწარმოებების ხელმისაწვდომობა რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე მთარგმნელობითი, დუბლირების, პოსტსინქრონიზაციისა და სუბტიტრირების საქმიანობისათვის მხარდაჭერით;

დ) უზრუნველყონ, რომ სხვადასხვა სახის კულტურული საქმიანობის ორგანიზებისა და მხარდაჭერისათვის პასუხისმგებელმა ორგანოებმა დააწესონ შესაბამისი ანაზღაურება რეგიონული ან უმცირესობის ენებისა და კულტურის ცოდნისა და გამოყენებისათვის იმ ღონისძიებებში, რომლებსაც ისინი წამოიწყებენ, ან რომლებისთვისაც ისინი უზრუნველყოფენ მხარდაჭერას;

ე) ხელი შეუწყონ იმ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავენ, რომ კულტურული საქმიანობის ორგანიზებისა და მხარდაჭერისათვის პასუხისმგებელ ორგანოებს ჰყავდეთ ისეთი პერსონალი, რომელიც სრულად ფლობს შესაბამის რეგიონულ ან უმცირესობის ენას, ისევე როგორც მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის ენას (ენებს);

ვ) წაახალისონ რეგიონული ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკეთა წარმომადგენლის მონაწილეობა კულტურული საქმიანობისათვის საშუალებების უზრუნველყოფაში და მათ დაგეგმვაში;

ზ) წაახალისონ და/ან მხარი დაუჭირონ ისეთი ორგანოს ან ორგანოების შექმნას, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან რეგიონულ

ან უმცირესობის ენაზე შექმნილი ნაწარმოებების შეკრებაზე, ასლის შენახვასა და წარმოდგენაზე ან გამოქვეყნებაზე;

თ) აუცილებლობის შემთხვევაში, შექმნან და/ან ხელი შეუწყონ და დააფინანსონ მთარგმნელობითი და ტერმინოლოგიის კვლევითი სამსახურები, კერძოდ იმ მიზნით, რომ შენარჩუნებულ იქნას და განვითარდეს შესაბამისი ადმინისტრაციული, კომერციული, ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური ან სამართლებრივი ტერმინოლოგია თითოეულ რეგიონულ ან უმცირესობის ენაში.

2. იმ ტერიტორიების მიმართ, იმათ გარდა, სადაც ტრადიციულად გამოიყენებიან რეგიონული ან უმცირესობის ენები, თუკი რეგიონულ ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ამას ამართლებს, მხარეები ვალდებულებას იღებენ ნება დართონ, წაახალისონ და/ან უზრუნველყონ შესაბამისი კულტურული საქმიანობა და საშუალებები წინა პუნქტის შესაბამისად.

3. მხარეები ვალდებულებას იღებენ, კულტურის სფეროში მათი პოლიტიკის საზღვარგარეთ განხორციელებისას სათანადო ყურადღება მიაქციონ რეგიონულ და უმცირესობის ენებს და იმ კულტურას, რომლის გამოხატულებაც ისინი არიან[131]

კიდევ ერთხელ შევნიშნავთ: მოცემული სახელმწიფოს ოფიციალური თუ არაოფიციალური ენების შესახებ გაერომ, ეუთომ და ევროსაბჭომ არაერთი **სამართლებრივი დოკუმენტი** შექმნეს, მიუხედავად ამისა, ევროსაბჭომ მაინც ჩათვალა საჭიროდ, ერთმანეთისგან გაემიჯნა და **საკანონმდებლო აქტებიც ცალ-ცალკე** გამოეცა **ისტორიული (ავტოქთონი) ეთნიკური უმცირესობის ენისა და ახალი უმცირესობის**[132] წარმომადგენელთა ენობრივი უფლებების დასაცავად. მაგ., ექსპერტი **ასბორნ ეიდი** წერს: **"გაეროს სისტემაში** ნათელი განსხვავებაა ჩამოყალიბებული **ისტორიული (აბორიგენი)**

---

[131]. სხვა მუხლები იხ,
http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charterexpl_ka.pdf

[132] ტერმინ **"ახალი უმცირესობის"** შესახებ იხ., რობერტ დუნბარის ზემოთ დამოწმებული სტატია; იქვე საგანგებო მსჯელობაა **ისტორიული უმცირესობისა და ახალი უმცირესობის** ენობრივი უფლებების სხვადასხვაობის შესახებ.

უმცირესობების უფლებებსა და იმ პირთა უფლებებს შორის, რომლებიც უმცირესობებს მიეკუთვნებიან"[133].

ზოგადად, ეროვნული (ეთნიკური) **უმცირესობების ენობრივი უფლებები** დაცულია ყველა ნორმალური სახელმწიფოს კონსტიტუციითა[134] და შიდა კანონმდებლობის სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით; ასევე: "ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების **გაეროს დეკლარაციით**"[135], **ეუთოს** ოსლოსა [136] და ლუნდის[137] **რეკომენდაციებით; ევროსაბჭოს "ჩარჩო კონვენციით ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ"**[138].

ხოლო "ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ" არის ის ერთადერთი საგანგებო საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც მიეძღვნა იმ **ავტოქთონი** მოსახლეობის **ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაცვას**, რომელიც მოცემულ სახელმწიფოში უმცირესობას

---

[133] "კომენტარები: გლობალური და რეგიონული მიდგომები უმცირესობების სიტუაციებთან", ჩარჩოს შევსება, დოკუმენტების კრებული, 2004, გვ. 47.

[134] იხ., მაგ., საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 38: 1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი **ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა**. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, **ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ**... .მუხლი 85: სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი...

[135] მიღებულ იქნა 47-ე სესიაზე 1993 წლის 3 თებერვალს (www.diversity.ge/eng/resources.php?coi=0|14|1|1|1|1|1).

[136] ოსლოს რეკომენდაციები **ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ** უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; თებერვალი, 1998 წელი (ეხება **ეთნიკური უმცირესობების ენობრივ უფლებებს**: ადგენს, როგორ, რა ფორმით და სად შეიძლება ეროვნული/**ეთნიკური უმცირესობების ენების** გამოყენება) http://www.diversity.ge/files/files/oslo-geo.pdf.

[137] ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; სექტემბერი, 1999:
http://www.diversity.ge/files/files/lund-geo.pdf

[138] http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=157&CM=8&DF=12/15/2008&CL=ENG

წარმოადგენს და, ამავე დროს, მისი **დედაენა ამ ქვეყანაში (ან მის რომელიმე მხარეში) არ არის სახელმწიფო ენა.**

"ენის ქარტიაში" აქცენტი გაკეთებულია კულტურულ მრავალფეროვნებაზე; კერძოდ, კულტურისა და ტრადიციების გადარჩენა-შენარჩუნებასა და განვითარებაზე და არა უმცირესობის წარმომადგენლის ინდივიდუალურ ენობრივ უფლებებზე[139] **შდრ.:** ჩარჩო კონვენციით განსაზღვრული "უმცირესობათა უფლებები მოიაზრება როგორც **ინდივიდუალური უფლებები,** თუმცა ზოგჯერ შეიძლება მოქმედებდეს სხვა ინდივიდებთან ერთობლიობაში. უმცირესობათა უფლებები თავისი ბუნებით არ არის ჯგუფური უფლებები".[140]

მეტი თვალსაჩინოებისთვის, მომდევნო პარაგრაფებში მოკლედ წარმოვადგენთ მასალებს **ახალი უმცირესობების ენობრივი უფლებებისა და ისტორიული უმცირესობის ენის** დაცვის შესახებ.

---

[139] რობერტ დუნბარის "კომენტარები: ჩარჩო ხელშეკრულებისა და ენის ქარტიის ურთიერთობები", ჩარჩოს შევსება, დოკუმენტების კრებული, 2004, გვ. 32.

[140] ბორის სილევიჩი, "ჩარჩო ხელშეკრულება ევროპის საბჭოს კონტექსტში", ჩარჩოს შევსება, დოკუმენტების კრებული, 2004, გვ. 18.

2.2. "ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ჩარჩო კონვენციისა" და ოსლოს რეკომენდაციების მიზანი: ახალი უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვა

ახალი უმცირესობების ენობრივ უფლებებს იცავს რამდენიმე სხვა ევროკონვენცია. მათგან უფრო მასშტაბურია "ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ჩარჩო კონვენცია" "ჩარჩო კონვენციის" მიღებას წინ უსწრებდა ორი საინტერესო მოვლენა:

I. 1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭომ სტრასბურგში გამოაქვეყნა "ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ", რომლის მიზანია ისტორიული/ავტოქთონი უმცირესობის ენის, როგორც იდენტობის განმსაზღვრელი კულტურული ფენომენის, დაცვა.

II. 1992 წლის 18 დეკემბრის №47/135 რეზოლუციით გაერომ მიიღო დეკლარაცია: **"ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებები"**[141].

იმთავითვე გამოიკვეთა საერთაშორისო ორგანიზაციების ორი, მკვეთრად განსხვავებული კეთილშობილური მიზანი:

ისტორიული არაძირითადი უმცირესობის ენის, როგორც ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის, გადარჩენა-განვითარება;

- არაძირითადი მოსახლეობის ენობრივი უფლების დაცვა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მეორე დოკუმენტში ორ სხვადასხვა (არატოლფარდ!) ცნებადაა მიჩნეული **ეროვნული** და **ეთნიკური**.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ საერთაშორისო დოკუმენტების ტერმინები: **ავტოქთონი მოსახლეობა, ეროვნული უმცირესობა** და სხვ., არაიშვიათად, სხვადასხვაგვარად განიმარტება ექსპერტებისა თუ ხელისუფლებების მიერ. ზოგჯერ ვხვდებით მოულოდნელ ინტერპრეტაციებსაც; მაგ., პოლონეთის ხელისუფლებისთვის "ეროვნული უმცირესობა" არის სხვაგან სახელმწიფოებრიობის მქონე, მაგრამ პოლონეთშიც მცხოვრები ეროვნება (მაგ., გერმანელები პოლონეთში); ხოლო "ეთნიკური უმცირესობა" არის სახელმწიფოებრიობის არმქონე სხვა ეთნიკური ჯგუფი, რომელიც პოლონეთში/პოლონეთშიც ცხოვრობს (მაგ.,

---

[141] 47-ე სესიაზე (03.02.1993) (www.diversity.ge/eng/resources.php?coi=0|14|1|1|1|1|1).

ბოშები)[142]. პოლონეთში ზოგი ექსპერტის მიერ ავტოქთონ უმცირესობად ჩათვლილია სომხების ეთნიკური ჯგუფიც კი და, რაც უფრო გასაკვირია, ამ "ავტოქთონი ჯგუფის" ენად ითვლება დღეს უკვე **მკვდარი ენა** - ძველი სომხური (გრაბარი)[143]:

"There are 15 **autochthonous** minority languages in Poland: Byelorussian, German, Silesian, Kashubian, Lithuanian, Gypsy (Romany), Slovak, Czech, Ukrainian, Lemkish, Russian (Old Believers) and Yiddish, Karaim, Grabar – the language of **Old Armenian** and Tatar". Marta Moskal, **"Policy on Minority and Regional Languages in Poland"**.

არაიშვიათია "ევროპული ქარტიისა" და "ჩარჩო კონვენციის" მიზნების აღრევის შემთხვევებიც.

"ქარტიის" მიზნის შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა. რაც შეეხება "ჩარჩო კონვენციას": "ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა შესახებ" (სტრასბურგი; 01.11.1995) თავისი არსით **არის გაეროს დეკლარაციის გაგრძელება;** მისი მიზანია არაძირითადი მოსახლეობის - ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობის - **ენობრივი უფლებების განსაზღვრა**[144]; შდრ., მაგ., **მუხლი 14**:

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება ისწავლოს თავისი უმცირესობის ენა.

2. იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და თუკი არსებობს სათანადო მოთხოვნა, მხარეები თავიანთი განათლების სისტემის ფარგლებში ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ, რომ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ჰქონდეთ **უმცირესობის**

---

[142] იხ.: **"The Regional Language, National and Ethnic Minorities Act"** (http://www.usefoundation.org/view/479);
იხ., აგრეთვე http://www.culturalpolicies.net/web/poland.php?aid=421. შდრ.: პოლონეთს პოლონური ენის შესახებ კანონი (აქტი) მიღებული აქვს 1999 წელს.

[143] http://www.aber.ac.uk/mercator/images/Martapaper.pdf

[144] თუმცა ამ დოკუმენტში მოცემული არ არის "ეროვნული უმცირესობის" განსაზღვრის კრიტერიუმები; მსჯელობისათვის იხ. ქვემოთ.

ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების ადეკვატური შესაძლებლობანი[145].

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტი განხორციელდება ოფიციალური ენის სწავლის ან ამ ენაზე სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე[146].

იმავე 1995 წელს ჰააგაში შემუშავდა "რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა **განათლების უფლებათა** შესახებ"; ამ დოკუმენტს 3 წლის შემდეგ მოჰყვა ეროვნულ უმცირესობათა **ენობრივი უფლებების** დამცველი დოკუმენტიც: "ოსლოს რეკომენდაციები **ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან** დაკავშირებით" (თებერვალი, 1998 წელი), სადაც დეტალურადაა ჩამოყალიბებული მოცემულ სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული საზოგადოების ენობრივი უფლებები; კერძოდ, წარმოვადგენთ რამდენიმე მუხლს:

1. ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ თავიანთი სახელებითა და გვარებით მშობლიურ ენაზე, საკუთარი ტრადიციებისა და ლინგვისტური სისტემების შესაბამისად. ეს გვარ-სახელები ოფიციალურად უნდა იქნეს აღიარებული და გამოყენებული ხელისუფლების ორგანოების მიერ.

2. ამგვარადვე, კერძო ორგანიზაციებს, როგორებიცაა ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მიერ დაარსებული კულტურული ასოციაციები და საწარმოები, იგივე უფლება აქვთ მათ სახელწოდებებთან დაკავშირებით.

3. იმ ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და როცა შესაბამისი მოთხოვნა არსებობს, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა იზრუნონ, რათა ადგილობრივი სახელები და სახელწოდებები, ქუჩების დასახელებები და საზოგადოებრივი

---

[145] არაიშვიათად, საკამათოა ისიც, თუ ვის უნდა მიენიჭოს ეთნიკური უმცირესობის უფლება; მსჯელობისათვის იხ., მაგ.: ***Борис Цилевич,*** Национальные меньшинства и недискриминация: международные стандарты в контексте рекомендаций для Эстонии, Гражданское общество: борьба с нетерпимостью и дискриминацией (ред В.Полещук); Материалы семинаров. Таллинн: Центр информации по правам человека, 2009, стр.5-9; ამ ავტორის სხვა ნაშრომები იხ.:
http://www.cilevics.eu/plugins/links_page/links.php?cat.2

[146] http://www.parliament.ge/files/erovnul-umciresobata2005.doc

დანიშნულების სხვა ტოპოგრაფიული ნიშნები **ეროვნული უმცირესობის ენაზეც** გამოიკრას.

15. იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩეულ წევრებს, მათი სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში, **ეროვნული უმცირესობის ენითაც შეეძლოთ სარგებლობა.**

34. უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ, **თავისუფლად ისარგებლონ საკუთარი ენით როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო ცხოვრებაში, უოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ზეპირად, ისე წერილობით, როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვებთან ერთობლიობაში.** სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს აზრის გამოხატვის თავისუფლებას არა მხოლოდ იმ იდეებთან და შეხედულებებთან მიმართებაში, რომლებიც სხვებს შეიძლება გადაეცეს (ანუ კომუნიკაციის შინაარსთან მიმართებაში), არამედ ენასთან, როგორც კომუნიკაციის საშუალებასთან მიმართებაშიც. ეს უფლებები, თანასწორობის უფლებასთან და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპთან ერთად, გულისხმობს ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებას, აწარმოონ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა იმ ენაზე, რომელსაც თავად აირჩევენ. გამომდინარე იქიდან, რომ კერძო მეწარმეებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ეფექტური ურთიერთობების დამყარება კლიენტებთან და საკუთარი ინიციატივების სამართლიანობის პირობებში განხორციელება, დაუშვებელია ენის არჩევის თავისუფლებაზე არამართლზომიერი შეზღუდვების დაწესება...

შდრ., აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი, 14:

"ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი, 38: 1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ

ცხოვრებაში განურჩევლად მათი **ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა.** საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ, თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე, განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

მუხლი, 85: 2. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. **პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი.** იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა **არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.**

იხ. ასევე: "ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით" (1996)[147], "განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ იუნესკოს კონვენცია (მუხლი 5)" და სხვ..

წარმოდგენილი ანალიზის ფონზე ქვემოთ განვიხილავთ საქართველოში დღეისთვის არსებული ენებისთვის **სავარაუდო სტატუსებს;** პარალელურად, კრიტიკულად გავაანალიზებთ საქართველოს ენათა იმ სიას, რომელზეც, **ტომაშ ვიხერკევიჩის ჯგუფისა და ჯონათან უითლის აზრით,** უნდა გავრცელდეს "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" დებულებები.

[147] http://www.osce.org/documents/hcnm/1996/10/2700_ka.pdf

2.3. თანამედროვე საქართველოს ენობრივი სიტუაცია

2.3.1. სახელმწიფოს ოფიციალური ენა/ენები და მისი ადგილობრივი სახესხვაობანი

2.3.1.1. სახელმწიფო ენა, როგორც საერთო-სახალხო ენა და ინტეგრაციის პრობლემა. ისტორიული წყაროების მიხედვით, ძვ.წ. მე-3 საუკუნიდან დღემდე საქართველოში სახელმწიფო ენაა ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც, ასევე უწყვეტად არის ღვთისმსახურების ენა. დროის იმ მონაკვეთში, როცა საქართველო დაპყრობილი ჰყავდა რუსეთის იმპერიას, სახელმწიფო ენის ფუნქციას ძირითადად იმპერიის ენა ასრულებდა; ამავე პერიოდში საქართველოში მოსულ **ძველ თუ ახალ მიგრანტებთან** საურთიერთო ენად დამკვიდრდა **რუსული** ენა. საქართველოს დეოკუპაციის პროცესი დაწყებულია[148]; შესაბამისად, იმედია, მალე დადგება დრო, როდესაც სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის საქართველოს მოქალაქეებს შორის საკომუნიკაციო ენის როლში ისევ მოგვევლინება ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენა[149]. აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს მოქალაქე სომეხთა და აზერბაიჯანელთა ინტეგრაციის პრობლება კარგად აქვს გაანალიზებული **ჯონათან უითლის**; დავიმოწმებთ მის ერთ ციტატას: **"მეორე ძირითადი გამოწვევა, რომელიც საქართველომ უნდა გადაჭრას ქარტიის დანერგვის გზაზე:** როგორ მოხდეს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების განვითარების ხელშეწყობა იმგვარად, რომ **საფრთხე არ შეექმნას ქართულს,** როგორც სახელმწიფო ენას ან ეროვნულ უმცირესობათა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში **ინტეგრაციას** ქართული ენის (სხვა ენების ხარჯზე) სწავლების აუცილებლობის თითქოსდა ერთგვარი შერბილების გამო. აქ იგულისხმება კომპაქტურად დასახლებული უმცირესობები,

---

[148] 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ რუსეთის ჯარს ოფიციალურად აღუდგა ოკუპანტის სტატუსი (რომელიც საქართველოს ხელისუფლებისგან მას პირველად მიენიჭა 1991 წლის 15 ოქტომბერს).

[149] ამ თვალსაზრისით საინტერესო მსჯელობისათვის იხ. **მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე),** ეკლესია - საქართველოს კუთხეთა მაკავშირებელი დუღაბი, საქართველოს საპატრიარქოსა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2008.

რომლებმაც ძირითადად არ იციან ქართული როგორიცაა ახალქალაქისა და ნინოწმინდის სომხური მოსახლეობა (ჯავახეთი), ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოსური მოსახლეობა" (გვ. 24).

ამ შემთხვევაში ერთ-ერთ გამოსავლად მიჩნეულია **ორენოვანი** (ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-სომხური) სწავლება აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან სკოლებში).

2.3.1.2. სახელმწიფო ენები ავტონომიურ წარმონაქმნში. საქართველოში ამჟამად იურიდიულად არსებობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელშიც სახელმწიფო ენებია ქართული ენა და აფხაზური ენა (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 8: საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აგრეთვე - აფხაზური).

თანამედროვე კვლევები ცხადყოფს, რომ ამჟამინდელი აფხაზები აფხაზეთის ტერიტორიაზე გვიან არიან ჩამოსახლებული ჩრდილო კავკასიიდან[150]; მიუხედავად ამისა, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით **აფხაზებს** (თვითსახელწოდებით აფსუებს) სხვა სამშობლო არ გააჩნიათ საქართველოს გარდა; შესაბამისად, ყველა შემთხვევაში, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურმა ხელისუფლებებმა უნდა იზრუნონ აფხაზური ეთნოსისა და ენის გადასარჩენად. აქვე აღვნიშნავთ, რომ რუსული ოკუპაციის პირობებში აფხაზურს დღეს უფრო დიდი საფრთხე ემუქრება, ვიდრე ოდესმე.

---

[150] ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ქართულენოვანი ძველი წარწერები, აფხაზური ენის ლექსიკის ანალიზი და ქართველური ონომასტიკური მასალა ადასტურებს, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მე-16 საუკუნემდე ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ; რაც შეეხება უცხო ეთნიკურ ელემენტს: ამ პერიოდში, განსაკუთრებით ახ.წ. დასაწყისში ზღვისპირეთის რამდენიმე ქალაქში (სავაჭრო ფაქტორიაში) ბინადრობდა ბერძნული მოსახლეობაც, რომელიც სიმცირის გამო სერიოზულად ვერ ცვლიდა რეგიონის ეთნიკურ და ენობრივ სიტუაციას (თ.გვანცელაძე, 2008; თ.გვანცელაძე, 2009). ვერ საბუთდება მოსაზრება, რომ, თითქოს, მთელ დასავლეთ საქართველოში ბერძნული ენა იყო გაბატონებული. პირიქით, საისტორიო წყაროები და დოკუმენტური მასალა ადასტურებს, რომ დასავლეთ საქართველოც ქართლის (საქართველოს) სახელმწიფოსა და ქართულენოვანი მართლმადიდებლური ეკლესიის ორგანული ნაწილი იყო.

2.3.1.3. საქართველოს სახელმწიფო ენის - ქართული სალიტერატურო ენის ადგილობრივი სახესხვაობანი (/დიალექტები); როგორ დავიცვათ ისინი?

მრავალი ისტორიული ფაქტი ცხადყოფს, რომ **სხვადასხვა კუთხის ქართველები** (აჭარლები, გუდამაყრელები, გურულები, თუშები, იმერლები, იმერხევლები, კახელები, ლაზები, ლეჩხუმლები, ლივანელები, მაჭახლელები, მეგრელები, მესხები, მთიულები, მოხევეები, რაჭველები, სვანები, ტაოელები, ფშავლები, ქართლელები, ხევსურები, ჯავახები, ჰერები/ ინგილოები) **ხანგრძლივი წარსულის მქონე ერთ ისტორიულ ეთნოსს წარმოადგენენ**[151], რომლის უმთავრეს დუღაბს ქმნის დიდი ისტორიის მქონე სამწიგნობრო კულტურა.

მრავალსაუკუნოვანი საერთო კულტურულ-სამწიგნობრო შემოქმედება [152] და ისტორიული მეხსიერება უამრავ ფაქტს ინახავს, სადაც ნათლად ჩანს საქართველოს ყველა კუთხის ქართველობის თავგანწირული ბრძოლა და ღვაწლი ქართველობის შენარჩუნებისათვის.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველთა **ეროვნული მეობის** მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია ზოგადქართულ ენაზე **ყველა ქართულ მხარეში თვისობრივად ერთნაირად შექმნილი** სამწიგნობრო კულტურა. მრავალი საუკუნეა ქართულ სამწიგნობრო ენასთან ერთად თანაარსებობს ქართველთა ეროვნული ენის ადგილობრივი ვარიანტები, რომლებიც ქართული სალიტერატურო ენის გამამდიდრებელ უშრეტ ნაკადულებს წარმოადგენენ; კერძოდ, ქართულის (/ქართველურის) ადგილობრივი სახესხვაობებია: მეგრული, ლაზური, სვანური, ხევსურული, მოხეური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, თუშური, ჰერული (ინგილოური), კახური, ქართლური, სამცხური, ჯავახური, ტაოური, იმერხეულ-შავშური, ლივანური, მაჭახლური,

---

151 რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008, გვ. 48; საკითხის ისტორიისათვის იხ., აგრეთვე: ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ქუთაისი, 2005.

152 რომლის ძირითადი ნაწილი ქრისტიანული (მართლმადიდებლური) ცნობიერების ამსახველი ლიტერატურაა. ბუნებრივია, არსებითია ასევე: წარმართული კულტურული მემკვიდრეობა, ხალხური ზეპირსიტყვიერება, ტრადიციული ცეკვები და სიმღერები, მრავალხმიანი საგალობლები...

აჭარული, გურული, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული...[153] ქართველთა ეროვნული ენის ქართულის ამ სახესხვაობებს (დიალექტებს), საბჭოთა მეცნიერების ინერციით, ზოგი დღესაც 3-4 დამოუკიდებელ ენად განიხილავს; შესადარებლად იშველიებენ ზემო- და ქვემოგერმანული კონტინუუმების მიმართებას (და არა, მაგ., გერმანული ენისა და ბავარიული მეტყველებისა): გერმანიის მთავრობამ **ბავარიულისგან** განსხვავებით **ქვემოგერმანულს** მიანიჭა რეგიონული ენის სტატუსი იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს მე-16 საუკუნიდან ჰქონდა წერილობითი ტრადიცია.

აღვნიშნავთ, რომ ქართველური ენობრივი რეალობისთვის სამაგალითოდ არ გამოდგება **ზემოგერმანულისა** და **ქვემოგერმანულის** მიმართების საკითხი; ქვემო (ჩრდილო) გერმანულისგან განსხვავებით, არც ერთი ქართველური კუთხური

---

[153] ქართველთა საშინაო მეტყველებების **მსგავსი კვალიფიკაციისათვის** იხ., აგრეთვე: **მ.ტაბიძე**, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005; **მ.ნაჭყებია**, მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის: ქართველოლოგიური კრებული, IV, თბ., 2005; **Manana Tabidze**, The contemporary language situation in Georgia. Some problems in the linguistic identity of the population, Language, History and Culturul Identities in the Caucasus, June 17-19 2005, Abstracts, Malmo University, Sweden, 2005, 44-4; **ტ.ფუტკარაძე**, ქართველები, ნაწილი I, ქრისტიანობამდელი ეპოქა, ქუთაისი, 2005; **მ.ნაჭყებია**, საქართველოს ეთნოლინგვისტური ტერმინები, თბ., 2006; **ტ.ფუტკარაძე**, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა, თბ., 2006; **თ. გვანცელაძე**, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006; **რ.შეროზია**, ქართველური სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას "სიტყვის კონის" ზოგი საკითხისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქუთაისი, 2007; **რ. გუჯეჯიანი**, მამა ბესარიონი (ნიჟარაძე), მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის გაზეთი, 4 ივნისი, 2007; იხ., აქვე: **ტ. ფუტკარაძე**, სვანური - არქაული ქართულის ნაირსახეობა; **Manana Tabidze and Bela Shavkhelishvili**, Russian Language in Georgia, WorkshopLanguage Change in Bilingual Communities. Focus on the Post-Soviet Countries and their Immigrant Communities Elsewhere. A Related Event of the 23rd Scandinavian Conference of Linguistics. October 3, 2008, Uppsala, Sweden; **მ.ტაბიძე**, სახელმწიფო ენის მდგომარეობა, როგორც სახელმწიფოს სიძლიერე-სისუსტის ერთ-ერთი მახასიათებელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: საქართველო და მსოფლიო, ბათუმი, 2008; **რ. თოფჩიშვილი**, ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008; **თ. ბერაძე**, ქართული იდენტობის ძირითადი ეტაპები, ეთნოლოგიური კრებული, თბ., 2008, გვ. 3-9 და სხვ.

მეტყველება (იდიომი) არასოდეს ყოფილა ქვეყნის ნაწილის ტრადიციული სამწიგნობრო-საეკლესიო ენა[154]

შდრ.: საქართველოში ისტორიულად ყველა ქართველური თემის[155] სამწიგნობრო ენა იყო და არის **ზოგადქართულ/ საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებული სტანდარტული ენა.** ამ საერთოეროვნულ მოვლენასთან არ შეიძლება გავათანაბროთ ქართველთა ერთი რომელიმე რეგიონის მოსახლეობის ზეპირი საშინაო მეტყველება. გარდა ამისა, ზემოგერმანული და ქვემოგერმანული ისტორიულად ერთმანეთს მიემართება, როგორც **პარალელური ენობრივი მონაცემები,** რომელთაგან ერთ-ერთი ახლო წარსულში გაბატონდა **ოფიციალურ ენად;** შდრ.: არქაულ ქართულ სამწიგნობრო ენასთან **საქართველოს საეკლესიო/**სახელმწიფო **ენასთან** მიმართებით ჩვენთვის ცნობილი **ყველა სხვა ქართველური მეტყველება მეორეული წარმონაქმნია;** კერძოდ, ფონემატური სტრუქტურის, მორფოლოგიური ყალიბების თუ ფუძეების პირველადი სახეები დაცულია არქაულ სამწიგნობრო ენაში - ქართველთა ისტორიულ ოფიციალურ ენაში. მეგრულ-ლაზური, სვანური, ხევსურული თუ

---

[154] **ქვემოგერმანული კონტინუუმის ნაწილია ნიდერლანდური (ჰოლანდიური) ენა** (შდრ., არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 248: ქვემოგერმანულის მთავარი "წარმომადგენელია" ჰოლანდიური). ქვემოგერმანული ენის უძველესი წერილობითი ძეგლია "ჰელიანდი" (IX ს.), XIV საუკუნიდან ამ ენაზე იბეჭდებოდა მრავალრიცხოვანი რელიგიური და მხატვრული ლიტერატურა; მაგ., 1478 წელს გამოქვეყნდა ბიბლია. ქვემოგერმანულზე წირვა-ლოცვა ტარდებოდა 1905 წლიდან. სტატისტიკური ცნობების მიხედვით, 1980 წელს 300 მღვდელი ქვემოგერმანულად ატარებდა წირვა-ლოცვას. ამჟამად გერმანულზე წირვა-ლოცვა არ ტარდება, თუმცა ქვემოგერმანულზე არის საეკლესიო ხასიათის რადიოგადაცემები და ჟურნალი. ქვემოგერმანული მუდამ ითვლებოდა სახალხო ენად; ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ **ძმები გრიმებისა და სხვა ზღაპრები იწერებოდა ქვემოგერმანული ლექსიკის გამოყენებით.** მრავალი წლის განმავლობაში ქვემოგერმანულზე აკრძალული იყო ტელეგადაცემები. 1997 წლიდან დაიწყო სატელევიზიო სპექტაკლების გადაცემა. დღეს აქტუალურია ისეთი ქვემოგერმანული რადიოგადაცემები, რომელშიც საუბარია ძველი ქვემოგერმანული გამოთქმებისა და მისი თანამედროვე სალიტერატურო (ზემოგერმანული) შესატყვისების შესახებ. დიდ ქალაქებში (ჰამბურგი, გოტინგენი, ბილეფელდი, ოლდენბურგი...) ქვემოგერმანულის მიმართ ინტერესი უფრო და უფრო ძლიერდება იხ. The Dialects of Modern German, A Linguistics Survey. Editor Charles V.L. Russ. 1990, გვ. 32-26, Stanford University Press.
http://books.google.com/books?hl=en&id=JsSrAAAAIAAJ&dq=Russ++By+The+Dialects+of+Modern+German&printsec=frontcover&source=web&ots=8gsrkAehV7&sig=uZlLMiHgqgrEh_u6DI9fsdo6kC0.

[155] თემი - ქართველთა ერთი რომელიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი.

ცალხური ვარიანტები კი წარმოქმნილია არქაული ქართული/ქართველური ენისგან. შესაბამისად, პარალელურ ენობრივ ვარიანტებად ვერ მიიჩნევა **ამოსავალი ენა** და მისი ტრანსფორმაციით მიღებული ზეპირი **ლოკალური ვარიანტი**[156].

აქვე აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე გლობალური საინფორმაციო ქსელის ყოველდღიური **საჭიროება ზღუდავს** არა მხოლოდ ადგილობრივ დიალექტებს, არამედ გეოპოლიტიკურად სუსტი ზოგი ევროპული სახელმწიფოს ოფიციალურ ენასაც კი; შესაბამისად, საქართველოშიც **საგანგებო ზომებია** მისაღები როგორც ქართული სტანდარტული ენის, ასევე, ქართველთა ზეპირი მეტყველებების გადარჩენისა და დაცვის მიზნით; მაგ., ჩვენს შემთხვევაში ნამდვილად ესაჭიროება საგანგებო ყურადღება საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში არსებულ თუ საქართველოს საზღვრებს მიღმა დარჩენილ ქართველთა კილოებს. **ამ მიმართულებით სახელმწიფომ საგანგებო ზომები უნდა მიიღოს; კერძოდ:**

- **მეგრულ-ლაზურის, სვანურის, ტაოურის, ხევსურულის თუ სხვა ქართველური ქვესისტემების დაცვის საუკეთესო მექანიზმი** იქნება ამ იდიომების სწავლება ქართული (ქართველური) ენის სახესხვაობების ფორმატით საშუალო თუ უმაღლესი სკოლის ყველა დონეზე (ყველა მიმართულებით ცუდ შედეგს მოგვცემს ჯონათან უითლის მიერ შემოთავაზებული გეგმა ამ იდიომების "პრესტიჟის აწევისა").
- **სასკოლო სახელმძღვანელოებში** დიდი დოზით უნდა შევიდეს ქართველური დიალექტური ლექსიკა (მეგრული, ლაზური, სვანური, ხევსურული, ტაოური, აჭარული, ჰერული, კახური, თუშური. .), როგორც ქართველთა სამწიგნობრო ენის გამდიდრების საშუალება; ასევე, საქართველოს სკოლების მოსწავლეები ბავშვობიდანვე უნდა ეზიარონ ხალხური პოეზიის, ზოგადად, ფოლკლორის ნიმუშებს ცალკეული ქართველური დიალექტების მიხედვით;
- სახელმწიფოს მიერ სერიოზულად უნდა დაფინანსდეს ის **ქართველოლოგიური ცენტრები,** რომლებიც სწავლობენ და ასწავლიან ქართველურ დიალექტებს; მაქსიმალურად ამომწურავად უნდა დაფიქსირდეს დღემდე მოღწეული დიალექტების ლექსიკური თუ გრამატიკული თავისებურებები;

---

[156] შდრ.: ზემო- და ქვემოგერმანული ერთი ფუძე-ენის პარალელური სტანდარტული ვარიანტები იყო უახლოეს წარსულშიც.

უნდა მომზადდეს და გამოქვეყნდეს ახალი დიალექტური ლექსიკონები და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალები[157];

• ისტორიულად ქართული სამწიგნობრო ენა საზრდოობდა ყველა ქართველური კილოდან, შესაბამისად, ლოგიკური იქნებოდა, სალიტერატურო ენის საბაზო ლექსიკონში (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში) თავიდანვე შესულიყო მეგრულ-ლაზური და სვანური ლექსიკაც. დღეს მაინც უნდა მომზადდეს ქართული ენის **განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქცია,** რომელშიც უხვად შევა არა მხოლოდ ქართლური თუ ფშავ-ხევსურული, არამედ მეგრულ-ლაზური და სვანური ლექსიკა[158] აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ტიპის სამუშაოების განხორციელებისათვის 2005 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტში დაარსდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო **ცენტრი,** რომლის

---

[157] სამწუხაროდ, ბოლო წლებში საქართველოში მკვეთრად შემცირდა დიალექტოლოგიური ექსპედიციებისა და არაპოლიტიზებული **ქართველოლოგიური კვლევების** დაფინანსება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **რუსთაველის (ქართველოლოგიის) ფონდის** მცდარი და **კლანური** საგრანტო პოლიტიკით (დაფინანსების ვითომდა ცენტრალიზებული სისტემა; არტურ ცუციევის მსგავს **უცხოელ ან არაპროფესიონალ "ინკოგნიტო" ექსპერტთა** მიერ ქართველოლოგიის პრიორიტეტების არაადეკვატური განსაზღვრა, ქართველოლოგიური და ჰუმანიტარული მეცნიერების სხვა დარგების პროექტების "შერჩევა" საერთო რეიტინგით...) 2006-2009 წლებში **განსაკუთრებით დაზარალდა** საქართველოს რეგიონებში არსებული ქართველოლოგიური ცენტრები. გარდა ამისა, 2005 წელს, ავად თუ კარგად, 1200-ზე მეტი სამეცნიერო თემა ფინანსდებოდა, 2006 წლიდან სამინისტროს მიერ დაფინანსებული ქართველოლოგიური პროექტების რაოდენობა შემცირდა წელიწადში **რამდენიმე ერთეულამდე; მაგ., ანონიმი ექსპერტების** გადაწყვეტილებით, 2007-2010 წლებში "ქართველოლოგიის ფონდის" გრანტი გამოეყო პროექტებს: **"სექსუალური** ქცევის შესწავლა საქართველოში", "აკირა კუროსავას კინოსამყარო", "საქართველოს ბუნებრივი რესურსის-ლინოპტილოლიტის გამოყენებით ბენზინების დეპარაფინიზაცია და გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის მინიმიზაცია", "კარდიომიოპათიის სახეობათა, გულის ანთებით დაავადებათა და მათი გართულებათა კომპიუტერული სწავლების მეთოდიკა" და სხვ., მაშინ როცა უარი ეთქვა მაღალქულიან სამეცნიერო პროექტებს, რომელთა მიზანი იყო **სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული ქართველოლოგიური** (ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი) **მასალის ანალიზი, გაჭრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ტაოური, იმერხეული, ლივანური და სხვა ქართველური კილოების მონაცემთა ბაზის შექმნა** და სხვ.

[158] სწორედ ამას ითვალისწინებს **კ.გამსახურდიას** ენობრივი კონცეფცია; ასეთივე რჩევას იძლევა **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** (მსჯელობისათვის. იხ.: **ე.დადიანი,** 2007, გვ. 244; **ტ.ფუტკარაძე,** 2008, გვ. 39).

უშუალო მიზანია ქართველური (მეგრულ-ლაზური, სვანური თუ რაჭულ-იმერული...) დიალექტების მონაცემებისგან სამწიგნობრო ენისთვის სარეკომენდაციო ლექსიკონის მომზადება. 2008 წლის 29 მარტს, წმიდა ამბროსი ხელაიას ხსენების დღეს, ამ ცენტრს ეწოდა **წმიდა ამბროსი ხელაიას სახელობის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი.**

სასურველია, საქართველოს ყველა რეგიონის უნივერსიტეტთანაც შეიქმნას მსგავსი მიზნის მქონე განყოფილება/ცენტრი, რომელთაც კოორდინაციას გაუწევს **ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.**

შდრ.: 1981 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო 928-ე რეკომენდაცია, რომელიც მიზნად ისახავს, შეეწყოს ხელი ევროპაში უმცირესობათა ენებისა და **დიალექტების** მოვლა-პატრონობას. ამ ეტაპზე მართლაც რომ დასაკარგავადაა განწირული ბევრი ოფიციალური ენის დიალექტი; სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ:

ამჟამად ქართველური კილოების (თუშურით დაწყებული, ლაზურით დამთავრებული) **მდგომარეობა კატასტროფულია!** სულ მოკლე ხანში ბევრი ქართული დიალექტი **დვალურის**[159] ბედს გაიზიარებს[160] ისტორიულ ქართულ კილოებთან დაკავშირებით, აქვე წარმოვადგენთ **რ. თოფჩიშვილის** დასკვნას; კერძოდ, ყიზლარ-მოზდოკურსა და პლასტუნკურზე მსჯელობის შემდეგ ის წერს: "დროთა განმავლობაში ქართული დიალექტები თვით

---

[159] **დვალების** ქართველური თემი ცხოვრობდა ცენტრალური კავკასიონის კალთებზე (ჟღელეს, ზრამაგას, ზახას, ნარას, კასრის ხეობებში; ფიაგდონიდსა და არდონის სათავეებში), მაღრან-დვალეთში (დიდი ლიახვის სათავე) და თრუსოში (თერგის სათავე): **ისინი ლაპარაკობდნენ ერთ-ერთ ქართველურ დიალექტზე** (საკითხის ისტორიისათვის იხ., **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოში ოსთა ჩამოსახლების და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997; **რ. თოფჩიშვილი**, ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008, გვ. 84-85. 100, იხ., აგრეთვე, **ნ. ოთინაშვილი**, ქართულ-ოსური ლექსიკური ტოპონიმიკური შეხვედრები, XXVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თელავი, 2007.

[160] "მსოფლიოს ენათა რეესტრის" ავტორები რატომღაც აჩქარდნენ და ტაოური უკვე გამოაცხადეს მკვდარ დიალექტად; კერძოდ, მათი აზრით, მე-18 საუკუნემდე ტაოურზე ლაპარაკობდნენ ოლთისში/ოლთუში (თურქეთი, ერზერუმის რაიონი) მცხოვრები ქართველები (http://linguarium.iling-ran.ru/publications/caucas/alw_cau_kartvelchunal). შევნიშნავთ, რომ ქართული ენის ტაოურ დიალექტზე ამჟამადაც [illegible] ქართველები იმავე ოლთის-პარხალის მხარეში - იუსუფჯალის რაიონის რამდენიმე სოფელში [ხევაი (biçakçilar), ქობაი (kobak), ბალხი (balcili) და სხვ.]

საქართველოს ტერიტორიაზეც გაჩნდა; კერძოდ: დვალური, თრიალეთური, ერუშული, კლარჯული, კოლა-არტაანული და სხვ.[161]

2.3.2. საქართველოში ისტორიული უმცირესობების ენების საკითხი

საქართველოს არც ერთ რეგიონში არ ცხოვრობს არაქართული წარმომავლობის ავტოქთონი მოსახლეობა; შესაბამისად, თუკი მკაცრად დავიცავთ **ქარტიის კრიტერიუმებს,** საქართველოს ხელისუფლება ვალდებული არ არის, რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ენას მიანიჭოს **რეგიონული ან უმცირესობის ენის სტატუსი**. მით უმეტეს, "ტერიტორიის მქონე ისტორიული უმცირესობის" ენის (რეგიონული/უმცირესობის) სტატუსი; კერძოდ, **საქართველოში არ არის:** ქვეყანაში ისტორიული უმცირესობის, მაგრამ მოცემულ რეგიონში უმრავლესობის ენა (რეგიონული ენა) და არც ისეთი ისტორიული უმცირესობის ენა, რომელიც მოცემულ რეგიონშიც უმცირესობის ენაა (უმცირესობის ენა).

შდრ.: ჯონათან უითლი, დოქტორი ტომაშ ვიხერკევიჩი და თანამოაზრეები რატომღაც თვლიან, რომ **"ენის ქარტიის" მეორე ნაწილის** დებულებები შეიძლება გავრცელდეს: რუსულის, ბერძნულის, სომხურის, აზერბაიჯანულის, ქურთულის (მათ შორის - იეზიდურის), უკრაინულის, ჩეჩნურის (მათ შორის - ქისტურის) , ავარიულის... მიმართ (გვ. 36, 39)[162]

როგორ ზემოთ ვნახეთ, "ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ" ორიენტირებულია მხოლოდ მოცემულ ქვეყანაში **ისტორიულად** მცხოვრები (ავტოქთონი), მაგრამ სახელმწიფოს **არაძირითადი ეთნოსის** ენის გადარჩენა-განვითარებაზე და არა, ზოგადად, ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივ უფლებებზე. გარდა ამისა, ქარტიაში ხაზგასმით წერია,

---

[161] რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოლოგია, თბ., 2008, გვ. 50-51

[162] მაგ., ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტის ენობრივი პოლიტიკისა და უმცირესობათა კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დოქტორი ტომაშ ვიხერკევიჩი და მისი ქართველი თანაავტორები მიიჩნევენ, რომ "უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის" მესამე ნაწილი უნდა გავრცელდეს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (გვ. 39).

რომ იგი არ მოიცავს **მიგრანტთა ენებს**" (მუხლი Ia, II)[163]; შესაბამისად, ჩვენი აზრით, **"რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ ევროპული ქარტიის"** დებულებები საქართველოში უნდა გავრცელდეს არაქართველი ავტოქთონი ხალხების დედაენის მიმართ (თუკი ასეთნი არიან). გარდა ამისა, იმ არაავტოქთონი უმცირესობების ენების მიმართ, რომელთაც ქვემოთ წარმოდგენილი **ოთხივე** ნიშანი ერთდროულად ახასიათებთ:

საქართველოში ცხოვრობდნენ რუსულ ოკუპაციამდე (1801 წლიდან 1990 წლამდე პერიოდში საქართველო ანექსირებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ. ამ პერიოდში რუსეთმა თავის სასარგებლოდ მართა დემოგრაფიული პროცესები: საქართველოდან გაასახლა ქართველები და აფხაზები, მათ ნაცვლად საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოასახლა იმპერიის ერთგული ეთნიკური ჯგუფები:რუსები, სომხები, ოსები და სხვ.).[164]

- **შეადგენენ მოსახლეობის იმ რაოდენობას, რომ გამართლებული იყოს ამ ქარტიით გათვალისწინებული სხვადასხვა დამცავი და ხელშემწყობი ზომების მიღება მოცემული ენის მიმართ**[165],
- **ემუქრებათ დედაენის დავიწყების საფრთხე**[166],
- **მეზობლად არ არის სახელმწიფო, სადაც სახელმწიფო ენაა მათი დედაენა**[167].

წარმოდგენილი კრიტერიუმების მიღმა **საქართველოში გამონაკლისი** შეიძლება დაშვებულ იქნას **მხოლოდ იმ არაავტოქთონი ეთნიკური უმცირესობების** დედაენის მიმართ, ვისაც საქართველოს გარდა სხვა სამშობლო აღარ გააჩნია და **ვის დედაენასაც გაქრობის საფრთხე ემუქრება**.

შდრ.: **საქართველოს ისტორიულ მოსახლეობად** ნამდვილად ვერ მიიჩნევიან და ამავე დროს არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ:

---

[163] თუმცა, მოცემულ სახელმწიფოს უფლება აქვს, "ქარტიის" დებულებები გაავრცელოს ახალი დიასპორის ენაზეც.

[164] მსჯელობისათვის იხ.: T.Putkaradze, Some Aspects of the Geopolitical Strategy of Georgia (On Politicization of the Kartvelological Studies), Causes of War Prosdects for Peace, Georgian Orthodox Church and Konrad-Adenauer-Foundation, Tbilisi, 2009, p. 173-183; ტ. ფუტკარაძე, საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი (ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის), კრებული "საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები", საქართველოს საპატრიარქო, კონრად ადენაუერის ფონდი, თბ., 2009, გვ. 221-234.

[165] იხ. "ენის ქარტია", მუხლი I ბ და "განმარტებითი მოხსენების" 35-ე პუნქტი.

[166] იხ. "ენის ქარტია", პრეამბულა და "განმარტებითი მოხსენების" მე-2 პუნქტი.

[167] იხ. "ენის ქარტია", პრეამბულა, ნაწილი II, მუხლი 7, პუნქტი 1, ზ და "განმარტებითი მოხსენების" 28-ე პუნქტი.

რუსების, ბერძნების, ქურთების, იეზიდების, უკრაინელების, ჩეჩნების (/ქისტების), ხუნძების (ავარიელების), ლიტვიელების, ესტონელების, გერმანელების და სხვათა დედაენებს. შესაბამისად, ეს ენები არ უნდა შევიდეს იმ სიაში, რომელიც დაერთვება საქართველოში "ენის ქარტიის" რატიფიცირების დოკუმენტს. ამ ეთნიკურ ჯგუფთა ენობრივი უფლებები დაცული უნდა იყოს **ჰააგისა და ოსლოს საერთაშორისო** აქტებით.

რამდენადაც ექსპერტთა ყურადღების ცენტრშია საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელებისა და სომხების დედაენების თემა, უფრო ვრცლად ამ ენობრივი ჯგუფების ისტორიას შევეხებით:

ცნობილია, რომ სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთში დღეს კომპაქტურად მცხოვრები **სომეხთა ეთნიკური ჯგუფი** აქ არ არის ისტორიული, ავტოქთონი მოსახლეობა[168]; თურქეთისგან კონტროლირებადი ტერიტორიებიდან აყრილი სომხები საქართველოს ამ მხარეში რუსეთის იმპერიამ ჩაასახლა 1828-1830 წლებში[169]; შესაბამისად, ამ ეთნიკურ ჯგუფს ვერ მივიჩნევთ საქართველოს ისტორიულ უმცირესობად და ვერც მის ენას ჩავთვლით საქართველოს არაძირითადი ეთნიკური უმცირესობის ენად - ისეთ ენად, რომელიც, როგორც კულტურული მოვლენა, **საფრთხის ქვეშაა.** სომხური ენა სახელმწიფო ენაა მეზობელ სომხეთში.

სამხრეთ საქართველოში ავტოქთონად, ისტორიულ მოსახლეობად ვერ ჩაითვლებიან **აზერბაიჯანელებიც:**

---

[168] "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, "სომხური ენა" საქართველოში არსებული ერთ-ერთი ძველი ენაა; მეცნიერთა დიდი ნაწილის (რ. გორდეზიანი, ა. ჯაფარიძე, ჯ. კაშია, მ. ტაბიძე, რ. აბაშია...) აზრით, ძველი პერიოდისთვის ნახსენებ "სომხურ ენაში" **ურარტული ენა** იგულისხმება (საკითხის ისტორიისათვის იხ., **ტ. ფუტკარაძე,** ქართველები, 2005, გვ. 204; შდრ.: დაუსაბუთებელი ვარაუდით, კომპაქტურად დასახლებულ სომეხთა დიასპორა იყო ანტიკურ და ელინისტურ მცხეთაში (მ. ქურდიანი, ქართული ენა და დამწერლობა, 2008, გვ. 10). არავითარი წყარო არ არსებობს, რომელიც დაადასტურებს, რომ სომეხთა კომპაქტური დასახლებები იყო ანტიკური თუ ელინისტური პერიოდების საქართველოში. 180 წლის წინ საქართველოში სომეხთა დასახლებისა და სომხური ენის სტატუსის შესახებ აკადემიური მსჯელობისათვის იხ.: **მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები,** თბ., 2005, გვ. 77-97, 172, 229-230.

[169] რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბ., 2007, გვ. 329

ცნობილია, რომ საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ მხარეში ქვემო ქართლში დებედას ხეობაში მე-17 საუკუნის დასაწყისში ჩამოსახლდა თურქმანული ტომი **ბორჩალუ**[170]. ამ ეთნიკური ჯგუფის ენაც სახელმწიფო ენაა მეზობელ აზერბაიჯანშიც და თურქეთშიც; შესაბამისად, საქართველოში ვერც აზერბაიჯანული (თურქული) მიიჩნევა ავტოქთონი მოსახლეობის ისეთ რეგიონულ ენად, რომელზეც უნდა გავრცელდეს "ქარტიის" მესამე ნაწილი.

ცალკე სამსჯელოა **ოსური ენის** საკითხი:

1904 წლის "რუსული ენციკლოპედიის" მიხედვით (გვ. 1590), ოსები ცხოვრობენ მოზდოკთან ახლოს მდინარე თერგის შუაწელში და კავკასიონის ჩრდილოეთ და ცენტრალურ კალთებზე (სულ 170 000). **ძველი რუსული ენციკლოპედია საქართველოში ოსთა დასახლებებს არ ადასტურებს**[171]

შდრ.: კავკასიონის სამხრეთ კალთებზე შიდა ქართლში ოსთა უმნიშვნელო ჯგუფები საცხოვრებლად გადმოდიან მე-17 საუკუნიდან, მაგრამ აქ კომპაქტური ოსური დასახლებები ჩნდება ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე. ამჟამად ოსები კომპაქტურად ცხოვრობენ **ცხინვალის მხარეში**, სადაც რუსეთის ბოლშევიკურმა იმპერიამ 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით შექმნა "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" (ცნობისთვის: რუსეთის ხელისუფლების აღწერების მიხედვით, XX საუკუნემდე ცხინვალში არც ერთი ეთნიკური ოსი ცხოვრობდა). ოსური ენის დაცვის საკითხი მჭიდროდაა მიჯაჭვული ცხინვალის მხარეში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარებასა და ამ მხარის ადმინისტრაციულ მოწყობაზე.

"ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ისრაელიდან **ლტოლვილი ებრაელები** საქართველომ პირველად შეიფარა ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში. დღეს საქართველოში ცხოვრობს ებრაელთა მცირერიცხოვანი თემი, მაგრამ მათ ებრაული არ იციან. ამ და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს გარკვეული კვალი აქვთ დატოვებული საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ისტორიაში.

---

[170] რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბ., 2007, გვ. 306

[171] ოსთა საქართველოში ჩამოსახლების შესახებ იხ. Р. Топчишвили, Грузино-осетинские этноисторические очерки, Кутаиси, 2006; რ. თოფჩიშვილი, ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ., 2008.

რამდენიმე საუკუნის წინ საქართველოში დასახლებული მცირერიცხოვანი უმცირესობების კულტურები ყოველთვის იყო საქართველოს ხელისუფლების ზრუნვის საგანი.

ვფიქრობთ, საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს მცირერიცხოვანი თემის - **უდიების** - დედაენას.

უდიები ისტორიული ალბანელების მემკვიდრეებად მიიჩნევიან. აზერბაიჯანის ავტოქთონი მოსახლეობა უდიები ვართაშენიდან (ოღუზიდან) საქართველოში ჩამოსახლდნენ 1920-1922 წლებში: დასახლდნენ ყვარლის რაიონში[172] **აფხაზების მსგავსად,** უდიებსაც ემუქრებათ ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხე. ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ პრობლემებს ნაკლებად უჩივის ასოციაცია "უდის" პრეზიდენტი მამული ნეშუმაშვილი[173], მაგრამ, რამდენადაც მხოლოდ 500-მდე ადამიანი თვლის თავს უდი ხალხის წარმომადგენლად [174] და ბევრს უკვე აღარ ახსოვს დედაენა; შესაბამისად, გარკვეული ღონისძიებები უნდა გატარდეს **უდიური ენისა** და კულტურის შენარჩუნება-დაცვისათვის. საქართველოში ანალოგიურად შეიძლება მივუდგეთ მხოლოდ **ასირიულ ენას** (სოფ. ქანდის მოსახლეობის დედაენას); აქადურისა და არამეულის ნაზავი ეს ენა გაქრობის საფრთხის ქვეშაა[175]

ჩვენ მიერ წარმოდგენილი პრინციპები გამომდინარეობს "ენის ქარტიის" ფუნდამენტური დებულებებიდან, მაგრამ გარკვეულწილად განსხვავდება ჯ. უითლისა თუ ტ. ვიხერკევიჩის მიდგომებისგან.

---

[172] საქართველოში გადმოსახლების ინიციატორის - ზინობი სილიკაშვილის პატივსაცემად უდიებმა თავიანთ სოფელს დაარქვეს **ზინობიანი**; ვრცლად იხ.: რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბ., 2007, გვ. 282.

[173] მისი თქმით, კახეთის რეგიონი, სადაც უდიები ცხოვრობენ, ტოლერანტობისა და ინტეგრაციის კლასიკური მაგალითია (http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=772&lang=ge).

[174] საოჯახო სიების მონაცემების მიხედვით, სოფელ ზინობიანში (საქართველო, ყვარელი) 300 კაცი ცხოვრობს (რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბ., 2007, გვ. 282).

[175] http://www.aina.org/aol/peter/brief.htm#Language; http://lemill.net/content/webpages/dzveli-qanda-ena-dialeqti

შდრ., ტ. ვიხერკევიჩის ჯგუფის რეკომენდაციების მიხედვით რუსული თუ უკრაინული შეიძლება გამოცხადდეს საქართველოს ისტორიული მოსახლეობის ენებად. ამ კონტექსტში საინტერესოა ზოგი პოსტსაბჭოური ქვეყნის გადაწყვეტილება, სადაც "ბუნდოვანი" პრინციპებით შედგა რეგიონული ან უმცირესობის ენების სია; მაგ., ვფიქრობთ, **სომხეთის ხელისუფლების მიერ** რეგიონული ან უმცირესობის ენების სიაში **რუსული ენის** შეტანა არ განუპირობებია "ევროპული ქარტიის" კრიტერიუმებისა თუ პრინციპებისადმი ერთგულებას[176] შდრ., დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა თუ ესპანეთის ანალოგიური სიები, რომლებიც "ქარტიის" პრინციპების დაცვითაა შედგენილი[177]

იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოლონელმა დოქტორმა და მისმა ქართველმა კოლეგებმა სომხეთისა და რუმინეთის "ენების სიით" იხელმძღვანელეს და არა - დასავლეთ ევროპაში აღიარებული პრინციპებით.

ტ. ვიხერკევიჩისა და მისი თანაავტორების აზრით, "ენის ქარტიის" მეორე ნაწილი უნდა გავრცელდეს ასევე **უმწერლობო ქართველური ენების:** მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მიმართ (გვ. 36, 39); კერძოდ, 2008 წლის 5 დეკემბერს საქართველოს ხელისუფლებისადმი წარდგენილ "რეკომენდაციებში" (**"ენობრივი პოლიტიკა საქართველოში"**) ისინი წერენ: "ზანური და სვანური სოციოლინგვისტურად ხასიათდება, როგორც **უმწერლობო ენები"** (გვ. 37).

---

[176] http://www.search.com/reference/European Charter for Regional or Minority Languages

Armenia (ratification: 25 January 2002): Assyrian, Yezidi, Greek, Russian, Kurdish. ვფიქრობთ, პოსტსაბჭოთა სივრცეში, **რუსული ლობის გავლენით მკვიდრდება** "ქარტიის" არაადეკვატური გააზრება"; კერძოდ, ისტორიულ ენად რუსული ცხადდება იმ ქვეყნებშიც, სადაც ეს ენა ცოტა ხნის წინ შევიდა, როგორც იმპერიის ენა. საქართველოსთან მიმართებით საყურადღებოა ის, რომ რუსული საინფორმაციო საშუალებები "სტიმულს აძლევენ" საქართველოში ცოტა ხნის წინ დამკვიდრებულ, მიგრანტ ეთნოსებს, მოითხოვონ რეგიონული ენის სტატუსი (მასალისათვის იხ.: **"მიენიჭება თუ არა საქართველოში აზერბაიჯანულს რეგიონალური ენის სტატუსი"** (თეა მარხვაიძის მასალა), ახალი თაობა, №361, 30 დეკემბერი, 2008.

[177] მაგ., ესპანეთის რეგიონული ან უმცირესობის ენებია (ratification: 09. 04. 2001): ბასკური, კატალონიური, გალისიური.
http://www.search.com/reference/European Charter for Regional or Minority Languages.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე ლინგვისტთა თუ ეთნოლოგთა ნაწილის აზრით, მეგრულ-ლაზურ-სვანური წარმოადგენს ქართველთა საშინაო მეტყველებებს, რომლებიც ქართველთა ისტორიული დედაენის - ქართულის - ადგილობრივი სახესხვაობებია და არა **არაქართული ეთნოსების** დამოუკიდებელი ენები.

შდრ., ქარტიის განმარტებითი ნაწილის 31-ე და 32-ე პუნქტები: "ქარტიის დებულებები მოიცავს **მხოლოდ ისტორიულ ენებს...**"[178]; **ეს ენები მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს** იმ ენის ან ენებისაგან, რომელზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს. **ქარტიის დებულებები არ ეხება ერთი ენის ადგილობრივ სახესხვაობებსა თუ დიალექტებს**"[179].

"ენის ქარტიის" პრინციპებიდან თუ ამოვალთ, არც ამ შემთხვევაში უნდა იყოს რაიმე საკამათო: **"რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია"** შექმნილია მოცემული სახელმწიფოს მკვიდრი, მაგრამ არაძირითადი მოსახლეობის (ეთნიკური უმცირესობის) ენის დასაცავად; ძირითადი მოსახლეობის **ეროვნული ენის** ადგილობრივი სახესხვაობის დაცვა არ არის ამ საერთაშორისო კონვენციის მიზანი. ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის **ენასა** და მის ადგილობრივ ვარიანტებზე (დიალექტებზე, კილოკავებზე) ნორმალური **სახელმწიფო ისედაც უნდა ზრუნავდეს.**

შდრ.: "ენის ქარტია" **ისტორიული უმცირესობის ენის შესახებ ევროპული ქარტია** იცავს პოლიტიკური თუ სოციალური მიზეზების გამო საფრთხის ქვეშ მყოფი არაძირითადი მოსახლეობის ენებსა და კულტურებს.

მიუხედავად წარმოდგენილი ნათელი დებულებებისა, **მეგრულ-ლაზურისა და სვანურის სოციოლინგვისტური**

---

[178] the charter covers **only historical languages**, that is to say languages which have been spoken over **a long period** in the state in question (31-ე განმარტება).

[179] 32-ე განმარტების ინგლისური ვარიანტი; These languages must clearly differ from the other language or languages spoken by the remainder of the population of the state. **The charter does not concern local variants or different dialects of one and the same language.** შდრ.: ჯონათან უოთლი ამ კონტექსტში მხოლოდ დიალექტების შესახებ საუბრობს (გვ. 9) და რატომღაც ყურადღების მიღმა ტოვებს ტერმინს: **local variants** (სახელმწიფო ენის ადგილობრივ ვარიანტებს).

სტატუსის საკითხი დღემდე დისკუსიის თემაა როგორც სახელისუფლებო, ისე სამეცნიერო წრეებში.

ჩვენი აზრით, ამ დისკუსიას სტიმულს აძლევს რუსულ-საბჭოური იმპერიის წიაღში შექმნილი მოძველებული, არალოგიკური ლინგვოკულტურული კვალიფიკაციები; სამწუხაროდ, საქართველოს სამეცნიერო თუ სახელმწიფო ინსტიტუტების **არაადეკვატური საქმიანობის გამო** პოსტსაბჭოთა პერიოდშიც (დღემდე) ბევრი ვერაფერი გაკეთდა საერთაშორისო საინფორმაციო თუ სამეცნიერო ქსელში რუსეთის იმპერიის მიერ **ქართველოლოგიაში** დამკვიდრებული პოლიტიზებული **კვალიფიკაციების** უარსაყოფად.

შდრ.: სწორედ ბოლო ათწლეულებში რუსეთის იმპერიის მცდელობით სხვა ქვეყნების სამეცნიერო თუ პოლიტიკურ წრეებში გაბატონდა დაუსაბუთებელი მოსაზრებები **საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის შესახებ;** მრავალთაგან აქ ერთერთს წარმოვადგენთ:

მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობენ შემდეგი ეთნოსები/ხალხები:

აზერბაიჯანელები 308 000, **ასირიელები** (აისორები) 3 000, **აფხაზები** - 101 000, **ბაცბები** - 3 420, **ბერძნები** - 38 000, **ლაზები** - 2 000, **მეგრელები** 500 000, **ოსები** 100 000, **რუსები** 372 000, **სვანები** (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულს და რუსულს) - 15 000, **სომხები** - 448 000, **ურუმები** (თურქულენოვანი მართლმადიდებელი ბერძნები) 97 746, **ქართველები** - 3 901 380, **ქართველი ებრაელები** - 20 000, **ქურთები** - 40 000 და სხვ. (Ethnologue report for Georgia http://www.ethnologue.com)[180]

როგორც აღინიშნა, რუს პოლიტიკოსთა თუ მეცნიერთა ერთი ჯგუფი ინტენსიურად ავრცელებს მოსაზრებას, რომ "რეგიონული ენების" სტატუსი უნდა მიენიჭოს მეგრულსა და სვანურს. საყურადღებოა ისიც, რომ, პარალელურად, **განახლდა საქართველოში კუთხური მეტყველებების მიხედვით** "დედაენების" (მაგ., გიორგი სიჭინავას "ნანაში ნინა" და სხვ.)

---

[180] ამ ჩამონათვალში მოსახლეობის რიცხვითი მონაცემებიც მცდარია; სხვა მსგავსი პოლიტიზებული მასალების კრიტიკული ანალიზისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე, **ქართველთა დედაენა და დიალექტები**, ქუთაისი, 2008.

შექმნისა და ამ კილოებზე ბიბლიის თარგმნის[181] **თუ მხატვრული ლიტერატურის შექმნის მცდელობები,** რომლებიც ადეკვატურად შეფასდა როგორც ქართულ საეკლესიო, ასევე საერო საზოგადოებაში[182]; კერძოდ, გაკეთდა ლოგიკური დასკვნა:

ეს არის იმპერიული გეგმა, რომელიც ქართველთა კუთხური მეტყველებების ქართული ენის სახესხვაობების (კილოების) დამოუკიდებელ უმწერლობო ენებად გამოცხადებით **მიზნად ისახავს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ და ეკლესიურ დაშლას.**

ამ პრობლემის გამო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო საგანგებო განჩინებაც (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის ოქმი; საპატრიარქოს უწყებანი, №45, 29 დეკემბერი, 2005 წ., 4 იანვარი, 2006 წ.) [183]:

"...წმიდა სინოდმა იმსჯელა ბიბლიის სვანურად და მეგრულად თარგმნის მცდელობის შესახებ. აღინიშნა, რომ რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნის ბოლოს ხელოვნურად ინსპირირებული ეს ვერაგული იდეა გარკვეულ ძალებს სურთ დღეს პრაქტიკულად განახორციელონ...

---

[181] მეგრულ-სვანურად ბიბლიის თარგმნას ახორციელებს **"ბიბლიის თარგმნის საერთაშორისო ინსტიტუტი"**; ამ ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს წარმოადგენენ ბაპტისტების ეპისკოპოსი **მ.სონღულაშვილი** და პროფესორი **ზურაბ კიკნაძე**; სვანურ-მეგრულად ბიბლიის თარგმნას მხარს უჭერს სოზარ სუბარი; მისი "არგუმენტების" კრიტიკა წარმოდგენილია **გ.ანდრიაძისა** და **ზ.ცხოვრებაძის** მსჯელობებში (ამის შესახებ იხ.: ნინო მიქიაშვილის მასალები გაზეთ "რეზონანსის" 2005 წლის 1 და 8 აგვისტოს ნომრებში (№ 201, 208). ზანურ-სვანურის დამოუკიდებელ ენებად გამოცხადება და ამ კილოებზე ბიბლიის თარგმნის მცდელობა სამეცნიერო ლიტერატურაშიც შეფასდა, როგორც **"ქართული ცნობიერების წინააღმდეგ შეტევა"** (**რ. გუჯეჯიანი,** ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008, გვ. 191-197).

[182] **სამეგრელოს მოსახლეობის** ზოგადქართული ეროვნული პოზიციის შესახებ იხ.: **თ. გვანცელაძე, მ. ნაჭუებია, მ. ტაბიძე,** სტიქიური პლებისციტები სოციოლინგვისტურ საკითხთა შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში, კავკასიოლოგიური კრებული, თბ., 2007.

[183] პირველ რიგში, უცხოელი მკითხველისთვის აღვნიშნავთ: 15 საუკუნის მანძილზე საქართველოს ეკლესიის წიაღში იშვა ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი; ეკლესია იყო დამ იყო ქართული კულტურის სავანეც და უცხოელ თუ ქართველ ლტოლვილთა თავშესაფარიც; გარდა ამისა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის იურისდ[illegible] ქართველთვის ვრცელდებოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე... ამიტომაა [illegible] ქართული ეკლესია დღეს **ერთადერთი ინსტიტუტია,** რომელსაც [illegible] საქართველოში არსებული უველა პოლიტიკური ჯგუფი თუ უმცირესობა. ამ მიზეზით [illegible] აქვს ქართულ ეკლესიას მაღალი რეიტინგი თანამედროვე [illegible] ...ებში.

განაჩინეს: დაუშვებელია ისტორიის გაყალბება: მევრელებისა და სვანების მწიგნობრობისა და ქრისტიანული კულტურის არმქონეებად გამოცხადება და მათთვის XXI საუკუნეში ბიბლიის თარგმნა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ერის გათიშვას და ქვეყნის მთლიანობის დარღვევის მცდელობას"

აქვე წარმოვადგენთ მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მსჯელობას:

"წმიდა მოციქულების ეპოქაში წმინდა წერილი არ უთარგმნიათ კორინთულ, დორიულ, ან, ვთქვათ, იონურ "ენებზე", მიუხედავად იმისა, რომ ამ ბერძნულ დიალექტებზე განვითარებული ლიტერატურა არსებობდა... ამ ეპოქაში, მე ვიტყოდი, სულიწმიდის ნებით, ბიბლია ითარგმნა ყველა ბერძენისთვის საერთო ბერძნულ ენაზე. ასევე, საქართველოშიც: სული წმიდის ნებით, წმინდა წერილი ითარგმნა ქართველთა საერთო ენაზე, რომელიც ყველა ქართული თემისთვის გასაგები იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, ლაზეთ-ეგრისიდან იმდენი და ისეთი დიდი საეკლესიო მოღვაწეები მოევლინენ წმინდა ეკლესიას, თუ ესაჭიროებოდათ, უთუოდ შეძლებდნენ, თავიანთი მრევლისთვის ეთარგმნათ ბიბლია... ქართველი ერის მთლიანობის დარღვევის მიზნით, მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერიამ დაიწყო ქართველთა კუთხურ დიალექტებზე წმიდა წერილის თარგმნა; ამ ანტიქართულ ქმედებას წინ აღუდგნენ: ნიკო დადიანი, დიმიტრი ყიფიანი, ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, წმ. ამბროსი ხელაია, წმ. ალექსი შუშანია, ილია, აკაკი და სხვა დიდი მოღვაწენი"[184]

ანალოგიურად ფიქრობს ქართული სამეცნიერო საზოგადოების უდიდესი ნაწილი და ფართო საზოგადოებრიობა. უპირველეს ყოვლისა, მკაფიო პოზიცია აქვს სამეგრელოსა და სვანეთის ქართველობას, რისი დასტურიცაა ამ კუთხეებში აღზრდილი ცნობილი ადამიანების მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები **ანალოგიური შეფასებებით;** მაგ., ვრცელი ანალიზია წარმოდგენილი სერგი საჯაიასა და დაზმირ ჯოჯუას წერილში[185]: "ახალი საეთნოფაბრიკაციო პოლიგონისათვის:

---

[184] **მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე**: "ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომელია საერთო-სალიტერატურო ენა და რომელია ადგილობრივი დიალექტი", "საქართველოს რესპუბლიკა", 3 თებერვალი, 2007 წ. (№ 5622).

[185] "საქართველოს რესპუბლიკა", 2008 წლის 15-19 ივლისი (N100-132-133).

განათლების ცენტრი კოლხიდა" ეროვნულ სულში ხრწნის შემოპარებას ცდილობს"[186]

ვფიქრობთ, სინამდვილის ობიექტურად აღმქმელი ყველა ადამიანისთვის ნათელია: სულ მცირე, 20 საუკუნის მანძილზე მეგრელიც, სვანიც, ჯავახიც თუ კახელიც სხვა ქართველებთან ერთად **საერთო დედაენით** ასრულებს ღვთისმსახურებას, ქმნის მხატვრულ ლიტერატურას და წარმართავს სახელმწიფო კანცელარიის საქმიანობას. შესაბამისად, დღეს სვანთა, მეგრელთა თუ მესხთა დიალექტების მიხედვით ახალი საეკლესიო თუ სალიტერატურო ენების შექმნა და "ენის ქარტიის" III **ნაწილის** დებულებების გავრცელება ქართული ენის ამ სახესხვაობებზე (თუ დიალექტებზე) მოემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს: **რუსეთის იმპერიის სტრატეგიული გეგმების მიხედვით ჯერ დაიშალოს**

იხ., აგრეთვე: სერგი საჯაიას წერილი: "დივერსიული ეთნო-ფაბრიკაციები - სრული სვლით", "საქართველოს რესპუბლიკა", 2007 წლის 13 თებერვალი (N 27). http://www.opentext.org.ge/08/sakartvelos-respublika/169/169-9.htm

[186] საუკუნის წინ ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მცდელობის შესახებ შთამბეჭდავი წერილები აქვთ: **ნიკოლოზ დადიანს, ამბროსი ხელაიას, თედო სახოკიას, ბესარიონ ნიჟარაძეს, ივანე მარგიანს** და სხვა მრავალ ქართველ მოღვაწეს; ამჟამინდელი სიტუაციის ობიექტური შეფასებისათვის იხ.: გიორგი ოთხმეზური, "როგორ შეიძლება სამეგრელოსა და სვანეთში სახელმწიფო ენები მეგრული და სვანური იყოს?" ("ახალი თაობა", 06. 09. 2005); **მ. ლორთქიფანიძე,** "ყოველი ქართველი წირვა-ლოცვას მუდამ ქართულად ასრულებდა, ახლა კი მეგრულად და სვანურად უნდა ვილოცოთ?" ("ჯორჯიან ტაიმსი", 19-25 დეკემბერი, 2005; **ნ. ბართაია,** იქნებ "განშტოება" სჯობდეს, "მწერლის გაზეთი", 01.06.2007; **გ. კუპუხიძე,** "ქართულ სიტყვათა შემნახველნი" ("მწერლის გაზეთი", 2007 წლის 16-31 დეკემბერი, №154; **თ. ბერაძე, ბ.ხორავა,** "ქართული სალიტერატურო ენა და ქართული კულტურა საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული მხარის შემოქმედების ნაყოფი", ქართველური მემკვიდრეობა, XII, ქუთაისი, 2008; **ა. გამზარდია,** "მეგრულ-სვანური ესკიზები ანუ ცოტა რამ ორი დედა ენის თეორიის შესახებ", ჟურნალი: "ლიტერატურა და ხელოვნება", XII, 2009, გვ. 39-46); **რ. გუჯეჯიანი, ბ.ხორავა,** "ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან" ("ერთობილი საქართველოსთვის"), ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2009; **რ. კაშია, დ. შავიანიძე,** "ეთნიკურ-ეთნოგრაფიული ტერმინები და ქართული ისტორიული სინამდვილე"; ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2009; **ლ. ესართია,** "ქართველობის ახლომონათესავე ამ ხალხს სხვაგან არსად აქვს პერსპექტივა", ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2009 და სხვ.

ქართული ენობრივ-ეთნიკური ერთობა, შემდეგ კი საქართველო, როგორც სახელმწიფო[187]

მიმდინარე პროცესზე მრავალწლიანი დაკვირვება საფუძველს გვაძლევს, ვთქვათ: "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" დებულებების განსხვავებული ინტერპრეტაციების გარდა, საქართველოში მიმდინარე დისკუსიას გარკვეულწილად განსაზღვრავს გეოპოლიტიკურად საინტერესო რეგიონის ამიერკავკასიის გაკონტროლების მოსურნე აგრესიული მეზობლის **მიზანიც:** "ევროპული ქარტიის" თავდაპირველი არსის გაყალბებით დაფიქსირებული **"უმცირესობების ენების"** სიის საფუძველზე ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების გაფორმება "ევროსაბჭოს დონეზე", შემდეგ საქართველოს ქცევა კონფედერაციულ სახელმწიფოდ, ბოლოს კი ამ მყიფე წარმონაქმნის სრული დაშლა.

ბუნებრივია, ზოგი ექსპერტისთვის გარკვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემას ქმნის აგრეთვე საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი: "უმწერლობო ქართველური ენები"

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ "ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ" არ იცნობს ტერმინს: **უმწერლობო ენა.** "ქარტიას ეს თემა არც აინტერესებს. "ქარტიას" სხვა კრიტერიუმები აქვს; ძირითადი: **ენა უნდა იყოს ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის ისტორიული მეტყველება; არსებითია ასევე,** ტერიტორიასთან მიმართება; კერძოდ, როგორც ზემოთ ვნახეთ, "ენის ქარტიის" მიზანია უმცირესობად ქცეული ისტორიული მოსახლეობის დედაენის დაცვა. გავრცელების არეალის მიხედვით, "ქარტია" ისტორიული უმცირესობის **ენის სამ**

---

[187] ბუნებრივია, რიგ შემთხვევებში, არასპეციალისტთა მიერ მეგრულ-ლაზურ-სვანურის **რეგიონულ ენებად, ხოლო მეგრელ-ლაზ-სვანთა თუ აჭარელთა არაქართულ ეთნიკურ ჯგუფებად** მიჩნევა, რბილად რომ ვთქვათ, შედეგია ინფორმაციების ნაკლებობისა და საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული კვალიფიკაციების გავლენისა; შდრ., მაგ., **ნ. ლადარია** მეგრელთა დედაენად მიიჩნევს მეგრულს; მისი აზრით, ქართველთა ეთნიკური ჯგუფებია: მეგრელები, სვანები, ბაცბები... (სოციოლინგვისტიკა, თბ., 2002, გვ. 22-23, 111-113; შდრ., აქვე, გვ. 22-23, სადაც ნათქვამია, რომ კითხვარის გრაფაში - "დედაენა" მეგრელმა უნდა ჩაწეროს მეგრული ენა და არა ქართული ენა http://www.scribd.com/doc/8727375/T-Putkaradze-Kartvelta-Dedacna-Da-Dialeqtebi-2008).

სახეს განიხილავს: რეგიონში უმრავლესობის ენას, ქვეყანაშიც და მოცემულ **რეგიონშიც** უმცირესობის ენას და ტერიტორიის არმქონე ენას.

"უმცირესობის ენის" ამ სამი ვარიანტიდან, მაგ., სვანური რომელში უნდა მოვიაზროთ? არც ერთში, ვინაიდან იგი საქართველოს ძირითადი მოსახლეობის ერთ-ერთი კუთხის ქართველების საშინაო მეტყველებაა და არა ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობის ენა[188] შდრ., ისინი, ვინც სვანებს რატომღაც ქართველებად არ თვლიან, ამ იდიომს "რეგიონალურ ენად" განიხილავენ, რამდენადაც სვანურად მეტყველებს ლენტეხისა და მესტიის რაიონების მოსახლეობის უმრავლესობა.

ვფიქრობთ, მეგრული, ლაზური და სვანური იდიომების გამოცხადება "უმწერლობო ენებად" არის სტალინის თვალსაზრისის მოდიფიცირება[189] აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამგვარი არაადეკვატური კვალიფიკაცია **(მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურის ავტორი ქართველობის გამოცხადება უმწიგნობრო ეთნოსებად)** არის საქართველოს მრავალგზის ტანჯული და **ქართველი** ერის ერთიანობისათვის მებრძოლი კუთხეების - (სამეგრელო-ლაზეთისა და სვანეთის) მოსახლეობისთვის ისტორიული სამწიგნობრო კულტურის წართმევა.

შდრ.: უმწერლობო ენად (/უმწიგნობრო ენად) მიიჩნევა განუვითარებელი ეთნიკური ჯგუფის **დედაენა,** რომელიც არ არის

---

[188] შდრ.: ნ. მარიდან მოყოლებული დღემდე მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ "სოციოლინგვისტური განსაზღვრით **ზანური და სვანური ქართულის დიალექტებია,** ხოლო წმინდა ლინგვისტურით - დამოუკიდებელი ენები"; სხვათა აზრით, მეგრულ-ლაზურიც და სვანურიც ზოგადქართული ენის დიალექტებია ლინგვისტურადაც (და სოციოლინგვისტურადაც). ისტორიისათვის იხ.: **ტ.ფუტკარაძე, ზ. კიკვიძე,** ერის სოციოლინგვისტური პროფილის ფორმულის აგებისათვის, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და თეზისები, 1996, 24-25 ოქტომბერი; **თ. გვანცელაძე,** ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.

[189] **"საბჭოთა პერიოდში დაუმკვიდრდა მეგრულს და სვანურს უმწერლობო ენების სტატუსი"** - თ. ბოლქვაძე, ქართველური დიგლოსია, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვეობა (პირველი კრებული), თბილისი, 2007, გვ. 221. **ი. სტალინის 95 წლის წინანდელი** კვალიფიკაციების შესახებ მსჯელობისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 2005, გვ. 43-44.

სტანდარტული (ნორმალიზებული) ენა არ გამოიყენება **ოფიციალურ ენად** პროფესიული შემოქმედების პროცესსა თუ საქმისწარმოებაში (ეს ეთნოსი ამ მიზნით მოიხმარს სხვა საზოგადოების მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას).

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: **ყველა კუთხის ქართველის ისტორიული სამწიგნობრო ენა არის ქართული, ანუ ქართველური** ენა; შდრ.: ქართული სამწიგნობრო კულტურის ისტორია თვალნათლივ აჩვენებს, რომ, სხვა ქართველთა მსგავსად, მეგრელ-ლაზებიცა და სვანებიც, მრავალი საუკუნეა, საკუთარი საერთო ისტორიული დედაენით[190] ქართული ენით ქმნიან მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს წერილობით კულტურას. ყველა ქართველური თემი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობა) მრავალსაუკუნოვანი წერილობითი კულტურის შემოქმედია[191]; მაგ., სვანეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მოსახლეობის **მრავალსაუკუნოვანი ქართულენოვანი წიგნიერების,** მრავალრიცხოვანი ძველი ქართული ხელნაწერი თუ ჭედური ძეგლების შექმნისა და მოვლა-პატრონობის **კულტურის**

---

[190] დედაენა **ენობრივი სოციუმის - ერის - თვისებაა**; ენა და ერი ერთმანეთს განსაზღვრავს (გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ., 2000, გვ. 9, 70, 172). შდრ.: "ენა არის **ბურჯი ეროვნებისა**" (ი. გოგებაშვილი). ენა ერის იდენტობის ინტეგრალური ნიშანია; თუმცა, **ეს არ ნიშნავს იმას, რომ ენა ყოველთვის განსაზღვრავს ეთნიკურობას;** მოცემული ინდივიდი ამ ერის ნაწილად შეიძლება თვლიდეს თავს ენის ცოდნის გარეშეც (ასეთი ბევრი ქართველია თურქეთში) და პირიქით: იცოდეს მხოლოდ ერთი ენა, მაგრამ მაინც სხვა ერის ნაწილად მიაჩნდეს თავი (მაგ., ქართველი ებრაელი). **ენა ერს განსაზღვრავს, მაგრამ არა - პიროვნების ეროვნებას.** ენა არის ერის ცნობიერებისა და კულტურის (ეროვნული ცნობიერების) საფუძველი, სამყაროს აღქმის მოდელი და არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება.

[191] იხ. აგრეთვე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გრიფით გამოცემული კრებული: "**სვანეთი - ქართული კულტურის საგანე**" (თბ., 2008) და კრებული "**აფხაზეთი**" (თბ., 2007). აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ მაგ., IX-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს (ეგრის-აფხაზეთის) მეფეები (გიორგი I, კონსტანტინე, ლეონ III...) ფაქტობრივად ფლობდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოსაც; ისინი მთელ სამეფლობელოში მხოლოდ ქართული კულტურის ძეგლებს ქმნიდნენ (ლ. ახალაძე, **ეპიგრაფიკა - აფხაზეთისა და შიდა ქართლის ეთნოკულტურული ისტორიის წყარო,** საქართველოს საპატრიარქოსა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2008). სპარს- [illegible] აგან განადგურებული ერთიანი საქართველო და ქართული კულტურა აფხაზეთ-ეგრისისა და ტაო-კლარჯეთის მეფეებმა ააღორძინეს.

მაღალი დონის შესახებ ვრცელი მასალა იხ. მიტროპოლიტ ანანიას, თ. მიბჩუანის, თ. გვანცელაძის, ხ. ბღაჟბას, ვ. სილოგავას, გ. გასვიანის, რ. ხვისტანის, ლ. ახალაძის, ჯ. გამახარიას, ბ. ხორავას, გ. კალანდიას და სხვათა ნაშრომებში.

შესაბამისად, ისტორიის გაყალბებაა სვანეთისა და ეგრისის (ოდიშის, სამეგრელოს) ქართველობის გამოცხადება უმწერლობო დედაენის მქონე საზოგადოებებად.

ტომაშ ვიხერკევიჩის ჯგუფს კიდევ ერთი რეკომენდაცია აქვს: **ისინი თვლიან, რომ ხელი უნდა შეეწყოს** მეგრულ-ლაზურ და სვანურ ენებზე **მხატვრული** და მუსიკალური **ნაწარმოებების** შექმნას (გვ. 38).

სულ მცირე, 15 საუკუნის მანძილზე მხატვრულ ლიტერატურასა და მუსიკალურ ნაწარმოებებს მეგრელები, სვანები თუ ლაზები (ჭყონდიდლები, იოვანე მინჩხი, იოვანე პეტრიწი... ამბროსი ხელაია, კონსტანტინე გამსახურდია...) ზოგადეროვნული ქართული ენით ქმნიან; ხალხური შემოქმედება ამ კილოებზეც ისევე იქმნებოდა და შეიქმნება, როგორც ხევსურეთის, თუშეთისა თუ აჭარის ქართველობის მიერ. **საქართველოს ხელისუფლებისადმი რეკომენდაციების ავტორები** რატომ ცდილობენ, მეგრელ-ლაზ-სვანები გამიჯნონ სხვა ქართველებისგან (ქართლელებისგან, თუშებისგან, მესხებისგან...) და ისტორიულად შექმნილი **ქართული მხატვრული ლიტერატურის ალტერნატივად** რატომ გვთავაზობენ სვანური თუ მეგრული კილოების მიხედვით "მხატვრული ლიტერატურის" შექმნას?[192]

ქართველთა საერთოეროვნული კლასიკური მხატვრული შემოქმედებაც და ხალხური მემკვიდრეობაც (მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ხევსურულ-ტაოური... ფოლკლორი, დიალექტური

---

[192] ყველა ადამიანს აქვს უფლება, წეროს დიალექტზეც და კილოკავზეც; მაგ., საქართველოში არავის აუკრძალავს ეთერ თათარაიძისთვის, თუშურ ჰანგზე შეექმნა შესანიშნავი ლექსები; თუმცა, თათარაიძეს რომ განეცხადებინა, არსებობს თუშური მხატვრული ლიტერატურაო, თუშური სხვაა, ქართული სხვაო, ის, პირველ რიგში, საკუთარ თავს გამიჯნავდა თავისი ხალხის ეროვნული კულტურისგან - დიდი ქართული კულტურისგან. ეთერ თათარაიძე დიდი პეტრიწის, ჭყონდიდლების, ილიას, აკაკის, ვაჟას, კონსტანტინეს (კონსტანტინე გამსახურდიას კონცეფციისათვის იხ. დანართი) და მრავალ სხვა ქართველ მწერალთა მიერ ნაცადი გზის გამგრძელებელია და ერთიან სამწიგნობრო ენას თუშური კოლორიტით ამდიდრებს.

ლექსიკა, წეს-ჩვეულებები, ეთნოგრაფიული თავისებურებები) ერთნაირადაა მოსაფრთხილებელი და შესანარჩუნებელი, ვინაიდან ისინი ქმნიან იმ მთლიან **უნიკალურ ქართველურ საგანძურს,** რომელიც მეტად ძვირფასია მთელი კაცობრიობისთვის.

მოსაზრება, რომ "ქარტიის" მეორე ნაწილის (მე-7 მუხლის) დებულებები უნდა გავრცელდეს "უმწერლობო ქართველურ ენებზე" (მეგრულ-ლაზურსა და სვანურზე), დაუსაბუთებელია თვით "ქარტიის" პრინციპების მიხედვითაც; კერძოდ, ავტორებს გამორჩათ, რომ "ქარტიის" მეორე ნაწილი შეიძლება შეეხოს **მხოლოდ ისტორიული უმცირესობის ენას,** რომელიც სამ ვარიანტად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

ისტორიული ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც რეგიონში უმრავლესობის ენაა;

ისტორიული ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც მოცემულ რეგიონშიც უმცირესობის ენაა;

ისტორიული ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც არ ასოცირდება ერთ რომელიმე რეგიონთან[193]

საინტერესოა, **ტ. ვიხერკევიჩის ჯგუფი** ამათგან რომელ სახეობაში მოიაზრებს ე.წ. "უმწერლობო ქართველურ ენებს?"

ვფიქრობთ, რამდენადაც მეგრულ-ლაზურ-სვანური მეტყველებები ქართველთა **ეროვნული ენის** ადგილობრივი სახესხვაობანია, მათზე "ენის ქარტია" ვერ გავრცელდება. **ამ ქართულ (ქართველურ) ეროვნულ საგანძურზე** საგანგებო ზრუნვა ისედაც მართებს საქართველოს ხელისუფლებას.

შესაბამისად, "ევროპული ქარტიის" რატიფიცირების დროს რეგიონული ან უმცირესობის ენების ჩამონათვალში არ უნდა შევიდეს არც ახალ უმცირესობათა ენები (/დიასპორათა ენები) და არც **ეთნიკურ ქართველთა საშინაო მეტყველებები საქართველოს სახელმწიფო ენის სახესხვაობები** (მეგრული, სვანური, წოვა-თუშური, მესხური, გურული...), ვინაიდან, საყოველთაო აღიარებით, მთელი ისტორიის მანძილზე ამ ქართველთა დედაენა არის **ქართული ენა.**

---

[193] "ქარტიის" მეორე ნაწილის დებულებები შეიძლება გავრცელდეს ტერიტორიის არმქონე უმცირესობის ენაზეც (მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი).

აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ "ქარტია" მხარეებს არ ავალდებულებს, აამოქმედონ ამ "ევროპული ქარტიის" III ნაწილი[194] **ისტორიული უმცირესობის ენის დაცვის მაღალი დონე (the higher level).**

სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ქარტიის რატიფიკაცია იმ შემთხვევაშიც, თუკი ისტორიული უმცირესობის ენის დასაცავად ვალდებულებად აიღებს ქარტიის მხოლოდ II ნაწილს (ისტორიული უმცირესობის ენის დაცვის დაბალი ხარისხი the lower level)[195], სადაც **საფრთხის ქვეშ მყოფი ენის** დამცავი ზოგადი დებულებებია მოცემული.

საქართველოში ისტორიული, ავტოქთონი უმცირესობა არ არსებობს (აფხაზების თემას ცალკე განვიხილავთ); შესაბამისად, მკაცრად თუ დავიცავთ "ქარტიის" პრინციპებს, **აფხაზურისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის გათვალისწინებით,** საქართველოს შეუძლია ისე მოახდინოს "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" რატიფიკაცია, რომ საერთოდ არ გააკეთოს რეგიონული ან უმცირესობის ენების ჩამონათვალი, ან არ აამოქმედოს ქარტიის მესამე ნაწილი **(ამის საფუძველს თუ საშუალებას იძლევა "განმარტებითი მოხსენების" 42-ე და 49-ე პუნქტები).**

საქართველოს სახელმწიფომ კეთილი ნება შეიძლება გამოხატოს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე (1801 წლამდე) მოსული ისეთი მიგრანტების ენების მიმართ, რომელსაც სხვაგან არსად აქვს გადარჩენა-განვითარების პერსპექტივა, მაგ. ოსურის მიმართ[196] (იხ. ქვემოთ).

---

[194] იხ. ქარტიის 42-ე და 49-ე განმარტებანი.

[195] დიდი ბრიტანეთის ისტორიული უმცირესობების დაცვის ხარისხის შესახებ მსჯელობისათვის იხ.:
http://books.google.com/books?id=JsSrAAAAIAAJ&pg=PA36&dq=when+was+first+published+low+gennan+literature&ei=-ghSSd7KNoy4yAT85Ky3Bg#PPA39,M1.

[196] ოსთა ძირითად საცხოვრისში ოსეთში (ე.წ. ჩრდილო ოსეთში), რომელიც ამჟამად შედის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, სახელმწიფო ენა თუ განათლების ენა მხოლოდ რუსულია; შესაბამისად, აქ ამ ენას ნამდვილად ემუქრება საფრთხე. საქართველოში ოსური ენის სტატუსის საკითხი დიდადაა დამოკიდებული საბჭოთა პერიოდში არსებული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის - **ცხინვალის მხარის** - ადმინისტრაციის ჩამოყალიბების იმ

შდრ.: ტ. ვიხერკევიჩის ჯგუფის დაუსაბუთებელი რეკომენდაციების მიხედვით, "ქარტიის" დებულებები უნდა გავრცელდეს 12 ენის მიმართ, მათ შორის, საქართველოში მაღალი ხარისხის დაცვით (III ნაწილით) უნდა აღიჭურვოს სომხური და აზერბაიჯანული, ხოლო დაბალი ხარისხით (II ნაწილით) 10 ენა: **რუსული, ბერძნული, ებრაული, ქურთული/იეზიდური, უკრაინული, ჩეჩნური/ქისტური, ასირიული, ავარიული, მეგრულ-ლაზური, სვანური (გვ. 36-37).**

2.3.3. არაისტორიული უმცირესობის ენები

ქართველი ერის საცხოვრისი (სადაც ქართველი არის ავტოქთონი) გაცილებით დიდია, ვიდრე საქართველოს ამჟამინდელი საზღვრები. მომხვდურთა ზეწოლით, საუკუნეების მანძილზე საქართველო კარგავდა თავის ისტორიულ ტერიტორიებს; შესაბამისად, თანამედროვე სახელმწიფოებრივი საზღვრების პირობებში ავტოქთონი ქართველები მოექცნენ სხვა ეთნოსთა დომინანტობით შექმნილი სახელმწიფოების შემადგენლობაში.

ამჟამინდელი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში კომპაქტურად არ ცხოვრობს არც ერთი ავტოქთონი (უძველესი დროიდან მცხოვრები) ეთნიკური უმცირესობა; მით უმეტეს ისეთი, რომელსაც მეზობლად აქვს სახელმწიფო (შდრ.: ქართველები ავტოქთონები არიან თურქეთის რესპუბლიკაშიც); შესაბამისად, საქართველოში ავტოქთონ ეთნიკურ უმცირესობად ვერავინ ჩაითვლება[197]

როგორც აღინიშნა, საქართველოში მიგრირებული ყველაზე ძველი არაქართული ეთნიკური ჯგუფია **ებრაული თემი. ლტოლვილ ებრაელთა საქართველოში** 26-საუკუნოვანი უშფოთველი ცხოვრება ქართველი ერის ტოლერანტობის დიდი ტრადიციის დასტურია. დედაენობრივ ველს მოწყვეტილმა ებრაულმა თემმა ვერც საქართველოში შეინარჩუნა წინაპრების

პრინციპებზე, რომლებიც ჟენევის ფორმატით მიმდინარე დიალოგის შემდეგ განისაზღვრება.

[197] საყოველთაოდ ცნობილია, რომ სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ოსები და თურქები საქართველოში ავტოქთონები არ არიან.

სალაპარაკო ენა; საქართველოში ისინი მეტყველებენ ქართულად (რომელიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება).

საქართველო არაერთხელ იქნა დაპყრობილი დამეზობლებული იმპერიების მიერ. ქართველ ერს არასოდეს გამოუჩენია სიმკაცრე საქართველოში დამკვიდრებული იმ ეთნოსის მიმართ, რომელიც ძირითადი მოსახლეობა იყო ამ იმპერიისთვის და რომელიც მშვიდობიან თანაარსებობას იწყებდა. ამჟამინდელი ვითარებაც სამაგალითოა:

2008 წლის აგვისტოს შემდეგაც კი საქართველოში არ წარმოქმნილა აგრესია საქართველოს მოქალაქე **რუსების მიმართ,** არც, ზოგადად, რუსი ხალხის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ელცინ-პუტინ-მედვედევის რუსეთი მიზანმიმართულად ცდილობს, დაშალოს საქართველოს სახელმწიფო.

საქართველოში აგრესია არ არის არც ოსების მიმართ; არადა, ბოლო პერიოდში სწორედ ოსების ერთი ნაწილის გამოყენებით მოახერხა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ანექსია.

საქართველოში მიგრირებული ეთნიკური ჯგუფების შთამომავლების დიდი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოს ერთგული შვილები იყვნენ; ამიტომაცაა, რომ საქართველოს წმინდანთა თუ ეროვნულ გმირთა ნაწილი ძველ მიგრანტთა წარმომადგენლები არიან (სამაგალითოდ დავასახელებთ საქართველოსთვის მებრძოლ გმირს - ხუდია ბორჩალოელს).

ფაქტია: **საქართველოში არასოდეს ყოფილა ეთნოკონფლიქტები.** ძველი მიგრანტებისა თუ დიასპორების უფლებების დამცავი საერთაშორისო დოკუმენტების არსი [198] ბუნებრივად შეესაბამება ქართულ ხასიათსა და ქართული სახელმწიფოს ისტორიულ პრინციპებს; ამ ფონზე აღვნიშნავთ, რომ ბოლო ათწლეულში ატეხილი აჟიოტაჟი საქართველოს რელიგიური უმცირესობების უფლებების დარღვევის შესახებ იყო **პროვოცირებული ფაქტების** გაზვიადება და არა - საქართველოს მოსახლეობის განწყობის ასახვა.

ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებები შთამბეჭდავადაა დაცული, აგრეთვე, საქართველოს

[198] იხ., მაგ., http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/Doc06/EDOC10786.pdf

კანონმდებლობით; მაგ., იხ.: საქართველოს კონსტიტუცია, "კანონი მოქალაქეობის შესახებ", "კანონი გეოგრაფიული ობიექტების სახელის შესახებ", "კანონი რეკლამის შესახებ", "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" (მე-14 მუხლი), "კანონი საჯარო სამსახურის შესახებ", "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" (თბ., 2008, 27,4, 33, 51[199], 92 მუხლები), "კანონი განათლების შესახებ", "სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი", "სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი", "ადმინისტრაციული კოდექსი", "კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" და სხვ. საქართველო ითვალისწინებს, ასევე, დიასპორებისა თუ ახალი მიგრანტების ენობრივი უფლებების დამცველ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს: "ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების გაეროს დეკლარაცია"[200], "ოსლოს რეკომენდაციები"[201], "ლუნდის რეკომენდაციები"[202], "ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია"[203] და სხვა საერთაშორისო აქტებს (რომლებიც **ეძღვნება მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე,** მაგრამ არაისტორიული ეთნიკური ჯგუფების დიასპორების წარმომადგენელთა **ენობრივი უფლებების დაცვას)** [204]

---

[199] შდრ., მაგ., მუხლი 51.1: "საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება ცესკოს განკარგულების საფუძველზე, მის მიერ დადგენილი ნიმუშის მიხედვით, ქართულ ენაზე, აფხაზეთში - აგრეთვე აფხაზურ ენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - **ადგილობრივი მოსახლეობისთვის გასაგებ სხვა ენაზეც.**

[200] მიღებულ იქნა 47-ე სესიაზე 1993 წლის 3 თებერვალს (www.diversity.ge/eng/resources.php?coi=0|14|11|11|11).

[201] ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; თებერვალი, 1998 წელი (ეხება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენობრივ უფლებებს: ადგენს, როგორ, რა ფორმით და სად შეიძლება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენება) http://www.diversity.ge/files/files/oslo-geo.pdf.

[202] ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; სექტემბერი, 1999: http://www.diversity.ge/files/files/lund-geo.pdf

[203] http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=157&CM=8&DF=12/15/2008&CL=ENG;

[204] იხ., მაგ.: მუხლი 38: 1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში

ეთნიკურ უმცირესობათა "ენობრივ უფლებებზე" მსჯელობისას, **ხელისუფლების მიერ** პირველ რიგში გასათვალისწინებელია **დასავლეთევროპული ხედვა** ავტოქთონი (ისტორიული) უმცირესობებისა და ახალი უმცირესობების სხვადასხვაობის შესახებ; ასევე, დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო არაისტორიული უმცირესობების სამი სახის საზოგადოების ენის მიმართ:

- **სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე კომპაქტურად მცხოვრები ახალი უმცირესობის ენა;**
- **სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე არაკომპაქტურად მცხოვრები დიასპორის ენა;**
- **სახელმწიფოს მოქალაქეობის არმქონე ახალ მიგრანტთა ენა.**

კომპაქტურად მცხოვრებ მრავალრიცხოვან მიგრირებულ ეთნიკურ ჯგუფთა ენებად საქართველოში ჩაითვლება: სომხური, აზერბაიჯანული და ოსური. ცხინვალის მხარეში ოსური ენის საკითხი დაკავშირებულია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივაზე. სომხურსა და აზერბაიჯანულს საფრთხე არ ემუქრება: ამ ენების (ასევე, ქისტურის) მფლობელთა **ენობრივ უფლებებს** დაიცავს საქართველოს კანონმდებლობა და "ენობრივ უფლებათა" შესახებ შექმნილი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები **(ჰააგისა და ოსლოს რეკომენდაციები და სხვ). ამ და სხვა საკანონმდებლო აქტებით** არის დაცული ყველა სხვა ძველი მიგრანტის **ენობრივი უფლებებიც**[205].

განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ **ენობრივი კუთვნილებისა.** საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, **ისარგებლონ დედაენით** პირად ცხოვრებაში და საჯაროდ... .მუხლი 85: სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება **თარჯიმანი.**

[205] მიგრანტთა უფლებების შესახებ იხ., მაგ.: International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families Adopted by General Assembly resolution 45/158 of 18 December 1990: http://www.unhchr.ch/html/menu3/b/m_mwctoc.htm

The International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families will enter into force on 1 July 2003, following Guatemala's ratification of the treaty last Friday.

http://www.unhchr.ch/huricane/huricane.nsf/view01/B87E9E85C7147498C1256CEF00385E50?opendocument; http://www.unhchr.ch/html/menu3/b/m_mwctoc.htm

კონკრეტულად **რომელი ენები უნდა ჩაითვალოს** ისტორიული მიგრანტების ენად და რომელი - ახალი მიგრანტების ენად?

ამ კითხვაზე უფრო ზუსტი პასუხი შეუძლებელია მანამ, სანამ საქართველოს ისტორიული სინამდვილის (1), მოცემული ეთნოსის ენის საფრთხის ქვეშ მყოფობისა (2) თუ უმცირესობის რაოდენობის (3) გათვალისწინებით არ მოხდება მიგრანტი ეთნიკური ჯგუფების დაყოფა **ისტორიულ მიგრანტებად** (დიასპორებად) და **ახალ მიგრანტებად**. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ თემის ირგვლივ დისკუსიაა მთელ მსოფლიოში[206] საქართველოში უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთის იმპერია ბოლო 200 წელია ადგილობრივი მოსახლების საზიანოდ გეგმავს და მართავს მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დემოგრაფიულ სიტუაციასა და ენობრივ პოლიტიკას (საქართველოში სომხების, რუსების... ჩამოსახლება; ადმინისტრაციული იძულებით რუსული ენის დამკვიდრება ერთაშორის ენად და სხვ).

აქვე ერთი კითხვაც:

არის თუ არა საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანა?

ამ კითხვის არგუმენტირებული პასუხიც იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი განვსაზღვრავთ იმ კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს მოცემულ ქვეყანაში ამა თუ იმ საზოგადოებისთვის ისტორიული ეროვნული/ეთნიკური თუ მიგრანტი უმცირესობის სტატუსის მინიჭება.

THE PROTECTION OF TEMPORARY MIGRANTS BY CONVENTIONS OF THE ILO AND THE UN W.R. Böhning (ILO); Presentation to the Workshop on *Temporary migration: Assessment and practical proposals for overcoming protection gaps*, International Institute for Labour Studies, Geneva, 18-19 September 2003. http://www.ilo.org/public/english/bureau/inst/download/bohning.pdf;

The International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families will enter into force on 1 July 2003, following Guatemala's ratification of the treaty last Friday.

http://www.unhchr.ch/huricane/huricane.nsf/view01/B87E9E85C7147498C1256CEF00385E50?opendocument; http://www.unhchr.ch/html/menu3/b/m_mwctoc.htm;

სხვა კანონებისათვის იხ: http://www.lectlaw.com/inll/104.htm (Immigration, nationality, and citizenship law).

[206] იხ., მაგ., Roberta Medda-Windischer, Historical Minorities and Migrants: Foes or Allies? http://www.eumap.org/journal/features/2004/migration/pt1/minmigrants

2.3.4. საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის საკითხი; საქართველოში ვინ შეიძლება ჩაითვალოს:
- ისტორიულ ეთნიკურ (ეროვნულ) უმცირესობად?
- ახალ ეთნიკურ (ეროვნულ) უმცირესობად?
- ახალ მიგრანტად?

ტომაშ ვიხერკევიჩისა და მისი ქართველი თანაავტორების მიერ საქართველო იწოდება მულტიეთნიკურ ქვეყნად, სადაც ტერმინით "**ეთნიკური ჯგუფები**" მოიხსენება: აფხაზები, ოსები (გვ. 5), აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ბერძნები, უკრაინელები, პოლონელები, ქურთები, იეზიდები, ებრაელები, ასირიელები, ქისტები, ჩეჩნები, ლეკები, უდიები, ყაბარდოელები, ჩერქეზები (გვ. 6)... სვანები, მეგრელები, ლაზები (გვ. 7).

საქართველოს ასეთი "ეთნიკური" მრავალფეროვნება სხვაგანაც არაერთხელ აღნიშნულა [207] საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის შესახებ ავტორიტეტულ საერთაშორისო გამოცემებშიც არის მსგავსი არაადეკვატური "შეფასებები"[208]

> **შენიშვნა:** ტომაშ ვიხერკევიჩის სამშობლოში "ეროვნულ უმცირესობად" მიიჩნევა სხვაგან სახელმწიფოებრიობის მქონე ეროვნება, მაგ., გერმანელები; ხოლო ეთნიკურ უმცირესობად პოლონეთში მცხოვრები ისეთი ჯგუფი, რომელსაც არც სხვაგან აქვს სახელმწიფოებრიობა (მაგ., ბოშები)[209]

ამა თუ იმ ქვეყნის გამოცხადება მრავალეროვნულ სახელმწიფოდ უნდა მოხდეს ამ ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ობიექტური ისტორიისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების საფუძველზე მინიჭებული სტატუსის მიხედვით; ამ მხრივ საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი[210] ამ ეტაპზე სამართლებრივი პრინციპებითაა დასადგენი, თუ საქართველოში რომელი საზოგადოება მიეკუთვნება ეროვნულ **(ეთნიკურ)** უმცირესობას, რომელი

---

[207] ასევე, ხშირად ვხვდებით გამოთქმას: მრავალეროვანი საქართველო; იხ., მაგ.: Georgia is a multinational country: http://www.culturalpolicies.net/web/georgia.php?aid=421

[208] კრიტიკული ანალიზისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2008: http://www.scribd.com/doc/8727375/T-Putkaradze-Kartvelta-Dedaena-Da-Dialeqtebi-2008.

[209] იხ.: http://www.usefoundation.org/view/479.

[210] ამ მიმართულებით აკადემიური კვლევები აქვთ პროფ. მანანა ტაბიძისა და პროფ. როლანდ თოფჩიშვილს (რომელთა ნაწილი ზემოთ დაციმოწმეთ).

წარმოადგენენ **დიასპორას** და რომელი უნდა ჩაითვალოს **ახალ მიგრანტად.**

ამთავითვე ვიტყვით, რომ, მაგ., 1989 წლის აღწერით საქართველოში არ ცხოვრობდა არც ერთი იეზიდი, ხოლო 2002 წლის მიხედვით დაფიქსირებულია 18 329 სული[211].

პრობლემას ართულებს ისიც, რომ საერთაშორისო სამართალში ამ ეტაპზე არ არსებობს **ტერმინების:** ეროვნული უმცირესობა, ისტორიული ეროვნული უმცირესობა, ახალი ეროვნული უმცირესობა, დიასპორა, ძველი მიგრანტი, ახალი მიგრანტი... **ისეთი განმარტებანი,** რომლებზეც კონსენსუსია მიღწეული; თუმცა, დეფინიციებს აქვს საერთო წახნაგებიც; მაგ., "ეროვნული უმცირესობის" შესახებ სპეციალისტთა განსხვავებულ მოსაზრებებს საერთო აქვთ განმარტების ზოგადი "ჩარჩო": **ეროვნული უმცირესობა** არის მოცემულ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის არადომინირებული ნაწილი, რომელიც უმრავლესობისაგან განსხვავდება თავისი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური მახასიათებლებით და სურს შეინარჩუნოს საკუთარი თვითმყოფადობა[212]

"მუდმივად მცხოვრებ" მოქალაქედ ჩაითვლება ყველა პირი, ვინც მიიღო ამ ქვეყნის მოქალაქეობა, მაგრამ ასეთ პირთა ჯგუფი ითვლება კი ეროვნულ უმცირესობად?

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მიგრანტთა მეორე ან მესამე თაობა ჩაითვალოს ეროვნულ უმცირესობად [213]

ახალ მიგრანტებს ბევრი საერთაშორისო დოკუმენტი იცავს; ბუნებრივია, მათზე არ გავრცელდება არც "რეგიონული ან

---

[211] საქართველოში იეზიდთა ერთი ნაწილი ახალმოსულია; მათი რაოდენობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია იმანაც, რომ ადრე ქურთებად თვითმიკუთვნებულთა ერთი ნაწილი 2002 წელს იეზიდად დაფიქსირდა.

[212] http://www.nplg.gov.ge/glossword/index.php?a=term&d=4&t=1057: "ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვა, ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი, რედ. ჯ. ჯავახიშვილი, ნ. სარჯველაძე, თბ., 2007.

[213] მსჯელობისათვის იხ., მაგ.:Diaspora cultures; Recommendation 1688 (2004); Reply from the Committee of Ministers adopted at the 952nd meeting of the Ministers' Deputies (11 January 2006):

http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/Doc06/EDOC10786.pdf; და Roberta Medda-Windischer, Historical Minorities and Migrants: Foes or Allies? (Differences and Similarities Between Old and New Minorities)

http://www.eumap.org/journal/features/2004/migration/pt1/minmigrants

უმცირესობის შესახებ ევროპული ქარტია“ და არც “ოსლოს რეკომენდაციები“

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელოვნური ჩანს ტერმინების: “ეროვნული უმცირესობა“ და “ეთნიკური უმცირესობა“ გამიჯვნა-დაპირისპირება და იმასაც, რომ თანამედროვე მსოფლიოში ძლიერია როგორც **ინტეგრაციული პროცესები,** ასევე **სწრაფვა იდენტობის შენარჩუნებისათვის,** იქნებ სჯობდეს:

ძველი მიგრანტების აღსანიშნავად, ვისზეც გავრცელდება “ენობრივი უფლებების“ თემატიკის მქონე საერთაშორისო დოკუმენტები (და არა “ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“), დავამკვიდროთ პარალელური ტერმინები: **“მიგრირებული ეთნიკური უმცირესობა“ ანუ დიასპორა;** ხოლო იმ საზოგადოების აღსანიშნავად, რომელზეც უნდა გავრცელდეს “ევროპული ქარტია“, ანუ **ისტორიული უმცირესობების** მიმართ, გამოვიყენოთ ტერმინი: **“ისტორიული ეთნიკური უმცირესობა“** (Historical Ethnic Mminority)“.

რამდენადაც საერთაშორისო საკანონმდებლო ველში უკვე დამკვიდრებულია ტერმინი ეროვნული უმცირესობა (National Mminority), უფრო გამართლებული იქნება, სინონიმებად გამოვიყენოთ ტერმინები: **“ეროვნული უმცირესობა“ და “ეთნიკური უმცირესობა“.**

ვფიქრობთ, საქართველოში **ეროვნულ** (ეთნიკურ) **უმცირესობად,** გარკვეული პირობითობით, შეიძლება ჩაითვალონ **აფხაზები, რამდენადაც მათ სხვაგან არსად აქვთ პერსპექტივა, შეინარჩუნონ თვითმყოფადობა;** შესაბამისად, ლოგიკურია, რომ საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზურ ენას, ქართულთან ერთად, აფხაზეთში მინიჭებული აქვს სახელმწიფო ენის სტატუსი (აფხაზეთში: აფხაზი - 17 %, ქართველი - 47 %).

სხვა ეთნიკურ ჯგუფთათვის “ისტორიული უმცირესობის“ სტატუსის საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია მათი ისტორიაც და რაოდენობაც; მაგ.: 2002 წლის აღწერის მიხედვით, **საქართველოში დაფიქსირებულია მოქალაქეობის მქონე 60-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფი;** ამათგან, მაგ., ტაჯიკები 15 სული; ჩინელები - 47; ბოშა - 472; კორეელი - 22; სპარსელი - 47; ქურთი - 2514; ინგუში - 9; ქისტი - 7110; ჩეხი - 46... შდრ., აგრეთვე:

საქართველოს მოქალაქე	4 371 535	100.0
ქართველი	3 611 173	83,8
აზერბაიჯანელი	284 761	6.5
სომეხი	248 929	5.7
რუსი	67 671	1.5
ოსი	38 028	0.9
ბერძენი	15 166	0.3
უკრაინელი	7 039	0.2
ქურთი	2 514	0.1

ბუნებრივია, საქართველოს მოქალაქეობის მქონე, მაგრამ საქართველოსთვის არაისტორიული (ახალი) ეთნიკური ჯგუფების ენების მიმართ არ უნდა გავრცელდეს "ენის ქარტია" ამავე დროს, დროულად უნდა **განისაზღვროს ის კრიტერიუმები** (მკვიდრობის ისტორია, მოქალაქეთა რაოდენობა, ენის საფრთხის ქვეშ ყოფნის ხარისხი...), რომელთა მიხედვით ეთნიკური ჯგუფების ერთი ნაწილი მიიჩნევა საქართველოს ეთნიკურ (ეროვნულ) უმცირესობად, მეორე ნაწილი დიასპორის (ახალი უმცირესობის) უფლების მქონე პირებად, მესამე ნაწილი კი - ახალ მიგრანტებად.

აქვე ერთი არსებითი კითხვაც: საქართველოს მსგავსად, მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში ცხოვრობს **ათეულობით** არაავტოქთონი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი; რა კრიტერიუმების მიხედვით უნდა განისაზღვროს ის მიჯნა, რომლიც მიხედვითაც მოქალაქეობის მქონე მიგრირებულ ჯგუფებს მიენიჭებათ ეთნიკური უმცირესობის (დიასპორის)[214] თუ ახალი მიგრანტების სტატუსი?

ვფიქრობთ, ქართული სინამდვილიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე **ახალი ეთნიკური** უმცირესობების (დიასპორის) სტატუსი შეიძლება მიენიჭოს რუსეთის ოკუპაციის პერიოდში განხორციელებული **დემოგრაფიული ექსპანსიის** პირობებში საქართველოში ჩამოსახლებულ მიგრანტებს, რომელთა რაოდენობა საერთო მოსახლეობის 1 %-ს შეადგენს. ლოგიკური იქნება, თუკი მათი ენების მიმართ გავრცელდება ოსლოსა თუ

[214] დიასპორის შესახებ ევროსაბჭოს ხედვა იხ.:
http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/WorkingDocs/Doc06/EDOC10786.htm;
http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/Doc06/EDOC10786.pdf

ჰააგის "რეკომენდაციები" (და არა "ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ").

ამგვარი მიდგომის მიხედვით უნდა მოხდეს საქართველოს მიჩნევა არა მრავალეთნიკურ, არამედ ჩვეულებრივ სახელმწიფოდ, სადაც 2-3 ეთნიკური უმცირესობა და ასევე რამდენიმე დიასპორა ცხოვრობს.

ვფიქრობთ, მეზობელი იმპერიის მოხელეებისგან "ნაციონალიზმის" **უსაფუძვლო ბრალდების** თუ ე.წ. ვულგალური გლობალიზმის მესვეურებზე **ბრმა მიმბაძველობის** გამო არც ერთმა ხელისუფლებამ უარი არ უნდა თქვას "ენის ქარტიის" ფუნდამენტურ პრინციპებზე და ყველა ახალი მიგრანტის ენა "ისტორიული ეროვნული უმცირესობის" ენად არ უნდა გამოაცხადოს; შდრ.: თუკი მოცემული ქვეყნის **მოქალაქეობის მქონე ახალი მიგრანტების** ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით გავაკეთებთ დასკვნებს, მსოფლიოს ყველა ქვეყანა **მულტიეთნიკურად უნდა გამოვაცხადოთ.** ამგვარი დეზინტეგრაციული კურსი ქაოსს შექმნის ტრადიციული სახელმწიფოებრიობის მქონე ცივილიზებულ სახელმწიფოებშიც კი (აღარაფერს ვამბობთ ახალაღორძინებულ თუ ახალდეკოლონიზებულ ქვეყნებზე).

უფრო ლოგიკურია, **მულტიეთნიკურად** გამოვაცხადოთ ისეთი სახელმწიფო, სადაც ბევრი ავტოქთონი ეთნიკური ჯგუფი სახლობს; ასევე, გარკვეული კონსენსუსის საფუძველზე, ქვეყანა მრავალეროვნულად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუკი აქ სახლობს თუნდაც 6 ისეთი ძველი თუ ახალი უმცირესობა, რომლის პროცენტული მაჩვენებელიც ერთს აღემატება. 2002 წლის აღწერით, საქართველოში ასეთი მხოლოდ 3 ეთნიკური ჯგუფია (შდრ.: multum - მრავალი, ბევრი): აზერბაიჯანელი (6.5 %), სომეხი (5.7 %), რუსი (1.5 %). ლოგიკის მიხედვით, სწორედ ამათ მიმართ უნდა გავრცელდეს ჰააგისა და ოსლოს რეკომენდაციები (და არა: "ენის ქარტიის" დებულებები).

შესაბამისად, ტერმინოლოგიური შესიტყვება: **"მულტიეთნიკური ქვეყანა"** საქართველოსთვის შეუსაბამოდ მიგვაჩნია.

აქვე კიდევ ერთხელ შევნიშნავთ: საერთაშორისო ქსელში არსებული **არაადეკვატური კვალიფიკაციებისა** თუ

ტ.ვიხერკევიჩის ჯგუფის **დაუსაბუთებელი რეკომენდაციების** მიხედვით თუ მოხდება "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" რატიფიკაცია, საფრთხე შეექმნება არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ენას (დაირღვევა ევროპული კონვენციის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა), არამედ საქართველოს სახელმწიფოებრიობასაც[215]

2.3.5. ევროსაბჭოს წევრ რომელ სახელმწიფოში მცხოვრებ ქართველთა დედაენის მიმართ უნდა გავრცელდეს, ერთი მხრივ, ევროპული ქარტიის დებულებები, მეორე მხრივ - ჰააგისა და ოსლოს რეკომენდაციები, მესამე მხრივ კი - კანონი მიგრანტთა შესახებ?

ქართველები დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ცხოვრობენ.

უდავოა, რომ ქართველები ავტოქთონ ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ თურქეთსა და აზერბაიჯანში, ვინაიდან მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საზღვრების გავლების შემდეგ, ავტოქთონი ქართველობის ნაწილი აღმოჩნდა თურქებისა და აზერბაიჯანელების დომინანტობით შექმნილი სახელმწიფოების საზღვრებში; კერძოდ:

ავტოქთონი ქართველები (ლაზები/ჭანები, მაჭახლელები, ლივანელები, იმერხევლები და ტაოელები) **ლაზებისა და გურჯების** სახელით ცხოვრობენ ტრაპიზონისა და ართვინის გუბერნიებში[216]; ბევრი ქართველი ცხოვრობს თურქეთის ცენტრალურ რეგიონებშიც; შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკაში **ქართული ენის** (მისი სახესხვაობების) **მიმართ** უნდა ამოქმედდეს "ქარტიის"

---

[215] დიდია ალბათობა იმისა, რომ ტ. ვიხერკევიჩის ჯგუფის რეკომენდაციების რეალიზების შემთხვევაში სტიმული მიეცემა დეზინტეგრაციულ პროცესებს არა მხოლოდ საქართველოში.

[216] საკითხის ისტორიის, მასალისა და მსჯელობისათვის იხ., **შ. ფუტკარაძე,** ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993; **ტ. ფუტკარაძე,** იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2006; **მ. ტაბიძე,** საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ენობრივი ორიენტაციისათვის, ლაზეთ-ჭანეთი: ისტორია და თანამედროვეობა (თეზისები), თბ., 2005; იხ., აგრეთვე, გ. ალასანიას, ნ. ცეცხლაძის, ი. კოპლატაძის, მ. ცინცაძის, ლ. თანდილავას, ი. თანდილავას, რ. დიასამიძის, თ. ფუტკარაძის, ე. მაკარაძის, მ. შაჰინის... გამოკვლევები და ჟურნალ "ჩვენებურებსა" თუ "ფიროსმანში" გამოქვეყნებული მასალები.

III ნაწილი[217] **ისტორიული უმცირესობის ენის დაცვის მაღალი ხარისხი (the higher level).**

ასევე, უეჭველი ფაქტებით დასტურდება, რომ თანამედროვე აზერბაიჯანის სამ რაიონში კომპაქტურად ცხოვრობენ ავტოქთონი ქართველები (ინგილოები); შესაბამისად, ამ ქვეყანაშიც ქართულ ენაზე უნდა გავრცელდეს "ქარტიის" მესამე ნაწილი.

ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ ირანშიც.

ირანი არ არის ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, მაგრამ აქ მაინც შევეხებით ამ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველთა ენის თემას: 4 საუკუნის წინ ქართველები საქართველოდან იძულებით აყარეს და სპარსეთში გადაასახლეს მაშინდელი სპარსეთის იმპერიის მოხელეებმა; შესაბამისად, ირანის ამჟამინდელ ხელისუფლებას მეტი მოტივაცია აქვს, დაიცვას ფერეიდნელ ქართველთა დედაენობრივი კულტურაც და ენობრივი უფლებებიც. დღეს ირანში ქართული ენა არ იდევნება, მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, სახელმწიფო ნაკლებად ზრუნავს მის დასაცავად.

რუსეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში ქართული ენა დიასპორათა ან მიგრანტთა ენაა; მიგრანტთა ენობრივ უფლებებს ყველა ქვეყნის კანონმდებლობა იცავს, მაგრამ ქართველ მიგრანტებსა თუ დიასპორის წარმომადგენლებს თავიანთი იდენტობის დასაცავად თანადგომა, პირველ რიგში, **საქართველოს სახელმწიფომ უნდა გაუწიოს.**

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ტ. ვიხერკევიჩისა და მისი ქართველი კოლეგების ერთ-ერთი "რეკომენდაციაც"; კერძოდ, 38-ე გვერდზე ვკითხულობთ:

"განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს თურქეთში მცხოვრები **ლაზებისა** და აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე **მეგრელების** სოციოლინგვისტურ კვლევას. დასაზუსტებელია და განსასაზღვრია იქ არსებული ენობრივი სიტუაცია, მაქსიმალური ძალისხმევის გაღება საქართველოს იურისდიქციის გარეთ მოქცეული ჩვენი თანამოძმეების ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობისა და **თვითშეგნების**[218] შენარჩუნებისა და განვითარებისათვის" (სტილი დაცულია - ტ.ფ.).

---

[217] იხ. ქარტიის 42-ე და 49-ე განმარტებანი.

[218] აჯობებდა, ამ კონტექსტში გამოეყენებინათ ტერმინი: "მეობა" ან "თვითმყოფადობა".

კარგი იქნებოდა, ამ რეკომენდაციის ავტორებს გახსენებოდათ თურქეთის ავტოქთონი სხვა ქართველებიც: მაჭახლელები, ლივანელები, იმერხევლები, ტაოელები... თურქეთის მოქალაქე ავტოქთონი ქართველების ენობრივ-კულტურული "თვითშეგნების" შესახებ სამეცნიერო მიმოქცევაში უკვე დიდძალი ლიტერატურაა; სჯობდა ხაზგასმულიყო თურქეთის ქართველობის დედაენის ქართულის დაცვის პრობლემა. გარდა ამისა, სამწუხაროდ, რეკომენდატორებმა ულოგიკოდ გაათანაბრეს საქართველოსა (აფხაზეთსა) და თურქეთში მცხოვრებ მეგრელთა და ლაზთა ენობრივ-კულტურული მდგომარეობა.

აქვე, ტ. ვიხერკევიჩის ჯგუფის მიერ მოწონებულია (გვ. 4-5) პროფ. ი. გიპერტის "კავკასიის ენების რუკა", რომლის მიხედვით **თურქეთის რესპუბლიკაში მოქცეულ ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზე - ტაო-კლარჯეთში, ასევე, აფხაზეთ-სამეგრელოსა და ცხინვალის მხარეში საერთოდ არ არის ქართული ენა.** საყურადღებოა ისიც, რომ ბოლო პერიოდში რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აფხაზეთსა და **ცხინვალის მხარეში, ფაქტობრივად, განხორციელდა ქართველთა გენოციდი** და ამ მხარეთა ენობრივი სიტუაცია მართლაც დაემსგავსა გიპერტის რუკისას[219]

საქართველოს ხელისუფლების ზრუნვის საგანი ერთნაირად უნდა გახდეს საქართველოს სახელმწიფოს ამჟამინდელ საზღვრებს გარეთ მცხოვრები როგორც ავტოქთონი, ასევე მიგრირებული ჯგუფები თუ დიასპორები.

რაც შეეხება რუსეთის მიერ 1992-2008 წლებში ოკუპირებული ქართული მიწა-წყლიდან (აფხაზეთიდან, ცხინვალის მხარიდან)[220] გამოდევნილ ქართველთა მოქალაქეობრივ თუ

---

[219] პროფ. ი. გიპერტის რუკა შეიქმნა 1993-2003 წლებში:http://titus.uni-frankfurt.de/didact/karten/kauk/kaukasm.htm.

[220] ტ. ვიხერკევიჩი და მისი ჯგუფი ამ ფაქტის შეფასების დროსაც არსებით შეცდომას უშვებენ: მე-7 გვერდზე ისინი წერენ: "საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ საქართველოში **ორი ეთნიკური კონფლიქტი** გაღვივდა. რა თქმა უნდა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს პოლიტიკური სარჩული ჰქონდა, თუმცა ეთნიკურმა დაპირისპირებამ მისცა უფრო მკვეთრი სახე ამ კონფლიქტებს... ზოგი ექსპერტი ამ კონფლიქტებს "ენობრივი ომების" კვალიფიკაციასაც აძლევს. სწორი ენობრივი და საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოს ხელისუფლების ძირერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი გარანტია იქნება ამ

ენობრივ-კულტურულ უფლებებს: ეს სხვა რიგის გამოწვევაა საქართველოს წინაშე; **თურქეთის საზღვრებში** მოქცეული ქართველების ენობრივ-კულტურული უფლებებისგან განსხვავებით, ეს პრობლემა ვერ გადაწყდება რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" ამოქმედების შემთხვევაშიც კი. აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში რეალურად უნდა აღდგეს საქართველოს იურისდიქცია.

ამრიგად, "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია" თავისი არსით ნათელი და მაღალი დონის დოკუმენტია; იგი არ შეიცავს რომელიმე ქვეყნისთვის სახიფათო დებულებებს.

"ენის ქარტიისა" და ჰააგის თუ ოსლოს "რეკომენდაციების" მიზნების გამიჯვნისა და პრინციპების **გათვალისწინების** შემთხვევაში, **სახელმწიფო ენის ფუნქციის** დაკნინების გარეშე საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც შესაძლებელია, რომ სათანადო სტატუსი განესაზღვროს ქვეყანაში არსებულ **ყველა ლინგვისტურ ერთეულს** და რეალურად დაცულ იქნას ძირითადი მოსახლეობის, **ისტორიული უმცირესობის,** ახალი უმცირესობისა თუ მიგრანტების წარმომადგენელთა ენობრივი უფლებები.

ენის ქარტია" ხელს უწყობს სახელმწიფოებრიობის არმქონე, ან სხვა სახელმწიფოებრივ ველში მოქცეული ავტოქთონი - ისტორიული (და არა ახალი) **უმცირესობის მიერ** ენობრივ-კულტურული (ეროვნული) მემკვიდრეობის შენარჩუნებას. გარდა

კონფლიქტების მოსაგვარებლად"... ეს ბოლო მოსაზრება საოცრად ჰგავს ჯ. ჰიუიტის რეკომენდაციებს (იხ. http://www.scribd.com/doc/6505547/The-Perspectives-of-Restoration-of-the-Entirety-of-the-Territory-of-Georgia); გარდა ამისა, კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ 1991 წლიდან დღემდე რუსეთი ცდილობს ხელახლა დაამყაროს გეოპოლიტიკური კონტროლი საქართველოს ტერიტორიაზე; შესაბამისად, ელცინ-პუტინ-მედვედევის რუსეთმაც მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებული ტერიტორიებიდან გამოდევნა ქართველებიც, მისი მოწინააღმდეგე აფხაზებიც და ოსებიც. გარდა ამისა, თბილისსა თუ საქართველოს სხვა რეგიონებში ათასობით ოსი და აფხაზი ცხოვრობს და მათ არანაირი კონფლიქტი არა აქვთ ქართველებთან. რუსეთ-საქართველოს 1991-2008 წლების ომის ე.წ. ეთნოკონფლიქტებად მონათლა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებში შედის; მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე:

http://www.scribd.com/doc/9100510/Tariel-Putkaradze-Geopolitika-Da-Qartvelta-Identoba.

ამისა, "**რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია**" ითხოვს, პრიორიტეტი მიენიჭოს საფრთხის წინაშე მყოფი, დაუცველი ისტორიული უმცირესობების ენებს"[221]

"ენის ქარტიის" დებულებები არ ვრცელდება მოცემული სახელმწიფოს "ახალი უმცირესობების" ენის მიმართ; ამ მიმართულებით არსებობს სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები (ჰააგისა და ოსლოს რეკომენდაციები და სხვ.).

"ენის ქარტიის" დებულებებს თუ გავითვალისწინებთ, მოცემულ სახელმწიფოში შეიძლება ვივარაუდოთ 5 სახის ენის არსებობა:

- ტრადიციული (ავტოქთონი) ძირითადი მოსახლეობის ენა - სახელმწიფო ენა;
- ავტონომიურ წარმონაქმნში - ავტონომიური წარმონაქმნის სახელმდებელი ეთნოსის ენა - მეორე სახელმწიფო ენა ამ წარმონაქმნში (რომელზეც ზრუნავენ სახელმწიფოსა და ავტონომიური წარმონაქმნის ხელისუფლებები);

სახელმწიფოში მცხოვრები ისტორიული, ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის ენა; იგი უნდა დაიცვას სახელმწიფომ "ენის ქარტიის" მესამე ნაწილის გათვალისწინებით;

- მოცემულ სახელმწიფოში საუკუნეების წინ დამკვიდრებული მიგრანტი ეთნიკური ჯგუფის ენა, რომელსაც სხვაგან არა აქვს დაცულობის პერსპექტივა; მოცემული სახელმწიფოს კეთილი ნების შემთხვევაში, ამ ტიპის ენაზე შეიძლება გავრცელდეს "ენის ქარტიის" მეორე ნაწილის დებულებები; სხვა შემთხვევაში, მათ მიმართ ამოქმედდება ოსლოსა თუ ჰააგის "რეკომენდაციები";
- მოცემულ სახელმწიფოში დამკვიდრებული ისეთი მიგრანტი ეთნიკური ჯგუფის ენა, რომელიც სახელმწიფო ენაა სხვა სახელმწიფოში; ამ ტიპის ენების დაცულობის ხარისხი და ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების **ენობრივი უფლებები** უნდა განისაზღვროს ოსლოსა თუ ჰააგის "რეკომენდაციების" და სხვა მსგავსი საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით;
- მოცემულ სახელმწიფოში ოკუპანტის მიერ თავსმოხვეული ენა, რომელსაც დეოკუპაციის შემდეგ სტატუსი და დაცულობის ხარისხი უნდა განესაზღვროს პოსტოკუპაციური ვითარების გათვალისწინებით;
- ახალი მიგრანტების ენა; მიგრანტთა ენობრივი უფლებები სახელმწიფომ უნდა დაიცვას შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით[222]

---

[221] **რ.დუნბარი,** "კომენტარები: ჩარჩო ხელშეკრულებისა და ენის ქარტიის ურთიერთობები", ჩარჩოს შევსება, დოკუმენტების კრებული, 2004, გვ. 35.

[222] მიგრანტთა უფლებების შესახებ იხ., მაგ.:International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families; Adopted by General Assembly resolution 45/158 of 18 December 1990:

ვფიქრობთ, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის რეალურ ისტორიას, ევროსაბჭოსთვის დროულად მოძზადდება "ენის ქარტიის" შესახებ საქართველოს სახელმწიფოს ისეთი განცხადება, რომელიც **არ დააზარალებს საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსს** და ევროპაში აღიარებულ **სტანდარტებში მოაქცევს** საქართველოში არსებული ისტორიული თუ ახალი უმცირესობების ენობრივ-კულტურული ფასეულობებისა და ენობრივი უფლებების დაცვას.

---

http://www.unhchr.ch/html/menu3/b/m_mwctoc.htm
The International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families will enter into force on 1 July 2003, following Guatemala's ratification of the treaty last Friday.
http://www.unhchr.ch/huricane/huricane.nsf/view01/B87E9E85C7147498C1256CEF00385E50?opendocument; http://www.unhchr.ch/html/menu3/b/m_mwctoc.htm
THE PROTECTION OF TEMPORARY MIGRANTS BY CONVENTIONS OF THE ILO AND THE UN W.R. Böhning (ILO); Presentation to the Workshop on *Temporary migration: Assessment and practical proposals for overcoming protection gaps*, International Institute for Labour Studies, Geneva, 18-19 September 2003. http://www.ilo.org/public/english/bureau/inst/download/bohning.pdf;
The International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families will enter into force on 1 July 2003, following Guatemala's ratification of the treaty last Friday.
http://www.unhchr.ch/huricane/huricane.nsf/view01/B87E9E85C7147498C1256CEF00385E50?opendocument
http://www.unhchr.ch/html/menu3/b/m_mwctoc.htm; სხვა კანონებისათვის იხ: http://www.lectlaw.com/inll/104.htm (Immigration, nationality, and citizenship law)

კონსტანტინე გამსახურდია:

“XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული!“

დამოწმებული
სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები

რ. აბაშია, ბგერათშესატყვისობის ახალგამოვლენილი რიგისათვის ქართველურ ენებში, I: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 62-ე სამეცნიერო სესიის მასალები, 2003.

რ. აბაშია, დიალექტური პოზიციის პრინციპი და ქართველურ ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი (სიბილანტთა შესატყვისობის მიხედვით): ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VII, ქუთაისი, 2003.

რ. აბაშია, ბგერათშესატყვისობის ახალგამოვლენილი რიგისათვის ქართველურ ენებში, II: ქართველოლოგიური კრებული, III, თბ., 2004.

ა. არაბული, მესამე სერიის ნაკვთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბ., 1984.

ირ. ასათიანი, -ერე სუფიქსიანი თურმეობითი მეგრულში, იკე, XVII, თბ., 1970.

ირ. ასათიანი, -რ სუფიქსის კვალი მეგრულ ზმნაში, იკე, XVIII, თბ., 1973.

გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, თბ., 1938.

ლ. ბარამიძე, პირველი თურმეობითის წარმოების ზოგი თავისებურება ქართული ენის მთის კილოებში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, XX, თბ., 1977

თ. ბერაძე, ტერმინი, თემი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 81, №1, 1976.

კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, გლოტოქრონოლოგიის საფუძვლიანობისათვის: მიმომხილველი, 6/9, თბ., 1972.

გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.

კ. გაბუნია, ბრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1998.

თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959.

თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

გამყრელიძე. "ოქროს საწმისი" და ძველი კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა, ანუ რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი? ლიტერატურული საქართველო, 20-27 მარტი, 1998.

თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძვ. ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში: მრავალთავი, VI. თბ., 1978.

თ. გვანცელაძე, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები და ქართველური ენობრივი სამყარო: ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VII, ქუთაისი, 2003.

თ. გვანცელაძე, არის თუ არა გაგებინება ენის დიალექტისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი? ენათმეცნიერების საკითხები, №1, თბ., 2004.

თ. გვანცელაძე, ქართველური ენები თუ ქართველური დიალექტები? წიგნში: ტ. ფუტკარაძე, ქართველები, I ნაწილი, ქუთაისი, 2005.

თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.

გ. გოგოლაშვილი, სვანური ენის დიალექტური დაყოფისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, XVI, თბ., 2004.

გ. გოგოლაშვილი, დიალექტთა განდასებისათვის ქართულში: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XV, თბ., 2004.

გ. გოგოლაშვილი, ქართული ენის დიალექტური დანაწევრებისა და დიალექტთა განდასების საკითხისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX, თბ., 2005.

რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008.

ე. დადიანი, კავშირებითის ფორმები მეგრულში (სხვა ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2001.

ე.დადიანი, ტ.ფუტკარაძე, -ნა/-ნო პრეფიქსიან ზმნურ ფორმატა წარმოების ზოგიერთი საკითხი ქართველურ ქვესისტემებში, ქართველოლოგიური კრებული, IV, 2005.

ე. დადიანი, გ ბგერის დისტრიბუციისათვის მეგრულში: საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბ., 2007.

კ. დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკის საკითხები, ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, თბ., 1991.
